100 წიგნი

ადამიანები

რომელთაც შეცვალეს მსოფლიო

ჰიტლერი

www.facebook.com/groups/ellib

WWW.FACEBOOK.COM/GROUPS/ELLIB

ავტორის შესახებ

ალბერტ შპეერი დაიბადა 1905 წელს მანჰაიმში, გარდაიცვალა ლონდონში 1981 წელს. სწავლობდა არქიტექტურას კარლსრუეს, მიუნხენის და ვენის უნივერსიტეტებში. 1931 წელს შევიდა NSDAP[1]-ის რიგებში. შპეერი იყო რაიხის დედაქალაქის შენობა-ნაგებობათა გენერალური ინსპექტორი, მესამე რაიხის შეიარაღებისა და სამხედრო მრეწველობის მინისტრი. შპეერი ჰიტლერის უახლოესი გარემოცვის პირთა რიცხვში შედიოდა. საერთაშორისო სამხედრო ტრიბუნალმა ნიურნბერგში მას 20 წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯა. ეს 20 წელი ალბერტ შპეერმა შპანდაუს ციხეში გაატარა.

წიგნის შესახებ

1969 წელს გამოსული ალბერტ შპეერის „მოგონებები“ მსოფლიო სენსაციად იქცა. ეს „მოგონებები“ სამართლიანად ითვლება მეორე მსოფლიო ომის შემდგომი პერიოდის ყველაზე პოპულარულ წიგნად და მესამე რაიხის თემაზე დაწერილი მემუარული ლიტერატურის კლასიკურ ნიმუშად. ეს წიგნი წარმოადგენს იმ ადამიანის ცხოვრებისეულ აღსარებას, რომელმაც 12 წელი გაატარა ჰიტლერის[2] გვერდით - არაორდინალურ და წინააღმდეგობებით აღსავსე ვითარებებში.

ალბერტ შპეერი - მსოფლიოს დედაქალაქ „გერმანიის“ (ასე უწოდებდნენ მაშინ ბერლინს) არქიტექტორი, ჰიტლერის ღამის ქეიფების, როგორც რაიხის კანცელარიაში, ასევე ბერგჰოფში, დამსწრე და გამზიარებელი, ტექნოკრატი, შეიარაღებისა და სამხედრო აღჭურვილობის გასაოცარი ორგანიზატორი, ბოლოს კი, ყველასათვის მოულოდნელად, - ჰიტლერის მოწინააღმდეგე. შპეერის „მოგონებებში“ ჩანს მესამე რაიხის რეჟიმის ინტიმური დეტალების ღრმა ცოდნა, რაც ნიღაბს ხდის ამ რეჟიმის გამხრწნელ მორალს და დანაშაულებრივ ენერგეტიკას.

წინასიტყვაობა

„ახლა მემუარებს წერთ?“ - მკითხა პირველივე ამერიკელმა, რომელსაც 1945 წლის მაისში ფლენსბურგში შევხვდი. ამასობაში 24-მა წელმა განვლო, რომელთაგან 21 წელიწადი ციხეში გავატარე. ეს დიდი დროა.

ამჟამად მემუარები დავასრულე და მკითხველის სამსჯავროზე გამომაქვს. მე შევეცადე, ისე ამესახა წარსული, როგორც განვიცადე. შეიძლება, ზოგან ფაქტები დამახინჯებული მოგეჩვენოთ. ზოგმა შეიძლება ჩათვალოს, რომ ჩემი ხედვის პერსპექტივა არასწორია. იქნებ, ასეც არის, ან იქნებ - არა: მე ავსახე ყოველივე იმგვარად, როგორც დავინახე და როგორც ამას დღევანდელი გადასახედიდან ვაფასებ. ვცდილობ, არ გავექცე წარსულს; არც იმ წლების მომხიბვლელობას და არც მათ საშინელებას გავურბივარ. თანამონაწილეები, ალბათ, გამაკრიტიკებენ, და ეს გარდაუვალია, რადგან მე სიმართლე არ დამიმალავს.

ამ მოგონებებმა უნდა ნათელყონ ის წინაპირობები, რომელთაც მიგვიყვანეს იმ კატასტროფებამდე, რითაც ის ერა დასრულდა. მინდოდა, ცხადი გამეხადა, რა შედეგებამდე მივყავართ იმ გარემოებას, როდესაც ერთი ადამიანის ხელშია გაუკონტროლებელი ძალაუფლება; მინდოდა, ისიც გამხდარიყო ნათელი, როგორი სულიერი ორგანიზაციის ადამიანი იყო ეს პიროვნება. ნიურნბერგში სასამართლოზე განვაცხადე: „ჰიტლერს რომ მეგობრები ჰყოლოდა, მე მისი მეგობარი ვიქნებოდი!“ მას ვუმადლი ჩემი ახალგაზრდობის წლების აღმაფრენასა და დიდებას ისევე, როგორც მოგვიანებით - ჩემს შეძრწუნებასა და დანაშაულს.

ჰიტლერის დახასიათებისას ჩანს ჩემი სიმპათიები მისი ამა თუ იმ თვისების მიმართ. შესაძლოა, ისეთი შთაბეჭდილებაც კი შეექმნას მკითხველს, რომ მე მისი ყურმოჭრილი მონა ვიყავი. მაგრამ რაც უფრო მეტს ვწერდი, მით უფრო მეტად ვგრძნობდი, რომ მე მხოლოდ მისი ზედაპირული თვისებები მხიბლავდა.

ამგვარ შთაბეჭდილებებს უპირისპირდება ის დაუვიწყარი გამოცდილება, რომელსაც ნიურნბერგის პროცესი ჰქვია. არასოდეს დამავიწყდება ერთი დოკუმენტი - ფოტო, რომელზეც ნაჩვენები იყო სასიკვდილოდ განწირული ებრაული ოჯახი: მამა, დედა და შვილები სიკვდილისთვის ემზადებიან! ეს სურათი დღესაც თვალწინ მიდგას.

ნიურნბერგში მე ოცი წლით თავისუფლების აღკვეთა მომისაჯეს. სამხედრო ტრიბუნალის საბრალდებო დასკვნა (რაოდენ ამომწურავადაც არ უნდა აესახა მას ისტორია) ცდილობდა, მოეძებნა დანაშაულის სწორი ფორმულირება. სასამართლოს განაჩენმა დროთა განმავლობაში ძალა დაკარგა, რადგან ის სულ უფრო ნაკლებად კომპეტენტური ხდებოდა ისტორიის წინაშე პასუხისმგებლობის შეფასებაში. განაჩენმა წერტილი დაუსვა ჩემს მოქალაქეობრივ არსებობას. იმ სურათმა კი ჩემს სიცოცხლეს გამოაცალა არსი; მან გაუძლო დროს, განაჩენმა კი - ვერა.

1969 წლის 11 იანვარი

ალბერტ შპეერი

წარმომავლობა და ახალგაზრდობა

ჩემი წინაპრები შვაბები იყვნენ. მათ ნაწილს ვესტერვალდის ღარიბი გლეხობა შეადგენდა, ნაწილი - სილეზიიდან და ნაწილიც ვესტფალიიდან იყო. მათი ცხოვრება არაფრით იყო გამორჩეული. ერთადერთი გამონაკლისი ჩემს წინაპრებში რაიხის მემკვიდრე მარშალი გრაფი ფრიდრიხ ფერდინანდ ცუ პაპენჰაიმი (1702-1793) გახლდათ, რომლისგანაც ჩემმა გაუთხოვარმა წინაპარმა ქალმა - ჰუმელინმა რვა შვილი გააჩინა. ფრიდრიხი მაინცადამაინც დიდად არ ზრუნავდა თავისი მრავალრიცხოვანი მოდგმის კეთილდღეობაზე.

სამი თაობის შემდეგ იყო ბაბუაჩემი ჰერმან ჰომელი - ერთი ღარიბი შვარცვალდელი მეტყევის შვილი, რომელიც სიცოცხლის მიწურულს გერმანიის ერთ-ერთი უდიდესი სავაჭრო სახლის (სახლი ზუსტი ხელსაწყოებით ვაჭრობდა) ერთადერთი მფლობელი გახდა. თავისი სიმდიდრის მიუხედავად, ბაბუაჩემი მოკრძალებულად ცხოვრობდა და თავის ხელქვეითებსაც ლმობიერად ეპყრობოდა.

ჩემი მეორე ბაბუა - ბერტოლდ შპეერი დორტმუნდში ცხოვრობდა და შეძლებული არქიტექტორი იყო. მან მრავალი შენობა ააგო კლასიცისტურ სტილში, რომელიც იმხანად მოდური იყო. მართალია, ბაბუაჩემი ადრე გარდაიცვალა, მაგრამ მან თავისი ოთხი ვაჟიშვილის განათლებისთვის საკმაო თანხა დატოვა. ჩემს ბაბუებს აღმავლობაში XIX საუკუნის მეორე ნახევარში დაწყებულმა ინდუსტრიალიზაციამ შეუწყო ხელი.

მე დავიბადე მანჰაიმში 1905 წლის 19 მარტს. როგორც დედაჩემი მიყვებოდა, კვირადღე ყოფილა და ჩვენი სახლის სიახლოვეს მდებარე მაცხოვრის ეკლესიის შუადღის წირვის ზარების რეკა გაზაფხულის ელჭექის ხმას გადაუფარავს.

მამაჩემი მანჰაიმში ერთ-ერთი ყველაზე მეტად დასაქმებული არქიტექტორი იყო. მან საკმაოდ დიდი ქონება დააგროვა და ამაში 1900 წელს ქალაქ მაინცის შეძლებული ვაჭრის ქალიშვილის ცოლად მოყვანაც დაეხმარა.

ჩვენი მანჰაიმის ბინის მსხვილბურჟუაზიული სტილი შეესაბამებოდა ჩემი მშობლების წარმატებასა და მიღწევებს. ჭედური არაბესკებით მორთული დიდი რკინის კარიბჭე შიგნიდან გარეთ იღებოდა. ეს გახლდათ იმპოზანტური სახლი, რომლის ეზოში ავტომანქანების შემოყვანაც კი შეიძლებოდა. მანქანები მდიდრულად მორთული სახლის შესაფერის დიდ კიბესთან ჩერდებოდნენ. ჩვენ კი, ბავშვები - ჩემი ორი ძმა და მე, უკანა კიბით ვსარგებლობდით, რომელიც ბნელი, მრუდე და ვიწრო საფეხურებით უკანა დერეფანში გადიოდა. ჩვენი სამფლობელო სახლის ეს ნაწილი

იყო - ჩვენი საძინებელი ოთახებიდან მოყოლებული, დარბაზისოდენა სამზარეულოთი დამთავრებული. აქედან კი უკვე იწყებოდა მდიდრული 14-ოთახიანი ბინა. ჰოლანდიური ავეჯით გაფორმებული ჰოლიდან, რომელშიც დელფტის ძვირფასი კაფელით მოპირკეთებული ბუხარი იდგა, სტუმრები ფრანგული ავეჯით გაწყობილ დიდ ოთახში შეჰყავდათ. ჩემს მეხსიერებას შემორჩა დიდი ბროლის ჭაღი და ორანჟერეა, რომლის ატრიბუტები მამაჩემს 1900 წელს პარიზში მსოფლიო გამოფენაზე ჰქონდა შეძენილი. ინდური ავეჯი, ხელით მოქარგული ფარდები, ხალიჩებით მოფენილი დივანი, პალმები და ეგზოტიკური მცენარეები - ყოველივე ამას იდუმალი უცხო მხარის ფლერი (სურნელი) მოჰქონდა. აქ საუზმობდნენ ჩემი მშობლები და აქ გვიმზადებდა მამაჩემი ბავშვებს ბუტერბროდებს თავისი მშობლიური ვესტფალიური ლორით. მახსოვს კიდევ ნეოგოთიკური სტილით მოწყობილი სასადილო ოთახი, რომლის დიდ მაგიდასთან 20 ადამიანი ეტეოდა. ამ მაგიდასთან აღინიშნა ჩემი ნათლობა. დღესაც ამ მაგიდასთან აღვნიშნავთ ხოლმე ჩვენი ოჯახის საზეიმო თავყრილობებს.

ჩვენ მანჰაიმის პრივილეგირებული ოჯახების რიცხვს მივეკუთვნებოდით, რაზედაც დედაჩემი რუდუნებითა და მოქალაქეობრივი სიამაყით ზრუნავდა.

ჩემი მშობლები ყველა ღონეს ხმარობდნენ, რომ ჩვენ - ბავშვებს ლამაზი და უზრუნველი სიყრმე გვქონოდა. მაგრამ ამ სურვილის ასრულებას წინ ეღობებოდა სიმდიდრე, მდგომარეობა, საზოგადოებრივი ვალდებულებები, დიდი საოჯახო მეურნეობა, ძიძები და მსახურები. დღესაც მახსოვს უსიამოვნო შეგრძნება, რასაც ის ხელოვნური ატმოსფერო იწვევდა ჩემში. ბავშვობაში მე ხშირად მეხვეოდა თავბრუ და ზოგჯერ გულიც მიმდიოდა. საკონსულტაციოდ მოწვეულმა ჰაიდელბერგელმა პროფესორმა „გულსისხლძარღვთა ნერვების სისუსტე“ დამიდგინა. ეს დაავადება ჩემთვის დიდ სულიერ დატვირთვას ნიშნავდა და ადრეულ ასაკშივე შემაგუა გარე ფაქტორების წნეხის ქვეშ ცხოვრებას. მაშინ ეს ჩემთვის მძიმე გასაძლისი იყო, რადგან ჩემი თანატოლებიც და ჩემი ორივე ძმაც ფიზიკურად ჩემზე ძლიერები იყვნენ, ეს კი ძალიან მთრგუნავდა.

ავადმყოფობა ხშირად წინააღმდეგობის გამწევი ძალების გააქტიურებას იწვევს ხოლმე. ჩემს შემთხვევაში ამ სიძნელეებმა ის შედეგი გამოიღო, რომ ვისწავლე გარე სამყაროსთან შეგუება. და თუ შემდგომში მე დიდი მოთმინებით და ოსტატურად გავმკლავებივარ უხერხულ ვითარებებს ან არასასურველ ადამიანებს, ეს პირველ რიგში, ალბათ, სწორედ ბავშვობაში ჩემი ფიზიკური სისუსტის დაძლევის უნარის წყალობით მომხდარა.

დაწყებითი განათლება პრივილეგირებულ კერძო სკოლაში მივიღე. შემდგომ საფეხურზე რეალურ სასწავლებელში გატარებული პირველი თვეების გადატანა გამიჭირდა ჩემს ზედმეტად თავაშვებულ თანაკლასელებთან ურთიერთობის გამო.

მამაჩემის არქიტექტურული ბიურო ჩვენს ბინას ემიჯნებოდა. აქ მზადდებოდა დიდი პლანშეტები პერსპექტივის ესკიზებით დამკვეთებისა და მშენებლებისთვის; ყველა სახის ნახაზი სრულდებოდა მოლურჯო ქაღალდზე, რომლის სუნი დღესაც მახსოვს. მამაჩემის მიერ დაპროექტებული შენობები ნეორენესანსის ზეგავლენას განიცდიდა. ის იუგენდსტილს გადაახტა. მოგვიანებით მისი სათაყვანებელი კერპი გავლენიანი ბერლინელი არქიტექტორი, ლუდვიგ ჰოფმანი[3] გახდა თავისი მშვიდი კლასიციზმით.

თორმეტი წლის ვიყავი, როდესაც მამაჩემის ბიუროში შევქმენი ჩემი პირველი „ხელოვნების ნიმუში“ - მამაჩემს დაბადების დღისთვის საჩუქრად დავუმზადე „ცხოვრების საათის“ მაკეტი, რომლის კონსტრუირებაში ბიუროს თანამშრომლებიც მეხმარებოდნენ.

1914 წლამდე ჩემს მშობლებს ორი მანქანა ჰქონდათ: ერთი საზაფხულო - გადახდილი სახურავით და მეორე ზამთრის - დახურული. ეს მანქანები ტექნიკით ჩემი იმჟამინდელი გატაცების მწვერვალს წარმოადგენდა.

1915 წელს ტექნიკური რევოლუციის კიდევ ერთ ახალ გამოგონებას ვეზიარე. მანჰაიმთან სტაციონირებული იყო ერთი ცეპელინი, რომელსაც ლონდონზე თავდასხმების დროს იყენებდნენ. ცეპელინის კომენდანტი და მისი ოფიცრები ჩვენი სახლის ხშირი სტუმრები იყვნენ. მათ ერთხელ მე და ჩემი ძმები საჰაერო ხომალდის დასათვალიერებლად დაგვპატიჟეს. მაშინ ათი წლის ვიყავი. ამ ტექნიკური გოლიათის ნახვის შემდეგ ყოველღამე მესიზმრებოდა, რომ ხომალდს ცეცხლი წაეკიდა და ჩემი ყველა მეგობარი დაიღუპა.

ჩემი ფანტაზია ომით იყო მოცული. გამუდმებით ვფიქრობდი ფრონტის ხაზის გარღვევაზე და უკან დახევაზე, ჯარისკაცების გასაჭირზე. ღამით ზოგჯერ ვერდენის ბრძოლის ყრუ ხმები ჩამესმოდა. ბავშვური სოლიდარობის გამო არაერთი ღამე გამითევია მაგარ იატაკზე, ჩემი რბილი საწოლის გვერდით, რადგან ეს სარეცელი უფრო შეეფერებოდა ფრონტზე მყოფი ჯარისკაცების მძიმე პირობებს.

იმ წლებში დიდი ქალაქები ცუდად მარაგდებოდა სურსათით. შესაბამისად, არც ჩვენს ოჯახს ასცდა ზამთრობით ცარიელი კომბოსტოს ჭამა. მართალია, ქონება გვქონდა, მაგრამ არ გვყავდა სოფლად ნათესავები. მიუხედავად იმისა, რომ დედაჩემი კომბოსტოსგან სულ ნაირ-ნაირ კერძებს ამზადებდა, ხშირად ისე მშიოდა, რომ ჩუმ-ჩუმად შევექცეოდი ხოლმე ძაღლებისთვის განკუთვნილ გაქვავებულ ნამცხვარს, რომელიც ჯერ კიდევ მშვიდობიანობის დროიდან შემოგვრჩა. ასე დავცალე ნელ-ნელა მთელი ტომარა. საჰაერო თავდასხმები მანჰაიმზე სულ უფრო ხშირდებოდა და ერთ მშვენიერ დღეს ჩვენს მეზობლად მდებარე სახლს ბომბი დაეცა. ასე დაიწყო ახალი ეტაპი ჩემს ადრეულ ცხოვრებაში.

ჰაიდელბერგის მახლობლად საზაფხულო სახლი გვედგა. აქ სიმშვიდე სუფევდა; გვქონდა ლამაზი ბაღი, ბოსტანი; ჩვენს მეზობლებს ძროხაც კი ჰყავდათ. აი, ამ სახლში დავსახლდით 1918 წლის ზაფხულში.

მალე ჯანმრთელობის მდგომარეობა გამომიკეთდა. ყოველდღე, დარში თუ ავდარში, 45 წუთიან გზას სკოლისკენ ფეხით გავდიოდი. 1919 წელს ნიჩბოსანთა გაერთიანებაში გავწევრიანდი და ორი წლის მანძილზე გუნდის კაპიტანიც ვიყავი. ნიჩბოსნობა ჩემი პირველი დიდი გატაცება იყო.

ჩვიდმეტი წლის ვიყავი, როდესაც ერთხელ სკოლისკენ მიმავალ გზაზე ჩემი მომავალი მეუღლე გავიცანი. ამ გარემოებამ დიდი ზეგავლენა მოახდინა ჩემს აკადემიურ მოსწრებაზე სკოლაში, რადგან ორივემ გადავწყვიტეთ, სწავლის დამთავრების შემდეგ დავქორწინებულიყავით. მათემატიკაში ისედაც ძლიერი ვიყავი, მაგრამ ჩემი ნიშნები დანარჩენ საგნებშიც გამოსწორდა და მალე კლასში საუკეთესო მოსწავლე გავხდი.

ჩვენი გერმანულის მასწავლებელი დემოკრატი იყო. ის ხშირად გვიკითხავდა სტატიებს ლიბერალური „ფრანკფურტერ ცაიტუნგი“-დან. ეს მასწავლებელი რომ არა, სკოლაში სრულიად აპოლიტიკურ გარემოში აღმოვჩნდებოდით. ჩვენ გვზრდიდნენ ბურჟუაზიულ-კონსერვატორული სულისკვეთებით; გვინერგავდნენ, რომ საზოგადოებაში ძალაუფლების განაწილება და არსებული ავტორიტეტები, რევოლუციის მიუხედავად, ღვთით ბოძებული წესრიგის გამოვლინება იყო. იმ დროს ჩვენ საკმაოდ შორს ვიდექით გერმანიაში არსებული პოლიტიკური მიმდინარეობებისგან.

პოლიტიკაზე სახლშიც არ ვსაუბრობდით. ეს მით უფრო გასაკვირი იყო, რომ მამაჩემი 1914 წლამდე მგზნებარე ლიბერალი იყო. ის ყოველ დილით მოუთმენლად ელოდებოდა „ფრანკფურტერ ცაიტუნგს“, ასევე ყოველკვირეული ჟურნალების - „სიმპლიცისიმუსისა“ და „იუგენდის“ გამოსვლას. მამაჩემი ფრიდრიხ ნოიმანის[4] მიმდევარი იყო, ნოიმანისა, რომელიც იღვწოდა სოციალური რეფორმებისათვის ძლიერი გერმანიის შესაქმნელად. 1923 წლიდან მამაჩემი კუდენჰოვე-კალერგის პანევროპეისტული იდეების მიმდევარი გახდა.

მე გავურბოდი ყველანაირ საუბარს პოლიტიკაზე. მერჩივნა, სკოლის გზას გავდგომოდი. ამ გზაზე ჰაიდელბერგის სასახლესთან უნდა ჩამევლო. აქ რამდენიმე წუთს შეფელის ტერასაზე ვჩერდებოდი ხოლმე და ოცნებებს ვეძლეოდი. ჩემ წინ კი ამ უძველესი ქალაქის ულამაზესი ხედი იყო გადაშლილი და სასახლის ნანგრევებიც კარგად ჩანდა. დანგრეული ციხე-კოშკების და მიხვეულ-მოხვეული ვიწრო ქუჩების თვალიერებისადმი რომანტიკულმა მიდრეკილებამ მოგვიანებით ჩემს პეიზაჟების კოლექციონერობაში იჩინა თავი. ხანდახან სასახლისაკენ მიმავალ გზაზე პოეტ შტეფან გეორგეს[5] ვხვდებოდი. ის ამაყად და მეტისმეტად მედიდურად

მოაბიჯებდა, რის გამოც ისეთი შთაბეჭდილება მექმნებოდა, თითქოს გეორგე რაღაც საკრალურს ასხივებდა.

ყველაზე მეტად მაინც მუსიკა მიზიდავდა. მანჰაიმში 1922 წლამდე ახალგაზრდა ფურტვენგლერს[6] ვუსმენდი, შემდეგ კი - ერიხ კლაიბერს[7]. იმხანად ვერდი[8] ვაგნერზე უფრო შთამბეჭდავი მეჩვენებოდა, ხოლო პუჩინი[9] „საშინელება“ მეგონა. მალერის[10] მეხუთე სიმფონია, მართალია, რთული მეჩვენა, მაგრამ მომეწონა. დრამატულ თეატრში სიარულის დროს აღმოვაჩინე, რომ გეორგ კაიზერი[11] ყველაზე მნიშვნელოვანი თანამედროვე დრამატურგი იყო, ხოლო იბსენის[12] „გარეული ბატი“ ჩემზე კომიკურ-გროტესკულ ეფექტს ახდენდა. რომენ როლანის „ჟან კრისტოფის“ წყალობით ერთი-ორად გაიზარდა ჩემი გატაცება ბეთჰოვენით.

ჩემდა გასაკვირად, გიმნაზიის გამოსაშვებ მთელ ნაკადში ჩემი თხზულება საუკეთესო აღმოჩნდა.

სკოლაში მათემატიკაში საუკეთესო მოსწავლე ვიყავი და უმაღლესშიც ამ დარგის დაუფლება მინდოდა, მაგრამ მამაჩემმა დამარწმუნა, რომ ეს პროფესია ცხოვრებაში არ გამომადგებოდა და ჩემმა ლოგიკამ მომიჯნავე პროფესიის არჩევისკენ მიბიძგა - გადავწყვიტე, მამაჩემის და ბაბუაჩემის მსგავსად, არქიტექტორი გავმხდარიყავი.

პირველ სემესტრში ფინანსური მოსაზრებით (ინფლაცია დღითი დღე იზრდებოდა) კარლსრუეს ტექნიკურ უნივერსიტეტში ვსწავლობდი.

1924 წლის გაზაფხულზე (ინფლაციის დასრულების შემდეგ) მიუნხენის ტექნიკურ უნივერსიტეტში გადავედი. მიუხედავად იმისა, რომ მიუნხენში 1925 წლის ზაფხულამდე ვსწავლობდი, ჰიტლერმა კი თავისი პატიმრობიდან გათავისუფლების შემდეგ, სწორედ 1925 წლის გაზაფხულზე მიიქცია ისევ ყურადღება, მე ამაზე წარმოდგენაც კი არ მქონდა. ჩემს წერილებში მხოლოდ ჩემს სამუშაოზე და ქორწინების პერსპექტივაზე ვწერდი.

1925 წლის შეოდგომაზე მიუნხენის არქიტექტორი სტუდენტების ერთ ჯგუფთან ერთად ბერლინის შარლოტენბურგის ტექნიკურ უნივერსიტეტში გადავედი. თავდაპირველად მასწავლებლად პროფესორი პელციგი ავირჩიე, მაგრამ აღმოჩნდა, რომ ჩემი ხატვისა და ხაზვის მონაცემები მას არ აკმაყოფილებდა და ჯგუფში არ მიმიღო.

მომდევნო სემესტრში ბერლინში სამუშაოდ მოიწვიეს პროფესორი ჰაინრიხ ტესენოვი[13]. ტესენოვი არქიტექტურაში აღმერთებდა ყველაფერს, რაც დაკავშირებული იყო პროვინციულ ქალაქებსა და ხელით ნაკეთობასთან. მისი არქიტექტურული ხედვა ყველაზე მეტად ეკონომიურ პრინციპს ემყარებოდა: „გადამწყვეტია მინიმალური ბრწყინვალება და დანახარჯები“. სახელმწიფო გამოცდის ჩაბარებიდან ნახევარი წლის შემდეგ მისი ასისტენტი გავხდი. ტესენოვი

იყო ჩემი პირველი კატალიზატორი, ვიდრე შვიდი წლის შემდეგ ის უფრო ძლიერმა კატალიზატორმა არ შეცვალა.

1927 წლის ზაფხულში, ცხრა სასწავლო სემესტრის დამთავრების შემდეგ, დიპლომი დავიცავი. 1928 წლის გაზაფხულზე კი, 23 წლის ასაკში, უნივერსიტეტის ყველაზე ახალგაზრდა ასისტენტ-პროფესორი გავხდი. ამ თანამდებობამ შესაძლებელი გახადა ჩემი ქორწინება. საქორწილო მოგზაურობაში მე და ჩემი მეუღლე იტალიაში კი არ გავემგზავრეთ, არამედ გასაბერი ნავით და კარვით ვიმოგზაურეთ მეკლენბურგის ტბებსა და ტყეებში. ჩვენი ნავები წყალში ჩავუშვით შპანდაუში - სულ რამდენიმე მეტრის დაშორებით იმ საპყრობილედან, რომელშიც მომავალში ჩემი ცხოვრების ოცი წელი უნდა გამეტარებინა.

პროფესია და მოწოდება

1928 წელს კინაღამ სამეფო კარის არქიტექტორი გავხდი. ავღანელების მეფემ - ამან ულა ხანმა[14] გადაწყვიტა, თავის ქვეყანაში რეფორმები განეხორციელებინა. ამისათვის კი ახალგაზრდა გერმანელი ტექნიკოსები დასჭირდა. ქალაქისა და გზების მშენებლობის პროფესორმა იოზეფ ბრიქსმა ϰგუფი შექმნა. მე წილად მერგო ქალაქის დამგეგმარებლისა და არქიტექტორის ფუნქცია, ამასთან ერთად არქიტექტურაც უნდა მესწავლებინა ტექნიკურ სასწავლებელში, რომელიც ქაბულში უნდა დაარსებულიყო. ჩემი ცოლი ჩემთან ერთად ეცნობოდა ყველა ჩვენთვის ხელმისაწვდომ წიგნს ამ ყველასგან მივიწყებული ქვეყნის შესახებ. ჩვენს შორის დაიდო ხელშეკრულება, რომლის პირობები ჩემთვის ძალზე ხელსაყრელი აღმოჩნდა.

ის-ის იყო ჰინდენბურგმა ავღანელთა მეფე დიდი პატივით მიიღო, რომ ავღანელებმა სახელმწიფო გადატრიალება მოახდინეს და მეფის ხელისუფლება დაამხეს.

ჩემი მორალური კომპენსაცია ის იყო, რომ ისევ ტესენოვთან გავაგრძელე მუშაობა. კვირაში მხოლოდ სამი დღე მქონდა სემინარები, შვებულება კი ხუთ თვეს გრძელდებოდა. მიუხედავად ამისა, ჩემი ხელფასი 300 რაიხსმარკას შეადგენდა. ტესენოვი ლექციებს არ კითხულობდა, ის დიდ სასემინარო დარბაზში ასწორებდა თავისი 50 სტუდენტის ნაშრომებს. ტესენოვი კვირაში მხოლოდ ოთხი ან ექვსი საათით მოდიოდა უნივერსიტეტში, დანარჩენ დროს სტუდენტები მთლიანად ჩემს მითითებებსა და კორექტივებზე იყვნენ მონდობილები.

განსაკუთრებით დაძაბული აღმოჩნდა პირველი თვეები, რადგან სტუდენტები ჩემ მიმართ საკმაოდ კრიტიკულად იყვნენ განწყობილი. ისინი ცდილობდნენ, შეცდომაში

ან საკითხის არცოდნაში გამოვეჭირე. მხოლოდ თანდათან შევძელი ამ უნდობლობისა და დაძაბულობის დაძლევა და გადალახვა.

პირველი შეკვეთებიც მაშინ მივიღე: ერთ-ერთი იყო ჩემი სიმამრისა და სიდედრის სახლის პროექტი ჰაიდელბერგში. ამას მოჰყვა გარაჟები ვანზეეს ორი ვილისათვის და „გერმანიის აკადემიური გაცვლის სამსახურის“ (DAAD) ბერლინის სათავო ოფისის შენობის პროექტი.

1930 წელს მე და ჩემი მეუღლე ორი ნავით დავუყევით დუნაის დონაუეშინგენიდან ვენამდე. როდესაც 14 სექტემბერს ბერლინში დავბრუნდით, რაიხსტაგის არჩევნები უკვე შემდგარი იყო. ეს ფაქტიც მხოლოდ იმიტომ დამამახსოვრდა, რომ ამ არჩევნების შედეგებმა მამაჩემი ძლიერ ააღელვა. NSDAP-მა რაიხსტაგში 107 მანდატი მოიპოვა და პოლიტიკური დისკუსიების ცენტრში მოექცა. არჩევნების მოულოდნელმა შედეგმა მამაჩემი ძალიან შეაშინა. ეს შიში NSDAP-ის სოციალისტური ტენდენციებით იყო გამოწვეული.

ჩვენი უნივერსიტეტი ნაციონალ-სოციალისტური იდეების ცენტრად გადაიქცა. კომუნისტურად განწყობილ არქიტექტორ სტუდენტთა ერთი პატარა ჯგუფი პროფესორ პელციგის ირგვლივ გაერთიანდა, ნაციონალ-სოციალისტურად განწყობილი სტუდენტები კი - პროფესორ ტესენოვის გარშემო, მიუხედავად იმისა, რომ ეს უკანასკნელი ჰიტლერის მოძრაობის დაუძინებელი მტერი იყო და ასეთად დარჩა ბოლომდე. თუმცა, ისიც უნდა ითქვას, რომ ტესენოვის და ჰიტლერის მოძღვრებებს შორის სპონტანური პარალელები ნამდვილად შეიმჩნეოდა. ტესენოვი უდავოდ აღშფოთდებოდა იმით, რომ სცოდნოდა, როგორი მსგავსება იყო ჰიტლერისა და მის შეხედულებებს შორის.

მაგალითად, ტესენოვი ამბობდა: „სტილი ხალხური ძირიდან მოდის. თავისთავად ცხადია, რომ შენი სამშობლო გიყვარს. არ არსებობს ჭეშმარიტად ინტერნაციონალური კულტურა. ჭეშმარიტი კულტურა მხოლოდ მშობლიური ხალხის წიაღშია აღმოცენებული“. ჰიტლერიც ილაშქრებდა ხელოვნების ინტერნაციონალიზაციის წინააღმდეგ. მისი თანამოაზრეები მშობლიურ წიაღში ხედავდნენ განახლების ფესვებს. ტესენოვი აკრიტიკებდა დიდ ქალაქებს და მათ გლეხურ წარმოდგენებს უპირისპირებდა: „დიდი ქალაქი საშინელი რამაა. დიდ ქალაქში ძველი და ახალი ერთმანეთშია აღრეული. დიდი ქალაქი ნიშნავს ბრძოლას, სასტიკ ბრძოლას. დიდ ქალაქებში ვერ ნახავთ სიმყუდროვეს. სადაც ქალაქური და გლეხური ერთმანეთს ერწყმის, იქ იღუპება გლეხურობა. სამწუხაროა, რომ დღეს გლეხურად არავინ აზროვნებს“. ჰიტლერიც ამავე აზრისა იყო დიდ ქალაქებში ადათ-წესების და ჩვეულებების მოშლასთან დაკავშირებით. ჰიტლერი გვაფრთხილებდა იმ ზიანზე, რომელიც ცივილიზაციას მოაქვს, რადგან, მისი აზრით, ის ხალხის ბიოლოგიურ სუბსტანციას ემუქრება. ამავე დროს, ჰიტლერი ხაზს უსვამდა

ჯანმრთელი გლეხობის მნიშვნელობას, რადგან მასში ხედავდა სამყაროს გადარჩენის მარცვალს.

სტუდენტური ახალგაზრდობა იმხანად თავის იდეალებს უპირატესად ექსტრემისტებში ეძებდა. ჰიტლერის პარტიამაც სწორედ ახალგაზრდა თაობის ამ იდეალისტურ მისწრაფებებზე ითამაშა. განა ტესენოვიც არ აქეზებდა ახალგაზრდების ამგვარ შემართებას?! 1931 წელს ტესენოვმა თქვა: „ალბათ, ისეთი ვინმე უნდა მოვიდეს, ვინც მარტივად იაზროვნებს. დღეს აზროვნება ძალიან გართულდა. გაუნათლებელი ადამიანი, ვთქვათ, თუნდაც გლეხი, ყველაფერს გაცილებით უფრო ადვილად გადაჭრიდა, რადგან ის ჯერ კიდევ შეურყვნელია. მას თავისი მარტივი ფიქრების განხორციელების ძალაც ექნებოდა.“

ჰიტლერი ბერლინის „ჰაზენჰაიდეში“ ბერლინის უნივერსიტეტისა და ტექნიკური უმაღლესი სასწავლებლის სტუდენტების წინაშე უნდა გამოსულიყო. ჩემმა სტუდენტებმა გადამაწყვეტინეს, ამ შეხვედრას დავსწრებოდი. ჭუჭყიანი კედლები, ვიწრო დერეფნები და მოჟამული ინტერიერი უბადრუკ შთაბეჭდილებას ტოვებდა. ჩვეულებრივ, მუშები აქ ლუდის დღესასწაულებს აღნიშნავდნენ ხოლმე. დარბაზი ისეთი გადაჭედილი იყო, გეგონებოდა, ბერლინის მთელ სტუდენტობას ამ კაცის მოსმენა და ნახვა სწყურიაო, კაცისა, რომელსაც მისი თანამოაზრეები ხოტბას ასხამდნენ, ხოლო მოწინააღმდეგეები კრიტიკის ქარცეცხლში ატარებდნენ. სადა პროსცენიუმის ცენტრში პრივილეგირებულ ადგილებზე მრავალრიცხოვანი პროფესურა იჯდა და ამ ღონისძიებას მეტ მნიშვნელობას სძენდა. ჩვენს ჯგუფსაც კარგი ადგილები ეჭირა ტრიბუნაზე, ორატორის კათედრასთან ახლოს.

გამოჩნდა ჰიტლერი, რომელსაც მქუხარე ტაშით მიესალმა მისი მომხრე სტუდენტობა. ამ აღტყინებამ ჩემზე უდიდესი შთაბეჭდილება მოახდინა. თუმცა არანაკლები ეფექტი ჰქონდა თვითონ ჰიტლერის გამოსვლასაც. პლაკატებიდან და კარიკატურებიდან ჰიტლერს ვიცნობდი, როგორც ადამიანს ღვედებიან უნიფორმაში, მკლავზე სვასტიკიანი სამკლაურითა და შუბლზე ჩამოყრილი თმით. ამჯერად კი ტრიბუნაზე იდგა ლურჯ კოსტიუმში გამოწყობილი კაცი (სხვათა შორის, ეს კოსტიუმი მას კოხტად ჰქონდა მორგებული), რომელიც ხაზგასმით ცდილობდა, ბიურგერული კორექტულობის დემონსტრირებას. ყველაფერი იმაზე მეტყველებდა, რომ ჩვენ წინაშე იყო ჭკვიანი, თავდაჭერილი და მორიდებული ადამიანი. მოგვიანებით მივხვდი, რომ ჰიტლერს, გაცნობიერებულად თუ ინტუიციურად, შესანიშნავად შეეძლო ამა თუ იმ სიტუაციისადმი მორგება.

ჰიტლერი ჟესტებით ცდილობდა, შეეწყვიტა ხანგრძლივი ოვაცია. შემდეგ კი ჩუმი ხმით, ყოყმანით და აუჩქარებლად დაიწყო თავისი გამოსვლა, რომელიც ორატორის სიტყვას კი არა, უფრო ლექციას ჰგავდა ისტორიაში. ამით მან ჩემი გული მოიგო. მით უფრო, რომ ყოველივე ეს ეწინააღმდეგებოდა ანტიჰიტლერული პროპაგანდის მიერ გავრცელებულ ინფორმაციას, რომლის თანახმადაც ჰიტლერი იყო უნიფორმაში

გამოწყობილი ისტერიული დემაგოგი, მყვირალა და ჟესტებით მოლაპარაკე ფანატიკოსი.

რამდენიმე დღის შემდეგ NSDAP-ში განცხადება შევიტანე და 1931 წლის იანვარში გავხდი პარტიის წევრი № 474 481.

მე NSDAP კი არ ავირჩიე. მე ჰიტლერს მივემხრე.

გეზის შეცვლა

როგორც მანქანის მფლობელი, მე პარტიის ახლად დაარსებული ავტომანქანების მძღოლების გაერთიანების (NSKK) წევრი და ამავე გაერთიანების ვანზეეს სექციის უფროსი გავხდი.

ამ პარტიული თანამდებობის გამო ზოგჯერ გამგზავრება მიწევდა დასავლეთის ოლქის ხელმძღვანელობასთან, რომელსაც სათავეში ედგა მეწისქვილის შეგირდი კარლ ჰანკე[15] - უბრალო, მაგრამ ინტელიგენტი და უაღრესად ენერგიული ახალგაზრდა. ჰანკემ საოლქო ორგანიზაციის ბიუროსთვის გრუნევალდის პრივილეგირებულ უბანში იქირავა ვილა. 1930 წლის 14 სექტემბრის არჩევნებში წარმატების შედეგად მოძლიერებული პარტია სალონების შექმნას ცდილობდა. ამიტომ ჰანკემ შემომთავაზა (რა თქმა უნდა, ჰონორარის გარეშე), ეს ვილა მომეწყო, რაც მე შევასრულე კიდეც.

1932 წელს ასისტენტ-პროფესორების ხელფასები შემცირდა; დიდი მშენებლობები გათვალისწინებული არ იყო, ეკონომიკური მდგომარეობა უნუგეშო იყო. ამიტომ მე და ჩემმა ცოლმა გადავწყვიტეთ, უარი მეთქვა ტესენოვის ასისტენტობაზე და საცხოვრებლად მანჰაიმში გადავსულიყავით. იქ ვაპირებდი ჩემი არქიტექტურული საქმიანობის დაწყებას.

როდესაც 1932 წლის 31 ივლისის არჩევნებისთვის მზადება დაიწყო, მე და ჩემი ცოლი ისევ ბერლინში გავემგზავრეთ. პროფესიულმა უმოქმედობამ მხოლოდ გააღვივა პოლიტიკისადმი ჩემი ინტერესი და გადავწყვიტე, მეც შემეტანა წვლილი არჩევნებში იმისთვის, რომ ჰიტლერს გაემარჯვა.

ჩემი მანქანიანად NSKK-ს ბერლინის ბიუროს დასავლეთის ოლქის განყოფილების ხელმძღვანელთან - ვილ ნაგელთან გამოვცხადდი. მან მძღოლად ამიყვანა, რადგან პარტიის სხვადასხვა ოლქში უწევდა მგზავრობა.

1932 წლის 27 ივლისს ჰიტლერი უნდა ჩამოსულიყო ბერლინის შტააკენის აეროპორტში ებერსვალდეს დილის მიტინგში მონაწილეობის მისაღებად. მე დამავალეს კურიერის წაყვანა შტააკენიდან ბრანდენბურგის სტადიონზე, სადაც მომდევნო მიტინგი უნდა გამართულიყო. სამძრავიანი თვითმფრინავიდან გადმოვიდა ჰიტლერი რამდენიმე თანაშემწისა და ადიუტანტის თანხლებით. აეროდრომზე ჩვენს გარდა არავინ იყო. მართალია, მე მოშორებით ვიდექი და მორიდებულად ვიცავდი დისტანციას, მაგრამ მაინც შევამჩნიე, რომ ჰიტლერი ნერვიულობდა და თავის თანაშემწეს კიცხავდა იმის გამო, რომ მას აეროდრომზე მანქანები არ დახვდა. განრისხებული ჰიტლერი ბოლთას სცემდა, ჩექმებზე მათრახს ირტყამდა და იმ მოუთოკავი, ჭირვეული ადამიანის შთაბეჭდილებას ტოვებდა, რომელიც თავის ხელქვეითებს არაფრად აგდებს.

ეს ჰიტლერი სრულიად განსხვავდებოდა იმ მშვიდი და ცივილიზებული ჰიტლერისგან, რომელიც სტუდენტებთან შეხვედრაზე ვიხილე. პირველად სწორედ აქ შევნიშნე ჰიტლერის უცნაური მრავალსახოვანება.

ბოლოს და ბოლოს, მანქანების კოლონა ბრანდენბურგის სტადიონისკენ დაიძრა. გზადაგზა აუარება ხალხი გვხვდებოდა. ხალხი აღფრთოვანებისაგან ყვიროდა და უაღრესად აღგზნებული იყო. მანქანები ნელი სვლით იკვლევდნენ გზას ხალხის მასაში. ჰიტლერი მძღოლის გვერდით იდგა მანქანაში და მშვიდად ესალმებოდა ხალხს. მე გამაოგნა მისმა გაბედულებამ. ამის გამო ვცემდი მას პატივს მაშინაც და ახლაც. ამ სურათმა წაშალა ის უარყოფითი შთაბეჭდილება, რომელიც აეროპორტში შემექმნა.

მომდევნო დღემ კი ჩემი შემდგომი ცხოვრება განსაზღვრა. მე და ჩემი ცოლი აღმოსავლეთ პრუსიაში ვაპირებდით სამოგზაუროდ წასვლას. ჩვენი დასაკეცი ნავები და კარვები უკვე სადგურში იყო, ბილეთებიც შეძენილი გვქონდა და საღამოს მატარებლით უნდა გავმგზავრებულიყავით. მაგრამ შუადღისას NSKK-ს უფროსმა ნაგელმა დამირეკა და შემატყობინა, რომ ჰანკეს ჩემი ნახვა სურდა. ამასობაში ჰანკე ბერლინის gau[16]-ს საორგანიზაციო ბიუროს უფროსი გახდა. ჰანკემ თბილად მიმიღო და შევედი თუ არა, მაშინვე მომმართა: „ყველგან გეძებდით. არ გინდათ, რომ ჩვენი gau-ს შენობა გადააკეთოთ? დღესვე შევთავაზებ ამას ბატონ დოქტორს (გოებელსს). ძალიან საჩქაროა!“ ჰანკეს რომ რამდენიმე საათით დაეგვიანა, ჩვენ უკვე მატარებელში ვისხდებოდით და რამდენიმე კვირის მანძილზე ვერც ვერავინ გვიპოვიდა აღმოსავლეთ პრუსიის ტბებზე. gau-ს შენობას კი სხვა არქიტექტორი გადააკეთებდა. ესეც შენი გეზის შეცვლა. ოცი წლის შემდეგ, შპანდაუში ყოფნისას, ჯეიმზ ჯინზის წიგნში შემდეგი სტრიქონები წავიკითხე: „მატარებლის სვლის მიმართულებას გზის უდიდეს მონაკვეთზე ლიანდაგი განსაზღვრავს. მაგრამ აქა-იქ ჩნდება საკვანძო პუნქტები, საიდანაც მგზავრობა შესაძლოა, სხვადასხვა მიმართულებით გაგრძელდეს. მატარებლის გეზის შეცვლა უმნიშვნელო ენერგიის ხარჯზეა შესაძლებელი.

gau-ს ახალი შენობა ფეშენებელურ ფოსის ქუჩაზე მდებარეობდა. აქვე იყო განლაგებული გერმანიის მიწების წარმომადგენლობები. შენობის შიდა ფანჯრებიდან, რომლებიც ეზოს მხარეს გადიოდა, პარკში მოსეირნე ოთხმოცი წლის პრეზიდენტის დანახვაც კი შეიძლებოდა. პრეზიდენტი ხან მარტო სეირნობდა, ხანაც პოლიტიკოსების და სამხედროების ამალის თანხლებით. როგორც ჰანკემ მითხრა, პარტიას სურდა, პოლიტიკური ძალების შუაგულში მოხვედრილიყო, ყველგან გამოჩენილიყო და ამ გზით განეცხადებინა თავისი პოლიტიკური ძალის შესახებ. მე დღედაღამ ვმუშაობდი, რადგან gau-ს ორგანიზაციას შეკვეთის დასრულება ეჩქარებოდა. გოებელსი იშვიათად მოდიოდა სამუშაოების დასათვალიერებლად. 1932 წლის 6 ნოემბრის არჩევნები მთელ მის ძალისხმევას მოითხოვდა. მან რამდენჯერმე, ხმაწართმეულმა და სრულიად დაღლილ-დაქანცულმა, ყოველგვარი ინტერესის გარეშე დაათვალიერა ოთახები.

სარემონტო სამუშაოები დასრულდა. დანახარჯებმა ხარჯთაღრიცხვას გადააჭარბა. NSDAP-მა არჩევნები წააგო.

შენობის საზეიმო გახსნიდან რამდენიმე დღის შემდეგ გაუჰაუსი ჰიტლერმაც მოინახულა. მან მოიწონა არქიტექტორის ნამუშევარი, რამაც დიდი სიამაყით ამავსო. მალე ისევ ჩემს მანჰაიმის არქიტექტურულ ბიუროში დავბრუნდი. ყველაფერი ძველებურად იყო: ეკონომიკური მდგომარეობა კიდევ უფრო გაუარესდა და სამშენებლო დაკვეთების პერსპექტივა არ ჩანდა, პოლიტიკური ვითარებაც სულ უფრო და უფრო იძაბებოდა. კრიზისს კრიზისი მოსდევდა, თანაც ისეთი სისწრაფით, რომ ამის გაცნობიერებას ვერც კი ვასწრებდით. 1933 წლის 30 იანვარს გაზეთებიდან შევიტყვე ჰიტლერის რაიხსკანცლერად დანიშვნის შესახებ.

ამას 1933 წლის 5 მარტის არჩევნები მოჰყვა. ერთი კვირის შემდეგ ბერლინიდან დამიკავშირდნენ ტელეფონით. ყურმილთან ჰანკე იყო: „ბერლინში ხომ არ ჩამოხვალთ? აქ თქვენთვის ბევრი სამუშაოა. როდის შეძლებთ ჩამოსვლას?“ მე და ჩემმა ცოლმა ჩვენი პატარა სპორტული BMW დავზეთეთ, მომცრო ჩემოდანი ჩავალაგეთ და მთელი ღამის მგზავრობის შემდეგ ბერლინში ჩავედით. დილით გამოუძინებელი წარვდექი ჰანკეს წინაშე gau-ს შენობაში: „ახლავე უნდა გაემგზავროთ გოებელსთან ერთად. მას ახალი სამინისტროს დათვალიერება უნდა.“

ასე აღმოვჩნდი გოებელსთან ერთად ვილჰელმსპლაცზე შინკელის მიერ აგებულ მშვენიერ შენობაში. შენობის დათვალიერების შემდეგ გოებელსმა შენობის გადაკეთება და რამდენიმე მნიშვნელოვანი ოთახის, მათ შორის მისი სამუშაო კაბინეტისა და სხდომათა დარბაზების, მოწყობა დამავალა. სამუშაოები დაუყოვნებლივ უნდა დამეწყო. მეც ენერგიულად შევუდექი ახლად დაარსებული პროპაგანდის სამინისტროს შენობის გადაკეთება-გაფორმებას. ამ სამუშაოების პარალელურად მოვამზადე ტრიბუნის პროექტი ჰიტლერის საზეიმო საპირველმაისო მანიფესტაციისათვის; შემდეგ გოებელსის კერძო ბინის დაპროექტება და გაფორმება

დამევალა. 1933 წლის ივლისში გოებელსის შეკვეთა დავასრულე თუ არა, ნიურნბერგიდან დამირეკეს. იქ მმართველი პარტიის - NSDAP-ის ყრილობის ჩასატარებლად ემზადებოდნენ. გამარჯვებული პარტიის ძლევამოსილება ტრიბუნის კულისებიდანვე უნდა გამოჩენილიყო, ადგილობრივი არქიტექტორი კი ამ ამოცანას თავს ვერ ართმევდა. მე თვითმფრინავით ნიურნბერგში ჩამიყვანეს, სადაც სასწრაფოდ შევქმენი ესკიზები. ტრიბუნის მთავარი სამკაული იყო უზარმაზარი 30 მეტრიანი არწივი, რომელიც ტრიბუნის უკანა კედლის ხარაჩოებზე უნდა ყოფილიყო დამაგრებული. ნიურნბერგის საორგანიზაციო ბიუროს ხელმძღვანელმა ვერ გაბედა გადაწყვეტილების მიღება, ამიტომ მიუნხენის ცენტრალურ ბიუროში გამგზავნეს, თან სარეკომენდაციო წერილიც გამატანეს, რადგან ბერლინის ფარგლებს გარეთ არ მიცნობდნენ. „ყავისფერ სახლში“ არქიტექტურას უფრო სერიოზულად უდგებოდნენ და ჩემი საზეიმო დეკორაცია მნიშვნელოვნად მიიჩნიეს. იქ მისვლიდან რამდენიმე წუთში იღლიაში ამოდებული ჩემი ესკიზების საქაღალდით უკვე ჰესის[17] წინაშე ვიდექი. ჰესმა ხმაც კი არ ამომაღებინა. „ასეთი რამის გადაწყვეტა მხოლოდ ფიურერს შეუძლია,“ - თქვა მან და მაშინვე დაურეკა ჰიტლერს. შემდეგ მე მომიბრუნდა: „ფიურერი თავის ბინაშია. თქვენ იქ მანქანით მიგიყვანენ.“ პირველად მაშინ მივხვდი, თუ ჰიტლერის მმართველობის პერიოდში რა ჯადოსნური ძალა ჰქონდა სიტყვას „არქიტექტურა“.

ჩვენი მანქანა პრინც-რეგენტენ-თეატერის მახლობლად მდებარე მრავალსართულიან სახლთან გაჩერდა. ჰიტლერის ბინა მეორე სართულზე მდებარეობდა. მე მოსაცდელ ოთახში შემიყვანეს, რომელიც გავსებული იყო იაფფასიანი სამახსოვრო საჩუქრებით. ავეჯიც ცუდ გემოვნებაზე მეტყველებდა. შემოვიდა ადიუტანტი, კარი გააღო, მშრალად წარმოთქვა: „გთხოვთ!“ და მეც ძლევამოსილი რაიხსკანცლერის - ჰიტლერის წინაშე აღმოვჩნდი. მის წინ მაგიდაზე დაშლილი რევოლვერი იდო, როგორც ჩანს, მისი წმენდით იყო დაკავებული. „ნახაზები აქ დადეთ!“ - მოკლედ მომიჭრა მან, რევოლვერის ნაწილები განზე გასწია და ინტერესით დააკვირდა ჩემს ესკიზს. ჩემთვის ერთხელაც არ შემოუხედავს. „თანახმა ვარ!“ - ამის მეტი არაფერი უთქვამს და, რადგან მან ისევ თავისი რევოლვერის აწყობას მიჰყო ხელი, ოთახიდან გამოვედი.

1933 წლის შემოდგომაზე ჰიტლერმა თავის მიუნხენელ არქიტექტორს - პაულ ლუდვიგ ტროოსტს[18] დაავალა რაიხსკანცლერის ბერლინის ბინის გადაკეთება და მისი ავეჯით გაწყობა. ტროოსტის საქმეთა მწარმოებელი მიუნხენელი იყო და ბერლინის სამშენებლო ფირმებსა და თავისებურებებს არ იცნობდა. აქ ჰიტლერს გაახსენდა ახალგაზრდა არქიტექტორი, რომელმაც გოებელსის ბინა წარმოუდგენლად მოკლე ვადაში მოაწყო, ამიტომ გადაწყვიტა, რომ მიუნხენელ ხუროთმოძღვარს თანაშემწედ მე დავდგომოდი.

სამშენებლო სამუშაოები დაიწყო. ჰიტლერი თითქმის ყოველდღე მოდიოდა მშენებლობაზე თავისი ადიუტანტის თანხლებით. გახარებული მშენებლები და

მუშები მას გულითადად ეგებებოდნენ. ეს შეხვედრები იდილიას წააგავდა, მიუხედავად იმისა, რომ ამ ვიზიტებს მუდამ ესწრებოდა სამოქალაქო ტანსაცმელში გადაცმული SS[19]-ის ორი თანამშრომელი. ჰიტლერი მშენებლობაზე ისე გრძნობდა თავს, როგორც „საკუთარ სახლში“.

ალბათ 20-ჯერ ან 30-ჯერ მაინც ვახლდი ჰიტლერს ამგვარი შემოვლის დროს. ერთ მშვენიერ დღეს მან თავისთან დამპატიჟა: „დღეს სადილად ხომ მეწვევით?“ რა თქმა უნდა, თავი ბედნიერად ვიგრძენი, რადგან მისგან ამგვარ შემოთავაზებას არ ველოდი.

სწორედ ამ დღეს ხარაჩოდან ბათქაში ჩამოვარდა და კოსტიუმი დამისვარა. როგორც ჩანს, ერთობ უბედური გამომეტყველება მქონდა, რადგან ჰიტლერმა ღიმილით მითხრა: „არა უშავს! წამობრძანდით. ამას ჩემთან მოვიყვანთ წესრიგში!“

ბინაში სტუმრები ელოდებოდნენ. მათ შორის იყო გოებელსიც, რომელსაც ჩემი იქ დანახვა ძალზე გაუკვირდა. ჰიტლერმა თავის ოთახში შემიყვანა, მისმა მსახურმა ჰიტლერის მუქი ლურჯი პერანგი მომიტანა. „აი, გამომართვით! დროებით ეს ჩაიცვით!“ სასადილო ოთახში ჰიტლერს ფეხდაფეხ შევყევი, სუფრასთანაც მის გვერდით მერგო ადგილი. როგორც ჩანს, მოვეწონე. გოებელსმა შენიშნა ის, რაც მე სრულიად გამომრჩა მხედველობიდან: „თქვენ ფიურერის სამკერდე ნიშანი გიკეთიათ! ეს თქვენი პერანგია?“ ჰიტლერმა ჩემ მაგივრად გასცა პასუხი: „ეს ჩემი პერანგია!“

სადილის დროს ჰიტლერი დაინტერესდა ჩემი პირადი ცხოვრებით. ის მხოლოდ ახლა მიხვდა, რომ საპირველმაისო დემონსტრაციის დეკორაციის ესკიზი ჩემი გაკეთებული იყო. „ნიურნბერგის ესკიზიც თქვენია? მაშინ ჩემთან ერთი არქიტექტორი იყო ნახაზებით მოსული! მართალია! ეს თქვენ იყავით!.. გოებელსის სახლს ასე სწრაფად თუ დაასრულებდით, არ მეგონა!“ ჰიტლერს არაფერი უკითხავს ჩემი პარტიულობის შესახებ. მისი აზრით ხელოვანის შემთხვევაში ეს უმნიშვნელო რამ იყო; სამაგიეროდ, ის დეტალურად დაინტერესდა ჩემი წარმომავლობით, არქიტექტურული კარიერით, ასევე მამაჩემისა და ბაბუაჩემის მიერ აშენებული შენობებით.

რამდენიმე წლის შემდეგ ჰიტლერმა გაიხსენა მასთან ჩემი პირველი სტუმრობის ეპიზოდი: „მშენებლობაზე მოგაქციეთ ყურადღება. მე ისეთ არქიტექტორს ვეძებდი, რომლისთვისაც მოგვიანებით ჩემი სამშენებლო გეგმების განდობას შევძლებდი. ის ახალგაზრდა უნდა ყოფილიყო, რადგან, როგორც იცით, ეს გეგმები შორეულ მომავალზეა გათვლილი. მე ისეთი არქიტექტორი მჭირდება, რომელიც ჩემი სიკვდილის შემდეგაც გააგრძელებს მოღვაწეობას ჩემი სახელის უკვდავსაყოფად. სწორედ ეს არქიტექტორი დავინახე თქვენში!“

28 წლის ვიყავი, თანაც უკვე რამდენიმე წელი იყო, რაც ამაოდ ველოდებოდი გასაქანს ჩემი დიდი გეგმებისათვის. დიდი შეკვეთისთვის ფაუსტის მსგავსად სულსაც კი

მივყიდდი. და აი ახლა ჩემი მეფისტოფელი ვიპოვნე, რომელიც არცთუ დიდად განსხვავდებოდა გოეთეს მეფისტოსაგან.

ჩემი კატალიზატორი

ბუნებით მუდამ ბეჯითი ვიყავი, მაგრამ ყოველთვის მჭირდებოდა განსაკუთრებული ბიძგი იმისათვის, რომ ჩემში რაიმე ახალი უნარი აღმომეჩინა და ახალი ენერგიით შევდგომოდი საქმეს. როგორც იქნა, კატალიზატორი გამომიჩნდა - მასზე უფრო ძლევამოსილსა და ძლიერად მოქმედს სხვას ვის ვნახავდი?! ეს კატალიზატორი ჩემგან მთელი ძალის დაუზოგავად დახარჯვას მოითხოვდა და, რაც მთავარია, დროთა განმავლობაში ტემპიც და საქმეც სულ უფრო და უფრო მატულობდა.

ჰიტლერის მიერ წაქეზებულმა, ჩემი ცხოვრების უმთავრეს მონაკვეთამდე მივაღწიე და უარი ვთქვი ჩემი ოჯახის პრინციპებზე. ამიერიდან მე ვარსებობდი სამსახურისთვის და არა პირიქით, სამსახური - ჩემთვის. ჰიტლერს ეხერხებოდა თავისი თანამშრომლების იმგვარად დამუხტვა, რომ ისინი თავიანთ შრომისუნარიანობას ერთი-ორად ზრდიდნენ. „ადამიანი თავის მიზნებთან ერთად იზრდება“, - ამბობდა ხოლმე იგი.

იმ ოცი წლის განმავლობაში, რომლებიც შპანდაუს ციხეში გავატარე, ხშირად მიკითხავს საკუთარი თავისთვის, როგორ მოვიქცეოდი, ჰიტლერის ნამდვილი სახე და მის მიერ შექმნილი იმპერიის ჭეშმარიტი ბუნება დროულად რომ ამომეცნო- მეთქი. პასუხი ამ კითხვაზე ერთსა და იმავე დროს ბანალურიც იყო და დამთრგუნველიც: ჩემი სტატუსი, როგორც ჰიტლერის არქიტექტორისა, ძალიან მალე გახდა ჩემი განუყოფელი ნაწილი. ჯერ 30 წლისაც არ ვიყავი და ჩემ წინ უკვე ყველა არქიტექტორისათვის საოცნებო და ამაღელვებელი პერსპექტივები იყო გადაშლილი.

გარდა ამისა, მუშაობის ჟინით შეპყრობილი, ვივიწყებდი იმ პრობლემებს, რომლებიც მომავალში უსათუოდ შემექმნებოდა. ყოველდღიურ ჯაფაში გართულს, გადაწყვეტილების მიღებაც კი მავიწყდებოდა. ამ მოგონებების წერის დროს დიდად გამაკვირვა და თავზარიც კი დამცა იმ გარემოებამ, რომ 1944 წლამდე მე თითქმის არასოდეს მქონია დრო, დავფიქრებულიყავი საკუთარ თავზე, ჩემს საქმიანობაზე, ანუ იმაზე, თუ რისთვის ვარსებობდი. დღეს იმ დროს რომ ვიხსენებ, ისეთი გრძნობა მეუფლება, თითქოს ჰაერში ვყავდი აწეული რაღაცას, რამაც ფესვებს მომწყვიტა და მაიძულა, უცხო ძალებს დავმორჩილებოდი.

ჰიტლერი დიდ შეკვეთებს ჯერ არ მაძლევდა. უფრო ხშირად პატარ-პატარა სამუშაოები მქონდა შესასრულებელი, ისიც - უმოკლეს ვადებში. როგორც ჩანს,

ჰიტლერს ჩემს გამორჩეულ ღირსებად დავალების სწრაფად შესრულება მიაჩნდა. ჰიტლერის წინამორბედ რაიხსკანცლერს სამუშაო კაბინეტი პირველ სართულზე ჰქონდა. კაბინეტის ფანჯრები ვილჰელმსპლაცზე გადიოდა. 1933 წლის დამდეგისთვის სულ უფრო მატულობდა აღგზნებული მყვირალა ხალხის რაოდენობა. ხალხი თავისი ფიურერის ნახვას ითხოვდა. ამის გამო ამ ოთახში მუშაობა შეუძლებელი ხდებოდა. ეგეც რომ არ ყოფილიყო, ჰიტლერს ეს ოთახი ისედაც არ მოსწონდა: „ძალიან პატარაა! 60 კვადრატული მეტრი ჩემს ერთ თანამშრომელს თუ ეყოფა. სად უნდა მივიღო ოფიციალური სტუმარი? ამ კუთხეში დავსვა?! ამ საწერი მაგიდის ზომაც ჩემი ბიუროს დირექტორს უფრო შეეფერება!“

ჰიტლერმა დამავალა, მისი ახალი კაბინეტი იმ დიდ დარბაზში მომეწყო, რომელიც ბაღის მხარეს გადიოდა. ამ სამუშაო ოთახში მან 5 წელი გაატარა, თუმცა თავიდან ამ ოთახსაც დროებით კაბინეტად მიიჩნევდა. ჰიტლერს უკვე არც რაიხის კანცელარიის ახალ შენობაში აკმაყოფილებდა თავისი სამუშაო ოთახი. მის მიერ მოცემული მონაცემებისა და ჩემი პროექტის მიხედვით რაიხის კანცელარიის შენობა 1950 წელს უნდა დასრულებულიყო: ამ შენობაში ჰიტლერისთვის, და შემდგომში ახალი კანცლერებისთვისაც, გათვალისწინებული გვქონდა 960 კვადრატული მეტრის ფართობის სამუშაო ოთახი, რომელიც ყველა მისი წინამორბედის კაბინეტებზე 16-ჯერ უფრო დიდი იქნებოდა.

ძველი სამუშაო ოთახი მომავალში აღარ უნდა გამოეყენებინათ, რადგან ეს იყო ოთახი, რომლიდანაც ჰიტლერი „ისტორიულ აივანზე“ გადიოდა. ეს აივანი ოთახს სასწრაფოდ მივაშენე იმ მიზნით, რომ ხალხს თავისი ფიურერი ყველა მხრიდან დაენახა. აივანი ჰიტლერს ძალიან მოსწონდა და ერთხელ მითხრა კიდეც: „ფანჯრიდან გადახედვა ჩემთვის მოუხერხებელი იყო, რადგან ხალხი ვერ მხედავდა და ხომ ვერ გადავეყუდებოდი?!“ რაიხის კანცელარიის პირველი შენობის არქიტექტორი, ბერლინის ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესორი ედუარდ იობსტ ზიდლერი[20] ამ აივნის მიშენების წინააღმდეგი იყო, რადგან, მისი თქმით, ჩვენი წამოწყება მისი საავტორო უფლებების შელახვა იყო. ამას ჰიტლერის მხრიდან ცინიკური პასუხი მოჰყვა: „ზიდლერმა მთელი ვილჰელმსპლაცი დაამახინჯა. რაიხის კანცელარიის შენობა ისე გამოიყურება, თითქოს საპნის კონცერნის ადმინისტრაციული კორპუსი იყოს და არა რაიხის ცენტრი. თავი ვინ ჰგონია?! როგორც ჩანს უნდა, რომ აივანი თვითონ მას ავაშენებინო?!“ ბოლოს ჰიტლერმა პროფესორი იმით დააშოშმინა, რომ ახალი შეკვეთა მისცა.

რამდენიმე თვის შემდეგ დამავალეს ბარაკების ბანაკის დაპროექტება მუშებისათვის, რომლებიც ახალ ავტობანს აშენებდნენ. ჰიტლერს არ მოსწონდა ის თავშესაფარი, რომელშიც მუშები ცხოვრობდნენ. მან მუშებისთვის ისეთი ტიპის საცხოვრებელი ბარაკების აშენება გადაწყვიტა, რომელიც ყველა ტიპის ბანაკისთვის გამოდგებოდა. ვიდრე კანცლერის საცხოვრებელი ბინის რემონტი დამთავრდებოდა, ჰიტლერი თავისი სახელმწიფო მდივნის - ლამერსის[21] ბინაში ცხოვრობდა. იქ ხშირად

ვყოფილვარ სადილად და ვახშმად. საღამოობით ამ ბინაში თავს იყრიდნენ ჰიტლერის მუდმივი თანმხლები პირები: იულიუს შრეკი[22], რომელიც უკვე დიდი ხანია, რაც მისი მძღოლი იყო, SS-ის ლაიბშტანდარტის მეთაური ზეპ დიტრიხი[23], პრესის უფროსი დოქტორი დიტრიხი[24], ჰიტლერის ორი ადიუტანტი - ბრიუკნერი და შაუბი[25] და ჰიტლერის ფოტოგრაფი ჰაინრიხ ჰოფმანი. რადგან მაგიდასთან 10 კაცზე მეტი არ ეტეოდა, ის მუდამ შევსებული იყო სტუმრებით. სადილად კი, უპირატესად, მისი ძველი მიუნხენელი თანამებრძოლები მოდიოდნენ: ამანი, შვარცი, ესერი, გაულაიტერი ვაგნერი, და ხშირად - ვერლინიც, რომელიც დაიმლერ-ბენცის მიუნხენის ფილიალის ხელმძღვანელი და ჰიტლერის მანქანების მომწოდებელი იყო. მინისტრები, როგორც წესი, იშვიათად ეწვეოდნენ ხოლმე. ჰიმლერს[26], რემსა[27] და შტრაიხერს[28] თითქმის სულ ვერ ვხედავდი, სამაგიეროდ ხშირად მოდიოდნენ გოებელსი და გერინგი[29]. ამ თავყრილობებს არასოდეს ესწრებოდნენ რაიხის კანცელარიის გარემოცვის მოხელეები, არც თავად ლამერსი, მიუხედავად იმისა, რომ ის სახლის პატრონი იყო. ამას გარკვეული მიზეზი ჰქონდა: სტუმრების თანდასწრებით ჰიტლერი ხშირად ხმამაღლა აჯამებდა განვლილ დღეს. მას უყვარდა იმ ამბის მოყოლა, როგორ მოახერხა, ბიუროკრატიულ აპარატს დაძვრომოდა: „პირველი კვირების განმავლობაში ყოველ წვრილმანზე ითხოვდნენ ჩემს გადაწყვეტილებას. ყოველდღიურად ჩემს საწერ მაგიდაზე საქაღალდეებისმთები იდგა. რამდენიც არ უნდა მემუშავა, საქაღალდეების რაოდენობა არ კლებულობდა. ბოლოს და ბოლოს ეს სისულელე კატეგორიულად ავკრძალე! მუშაობა ისე რომ გამეგრძელებინა, დადებით შედეგებს ვერ მივაღწევდი, რადგან დაფიქრების დრო სულ აღარ მრჩებოდა. როდესაც საქაღალდეების გადახედვაზე უარი განვაცხადე, მითხრეს, მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებების მიღება გაჭიანურდებაო. მე კი სწორედ ამ საქმეებზე უარის თქმით შევძელი სერიოზულ საკითხებზე დაფიქრება და „იმ“ მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებების მიღება. ამიერიდან მე თვითონ ვსაზღვრავდი ქვეყნის განვითარების მიმართულებას, მოხელეებსაც მე ვმართავდი“.

ზოგჯერ თავისი მოგზაურობების შესახებაც ყვებოდა: „შრეკი საუკეთესო მძღოლია. ჩვენი კომპრესორი 170-ს უჩვენებდა ხოლმე. ყოველთვის ძალიან სწრაფად დავქროდით. ეს ბოლო წლებია, რაც შრეკს ვუბრძანე, 80-ს არ გადააჭარბოს. ახლა რომ ვუფიქრდები, ხომ შეიძლებოდა, მაშინ რამე დამმართოდა! განსაკუთრებულ სიამოვნებას მგვრიდა დიდი ამერიკული მანქანების გასწრება. სულ უკან ვედევნებოდით. ეს ამერიკული მანქანები მერსედესთან შედარებით ნაგავია. მათი ძრავა შეჯიბრს ვერ უძლებდა და ხშირად მძღოლები იძულებული ხდებოდნენ, მანქანა ქუჩის განაპირას გაეჩერებინათ. ასეც მოუხდებათ!“

საღამოობით, როგორც წესი, მონტაჟდებოდა პრიმიტიული კინოპროექტორი და ჰიტლერი ჩვენთან ერთად უყურებდა კვირის მოვლენების ამსახველ დოკუმენტურ კინოქრონიკას - „ვოხენშაუ“[30]-ს და ერთ ან ორ მხატვრულ ფილმს.

ფილმებს ჰიტლერი გოებელსთან ერთად არჩევდა. უფრო ხშირად არჩევანი იმ ფილმებზე ჩერდებოდა, რომლებიც იმხანად ბერლინის კინოთეატრებში გადიოდა. ჰიტლერს განსაკუთრებით უყვარდა გასართობი და სასიყვარულო ფილმები ჯენინგსის, რიუმანის[31], ჰენი პორტენის[32], ლილ დაგოვერის[33], ოლგა ჩეხოვას[34], ზარა ლეანდერის[35] და იენი იუგოს[36] მონაწილეობით. ფიურერს ასევე მოსწონდა ფილმი-რევიუები, რომლებშიც უხვად იყო ლამაზი ქალების შიშველი ფეხები. ხშირად უცხოურ ფილმებსაც ვუყურებდით, მათ შორის ისეთებსაც, რომლებიც გერმანელ მაყურებელს ჯერ არ ენახა. მაგრამ ფიურერის საშინაო კინოთეატრის რეპერტუარში არ იყო ფილმები სპორტზე, ალპინიზმზე, ცხოველთა სამყაროზე, ბუნებაზე, საინფორმაციო ფილმები უცხო ქვეყნებზე. ჰიტლერს, ჩემგან განსხვავებით, არ მოსწონდა გროტესკული ფილმები ბასტერ კიტონისა[37] და ჩარლი ჩაპლინის[38] მონაწილეობით. ყოველდღე ორი ახალი ფილმის სანახავად გერმანული კინოპროდუქცია საკმარისი არ იყო. ამიტომ ზოგიერთ ფილმს ორ-ორჯერ და უფრო მეტჯერაც ვუყურებდით ხოლმე. ყოველ საღამოს ერთი ან ორი ფილმის ნახვის ჩვეულება ჰიტლერს ომის დაწყებამდე შემორჩა.

ჰიტლერი ხშირად სადილობდა რესტორანში „ოსტერია ბავარია“.[39] ეს იყო პატარა რესტორანი, რომელშიც ხელოვანები იკრიბებოდნენ. ამ რესტორნის რეპუტაცია ერთიორად გაიზარდა მას შემდეგ, რაც ცნობილი გახდა, რომ მას ხშირად სტუმრობდა ჰიტლერი. „ოსტერიაში“ ჰიტლერი, როგორც ყოფილი ხელოვანი, თავს კარგად გრძნობდა.

ჰიტლერი ხშირად იგვიანებდა და ამიტომ მას საათობით ველოდებოდით ხოლმე მისი რჩეული სტუმრები: მისი ადიუტანტი, ბავარიის გაულაიტერი ვაგნერი, რა თქმა უნდა, მისი მუდმივი თანმხმლები და პირადი ფოტოგრაფი ჰოფმანი, სიმპათიური მის მითფორდი[40], ხანდახან - ერთი მხატვარი ან მოქანდაკე, რაიხის პრესის უფროსი - დოქტორი დიტრიხი და ყოველთვის - მარტინ ბორმანი[41], რუდოლფ ჰესის ჩუმი მდივანი. ქუჩაში კი ასობით ადამიანი იყრიდა თავს. ადამიანები ჩვენს დანახვაზე უკვე ხვდებოდნენ, რომ „ის“ მოვიდოდა.

რესტორნის ერთ-ერთ კუთხეში ჩვენი მუდმივი ადგილი გვქონდა. კარგ ამინდში ბაღშიც ვისხედით ხოლმე. ჰიტლერი რესტორნის მეპატრონეს და ორ ახალგაზრდა ოფიციანტ გოგონას იოვიალურად ესალმებოდა: „დღეს რა გვაქვს კარგი სადილად? რავიოლი? ნეტავ ასეთი გემრიელი არ იყოს! მაცდურია! ბატონო დოიტელმოზერ, თქვენთან ძალიან კარგია, მაგრამ წონაში რომ ვიმატებ?! თქვენ გავიწყდებათ, რომ ფიურერს არა აქვს უფლება, ჭამოს ყველაფერი, რაც მოსწონს!“ ამის შემდეგ ჰიტლერი დიდ ხანს სწავლობდა მენიუს, ბოლოს კი მაინც რავიოლის უკვეთავდა.

სადილის დროს საუბრის ძირითადი თემა იყო ჰიტლერის ვიზიტი არქიტექტორ ტროოსტთან. ჰიტლერი საქებარ სიტყვებს არ იშურებდა ნანახის შეფასებისას. მას

ყოველი წვრილმანი აღქმული და დამახსოვრებული ჰქონდა. მისი დამოკიდებულება ტროოსტისადმი ისეთი იყო, როგორიც მოსწავლისა ოსტატისადმი.

ჰიტლერი გვიამბობდა ბრუკმანის[42] ოჯახზე (ბრუკმანებს მიუნხენში ცნობილი საგვარეულო გამომცემლობა ჰქონდათ). სწორედ ბრუკმანებმა გააცნეს მას ტროოსტი. ტროოსტთან შეხვედრას ჰიტლერისათვის უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა. „მასთან შეხვედრის მერე ჩემს ნახატებს ვეღარ ვუყურებდი. რა ბედნიერებაა, რომ ეს კაცი გავიცანი!“ და ეს მართლაც ასე იყო.

ერთხელ ჰიტლერმა თავისი 20-იანი წლების ესკიზების რვეული მაჩვენა. ეს იყო შთამბეჭდავი მონუმენტური ნაგებობების შექმნის მცდელობა ნეობაროკოს სტილში, ვენის რინგშტრასეს მსგავსად. თვალში მომხვდა ის უცნაური გარემოებაც, რომ ამ არქიტექტორული ესკიზების გვერდით, იმავე ფურცელზე, ხშირად იარაღის ესკიზებიც იყო მიხატული.

ტროოსტის გავლენა ჰიტლერზე ეპიზოდური აღმოჩნდა. ჰიტლერი სიცოცხლის ბოლომდე სამაგალითოდ იმ არქიტექტორებს თვლიდა, რომლებიც მას თავისი ადრეული ესკიზების შექმნის დროს მიაჩნდა სანიმუშოდ. ესენი იყვნენ: შარლ გარნიე, ჰერმან ჰელმერი[43], ფერდინანდ ფელნერი[44], გოთფრიდ ზემპერი[45], თეოფილ ჰანზენი.[46]

პარტიული პრესა მოწადინებული იყო, ფიურერის პერიოდის არქიტექტურული სტილი გამოეკვეთა, მაგრამ ასეთი სტილი არ არსებობდა. ის, რაც რაიხის ოფიციალურ არქიტექტურად გამოცხადდა, იყო ტროოსტის ნეოკლასიციზმი, რომელსაც მოგვიანებით სახე უცვალეს და სასაცილოდ დაამახინჯეს. კლასიცისტური სტილი ჰიტლერს იმიტომ ხიბლავდა, რომ, მისი აზრით, ის დროს უძლებს. ჰიტლერი თვლიდა, რომ გერმანული სამყარო დორიულ ძირებთან იყო დაკავშირებული. არასწორი იქნებოდა იმის მტკიცება, თითქოს ჰიტლერის დროს ნაგებობების იდეოლოგიურად დასაბუთებული არქიტექტურული სტილი არსებობდა. ეს არანაირად არ შეესაბამებოდა ჰიტლერის პრაგმატულ აზროვნებას.

ჰიტლერი ხშირად სტუმრობდა თავისი ფოტოგრაფის ვილას მიუნხენ-ბორგჰაუზენში. კარგი ამინდის დროს ყავას ბაღში მივირთმევდით ხოლმე. ჰიტლერი ცდილობდა, თავი შეეკავებინა ნამცხვრისაგან, მაგრამ ბოლოს, მას შემდეგ რაც დიასახლისს ბევრ კომპლიმენტს ეტყოდა, თეფშზე ერთ პატარა ნაჭერს მაინც დაიდებდა ხოლმე. თუ მზე დააცხუნებდა, ფიურერი და რაიხსკანცლერი თავის უნიფორმას იხდიდა და პერანგის ამარა ბალახზე წვებოდა. ჰოფმანებთან თავს ისე გრძნობდა, როგორც საკუთარ სახლში.

ჰიტლერი „კარლტონის საჩაიესაც“[47] ხშირად სტუმრობდა. იქ მისვლა უფრო იმიტომ უყვარდა, რომ ხელს არავინ უშლიდა, არც ავტოგრაფს სთხოვდნენ, რაც სხვაგან არაერთხელ მომხდარა. ხშირად ჰიტლერის ბინიდან გვიან საღამოს

დაურეკავთ: „ფიურერი „ჰეკის კაფეში“[48] მიემგზავრება და თქვენც გთხოვთ იქ მობრძანებას“. ამის პასუხად ვალდებული ვიყავი, მაშინვე საწოლიდან ავმდგარიყავი. წინასწარ ვიცოდი, რომ ღამის 2 ან 3 საათამდე სახლში ვერ დავბრუნდებოდი.

1933 წლის შემდეგ გერმანიაში შეიქმნა რამდენიმე წრე, რომელიც ერთმანეთს ემიჯნებოდა, მაგრამ ამავე დროს ერთმანეთს უთვალთვალებდა, ექიშპებოდა; მათ ერთმანეთი სძულდათ. საზოგადოებაში გავრცელდა ათვალწუნებისა და ქედმაღლობის რაღაცნაირი ნარევი ფორმა. ეს იმითაც იყო გამოწვეული, რომ ყოველი ახალი მაღალჩინოსნის ირგვლივ სწრაფად ჩნდებოდნენ მისი მომხრეები. ასე მაგალითად, ჰიმლერი თითქმის მთელ დროს თავისი SS-ის ამალასთან ერთად ატარებდა, რომელიც მას უპირობოდ აღმერთებდა; გერინგს მისით აღფრთოვანებული გულშემატკივრების წრე ჰყავდა, რომლის ნაწილი მისი ოჯახის წევრები იყვნენ, ნაწილიც - თანამშრომლები და ადიუნტანტები. გოებელსი თავს კარგად გრძნობდა თავისი თაყვანისმცემლების წრეში, რომელიც ძირითადად ლიტერატორებისა და კინოხელოვანთაგან შედგებოდა; ჰესი დაკავებული იყო ჰომეოპათიის პრობლემებით; მას უყვარდა კამერული მუსიკა და ჰყავდა უცნაური, მაგრამ საინტერესო ნაცნობები.

მიუნხენში ჰიტლერი ნაკლებად იყო დაკავებული სახელმწიფოს და პარტიის საქმეებით, გაცილებით უფრო ნაკლებად, ვიდრე ბერლინსა და ობერზალცბერგში ყოფნისას. სახელმწიფო თათბირს ის დღეში ერთ ან ორ საათს თუ უძღვნიდა, უმეტეს დროს კი მშენებლობებზე, სახელოსნოებში, კაფეებსა და რესტორნებში სიარულს უთმობდა. ის ძირითადად გრძელი მონოლოგებით მიმართავდა საზოგადოებას და ჰყავდა მსმენელების ერთი და იგივე აუდიტორია, რომელსაც უკვე ყელში ჰქონდა ამოსული მისი ისტორიების მოსმენა და ამ ემოციას გაჭირვებით მალავდა.

როცა მიუნხენში ჩადიოდა, ორი ან სამი დღის შემდეგ გასცემდა ხოლმე ბრძანებას, „მთაზე“ ავიდეთო. ბერხტესგადენში, ობერზალცბერგთან ჰიტლერს საკმაოდ სადად მოწყობილი ხის პატარა სახლი ჰქონდა, რომელშიც იყო სასადილო ოთახი, პატარა სასტუმრო ოთახი და სამი საძინებელი. ავეჯი ვერტიკოს პერიოდის ძველგერმანული სტილისა იყო და სახლს წვრილბურჟუაზიულ ელფერს სძენდა. ამ შთაბეჭდილებას აძლიერებდა კანარის ჩიტიანი მოოქრული გალია, ერთი დიდი კაქტუსი და კაუჩუკის ხე. სვასტიკა ყველგან ფიგურირებდა: სუვენირებზე, მისი თაყვანისმცემელი ქალების მიერ დაქარგულ ბალიშებზე... ერთხელ ჰიტლერმა მობოდიშებით მითხრა: „ვიცი, ეს ნივთები ლამაზი არ არის, მაგრამ მათი უმეტესობა საჩუქარია, ამიტომაც ვერ ველევი“.

ობერზალცბერგში ჩვენი ჩასვლიდან რამდენიმე საათის შემდეგ პატარა მერსედესით ჩამოდიოდა ორი მდივანი ქალი - ფროილაინ ვოლფი და ფროილაინ შრედერი[49]. ისინი ახლდნენ ერთ უბრალო მიუნხენელ გოგონას, რომელსაც უფრო სიმპათიური

ეთქმოდა, ვიდრე ლამაზი; იმდენად მორიდებულად და თავშეკავებულად იქცეოდა, რომ ვერაფრით იფიქრებდი, თუ იგი კანცლერის შეყვარებული ევა ბრაუნი[50] იყო.

ამ მანქანას აკრძალული ჰქონდა ფიურერის ოფიციალურ კოლონასთან ერთად მგზავრობა. ორი მდივანი ქალიც მხოლოდ ყურადღების გადასატანად დაჰყვებოდა ჰიტლერის საყვარელს. მე მაოცებდა ის გარემოება, რომ ჰიტლერი და ევა ბრაუნი მთელი დღის განმავლობაში გულმოდგინედ მალავდნენ თავიანთ ინტიმურ კავშირს, გვიან ღამით კი ერთად მიეშურებოდნენ საძინებლისკენ.

ევა ბრაუნი დისტანციას იცავდა ჰიტლერის გარემოცვის ყველა პირთან. ჩემ მიმართ მისი დამოკიდებულება მხოლოდ მრავალი წლის შემდეგ შეიცვალა. როდესაც ერთმანეთი უკეთესად გავიცანით, მივხვდი, რომ მისი ასეთი დისტანციური დამოკიდებულება სხვა ადამიანებთან მხოლოდ და მხოლოდ მორიდებითა და გაუბედაობით აიხსნებოდა, რაც ჰიტლერის კარზე მისი საკმაოდ ორჭოფული მდგომარეობით იყო განპირობებული. ჩვენი გაცნობის პირველ წლებში ამ პატარა სახლში ცხოვრობდნენ ჰიტლერი და ევა ბრაუნი ერთი ადიუტანტისა და ერთი მსახურის თანხლებით; ჩვენ კი - ხუთი ან ექვსი სტუმარი, მათ შორის მარტინ ბორმანი, რაიხის პრესის უფროსი დიტრიხი და ასევე ორი მდივანი ქალი იქვე მდებარე სასტუმროში ვიყავით დაბინავებული.

მეგონა, რომ ჰიტლერმა ობერზალცბერგი საცხოვრებლად ბუნების სიყვარულის გამო აირჩია. თურმე ვცდებოდი: ჰიტლერი ხშირად ტკბებოდა ლამაზი ხედით, მაგრამ მას უფრო მეტად ხევის ძლევამოსილება იზიდავდა, ვიდრე ლამაზი პეიზაჟი. შესაძლოა, ის უფრო მეტს გრძნობდა, ვიდრე სინამდვილეში გამოხატავდა. ერთი შემთხვევა მახსენდება: 1934 წელს ქალთა ორგანიზაციას ჰიტლერისათვის ბერლინის სადგურში ყვავილები უნდა მიერთმია. ამ ორგანიზაციის ხელმძღვანელმა ქალბატონმა დაურეკა პროპაგანდის მინისტრის მდივანს - ჰანკეს და ჰკითხა, რომელი იყო ჰიტლერის საყვარელი ყვავილი. ჰანკემ მე დამირეკა: „ყველგან დავრეკე, ადიუტანტებსაც ვკითხე, მაგრამ უშედეგოდ. მას არა აქვს საყვარელი ყვავილი! თქვენ რას ფიქრობთ, შპეერ? იქნებ ვუთხრათ, რომ ეს ედელვაისია? მგონი, ედელვაისი საუკეთესო ვარიანტია. ჯერ ერთი, იშვიათი ყვავილია, მეორეც - ბავარიის მთებში იზრდება. მოდით ვთქვათ, რომ ჰიტლერის საყვარელი ყვავილი ედელვაისია!“ იმ დღიდან ედელვაისი ოფიციალურად იქცა „ფიურერის ყვავილად“.

1934 წელს ორი პიროვნების გარდაცვალებამ მნიშვნელოვნად იმოქმედა ჰიტლერის პირად ცხოვრებაზეც და გერმანიის ბედზეც: მძიმე ავადმყოფობის შემდეგ - 21 იანვარს გარდაიცვალა ჰიტლერის არქიტექტორი ტროოსტი; ხოლო 2 აგვისტოს კი - გერმანული რაიხის პრეზიდენტი, ფონ ჰინდენბურგი. ჰინდერბურგის[51] სიკვდილმა ჰიტლერს შეუზღუდავი ძალაუფლებისკენ გაუხსნა გზა.

1933 წლის 15 ოქტომბერს ჰიტლერმა საზეიმოდ ჩაუყარა საფუძველი „გერმანული ხელოვნების სახლს“. ლურსმანს ლამაზი ვერცხლის ჩაქუჩი დაარტყა, რომლის

ესკიზიც ტროოსტმა სწორედ ამ დღისთვის შექმნა. მაგრამ ჩაქუჩი გატყდა. 4 თვის შემდეგ ჰიტლერმა გვითხრა: „ჩაქუჩი როგორც კი გატყდა, მაშინვე მივხვდი, რომ ეს ცუდი ნიშანი იყო. ახლა ჩვენ უკვე ვიცით, რატომ გატყდა ჩაქუჩი: ის არქიტექტორის სიკვდილს მოასწავებდა“. ჩემი ცხოვრების მანძილზე არაერთხელ შემინიშნავს ჰიტლერის ცრუმორწმუნეობა.

ტროოსტის სიკვდილი ჩემთვისაც დიდი დანაკლისი იყო, რადგან ჩვენ შორის ის-ის იყო დამყარდა თბილი და ახლო ურთიერთობა, რომლისგანაც მე დიდ ადამიანურ და პროფესიულ გამორჩენას ველოდი. გოებელსის სახელმწიფო მდივანი ფუნკი[52] კი სულ სხვა აზრისა იყო: ტროოსტის გარდაცვალების დღეს ფუნკი თავისი მინისტრის მისაღებ ოთახში შემხვდა. მრგვალი სახე უღიმოდა და გრძელ სიგარას აბოლებდა: „შპეერ, გილოცავთ! ახლა თქვენ ხართ პირველი!“

მაშინ მე 28 წლის ვიყავი.

არქიტექტურული მეგალომანია

...რემის პუტჩის[53] დროს ბერლინში ვიყავი. ქალაქში დაძაბულობა იგრძნობოდა. ზოოპარკი შეიარაღებული ჯარისკაცებით იყო სავსე; თოფიანი პოლიციელები სატვირთო მანქანებით დადიოდნენ ქალაქის ქუჩებში. ჰაერში რაღაცნაირი სიმძიმე ჩამოწვა.

პუჩის მეორე დღეს გერინგი ბერლინის მხსნელად გამოაცხადეს. შუადღისას ჰიტლერი დაბრუნდა მიუნხენიდან, სადაც მან დაპატიმრებათა დიდი სერია ჩაატარა. ნაშუადღევს მისმა ადიუტანტმა დამირეკა: „ახალი პროექტები ხომ არ გაქვთ? თუ გაქვთ, წამოიღეთ!“ ეს იმას ნიშნავდა, რომ ჰიტლერის გარემოცვას სურდა, მისი ყურადღება არქიტექტურულ საკითხებზე გადაეტანა.

ჰიტლერი უაღრესად აღგზნებული იყო. მე დღესაც დარწმუნებული ვარ, ჰიტლერს მართლა სჯეროდა, რომ დიდ საფრთხეს გადაურჩა. პუჩის მომდევნო დღეებში ჰიტლერმა რამდენჯერმე გვიამბო, თუ როგორ უშიშრად შეიჭრა იგი სასტუმრო „ჰანზელმაიერში“: „წარმოიდგინეთ! ჩვენ იარაღი არ გვქონდა და არც კი ვიცოდით, ის ღორები შეიარაღებულ წინააღმდეგობას გაგვიწევდნენ თუ არა!“ იქაურმა ჰომოსექსუალურმა ატმოსფერომ ჰიტლერი ზიზღით აავსო: „ერთ ოთახში ორ შიშველ ყმაწვილს გადავაწყდით!“ როგორც ჩანს, ჰიტლერს გულწრფელად სჯეროდა, რომ მისმა პირადმა მონაწილეობამ იხსნა ქვეყანა კატასტროფისაგან: „სიტუაციის განმუხტვა მხოლოდ მე შევძელი! სხვამ - ვერავინ!“

ჰიტლერის გარემოცვა მასში SA[54]-ის ფიურერების მიმართ ზიზღის გაღრმავებას ცდილობდა და უამრავ წვრილმანს უყვებოდა რემისა და მისი ამალის ინტიმური ცხოვრების შესახებ.

რაიხის პრეზიდენტთან შეხვედრის შემდეგ ჰიტლერი ძალზე კმაყოფილი დაბრუნდა. ჰინდენბურგმა მისი ქმედება მოიწონა: „საჭირო დროს რადიკალური ზომების მიღებისა არ უნდა გვეშინოდეს. თუ აუცილებელი გახდა, სისხლიც უნდა დაიღვაროს!“ გაზეთებშიც დაიბეჭდა ცნობები იმის შესახებ, რომ რაიხის პრეზიდენტმა, ფონ ჰინდენბურგმა რაიხსკანცლერს - ჰიტლერს და პრუსიის პრემიერმინისტრს - ჰერმან გერინგს ოფიციალურად მიულოცა ოპერაციის წარმატებით ჩატარება.

ჰიტლერმა რაიხსტაგის საგანგებო სხდომა მოიწვია, რომელზეც სიტყვით გამოვიდა. ამ სიტყვაში მან სცადა, დაემტკიცებინა თავისი უდანაშაულობა და ბოდიში მოიხადა რადიკალური ზომების მიღების გამო. ჰიტლერი ბოდიშს იხდის - ასეთი რამ აღარასოდეს განმეორდება, არც - 1939 წელს, ომის გამოცხადებისას.

იმ გარემოებამ, რომ ვერმახტმა მშვიდად მიიღო თავისი გენერლის - შლაიხერის სიკვდილი, საყოველთაო ყურადღება მიიქცია. ჩემზე და ყველა ჩემნაირ აპოლიტიკურ ადამიანზე განსაკუთრებული შთაბეჭდილება მოახდინა ჰინდენბურგის პოზიციამ. პირველი მსოფლიო ომის გენერალ-ფელდმარშალი ბურჟუაზიული წარმომავლობის თაობისათვის პატივსაცემი და ავტორიტეტული პიროვნება გახლდათ. ჯერ კიდევ ჩემი სკოლაში სწავლის დროს ჩვენთვის ჰინდენბურგი უახლესი ისტორიის უდრეკი გმირის განსახიერება იყო. ადამიანებს სიმშვიდის გრძნობას გვანიჭებდა იმის ცოდნა, რომ ჰინდენბურგის სახით ჰიტლერზე უფრო მაღლა უმაღლესი ინსტანცია არსებობდა.

შემთხვევითი როდი იყო, რომ რემის პუჩის შემდეგ მემარჯვენეები, რაიხის პრეზიდენტის იუსტიციის მინისტრის და გენერალიტეტის სახით, ჰიტლერის მხარეს დადგნენ. თუმცა მემარჯვენეები, ჰიტლერისგან განსხვავებით, არ იზიარებდნენ რადიკალურ ანტისემიტიზმს, პირიქით, ისინი გმობდნენ კიდეც ამ ზიზღის გრძნობის პლებეურ გამოხატულებას. მემარჯვენეთა კონსერვატივიზმს არაფერი ჰქონდა საერთო რასობრივ დაპირისპირებასთან. მემარჯვენეთა მხრიდან ჰიტლერის აქციისადმი გამოხატულ სიმპათიას სულ სხვა მიზეზები ჰქონდა: 1934 წლის 30 ივნისის მკვლელობებით მოისპო პარტიის ძლიერი მარცხენა ფრთა, რომელიც უპირატესად SA-ის ძალებით იყო დაკომპლექტებული.

რევოლუციის შემდეგ SA გარკვეულწილად თამაშგარე მდგომარეობაში აღმოჩნდა, რამაც მის რიგებში უკმაყოფილება და დაუმორჩილებლობა გამოიწვია. ის ფეთქებადსაშიშ ძალას წარმოადგენდა. შესაძლოა, ჰიტლერის ჩარევამ მართლაც გადაგვარჩინა მეორე რევოლუციისაგან, რომლის დაწყებასაც რემი აპირებდა.

ამ მოვლენების დასრულებიდან, შეიძლება ითქვას, მეორე დღესვე მივიღე ახალი დავალება: „სასწრაფოდ უნდა გადააკეთოთ ბორზიგის სასახლე. SA-ის უმაღლესი ხელმძღვანელობა მიუნხენიდან ბერლინში უნდა გადმოვიყვანო, რათა მომავალში სულ ჩემ გვერდით იყვნენ. წაბრძანდით და ახლავე შეუდექით საქმეს!“ მე მორიდებულად შევახსენე ჰიტლერს, რომ ბორზიგის სასახლე ვიცეკანცლერის აპარატს ჰქონდა დაკავებული, მაგრამ მან მომიჭრა: „ახლავე დატოვონ შენობა! მათ ყურადღებას ნუ მიაქცევთ!“

ასეთი დავალებით მივადექი პაპენის[55] უწყებას. ცხადია, ვიცეკანცლერის ბიუროს დირექტორმა არაფერი იცოდა ახალი განკარგულების შესახებ. იქ მიპასუხეს, რომ მანამდე მომიწევდა მოცდა, ვიდრე ისინი ახალ ბინას არ იპოვიდნენ და ეს შეიძლებოდა, ორი თვეც კი გაგრძელებულიყო. ამ პასუხით დავბრუნდი ჰიტლერთან. ის ისე გაწიწმატდა, რომ უკვე მარტო შენობის დაუყოვნებლივ დაცლა კი აღარ მოითხოვა, მიბრძანა, სამშენებლო სამუშაოები დამეწყო და მოხელეების ნათქვამი არად ჩამეგდო.

პაპენი არ ჩანდა. მისი მოხელეები ყოყმანობდნენ, მაგრამ შემპირდნენ, რომ ორი კვირის განმავლობაში ყველა დოკუმენტს გადაიტანდნენ დროებით საცავში. ამის პასუხად მე ხელოსნები შევუშვი სასახლეში და ვუბრძანე, დარბაზებში და მოსაცდელ ოთახებში კედლებიდან და ჭერიდან ბათქაში ხმაურით ჩამოენგრიათ და რაც შეიძლება მეტი მტვერი დაეყენებინათ. ამ მტვერში და ხმაურში მუშაობა შეუძლებელი გახდა. ჰიტლერს ეს ამბავი ძალიან მოეწონა, ის დიდხანს იცინოდა „დამტვერილ მოხელეებზე“.

ვიცეკანცლერის უწყებამ 24 საათში დაცალა შენობა. ერთ-ერთ ოთახში იატაკზე გამხმარი სისხლის ლაქა შევნიშნე. აქ 30 ივნისს პაპენის თანამშრომელი, ჰერბერტ ფონ ბოზი[56] დახვრიტეს. სისხლის ლაქას თვალი ავარიდე. მერე ვცდილობდი, იმ ოთახში აღარ შევსულიყავი.

2 აგვისტოს ჰინდენბურგი გარდაიცვალა. ჰიტლერმა დამავალა, მომემზადებინა ყველაფერი სამგლოვიარო მიტინგისათვის. ჰინდენბურგი აღმოსავლეთ პრუსიაში, თანენბერგის[57] მემორიალში უნდა დაეკრძალათ. დაკრძალვის წინა ღამეს ჰინდენბურგის ნეშტი ნოიდეკიდან (ჰინდენბურგის მამულიდან) თანენბერგში გადმოასვენეს და მემორიალის ერთ-ერთ კოშკში დაასვენეს. ეს პროცესია პირველი მსოფლიო ომის დროინდელი გერმანული საჯარისო ნაწილების ტრადიციული დროშებისა და მეჩირაღდნეების თანხლებით გაიმართა, მაგრამ უხმოდ - არც ერთი სიტყვა არ წარმოთქმულა, არც ერთი ბრძანება არ გაცემულა. ეს სიჩუმე ბევრად უფრო შთამბეჭდავი იყო, ვიდრე მომდევნო დღის სამგლოვიარო მიტინგი.

მეორე დილით ჰინდენბურგის კუბო მემორიალის ეზოს შუაგულში დაასვენეს. მის გვერდით ყოველგვარი დისტანციის დაცვის გარეშე დააყენეს ორატორის ტრიბუნა. ჰიტლერი ტრიბუნასთან მივიდა, შაუბმა საქაღალდიდან ხელნაწერი ამოიღო და

ტრიბუნაზე დადო; ჰიტლერმა ტექსტის კითხვა დაიწყო, შემდეგ კი თავი გააქნია და გაჩერდა - ადიუტანტს ხელნაწერი შეშლოდა. მას შემდეგ, რაც შეცდომა გამოასწორეს, ჰიტლერმა, ყველასათვის მოულოდნელად, ძალიან ცივი და ფორმალური გამოსათხოვარი სიტყვა წარმოთქვა.

ჰინდენბურგი ჰიტლერს დიდ პრობლემებს უქმნიდა თავისი დინჯი ავტორიტეტით. ჰიტლერი კი, მოგეხსენებათ, ერთობ მოუთმენელი იყო. ის ხშირად მიმართავდა ეშმაკობას, ხრიკებსა და ინტრიგებს იმისათვის, რომ ჰინდენბურგი საკუთარი არგუმენტების მართებულობაში დაერწმუნებინა. ჰიტლერის ერთ-ერთი გენიალური მიგნება ის იყო, რომ ყოველ დილით ჰინდენბურგს პრესის მიმოხილვას უკითხავდა ფუნკი, მაშინ ჯერ კიდევ გოებელსის სახელმწიფო მდივანი. ფუნკს ეხერხებოდა ჰინდენბურგისთვის უარყოფითი ინფორმაციის იმ სახით მიწოდება, რომ პრეზიდენტი არ გაღიზიანებულიყო. ჰინდენბურგი და მისი მრავალრიცხოვანი პოლიტიკური თანამოაზრე მოელოდნენ, რომ ახალი რეჟიმი მონარქიას აღადგენდა. ჰიტლერს კი ამაზე სერიოზულად არასოდეს უფიქრია. მას ხშირად უთქვამს: „მე გავეცი განკარგულება, რომ სევერინგს[58] და სხვა სოციალ-დემოკრატ მინისტრებს კუთვნილი პენსიების გადახდა არ შეუწყვიტონ. რაც არ უნდა ვთქვათ ამ ხალხზე, ერთ დიდ დამსახურებას ვერ დავუკარგავთ: მათ დაამხეს მონარქია და ეს წინ გადადგმული ნაბიჯი იყო. ჩვენ ამ ადამიანებმა გაგვიკაფეს გზა. და რა, ჩვენ მონარქია უნდა დავაბრუნოთ? მე - და ვინმესთვის ძალაუფლების გაყოფა?! შეხედეთ იტალიას! ნუთუ ასეთი სულელი გგონივართ? მონარქები თავიანთი პირველი თანაშემწეების მადლიერები არასოდეს ყოფილან. გაიხსენეთ თუნდაც ბისმარკი[59]. არა, ამ ანკესს მე არ წამოვეგები! მიუხედავად იმისა, რომ ჰოჰენცოლერნები ძალიან გვწყალობენ“.

ერთ დღეს ჰიტლერმა ბორმანს ჩემზე უთხრა, შპეერმა ამიერიდან უნიფორმა უნდა ატაროსო. მისი უახლოესი ამალა - პირადი ექიმი, ფოტოგრაფი, თვით დაიმლერ-ბენცის დირექტორიც კი - უნიფორმაში გამოწყობილი დადიოდნენ. მარტო მე მეცვა სამოქალაქო ტანსაცმელი. ამ ჟესტით ჰიტლერმა ხაზი გაუსვა იმ გარემოებას, რომ ამიერიდან მეც მისი უახლოესი გარემოცვის წევრი ვიყავი.

ამგვარად, 1934 წლის დამდეგს მე ჰიტლერის მოადგილის - რუდოლფ ჰესის შტაბის განყოფილების გამგე გავხდი, რამდენიმე თვის შემდეგ კი - გოებელსის შტაბის განყოფილების გამგეც.

არქიტექტურული მეგალომანია (გაგრძელება)

ჩემი პარტიული თანამდებობების წყალობით, 1934 წლის გაზაფხულზე პირველად მიმიწვიეს დიდ ოფიციალურ მიღებაზე, რომელსაც ჰიტლერი პარტიის ლიდერის

რანგში მართავდა. ამ მიღებაზე მანდილოსნებიც იყვნენ დაპატიჟებული. კანცლერის ბინის დიდ სასადილო დარბაზში მრგვალი მაგიდები იდგა. თითოეულ მაგიდასთან რვა-რვა სტუმარი იჯდა. ჰიტლერი სუფრიდან სუფრასთან მიდიოდა, სტუმრებს ესალმებოდა და ყველას სასიამოვნო ფრაზებს ეუბნებოდა, მანდილოსნებს ეცნობოდა. ჩვენს მაგიდასთან რომ მოვიდა, ჩემი მეუღლე წარვუდგინე, რომელიც პირველად იყო ჩემთან ერთად ამგვარ წვეულებაზე. რამდენიმე დღის შემდეგ ჰიტლერმა პირადი საუბრისას მითხრა: „რატომ აქამდე არ გამაცანით თქვენი მეუღლე?“ ამ გაცნობას მართლაც გავურბოდი, რადგან არ მომწონდა, როგორ ეპყრობოდა ჰიტლერი თავის საყვარელს. გარდა ამისა მიმაჩნდა, რომ ჩემი მეუღლე პირადად ჰიტლერს ან მის ადიუტანტს უნდა დაეპატიჟებინა. მაგრამ ჰიტლერისაგან ეტიკეტის დაცვას არავინ მოელოდა. მისი წვრილბურჟუაზიული წარმომავლობა კი ადიუტანტების საქციელზეც აისახებოდა.

იმ საღამოს ჰიტლერმა ჩემს ცოლს პათოსით უთხრა: „თქვენი ქმარი ჩემთვის ისეთ ნაგებობებს აღმართავს, რომელთა დარი უკვე ოთხი საუკუნეა, აღარ შექმნილა“.

1933 წელს სიამოვნებით დავესწარი ნიურნბერგში პარტიის ყრილობის გახსნას, რომელიც ნიურნბერგის ოპერის თეატრში ბერლინის სახელმწიფო ოპერის დასის მიერ ვაგნერის „მაისტერზინგერების“ შესრულებით აღინიშნა. დირიჟორობდა ფურტვენგლერი. ამგვარი გალა-საღამო მხოლოდ ბაიროითის სპექტაკლებს თუ შეედრებოდა. ამიტომ მოველოდი, რომ დარბაზში ტევა არ იქნებოდა. NSDAP-ის ათასზე მეტ მაღალჩინოსანს დაეგზავნა მოსაწვევები და ბილეთები, მაგრამ როგორც ჩანს, მათ ნიურნბერგული ლუდისა და ფრანკონული ღვინის დაჭაშნიკებას მიანიჭეს უპირატესობა. თითოეული მათგანი ალბათ იმასაც ფიქრობდა, რომ მისი კოლეგები შეასრულებდნენ პარტიულ დავალებას და ოპერის თეატრში ისინი გაატარებდნენ მტანჯველ საათებს. დიახ, მხოლოდ და მხოლოდ ლეგენდაა ის, თითქოს პარტიის მთელ ხელმძღვანელობას აინტერესებდა მუსიკა. პარტიის ხელმძღვანელობის უმეტესი ნაწილი მოუხეშავი, გაუთლელი, სქელკანიანი ადამიანი იყო, რომელსაც არც მუსიკისა გაეგებოდა რამე და არც ხელოვნებისა და ლიტერატურის. ის რამდენიმე ინტელიგენტი ადამიანიც კი პარტიის უმაღლეს ეშელონებში, მათ შორის, მაგალითად, გოებელსი, არ ესწრებოდა ბერლინის ფილარმონიული ორკესტრის კონცერტებს ფურტვენგლერის დირიჟორობით. ამ კონცერტებზე მთელი პარტიული ხელმძღვანელობიდან მხოლოდ შინაგან საქმეთა მინისტრს - ფრიკს[60] თუ დაინახავდით. ჰიტლერიც კი, რომელიც მუსიკისადმი თითქოს დიდ ინტერესს იჩენდა, 1933 წლის შემდეგ მხოლოდ ოფიციალურ საღამოებზე თუ დადიოდა ბერლინის ფილარმონიაში.

როდესაც ჰიტლერმა „მაისტერზინგერების“ მოსასმენად ნიურნბერგის ოპერის თეატრის ცენტრალურ ლოჟაში დაიკავა ადგილი, ოპერის თეატრის დარბაზი თითქმის ცარიელი იყო. ფიურერი გაბრაზდა. მისი აზრით, ხელოვანისთვის არაფერი იყო იმაზე უფრო შეურაცხმყოფელი და მძიმე, როგორც ცარიელი დარბაზის წინაშე

გამოსვლა. ჰიტლერმა უსაფრთხოების სამსახურის თანამშრომლებს დაავალა, დაუყოვნებლივ მოეყვანათ ოპერის თეატრში პარტიული ფუნქციონერები. მაგრამ ვერც ამის შემდეგ მოხერხდა თეატრის დარბაზის შევსება. მეორე დღეს, ყრილობის საორგანიზაციო კომიტეტში ანეგდოტებს ჰყვებოდნენ იმაზე, თუ სად და რა ვითარებაში „აიყვანეს“ ის პარტიული ფუნქციონერები, რომლებმაც „მაისტერზინგერების“ გაცდენა დააპირეს: ზოგი სახლში, ზოგი დუქანში და ზოგიც - ლუდხანაში.

მომდევნო წელს ჰიტლერმა პირდაპირ უბრძანა თეატრის „მოყვარულ“ პარტიულ ბოსებს, აუცილებლად დასწრებოდნენ ყველა საზეიმო წარმოდგენას. და ისინიც ცხადდებოდნენ - იძულებით, ყოველგვარი ინტერესის გარეშე; წარმოდგენის დროს დროდადრო ძილიც კი ერეოდათ. ჰიტლერის აზრით, თავშეკავებული ოვაცია არ შეეფერებოდა შესანიშნავ შესრულებას. ამიტომ 1935 წლიდან ხელოვნებისადმი გულგრილად განწყობილ პარტიულ მასას სამოქალაქო მაყურებელი ჩაენაცვლა, რომელსაც თეატრისა თუ კონცერტის ბილეთები საკმაოდ ძვირად უნდა შეეძინა. მხოლოდ ამ გზით გახდა შესაძლებელი ხელოვანთათვის აუცილებელი „ატმოსფეროს“ შექმნა და მხოლოდ ამ გზით გაისმა დარბაზებში ხანგრძლივი და მქუხარე აპლოდისმენტები.

1934 წლის შემოდგომაზე ოტო მაისნერმა[61] დამირეკა (მაისნერისათვის ჰიტლერი მესამე უფროსი იყო ებერტისა და ჰინდენბურგის შემდეგ) და მითხრა, რომ მეორე დღეს მასთან ერთად ვაიმარში უნდა ჩავსულიყავი, იქიდან კი, ჰიტლერთან ერთად, ნაუმბურგში გავემგზავრებოდი.

უკვე დიდი ხანი იყო, რაც ერთი იდეა მაწუხებდა. პარტიული ყრილობებისთვის კიდევ ბევრი დიდი ნაგებობა უნდა აღმართულიყო: პოლიგონი ჯარისკაცების წვრთნებისა და აღლუმებისათვის, დიდი სტადიონი, დარბაზი ჰიტლერის მოხსენებებისათვის და საკონცერტო წარმოდგენებისათვის. ჩემი იდეა იმაში მდგომარეობდა, რომ ყოველივე ეს, უკვე არსებულ კომპლექსებთან ერთად, ერთ დიდ ცენტრად გამეერთიანებინა, მაგრამ ჰიტლერისათვის ამის თქმა ჯერ ვერ მომეხერხებინა.

ვაიმარში ჰიტლერმა პროფესორ პაულ შულტცე[62]-ნაუმბურგის მიერ შექმნილი „პარტიის ფორუმის“ ესკიზი მაჩვენა. „ეს ფორუმი პროვინციული ქალაქის უზარმაზარ საბაზრო მოედანს ჰგავს, - თქვა ჰიტლერმა, - მასში არაფერია ჩვენი ეპოქისთვის დამახასიათებელი, ის არაფრით განსხვავდება წინა წლებში აშენებული ნაგებობებისაგან. თუკი პარტიის ფორუმის აშენებას ვაპირებთ, მაშინ ამ ფორუმს მომავალშიც უნდა დაეტყოს, რომ ის ჩვენს დროში და ჩვენს სტილშია აშენებული“.

და ჰიტლერმა კონკურსი გამოაცხადა „პარტიის ფორუმის“ საუკეთესო პროექტზე.

შემდეგ იყო ვიზიტი ნიცშეს სახლში, სადაც ჰიტლერს ნიცშეს და, ქალბატონი ფერსტერ-ნიცშე[63] ელოდებოდა. ექსცენტრულ ქალბატონს გაუჭირდა ფიურერთან საუბარი, მაგრამ იმ საკითხის გადაწყვეტით, რომელიც მათი შეხვედრის მიზეზი იყო, ორივე მხარე კმაყოფილი დარჩა: ჰიტლერმა თავის თავზე აიღო ნიცშეს ძველ სახლზე ახალი მიშენებისთვის საჭირო ხარჯები, ხოლო ქალბატონი ფერსტერ-ნიცშე დათანხმდა, რომ ამ მიშენების პროექტი შულტცე-ნაუმბურგს შეესრულებინა: „ძველი სახლის სტილთან მისადაგება მას არ გაუჭირდება," - თქვა ჰიტლერმა.

მეორე დილით ნიურნბერგში გავემგზავრეთ მანქანით, თუმცა ჰიტლერს მატარებლით მგზავრობა უფრო უყვარდა. როგორც ყოველთვის, ჰიტლერი მძღოლის გვერდით იჯდა. ჩვენ ვმგზავრობდით მუქი ლურჯი მერსედესით, რომელსაც შვიდლიტრიანი კომპრესორი ჰქონდა; უკან ვისხედით: მე, მსახური, ადიუტანტი ბრიუკნერი და პრესის უფროსი, დოქტორი დიტრიხი; მეორე, ამავე ფერისა და ზომის, თანმხლებ მანქანაში ისხდნენ: ხუთი ჯანღონით სავსე დაცვის თანამშრომელი და ჰიტლერის პირადი ექიმი, დოქტორი ბრანდტი[64].

როგორც კი თიურინგიის ტყე გავიარეთ და მჭიდროდ დასახლებულ ადგილებში მოვხვდით, პრობლემებმა იჩინეს თავი. გზად ერთ დასახლებულ პუნქტს რომ ჩავუარეთ, გვიცნეს. მაგრამ ვიდრე ხალხი გონს მოვიდოდა, ჩვენ მათ ჩავუქროლეთ. ჰიტლერმა გაგვაფრთხილა, ახლა ყურადღებით იყავით, შემდეგ დასახლებულ პუნქტს ასე ადვილად ვეღარ გადავურჩებით, პარტიის საოლქო ჯგუფმა იქ ალბათ უკვე დარეკაო. მართლაც, მივუახლოვდით თუ არა სოფელს, დავინახეთ, რომ მისი ქუჩები სავსე იყო ხალხით, რომელიც სიხარულის ყიჟინით შეგვხვდა. სოფლის პოლიციელი ყველა ღონეს ხმარობდა, რომ ჩვენთვის გზა გაეკაფა, მაგრამ ჩვენი მანქანა კუს ნაბიჯით მიიწევდა წინ. სოფლის რამდენიმე აღფრთოვანებულმა მცხოვრებმა შლაგბაუმით გადაკეტა სოფლიდან გასასვლელი გზა.

გაჭირვებით მივიწევდით წინ. სადილის დრო რომ მოვიდა, ერთ პატარა დუქანში შევედით - ჰილდბურგჰაუზენში, სადაც წლების წინ ჰიტლერმა თავი ჟანდარმერიის კომისრად დაანიშნინა, რათა გერმანიის მოქალაქეობა მიეღო. მაგრამ ამ თემას ახლა არავინ ეხებოდა. დუქნის მეპატრონე და ოფიციანტები იმდენად აღელვებულები იყვნენ, რომ მენიუც კი ვერ შემოგვთავაზეს. რის ვაი-ვაგლახით მოახერხა ადიუტანტმა სადილის შეკვეთა - ჩვენ სპაგეტი კვერცხით ავირჩიეთ. საჭმელს დიდ ხანს ველოდებოდით. ბოლოს ადიუტანტი სამზარეულოში შევიდა და შემდეგ მოგვახსენა: „მზარეულები ისე ნერვიულობენ, რომ ვერ მიმხვდარან, სპაგეტი მოიხარშა თუ - არა."

ამასობაში გარეთ ათასობით ადამიანი მოგროვდა. ისინი ჰიტლერის სახელს სკანდირებდნენ. „ნეტავი, უკვე წასულები ვიყოთ აქედან," - თქვა ჰიტლერმა. სოფლის შუა საუკუნეების ჭიშკრამდე ყვავილების წვიმის ქვეშ გავიარეთ, მაგრამ სოფლის ახალგაზრდობამ ჭიშკარი ჩვენ თვალწინ დახურა. ბავშვები ავტომანქანების

სახურავებზე აცვივდნენ. ჰიტლერი იძულებული გახდა, ავტოგრაფები დაერიგებინა. მხოლოდ ამის შემდეგ გაგვიღეს ჭიშკარი. ხალხი იცინოდა, ჰიტლერმაც აუბა მათ მხარი.

ყველგან, სადაც ჩვენმა მანქანამ ჩაიარა, გლეხები თავს ანებებდნენ სამუშაოს, ქალები ხელს გვიქნევდნენ. ეს იყო ტრიუმფალური სვლა. მანქანამ სიჩქარე აკრიფა. უცებ ჰიტლერი საზურგეს მიეყრდნო, გადმომხედა და წარმოთქვა: „აქამდე ასეთი ზარ-ზეიმით მხოლოდ ერთ გერმანელს ხვდებოდნენ - ლუთერს!“

სოფლის მოსახლეობის აღფრთოვანებით გაბრუებულები ვიყავით. მანქანაში მხოლოდ ერთი ადამიანი იყო კრიტიკულად განწყობილი - ჰიტლერის მძღოლი შრეკი. მგზავრობის დროს მისი ჰიტლერთან საუბრის ფრაგმენტები ჩამესმა ყურში: „უკმაყოფილოები არიან... პარტიის წევრებს საკუთარ თავზე დიდი წარმოდგენა აქვთო... მეტისმეტად ამპარტავნები არიან, დაავიწყდათ საკუთარი წარმომავლობაო...“

შრეკი ნაადრევად გარდაიცვალა. მისი გარდაცვალების შემდეგ ჰიტლერმა ობერზალცბერგის სახლის სამუშაო ოთახში კედელზე დედამისის პორტრეტის გვერდით მამამისის კი არა, შრეკის ზეთში შესრულებული პორტრეტი დაკიდა.

ბაიროითში ჩასვლამდე ჰიტლერი პატარა გადახურულ მერსედესში გადაჯდა, რომელსაც მისი პირადი ფოტოგრაფი ჰოფმანი მართავდა. ასე „ინკოგნიტოდ“ ჩავიდა იგი ვილა „ვანფრიდ“ -ში, სადაც მას ქალბატონი ვინფრედ ვაგნერი[65] ელოდებოდა. ჩვენ კი ბერნეკში - ახლოს მდებარე კურორტის სასტუმროში დავბინავდით.

იქ შევიტყვე, რომ ჰიტლერი ვანფრიდიდან[66] მხოლოდ ღამით დაბრუნდებოდა, მეორე დღეს, დილით ადრე უნდა გავმგზავრებულიყავით ნიურნბერგში, სადაც ჰიტლერს სამშენებლო პროგრამა უნდა დაემტკიცებინა. მას ამ ღამით მხოლოდ შრეკი ნახავდა, ამიტომ შრეკს გავუმხილე ჩემი სამშენებლო გეგმა. ისიც შემპირდა, რომ ყოველივეს ჰიტლერს მოახსენებდა და თუ ჰიტლერს დადებითი რეაქცია ექნებოდა, ესკიზსაც გადასცემდა.

მეორე დილით, გამგზავრებამდე ცოტა ხნით ადრე, ჰიტლერის ოთახში გამომიძახეს: „თქვენი პროექტი მომეწონა, თანახმა ვარ! დღესვე დაველაპარაკები ამის თაობაზე ობერბიურგერმაისტერ ლიბელს.“

იმ ხანად, 1935 წელს, ჰიტლერი ჯერ კიდევ არ იყო ბოლომდე სუვერენული, ამიტომ ლიბელთან საუბრისას, წინასწარი განმარტებისთვის მას ერთი საათი დასჭირდა, ვიდრე ობერბიურგერმაისტერის მაგიდაზე ჩემს ესკიზს დადებდა. რაღა თქმა უნდა, ლიბელს ჩემი ესკიზი ძალიან მოეწონა (როგორც პარტიული ამხანაგი, ლიბელი დათანხმების სულისკვეთებით იყო გამსჭვალული).

იმავე დღეს მატარებლით მიუნხენში გავემგზავრეთ, საღამოს კი ბრიუკნერმა დამირეკა: „ეშმაკმა დალახვროს თქვენი პროექტიც და თქვენც! მოცდა არ შეგეძლოთ? ფიურერმა წუხელ თვალი ვერ მოხუჭა, ისე იყო აღელვებული და აღგზნებული. შემდეგში, კეთილი ინებეთ, და ჯერ მე დამეკითხეთ!“

1937 წლის პარტიის ყრილობაზე ჰიტლერმა საფუძველი ჩაუყარა ახალი სტადიონის მშენებლობას. ყრილობის დახურვაზე წარმოთქმული სიტყვა კი შემდეგნაირად დაასრულა: „გერმანელი ერი ბოლოს და ბოლოს ეღირსა თავის გერმანულ რაიხს!“ ამავე დღეს, სადილის დროს ჰიტლერის ადიუტანტი ბრიუკნერი ჰყვებოდა, რომ ჰიტლერის ბოლო სიტყვების გაგონებისას ფელდმარშალი ფონ ბლომბერგი[67] მოულოდნელობისა და აღელვებისაგან ატირებულა. ჰიტლერს კი ფონ ბლომბერგის ემოციის ასეთი გამოხატვა ისე აღუქვამს, როგორც მისი სიტყვების გაზიარება.

მაშინ ბევრს ლაპარაკობდნენ, რომ ჰიტლერის ეს იდუმალებით სავსე წინადადება დიდი პოლიტიკის ახალი მონაკვეთის დასაწყისს მოასწავებდა.

ყველაზე დიდი შეკვეთა

ჰიტლერი ობერზალცბერგის ბაღში ბოლთას სცემდა. „მართლა არ ვიცი, როგორ მოვიქცე. ეს ძალიან ძნელი გადასაწყვეტია. მირჩევნია, ინგლისელებს მივემხრო, მაგრამ ინგლისელების ნდობა, როგორც ამას ისტორია გვიჩვენებს, იშვიათად თუ შეიძლება. თუ ინგლისს მივემხრობი, მაშინ იტალიასა და ჩვენ შორის ყველაფერი სამუდამოდ დამთავრდება. მერე ინგლისელებიც მიმატოვებენ ბედის ანაბარა და ჩვენ, გერმანელები, პირში ჩალაგამოვლებულები დავრჩებით.“ ამგვარ აზრებს ხშირად გამოთქვამდა ფიურერი 1935 წლის შემოდგომაზე ობერზალცბერგში, თავის უახლოეს გარემოცვასთან. მუსოლინიმ[68] იმ დღეებში დაიწყო აბისინიის მასირებული დაბომბვა. ნეგუსი[69] გაიქცა. ახალი „რომის იმპერია“ გამოცხადდა.

1934 წლის ივნისში შედგა ჰიტლერის ნაკლებად წარმატებული ვიზიტი იტალიაში. მართალია, ჰიტლერს მუსოლინის მიმართ უნდობლობა არ გასჩენია, მაგრამ სამაგიეროდ ეს გრძნოდა მას იტალიელებისა და იტალიური პოლიტიკის მიმართ აღეძრა. და რადგანაც ეჭვი სულ უფრო და უფრო უძლიერდებოდა, გაახსენდა ჰინდენბურგის პოლიტიკური ანდერძი, რომლის თანახმადაც გერმანია აღარასოდეს არ უნდა გამხდარიყო იტალიის მოკავშირე. ერთა ლიგამ ინგლისის მეთაურობით შემოიღო ეკონომიკური სანქციები იტალიის წინააღმდეგ. ახლა აუცილებელია საბოლოო გადაწყვეტილების მიღება, ფიქრობდა ჰიტლერი - იტალია თუ ინგლისი... ეს გადაწყვეტილება გრძელვადიანი პერსპექტივის მქონე იქნებოდა. ჰიტლერი ხშირად საუბრობდა თავის მზადყოფნაზე, მიეცა ინგლისელებისათვის თავიანთი იმპერიის შენარჩუნების გარანტია, სანაცვლოდ ინგლისი გერმანიის სრული

მოკავშირე უნდა გამხდარიყო. მაგრამ მოვლენები სულ სხვაგვარად განვითარდა და ჰიტლერს სხვა გზა აღარ რჩებოდა, გარდა იმისა, რომ მუსოლინის მიმხრობოდა. ამ გადაწყვეტილების მიღება ჰიტლერისათვის ადვილი არ იყო, მიუხედავად იმისა, რომ ჰიტლერსა და მუსოლინის ერთმანეთთან კარგი ურთიერთობა და ერთი იდეოლოგია ჰქონდათ. ჰიტლერი ისევ და ისევ ხაზს უსვამდა იმ გარემოებას, რომ ის იძულებული გახდა, ამგვარი ნაბიჯი გადაედგა. ამდენად ფიურერმა შვებით ამოისუნთქა, როდესაც რამდენიმე კვირის შემდეგ გაირკვა, რომ იტალიას საბოლოოდ დადგენილი სანქციების ძირითადი პუნქტები არ შეეხო. აქედან გამომდინარე ჰიტლერმა დაასკვნა, რომ ინგლისსა და საფრანგეთს რისკზე წასვლა არ უნდოდათ და ყოველგვარ საფრთხეს გაურბოდნენ.

ჰიტლერი კიდევ უფრო დარწმუნდა თავისი თვალსაზრისის მართებულობაში მას შემდეგ, რაც 1936 წლის 7 მარტს გერმანიის ჯარმა განიარაღებული რაინლანდი ყოველგვარი დაბრკოლების გარეშე დაიკავა. ეს იყო აშკარა დარღვევა ლოკარნოს ხელშეკრულებისა, რომლის თანახმადაც მონაწილე სახელმწიფოების საპასუხო სამხედრო მოქმედება გამართლებული იქნებოდა. ჰიტლერი პირველ რეაქციას ელოდებოდა და ძალიან ნერვიულობდა. მატარებელში, რომლითაც ჩვენ 7 მარტს მიუნხენში ვბრუნდებოდით, კუპედან კუპეს გადაეცემოდა დამუხტული ატმოსფერო, რომელიც ფიურერის ვაგონიდან ვრცელდებოდა. ერთ-ერთ გაჩერებაზე ფიურერს ახალი ამბავი შეატყობინეს. ჰიტლერმა ამოისუნთქა: „როგორც იქნა! ინგლისის მეფე ამაში არ ჩაერევა. ის თავის პირობას შეასრულებს. მაშ, ყველაფრი კარგად იქნება.“ ჰიტლერის რეაქცია იმაზე მეტყველებდა, რომ ის ცუდად ერკვეოდა, თუ რამდენად მცირე კონსტიტუციური უფლებებით სარგებლობდა ინგლისის სამეფო ტახტი პარლამენტსა და მთავრობასთან შედარებით. რა თქმა უნდა, სამხედრო ინტერვენციის განსახორციელებლად მაინც მეფის თანხმობა გახდებოდა საჭირო და შესაძლოა, ჰიტლერი სწორედ ამას გულისხმობდა. ყოველ შემთხვევაში, ის ძალიან წუხდა და მოგვიანებითაც, როდესაც ჰიტლერი უკვე მთელ მსოფლიოს ეომებოდა, რაინისპირეთის დაკავებას იგი თავისი ნაბიჯებიდან ყველაზე მეტად სარისკოდ მიიჩნევდა: „ჩვენ არ გვყავდა რითიმე ძლიერი არმია; ჩვენი სამხედრო ძალები იმისთვისაც კი არ იყო საკმარისი, რომ თუნდაც პოლონეთზე გაგვემარჯვა. ფრანგებს რომ ჩვენთვის სერიოზული წინააღმდეგობა გაეწიათ, რამდენიმე დღეში ულაპარაკოდ დაგვამარცხებდნენ. რაც შეეხება ჩვენს საჰაერო ძალებს, ეს მართლაც სასაცილო იყო: ჩვენი საჰაერო ძალები მაშინ მხოლოდ რამდენიმე JU 52 ტიპის თვითმფრინავით შემოიფარგლებოდა, ხოლო ბომბები ამ თვითმფრინავებისთვისაც კი არ იყო საკმარისი.“ მას შემდეგ, რაც ინგლისის მეფემ - ედუარდ VIII-მ[70] ტახტზე უარი განაცხადა, ჰიტლერი ხშირად იხსენებდა ხოლმე ახლა უკვე უინძორის ჰერცოგის კეთილგანწყობას ნაციონალ-სოციალისტური გერმანიისადმი: „დარწმუნებული ვარ, მისი წყალობით გერმანია ხანგრძლივ, მეგობრულ ურთიერთობას დაამყარებდა ინგლისთან. ედუარდი ტახტზე რომ დარჩენილიყო, ყველაფერი სხვაგვარად წარიმართებოდა. მისი გადადგომა ჩვენთვის დიდი

დანაკლისი იყო.“ ჰიტლერი ნანობდა, რომ მან ვერ შეძლო ინგლისთან შეკავშირება და ეს სინანული მისი მმართველობის მთელ პერიოდს გასდევდა. ეს გრძნობა ჰიტლერს კიდევ უფრო გაუღრმავდა 1937 წლის 22 ოქტომბერს, იმ დღეს, როდესაც უინძორის ჰერცოგი და მისი მეუღლე ჰიტლერს ობერზალცბერგში ესტუმრნენ; ამ ვიზიტის დროს ჰერცოგს შეუქია მესამე რაიხის მიღწევები.

რაინლანდის დაკავებიდან რამდენიმე თვის შემდეგ ჰიტლერი გახარებული ჩანდა ოლიმპიური თამაშების ჰარმონიული ატმოსფეროთი: საერთაშორისო კრიტიკის ქარცეცხლმა, როგორც ჩანს, გადაიარა. ჰიტლერმა ბრძანება გასცა, მრავალრიცხოვანი ცნობილი უცხოელი სტუმრისთვის ისეთი შთაბეჭდილება შეექმნათ, თითქოს გერმანია მშვიდობის მოყვარული ქვეყანა იყო. ჰიტლერი დიდი მღელვარებით ადევნებდა თვალყურს სპორტულ შეჯიბრებებს; გერმანელთა მრავალი წარმატება ოლიმპიურ თამაშებზე მას უზომოდ ახარებდა. მაგრამ ამასთან ერთად ჰიტლერი უსაზღვროდ გააღიზიანა შავკანიანი ამერიკელი მორბენლის - ჯეს ოუენსის გამარჯვებების მთელმა რიგმა. ადამიანები, რომელთა წინაპრები ჯუნგლებში ცხოვრობდნენ, პრიმიტიულები არიან, თუმცა ისინი ცივილიზებულ თეთრკანიანებთან შედარებით ათლეტური გარეგნობით გამოირჩევიან, ამდენად ისინი თანაბარი კონკურენტები ვერ იქნებიან, ამიტომ მათ (შავკანიანებს) მომავალში უნდა აეკრძალოთ სპორტულ შეჯიბრებებში და ოლიმპიურ თამაშებში მონაწილეობაო, - თვლიდა ჰიტლერი.

ჰიტლერზე განსაკუთრებით დიდი შთაბეჭდილება მოახდინა ბერლინელების სიხარულის ყიჟინამ, რაც ოლიმპიურ სტადიონზე ფრანგული გუნდის საზეიმო პროცესიამ გამოიწვია. ფრანგებმა მისალმების ნიშნად აწეული ხელით ჩაუარეს საპატიო ტრიბუნაზე მდგომ ფიურერს და ამით მრავალი მაყურებლის გული მოიგეს. ჰიტლერს კი მაყურებელთა ხანგრძლივ ოვაციაში მოესმა ხალხის ხმა, რომელიც გამოხატავდა მეზობელ ქვეყანასთან მეგობრული და მშვიდობიანი ურთიერთობის დამყარების სურვილს. თუ მე ეს სწორად აღვიქვი, ჰიტლერი ბერლინელების ამ ყიჟინამ უფრო შეაშფოთა, ვიდრე გაახარა.

1936 წლის გაზაფხულზე ჰიტლერმა ჩემთან ერთად მოინახულა მშენებარე ავტოსტრადა. საუბრის დროს მან ასეთი რამ მითხრა: „მე კიდევ ერთი სამშენებლო დავალება დამრჩა მოსაცემი. ყველაზე დიდი, რაც კი აქამდე ყოფილა.“ ეს იყო და ეს. მეტი არაფერი უთქვამს.

როგორც ჩანს, ჰიტლერს 1936 წლის ზაფხულამდე განზრახული ჰქონდა, ქალაქის ადმინისტრაციას ბერლინის პროექტები დაემუშავებინა. გამომიძახა და სიტყვაძუნწად და საქმიანად დამავალა: „ამ ქალაქს ვერაფერი მოვუხერხე. ამიერიდან თქვენ შექმნით პროექტებსა და ესკიზებს. ეს ნახაზებიც თან წაიღეთ. როგორც კი რამე გექნებათ მზად, მაჩვენეთ. როგორც იცით, ამისთვის დრო ყოველთვის მაქვს“.

რაიხსტაგის ახლოს, ბერლინის ჩრდილოეთით, ჰიტლერს უზარმაზარი გუმბათიანი კონგრესჰალეს აშენება ჰქონდა დაგეგმილი, თანაც ისეთი ზომის, რომ მასში რომის წმინდა პეტრეს მოედანი მრავალჯერ დატეულიყო. გუმბათის დიამეტრი 250 მეტრი უნდა ყოფილიყო. 38 000 კვადრატული მეტრის ფართობზე 150 000 ფეხზე დასადგომი ადგილი იყო გათვალისწინებული.

სამხრეთის რკინიგზის სადგურიდან ცოტა მოშორებით, კონგრესჰალეს საპირისპირო მხარეს, ჰიტლერს სურდა, აეშენებინა ტრიუმფალური თაღი, რომლის სიმაღლე 120 მეტრი უნდა ყოფილიყო. „ეს იქნება პირველ მსოფლიო ომში დაღუპული გერმანელების ხსოვნისადმი მიძღვნილი ღირსეული ძეგლი. ყველა მილიონ რვაასი ათასი დაღუპულის სახელი ამოტვიფრული იქნება გრანიტის ქვაზე. ბერლინის ახლანდელი ხსოვნის მემორიალი მათ ღირსებას არ შეეფერება. ის ღარიბულია და დიდ ერს არ ეკადრება.“ ჰიტლერმა გადმომცა ორ პატარა ბარათზე ჩახატული ესკიზები და მითხრა: „ეს ნახაზები ათი წლის წინ გავაკეთე. ვინახავდი, რადგან არასოდეს მეპარებოდა ეჭვი, რომ ერთ მშვენიერ დღეს გამომადგებოდა. ახლა მათი ხორცშესხმის დროც დადგა“.

გასაოცარი ჰიტლერის ნახაზებში ნაგებობის უზარმაზარი მასშტაბები კი არ იყო, არამედ ის, თუ როგორი ჟინით გეგმავდა ის მონუმენტურ ტრიუმფალურ თაღებს მაშინ, როცა მათი განხორციელების სულ მცირე იმედიც კი არ არსებობდა.

„ბერლინი დიდი ქალაქია, მაგრამ ის არ არის მსოფლიო ქალაქი. შეხედეთ პარიზს - მსოფლიოს ულამაზეს ქალაქს! ან, თუნდაც, ვენას! აი, ქალაქები ესენია. ბერლინი კი სხვა არაფერია, თუ არა უწესრიგოდ დალაგებული ქვების გროვა. ჩვენ უკან უნდა მოვიტოვოთ პარიზიც და ვენაც,“ - ამბობდა ხოლმე ჰიტლერი პირად საუბრებში.

ჰიტლერისათვის ბერლინის არქიტექტურული რეკონსტრუქციის ამოსავალი წერტილი იყო ორი კილომეტრის სიგრძის ელისეს მინდვრები თავისი 50 მეტრის სიმაღლის ტრიუმფალური თაღით, რომელიც 1805 წელს ააგო ნაპოლეონ[71] პირველმა. აქედან მომდინარეობდა „დიდი თაღის“ აშენების იდეაც და აქედანვე იღებდა სათავეს ჰიტლერის წარმოდგენა ფართო ქუჩებზე: „ელისეს მინდვრების სიგანე 100 მეტრია. ჩვენი ქუჩა ოცი მეტრით ფართო უნდა იყოს. როდესაც შორსმჭვრეტელი კურფიურსტი XVII საუკუნეში 60 მეტრის სიგანის „უნტერ დენ ლინდენ“-ს აგებდა, ის ვერ წარმოიდგენდა (ისევე როგორც ჰაუსმანი[72], რომელმაც პარიზის ელისეს მინდვრები დააპროექტა), თუ როგორი მძლავრი იქნებოდა ტრანსპორტის მოძრაობა ჩვენს დროში.“

ამ გეგმების განსახორციელებლად ჰიტლერმა სახელმწიფო მდივანს - ლამერსს მისცა განკარგულება, რომლის თანახმადაც მე დიდი უფლებამოსილება მენიჭებოდა და უშუალოდ ლამერსის დაქვემდებარებაში ვიმუშავებდი. არც შინაგან საქმეთა მინისტრს, არც ბერლინის ობერბიურგერმაისტერს და არც ბერლინის გაულაიტერ გოებელსს ჰქონდა უფლება, ჩემს მუშაობაში ჩარეულიყო. ჰიტლერმა ხაზგასმით

ამიკრძალა ჩემი ნახაზების ჩვენება პარტიის ან ქალაქის გამგეობისთვის. როდესაც ჰიტლერს გავუმხილე, რომ ამ დავალების შესრულებაც დამოუკიდებელი არქიტექტორის სტატუსით მსურდა, ის მაშინვე დამთანხმდა. სახელმწიფო მდივანმა ლამერსმა გამოძებნა სამართლებრივი ფორმა, რომლის თანახმადაც ჩემი სამსახური უწყებრივი ხასიათისა არ იყო, მას დამოუკიდებელი კვლევითი ინსტიტუტის სტატუსი ჰქონდა მინიჭებული.

1937 წელს ოფიციალურად დამევალა ჰიტლერის ყველაზე დიდი სამშენებლო პროექტის განხორციელება. ფიურერი დიდხანს ეძებდა კეთილხმოვან ფორმულირებას ჩემი საპატიო თანამდებობისათვის; ბოლოს და ბოლოს ფუნკმა ასეთი რამ მოიფიქრა: „რაიხის დედაქალაქის შენობა-ნაგებობათა გენერალური ინსპექტორი“.

ამავე წლის თებერვალში ჰიტლერმა განათლების მინისტრს მოსთხოვა, ჩემი უწყებისთვის (შემოკლებით GBI) პარიზის მოედანზე მდებარე ხელოვნების აკადემიის დიდებული შენობა დაეთმო. ჰიტლერმა ეს შენობა იმიტომ აირჩია, რომ მას ყოველთვის შეეძლებოდა მისი ყველასათვის შეუმჩნევლად სტუმრობა მინისტრების ბაღის გავლით, რომელიც რაიხსტაგსა და ხელოვნების აკადემიას შორის მდებარეობდა.

ჰიტლერის ქალაქის გაშენების იდეას ერთი ნაკლი ჰქონდა: ის არ იყო ბოლომდე გააზრებული. ჰიტლერი იმდენად იყო შეპყრობილი სურვილით, ბერლინის ელისეს მინდვრები პარიზის ორიგინალზე ორნახევარჯერ უფრო გრძელი ყოფილიყო, რომ სრულიად გამორჩა მხედველობიდან, ოთხმილიონიანი ქალაქის სტრუქტურა გაეთვალისწინებინა. ქალაქის დამგეგმარებლისათვის კი ამგვარ ქუჩას გარკვეული მნიშვნელობა და ფუნქციაც უნდა ჰქონოდა. ჰიტლერისთვის ეს ქუჩა მხოლოდ მდიდრულ დეკორაციას წარმოადგენდა. ამ ქუჩის გაყვანით ვერც ბერლინის სატრანსპორტო პრობლემა გადაიჭრა.

ჰიტლერი გატაცებული იყო მონუმენტური ნაგებობებით, რომლებიც სამარადჟამოდ იდგებოდა, როგორც მისი ეპოქის ძეგლები; ხოლო სატრანსპორტო სტრუქტურების, საცხოვრებელი კომპლექსებისა და გამწვანების მიმართ იგი არანაირ ინტერესს არ იჩენდა: სოციალური გარემოს მიმართ ჰიტლერი სრულიად გულგრილი იყო.

გერმანული ოლიმპიური კომიტეტი ერთობ არასასიამოვნო მდგომარეობაში აღმოჩნდა, როდესაც ჰიტლერმა შინაგან საქმეთა სამინისტროს სახელმწიფო მდივანს - პფუნდტნერს სთხოვა, ეჩვენებინა მისთვის სტადიონის ახალი შენობის ესკიზები. ეს ნაგებობა სტადიონის არქიტექტორს - ოტო მარხს ვენის სტადიონის მსგავსად წარმოედგინა - ბეტონის შენობა შემინული კედლებით. ამ ესკიზის ნახვის შემდეგ ჰიტლერი განრისხებული დაბრუნდა თავის ბინაში, სადაც მე დამიბარა ჩემი ნახაზებით. მანამდე კი სახელმწიფო მდივნისთვის შეუთვლია, რომ გერმანია უარს ამბობდა ოლიმპიური თამაშების ბერლინში ჩატარებაზე. ფიურერის განკარგულების

გარეშე ოლიმპიური თამაშები ვერ ჩატარდებოდა, რადგან თამაშები სახელმწიფოს მეთაურს - ე. ი. მას უნდა გაეხსნა. მაგრამ იმგვარ შუშის კოლოფში, როგორიც არქიტექტორ ოტო მარხის ესკიზზე ნახა, ჰიტლერი არასოდეს შევიდოდა. ამიტომ მე ერთ ღამეში შევქმენი ახალი ესკიზი. ამ ესკიზით გათვალისწინებული იყო პირვანდელი კონსტრუქციის ჩონჩხის ბუნებრივი ქვით დაფარვა და უფრო მყარი მასალის კარ-ფანჯრის ჩასმა. შუშის კედლები კი საერთოდ ამოვიღე. ესკიზმა ჰიტლერი დააკმაყოფილა და მზადყოფნაც გამოთქვა, რომ დამატებითი ხარჯები გაეღო. პროფესორი მარხი დათანხმდა ცვლილებებს და ოლიმპიური თამაშების ბერლინში ჩატარების ბედიც გადაწყდა.

1937 წლის პარიზის მსოფლიო გამოფენაში გერმანიის მონაწილეობაზე ჰიტლერმა თავიდან ცივი უარი განაცხადა, თუმცა გერმანულ მხარეს მიწვევა მიღებული ჰქონდა და გერმანული პავილიონის მშენებლობის ადგილიც უკვე შერჩეული იყო. ჰიტლერს წარმოდგენილი ესკიზები არ მოეწონა. ამიტომ მან ეკონომიკის სამინისტროს მიმართა თხოვნით, რომ პავილიონის ესკიზები მე შემესრულებინა. საგამოფენო ტერიტორიაზე საბჭოთა კავშირისა და გერმანიის პავილიონები ერთმანეთის პირდაპირ მდებარეობდა - ასეთი იყო საფრანგეთის მხარის ჩანაფიქრი. პარიზში ყოფნის დროს სრულიად შემთხვევით მოვხვდი იმ დარბაზში, რომელშიც გამოფენილი იყო საგულდაგულოდ და საიდუმლოდ დაცული საბჭოთა პავილიონის მაკეტი: მაღალ პიედესტალზე წარმოდგენილი იყო 10 მეტრის სიმაღლის ფიგურები, რომლებიც ტრიუმფალურად მიაბიჯებდნენ გერმანიის პავილიონის მიმართულებით. სასწრაფოდ შევქმენი ჩვენი პავილიონის ესკიზი მასიური კუბის სახით, რომელიც სწორკუთხა მძიმე კოლონებად იყო დაყოფილი. მონუმენტი თითქოს რუსული ფიგურების შემოტევას იგერიებდა. ხოლო ჩემი კოშკის კარნიზიდან ამ ფიგურებს არწივი გადმოჰყურებდა, რომელსაც კლანჭებში სვასტიკა ეპყრა. ამ პავილიონის აშენებისთვის ოქროს მედალი მომანიჭეს; სხვათა შორის, ოქროს მედალი ჩემმა საბჭოთა კოლეგამაც მიიღო.

ჩვენი პავილიონის საზეიმო გახსნისადმი მიძღვნილ სადილზე შევხვდი საფრანგეთის ელჩს ბერლინში - ბატონ ანდრე ფრანსუა-პონსეს[73]. მან შემომთავაზა, პარიზში გამომეფინა ჩემი ნამუშევრები, ხოლო ბერლინში თანამდროვე ფრანგი მხატვრების ნამუშევრების გამოფენა გამართულიყო. პირველი შესაძლებლობისთანავე ამ იდეის შესახებ ჰიტლერს მოვახსენე. მაგრამ მისთვის არასასურველ ინფორმაციას ჰიტლერი ურეაქციოდ ტოვებდა ხოლმე. ახლაც არაფერი უთქვამს. ეს შეიძლებოდა, უარის ნიშანიც ყოფილიყო და - თანხმობისაც. მაგრამ დაუწერელი კანონის თანახმად, ამა თუ იმ თემას აღარ ვუბრუნდებოდით ხოლმე.

ობერზალცბერგი

ყველა, ვისაც ძალაუფლება უპყრია ხელთ, იქნება ეს საწარმოს ხელმძღვანელი, მთავრობის მეთაური თუ დიქტატორი, მუდამ კონფლიქტის საფრთხის წინაშე დგას. მაღალი მდგომარეობის გამო ყველა ისე იღწვის მისი კეთილგანწყობის მოსაპოვებლად, რომ მისმა ხელქვეითებმა, შესაძლოა, კორუფციასაც კი მიჰყონ ხელი და ამით მხოლოდ კორუმპირებულ კარისმხლებლებად გადაქცევა კი არ ემუქრებათ, არამედ იმის ცდუნებასაც ეძლევიან, რომ თავიანთი თვალშისაცემი ერთგულებით თვითონ ხელისუფალი მოისყიდონ.

ხელისუფლის ღირსებას კი ის განსაზღვრავს, თუ როგორ რეაგირებს იგი ამ ორმხრივ გავლენაზე. მე შევხვედრივარ მთელ რიგ მეწარმეებსა და სამხედროებს, რომელთაც შეძლეს გაეძლოთ ამ ცდუნებისათვის. როდესაც ძალაუფლება თაობიდან თაობას გადაეცემა, მაშინ არცთუ იშვიათად შეიძლება, წააწყდეთ მემკვიდრეობით გადაცემულ მოუსყიდველობას. ჰიტლერის ახლო გარემოცვაში მხოლოდ ცალკეულმა ადამიანებმა შეძლეს გაეძლოთ ასეთი ცდუნებისათვის (ერთ-ერთი ასეთი პიროვნება იყო ფრიდც ტოდტი[74]). თავად ჰიტლერი კორუფციასა და კორუმპირებული სტრუქტურების არსებობას ჯეროვან წინააღმდეგობას ვერ უწევდა.

თავისი მმართველობის განსაკუთრებული სტილის გამო ჰიტლერი თანდათან უფრო და უფრო მოექცა მარტოობის ტყვეობაში (განსაკუთრებით 1937 წლის შემდეგ). ჰიტლერს საერთოდ უჭირდა ადამიანებთან ურთიერთობის დამყარება. ჩვენ - მისი გარემოცვა მაშინ მის მეტამორფოზაზეც კი ვლაპარაკობდით, რაც სულ უფრო და უფრო თვალშისაცემი ხდებოდა. სწორედ მაშინ გამოვიდა ჰაინრიხ ჰოფმანის წიგნის - „ჰიტლერი, როგორსაც მას არავინ იცნობს“ - ახალი გამოცემა. ძველი გამოცემის გაყიდვა აიკრძალა იმის გამო, რომ მასში იყო ფოტო, რომელზეც ჰიტლერი და რემი ერთად იყვნენ აღბეჭდილები. ახალი გამოცემის ფოტოები ჰიტლერმა პირადად შეარჩია. ამ სურათებზე ჰიტლერი ნაჩვენები იყო როგორც იოვიალური, თავისუფალი ადამიანი: მოკლე ტყავის შარვალში, ნიჩბიან ნავში, მინდორზე წამოწოლილი, ბუნებაში სეირნობის დროს, აღფრთოვანებული ახალგაზრდების გარემოცვაში, ანდა ხელოვანთა სახელოსნოებში სტუმრობისას. ყველა სურათზე ჰიტლერი იყო თავისუფალი, მეგობრული და კომუნიკაბელური. ეს წიგნი ჰოფმანის უდიდესი წარმატება იყო, მაგრამ ამ წიგნში ასახული ჰიტლერი არ ჰგავდა იმ ჰიტლერს, რომელიც მისი უახლოესი გარემოცვისთვისაც კი უარყოფით პიროვნებად და გულჩათხრობილ დესპოტად გადაიქცა.

1937 წლის მაისის ბოლოს ობერზალცბერგში საკუთარი დასასვენებელი სახლი გამიჩნდა. ასე გავხდი ჰიტლერის, გერინგისა და ბორმანის შემდეგ, ობერზალცბერგის მეოთხე მოსახლე. რა თქმა უნდა, თავს ბედნიერად ვთვლიდი, რომ მათ ასე ადვილად მიმიღეს თავიანთ წრეში.

ობერზალცბერგის ნამდვილი მფლობელი ბორმანი იყო. მან აიძულა იქაური გლეხობა, თავიანთი მრავალსაუკუნოვანი სახლები კარ-მიდამოებიანად მისთვის მიეყიდათ. ბორმანმა ეს სახლები შეძენისთანავე დაანგრევინა, ბაღები, სამიწათმოქმედო ნაკვეთები და საძოვრები ააჩეხინა და გააკაფინა, რასაც საეკლესიო მრევლის პროტესტი მოჰყვა. ამის მიუხედავად, ბორმანმა იმ მიდამოებში არსებული სახელმწიფოს საკუთრებაში არსებული ტყეებიც შეისყიდა და მანამ არ მოისვენა, სანამ თითქმის 1900 მეტრის სიმაღლე მთისა და 1300 მეტრის სიმაღლეზე მდებარე ხეობის მფლობელიც არ გახდა. მისი საკუთრების ფართობი 7 კვადრატულ კილომეტრს შეადგენდა და 14 კილომეტრის სიგრძის ღობით იყო გარშემორტყმული.

ბორმანისათვის ბუნებრივი ნაკრძალი არაფერს ნიშნავდა, ამიტომ მან შესყიდული ტერიტორიის დიდებული ლანდშაფტი ყოველგვარი სინდისის ქენჯნის გარეშე ქუჩების ქსელით გადასერა: ტყის ბილიკებზე, სადაც უხვად იზრდებოდა წიწვოვანი ხეები, ასფალტი დააგებინა. ყაზარმა, უზარმაზარი გარაჟი, სასტუმრო ჰიტლერის სტუმრებისთვის, ახალი სახლი, ნაგებობა მომსახურე პერსონალისათვის, რომლის რაოდენობაც გამუდმებით იზრდებოდა - ყოველივე ეს ისე სწრაფად აშენდა, თითქოს ობერზალცბერგი ის კურორტი ყოფილიყო, რომელიც ეს-ესაა მოდაში შემოვიდა.

1935 წლის ზაფხულში ჰიტლერმა გადაწყვიტა, თავისი მორიდებული სახლი მთებში წარმომადგენლობით ვილა „ბერგჰოფად“ გადაეკეთებინა. მშენებლობისთვის საჭირო თანხის გადახდას ჰიტლერი თვითონ აპირებდა. ბერგჰოფის პროექტის ესკიზიც თვითონ ჰიტლერმა შექმნა.

ჰიტლერის ძველი და ახალი სახლი ერთმანეთთან დაკავშირებული იყო დიდი, ღია დერეფნით, რაც მინცდამაინც მოსახერხებელი არ იყო. განსაკუთრებულ დისკომფორტს კი მაშინ ქმნიდა, როდესაც ოფიციალური სტუმრები ჩამოდიოდნენ. სტუმრების თანმხლები პირები იძულებული იყვნენ, ესარგებლათ უღიმღამო შემოსასვლელით, რომელიც ერთდროულად საპირფარეშოს, კიბის უჯრედსა და დიდ სასადილო ოთახს უკავშირდებოდა.

ოფიციალური სტუმრების მიღების დროს ჰიტლერის პირადი სტუმრები ზედა სართულზე უნდა დამალულიყვნენ.

ჰიტლერი ძალიან ამაყობდა მის მიერ დაპროექტებული ფანჯრით, რომელიც ძალიან დიდი იყო და გვერდულად იღებოდა. ამ ფანჯრიდან იშლებოდა მშვენიერი ხედი უნტერსბერგის[75], ბერხტესგადენისა და ზალცბურგისკენ. ამ ფანჯრის ქვეშ ჰიტლერის განკარგულებით განათავსეს გარაჟი მისი მანქანისთვის და თუ ქარი არახელსაყრელი მიმართულებით დაუბერავდა, მისაღებ ოთახში ბენზინის მძაფრი სუნი შემოდიოდა ხოლმე. სახლი ისეთი პროექტით იყო აშენებული, რომელსაც ტექნიკური უმაღლესი სასწავლებლის ნებისმიერ სემინარზე დაიწუნებდნენ. მეორე მხრივ, სწორედ ეს ნაკლოვანებები სძენდა ბერგჰოფს განსაკუთრებულ ინდივიდუალიზმს.

აი, აქ იჯდა ნებაყოფლობითი პატიმარი და გადაჰყურებდა უნტერსბერგს; ლეგენდის თანახმად, კარლოს დიდს[76], რომელსაც ჯერ კიდევ ღრმა ძილით ეძინა, სწორედ უნტერსბერგიდან უნდა დაეწყო გერმანიის რაიხის გარდასული დიდების აღორძინება. რა თქმა უნდა, ჰიტლერმა ლეგენდის ქვეტექსტში საკუთარი თავი ამოიკითხა: „ხედავთ უნტერსბერგს იქ - ქვემოთ?! შემთხვევითი როდია, რომ სწორედ მის პირდაპირ მდებარეობს ჩემი რეზიდენცია.“

ბორმანს ჰიტლერთან ახლო კავშირი მხოლოდ იმიტომ კი არ ჰქონდა, რომ ობერზალცბერგში დაწყებულ მშენებლობას ხელმძღვანელობდა. ჰიტლერის პირად ფინანსებსაც ბორმანი განკარგავდა. ჰიტლერის ადიუტანტებიც კი იმაზე იყვნენ დამოკიდებული, გასცემდა თუ არა ბორმანი მათ ხელფასებს; ბორმანზე იყო ფინანსურად დამოკიდებული ფიურერის საყვარელიც (ეს ევა ბრაუნმა თვითონ მითხრა).

ბორმანი, როგორც ნიჭიერი ფინანსისტი, მუდამ იმსახურებდა ჰიტლერის ქებას. ერთხელ ჰიტლერმა გვიამბო, თუ როგორ იხსნა ბორმანმა პარტია 1932 წელს დიდი ფინანსური გასაჭირისაგან: ბორმანმა პარტიული სამსახურის მოხელეებისთვის შემოიღო სავალდებულო და, შეიძლება ითქვას, იძულებითი დაზღვევა უბედური შემთხვევებისგან. ამ გზით მოპოვებული შემოსავალი გასავალს აღემატებოდა და სწორედ ეს სხვაობა გადაეცა პარტიას თავისი მიზნებისათვის. 1933 წლიდან ბორმანმა გააგრძელა საქმიანობა ამ მიმართულებით და ჰიტლერის ფინანსური მდგომარეობა კრიზისიდან გამოიყვანა. ბორმანმა და ჰიტლერის ფოტოგრაფმა ჰოფმანმა ასეთი რამ მოიფიქრეს: რაიხის ფოსტის მინისტრთან - ონეზორგესთან ერთად (ონეზორგე ჰოფმანის მეგობარი იყო) დაიწყეს საფოსტო მარკების გამოშვება ჰიტლერის გამოსახულებით. ჰიტლერს, როგორც კერძო პირს, უფლება ჰქონდა თავის გამოსახულებებში პროცენტები მიეღო. და რადგანაც ჰიტლერის თავი ყველა ღირებულების საფოსტო მარკას ამშვენებდა, მის პირად ზარდახშაში მილიონობით მარკა შევიდა, ამ ზარდახშას კი ბორმანი განაგებდა.

1934 წლიდან ბორმანი მისთვის დამახასიათებელი გულმოდგინებით მისდევდა ერთ მარტივ სტრატეგიულ ხაზს: იგი ცდილობდა, მუდამ ჰიტლერის სიახლოვეს ყოფილიყო, ჰიტლერისა, რომელიც მისთვის კეთილგანწყობისა და წყალობის სათავეს წარმოადგენდა. ბორმანი ახლდა ჰიტლერს ბერგჰოფში მოგზაურობისას, არც რაიხის კანცელარიაში შორდებოდა გვერდიდან. ამგვარად, ბორმანი გახდა ბეჯითი, სანდო და, ბოლოს და ბოლოს, ჰიტლერის განუყრელი მდივანი. ბორმანი ცდილობდა, ყველასათვის გაეწია რაღაც სამსახური, და ამით თითქმის ყველა სარგებლობდა. ბორმანის უშუალო შეფი რუდოლფ ჰესი კი თავს კომფორტულად გრძნობდა იმით, რომ თავისი თანამშრომელი ჰიტლერის სიახლოვეს ეგულებოდა.

ჰიტლერის ხელქვეით მაღალჩინოსნებს კარგა ხანია, რაც ერთმანეთის მიმართ შური ამოძრავებდათ. ხშირი პოზიციური ბრძოლები იმართებოდა გოებელსს, გერინგს,

როზენბერგს[77], ლაის, ჰიმლერს, რიბენტროპსა[78] და ჰესს შორის. მათ რიგებს მხოლოდ რემი გამოაკლდა, რომელიც პუტჩის დროს სიკვდილით დასაჯეს; ისე ჩანდა, რომ რუდოლფ ჰესსაც მალე უნდა დაეკარგა თავისი გავლენა. მაგრამ ვერც ერთი მათგანი ვერ ხვდებოდა იმ საფრთხეს, რომელიც მათ დაუღალავი ბორმანის მხრიდან ემუქრებოდათ. ბორმანმა მოახერხა, თვალში არავის მოხვედროდა, რითაც თავისი ბასტიონი საკმაოდ გააძლიერა. ბორმანი განსაკუთრებული სისასტიკით გამოირჩეოდა იმ მაღალჩინოსნებს შორისაც კი, რომლებიც სწორედ თავიანთი სისასტიკითა და სიუხეშით იყვნენ ცნობილი. ის თავის ხელქვეითებს ისე ექცეოდა, როგორც ნახირს. არც არის გასაკვირი: ბორმანი მეცხოველე იყო.

ობერზალცბერგში დღის განრიგი თითქმის ყოველთვის ერთფეროვანი იყო; ერთგვაროვანი იყო იმ ადამიანების წრეც, რომლებიც ჰიტლერის გარშემო იკრიბებოდა. ოღონდ, ბერლინისა და მიუნხენისაგან განსხვავებით, ობერზალცბერგში ამ საზოგადოებას ქალბატონებიც ამშვენებდნენ - ორი ან სამი მდივანი ქალი და ევა ბრაუნი.

როგორც წესი, ჰიტლერი ობერზალცბერგში გვიან ჩამოდიოდა - დაახლოებით 11 საათზე. მაშინვე თავის სამუშაო ოთახში ჩაიკეტებოდა და პრესას ეცნობოდა, შემდეგ ბორმანის ანგარიშს ისმენდა. ამის შემდეგ კი სადილად ჩადიოდა. სადილის მენიუ ბურჟუაზიული მრავალფეროვნებით გამოირჩეოდა: წვნიანი, ხორცის კერძი, დესერტი, ღვინო. სადილის დროს სუფრას ემსახურებოდნენ თეთრ პერანგებსა და შავ შარვლებში გამოწყობილი მსახურები, რომლებიც ამავე დროს SS-ის თანამშრომლებიც იყვნენ. გრძელ სუფრასთან დაახლოებით 20 სტუმარი იჯდა ხოლმე, მაგრამ რადგან მაგიდა გრძელი იყო, საერთო საუბრის წარმართვა ვერ ხერხდებოდა.

სადილის შემდეგ სტუმრები მწყობრი ნაბიჯით მიემართებოდნენ ჩაის პავილიონისკენ. იქით მიმავალი ბილიკი ვიწრო იყო და მხოლოდ წყვილ-წყვილად თუ გაივლიდნენ: წინ უშიშროების სამსახურის ორი თანამშრომელი მიდიოდა, შემდეგ - ჰიტლერი თავის თანამოსაუბრესთან ერთად, მათ ალალბედზე დაწყვილებული სტუმრები მიჰყვებოდნენ. ამ პროცესიას დაცვის სამსახურის წყვილი აბოლოებდა. ჰიტლერის ორი ნაგაზი იქვე დარბოდა. ეს ძაღლები ერთადერთი ცოცხალი არსებები იყვნენ, რომლებიც მის ბრძანებას არაფრად აგდებდნენ, ანუ, ასე ვთქვათ, ჰიტლერის სამეფო კარზე ერთადერთი ოპოზიციონერები იყვნენ. ჰიტლერი ყოველდღე მხოლოდ ამ გზით დადიოდა (ის უფრო მოკლე იყო - სულ რაღაც ნახევარ საათში მიგიყვანდათ ჩაის პავილიონამდე), გრძელ, კილომეტრიან ასფალტირებულ გზებს კი გაურბოდა. ეს გარემოება ბორმანს აცოფებდა.

ბერგჰოფში დაბრუნების შემდეგ ორ საათს ვისვენებდით ხოლმე, შემდეგ ფიურერის სასტუმრო ოთახში ფილმების სანახავად ვიკრიბებოდით.

მოგვიანებით, ომის დროს, ჯარისკაცებთან სოლიდარობის ნიშნად, ჰიტლერმა უარი თქვა ამ ჩვეულებაზე - ყოველ საღამოს მხატვრული ფილმების ნახვაზე. ფილმების

ყურების ნაცვლად ფირფიტებს უსმენდა. მიუხედავად იმისა, რომ ჰიტლერს ფირფიტების მშვენიერი კოლექცია ჰქონდა, მისი ინტერესი მუდამ ერთი და იგივე მუსიკით შემოიფარგლებოდა. ჰიტლერს არ მოსწონდა და არც ესმოდა ბაროკოს პერიოდის მუსიკა, არც კლასიკური, კამერული და სიმფონიური მუსიკა უყვარდა. ობერზალცბერგის საღამოებზე მან მუსიკის მოსმენის შემდეგნაირი გრაფიკი შემოიღო: იგი ჯერ რამდენიმე ბრავურულ ნაწყვეტს უსმენდა ვაგნერის ოპერებიდან, შემდეგ კი პირდაპირ ოპერეტაზე გადადიოდა. ეს თანმიმდევრობა არასოდეს დაურღვევია.

ამ, ცოტა არ იყოს თავშესაქცევით ღარიბი, საღამოების დროს შამპანურით გვიმასპინძლდებოდნენ; იმ შამპანურით, რომელიც ოკუპირებული საფრანგეთიდან წამოიღეს ნადავლის სახით. ისიც აღსანიშნავია, რომ ჰიტლერის მარანში იაფფასიანი მარკის შამპანური აღმოჩნდა, ხოლო გერინგისა და ლუფტვაფეს[79] მარშლების მარნებში - ძვირადღირებული მარკები. ღამის პირველი საათის შემდეგ ამა თუ იმ სტუმარს უნებლიეთ მთქნარება აუტყდებოდა ხოლმე. მიუხედავად ერთფეროვანი და უშინაარსო საღამოებისა, თავშეყრა ერთხანს კიდევ გრძელდებოდა. შემდეგ ევა ბრაუნი ჰიტლერს რაღაცას ჩასჩურჩულებდა ყურში და თავის საძინებელ ოთახში ადიოდა. 15 წუთის შემდეგ ჰიტლერიც მიდიოდა დასაძინებლად. მისი წასვლის შემდეგ დარჩენილ სტუმრებს შვების უცნაური გრძნობა გვეუფლებოდა, როგორც ეს პარალიზებულ მდგომარეობაში გატარებული რამდენიმე საათის შემდეგ სჩვევიათ ადამიანებს. ჩვენ ცოტა ხნით კიდევ ვრჩებოდით ერთად და თავს შამპანურითა და კონიაკით ვიქცევდით.

ობერზალცბერგში ჰიტლერს ზოგჯერ სტუმრობდნენ მისი მიუნხენის და ბერლინის პერიოდის ძველი თანამებრძოლები: შვარცი, გოებელსი, ჰერმან ესერი, იშვიათად - ჰესიც. საგულისხმოა, რომ ჰიტლერის უახლოესი თანამშრომლები, რომლებსაც ხშირად ნახავდით რაიხის კანცელარიაში ჰიტლერის სასადილო მაგიდასთან, თავს არიდებდნენ მასთან ობერზალცბერგში სტუმრობას. ეს მით უფრო იყო თვალშისაცემი, რომ ჰიტლერს მათი დანახვა ძალზე ახარებდა და ყოველთვის პატიჟებდა ობერზალცბერგში რამდენიმე დღის გასატარებლად. მათთვის კი ეს გარკვეულ დისკომფორტს ქმნიდა, რადგან ამასობაში თვითონ გაუჩნდათ გარემოცვები, რომელთა შუაგულში თავად იმყოფებოდნენ, ამიტომაც აღარ სურდათ, სხვა „დიქტატორის“ დღის განრიგს დამორჩილებოდნენ.

როდესაც ჰიტლერს ობერზალცბერგში ძველი პარტიული თანამშრომლები ეწვეოდნენ ხოლმე, ევა ბრაუნს შეეძლო, მათ საზოგადოებაში დარჩენილიყო, მაგრამ როგორც კი ობერზალცბერგში რაიხის ღვაწლმოსილი მუშაკები, მინისტრები და სხვანი ჩამოდიოდნენ, ევა ბრაუნს გამოჩენა ეკრძალებოდა. ასევე იყო გერინგის შემთხვევაშიც. როდესაც გერინგი მეუღლითურთ ობერზალცბერგში ჩამოდიოდა, ევა ბრაუნს თავისი ოთახიდან გამოსვლის უფლება არ ჰქონდა. ჰიტლერი მას მხოლოდ გარკვეულ საზოგადოებაში გამოჩენის ნებას აძლევდა. საბრალო ქალი ისე იყო

დაშინებული, რომ სასეირნოდ გასვლასაც კი ვერ ბედავდა: „მეშინია! გერინგებს შეიძლება შესასვლელში გადავეყარო.“

ჰიტლერი თითქოს ვერც კი ამჩნევდა ჩვენ შორის ევა ბრაუნის არსებობას. მისი თანდასწრებით მას არაერთხელ გამოუთქვამს თავისი აზრი ქალების შესახებ: „ინტელიგენტი ადამიანები პრიმიტიულ და სულელ ქალებთან უნდა იჭერდნენ საქმეს. წარმოიდგინეთ, მე რომ ცოლი მყოლოდა! ცოლი, რომელიც ჩემს საქმიანობაში ჩაყოფდა ცხვირს! მე თავისუფალ დროს დასვენება მჭირდება... ცოლს ვერასოდეს შევირთავ. მერე როგორი პრობლემები შემექმნებოდა, ბავშვები რომ მყოლოდა! ბოლოს, ალბათ, ჩემს ვაჟს ჩემს მემკვიდრედაც გამოაცხადებდნენ. ჩემნაირ ადამიანს შეუძლებელია, ჰყავდეს სრულფასოვანი და ქმედითუნარიანი ვაჟიშვილი. ეს დაუწერელი კანონია. გაიხსენეთ, თუნდაც, Gგოეთეს ვაჟი - ყოვლად გამოუსადეგარი ადამიანი! ბევრი ქალი იმიტომ არის ჩემით მოხიბლული, რომ უცოლო ვარ. არადა, ასე რომ არ იყოს, ბრძოლას ვერ შევძლებდი. ჩემი შემთხვევა ისეთივეა როგორიც კინომსახიობისა: როგორც კი კინომსახიობი ცოლს ირთავს, იგი კარგავს თავისი მომხიბვლელობის ძალას იმ ქალებისთვის, რომლებიც მას აღმერთებდნენ - ის უკვე აღარ არის მათი კერპი!“

ჰიტლერი დარწმუნებული იყო, რომ ქალებში ძლიერ ეროტიულ ვნებას აღძრავდა. თუმცა, ამ საკითხშიც ღრღნიდა ეჭვები, ვერ ხვდებოდა, ქალებს რომელი მოსწონდათ მასში - რაიხსკანცლერი თუ ადოლფ ჰიტლერი. ჰიტლერი ხშირად ამბობდა, რომ თავის გვერდით ჭკვიანი და განათლებული ქალი არ სიამოვნებდა. ამგვარი არაგალანტური გამონათქვამების დროს ჰიტლერი, როგორც ჩანს, არ აცნობიერებდა იმ გარემოებას, რომ შესაძლოა, დამსწრე ქალბატონებს ეს სწყენოდათ. მაგრამ ამავე დროს ჰიტლერს შეეძლო, მზრუნველიც ყოფილიყო. ერთხელ, როდესაც ევა ბრაუნი თხილამურებით სასრიალოდ იყო წასული და ჩაიზე დააგვიანდა, ჰიტლერი აღელდა, ნერვიულად დაჰყურებდა საათს და წუხდა, ევა ბრაუნს რამე ხომ არ შეემთხვაო.

ევა ბრაუნი ხელმოკლე ოჯახის შვილი იყო. მამამისი სკოლის მასწავლებლად მუშაობდა. მე არ ვიცნობდი მის მშობლებს, რადგან ისინი არასოდეს გამოჩენილან საზოგადოებაში და სიცოცხლის ბოლომდე ხელმომჭირნედ ცხოვრობდნენ. თვითონ ევა ბრაუნიც მუდამ უბრალოდ და სადად იცვამდა და სამკაულებიც იაფფასიანი ჰქონდა: ამ სამკაულებს მას ჰიტლერი ჩუქნიდა შობაზე და დაბადების დღეზე. უმეტესწილად ეს იყო რამდენიმე ასეული მარკის ღირებულების ნახევრად ძვირფასი ქვები, იმდენად უბრალო, რომ ქალს ასეთი საჩუქრის მიღება შეიძლება სწყენოდა კიდეც. როგორც წესი, სამკაულებს ბორმანი არჩევდა, შემდეგ თავის არჩევანს ჰიტლერს უჩვენებდა; ჰიტლერი კი უკვე არჩეული სამკაულებიდან შეარჩევდა ხოლმე საჩუქარს თავისი წვრილბურჟუაზიული გემოვნებით.

ევა ბრაუნს არ აინტერესებდა პოლიტიკა, მას არც კი უცდია, ჰიტლერზე რაიმე ზეგავლენა მოეხდინა... სპორტული აღნაგობისა იყო, კარგი მოთხილამურე... ერთხელ

ჰიტლერმა მას რვადღიანი შვებულება მისცა (რა თქმა უნდა იმ პერიოდში, როცა თავად ობერზალცბერგში იყო). ამ შვებულების დროს ევა ბრაუნი ჩვენთან ერთად გაემგზავრა ციურსში, სადაც მას არავინ იცნობდა. სწორედ აქ მიეცა იგი თავის დიდ გატაცებას და ყოველღამე დილამდე ცეკვავდა ახალგაზრდა ოფიცრებთან. იგი შორს იყო იმ აზრისაგან, რომ თანამედროვეობის მადამ პომპადური გამხდარიყო. ისტორიკოსისთვის ევა ბრაუნი იმდენად წარმოადგენს ინტერესს, რამდენადაც იგი ჰიტლერის ხასიათის თვისებების ანარეკლია.

დროთა განმავლობაში დიდი სიმპათიით განვიმსჭვალე ამ უბედური ქალის მიმართ. ყველაფერთან ერთად, მე და ევა ბრაუნს ბორმანის მიმართ ანტიპათიაც გვაერთიანებდა.

როდესაც ნიურნბერგის პროცესზე შევიტყვე, რომ ჰიტლერმა და ევა ბრაუნმა ჯვარი დაიწერეს და თავიანთი სიცოცხლის უკანასკნელი დღე-ნახევარი როგორც ცოლ-ქმარმა, ისე გაატარეს, გამიხარდა; თუმცაღა ამ საქციელშიც გამოჩნდა ჰიტლერის ცინიზმი, რომლითაც ის ევა ბრაუნს, და ზოგადად ქალებს, ეპყრობოდა.

საბედნიეროდ, პატიმრობის პირველივე წლებიდან დავიწყე ჩემი მოგონებების ჩაწერა. ჩაწერა იმისა, რაც კარგად და ზუსტად მახსოვდა.

ჰიტლერი ხშირად აკრიტიკებდა ჰიმლერის მიერ შეთხზულ მითს SS-ის შესახებ: „რა სისულელეა! როგორც იქნა, იმ დროს ვუახლოვდებით, როდესაც არანაირი მისტიკა აღარ იარსებებს. ჰიმლერი კი ყველაფერს თავიდან იწყებს. ჯობდა, ეკლესიის პატრონობის ქვეშ დავრჩენილიყავით. ეკლესიას ტრადიცია მაინც აქვს. აბა, წარმოიდგინეთ, ერთ მშვენიერ დღეს „SS-ის წმინდანად“ რომ შემრაცხონ! ალბათ, საფლავში გადავბრუნდები!“

„ამას წინათ ჰიმლერმა სიტყვა წარმოთქვა, რომელშიც კარლოს დიდი საქსონელების გამჟლეტად მოიხსენია. მრავალი საქსონელის დახოცვა სულაც არ არის ისტორიული დანაშაული, როგორც ეს ჰიმლერს ჰგონია. ძალიან კარგია, რომ კარლოს დიდმა ვიდუკინდი[80] დაიმორჩილა და საქსონელები ამოაჟლეტინა; სწორედ ამის წყალობით გახდა შესაძლებელი, რომ ახლანდელი გერმანია დასავლურ კულტურას ზიარებოდა!“

ჰიმლერმა ცნობილი მეცნიერები მოიზიდა და მათ გერმანიის ტერიტორიის უძველეს ნასახლარებზე არქეოლოგიური გათხრები ჩაატარებინა. ამაზე ჰიტლერმა ასეთი კომენტარი გააკეთა: „რატომ ვამახვილებთ მთელი მსოფლიოს ყურადღებას იმაზე, რომ ჩვენ წარსული არ გაგვაჩნია? განა არ არის საკმარისი, რომ რომაელები მონუმენტურ შენობებს აგებდნენ მაშინ, როდესაც ჩვენი წინაპრები თიხის ქოხებში ცხოვრობდნენ! არა! ჰიმლერი ამ თიხის სოფლების გათხრას იწყებს, ამასთან ერთად, ყოველი ნაპოვნი თიხის ნატეხის და ქვის ცულის გამო აღფრთოვანებას ვერ მალავს. ამით ჩვენ ხომ მხოლოდ იმას ვამტკიცებთ, რომ ერთმანეთს ქვის კომბლებს

ვესროდით და ღია ცის ქვეშ, კოცონთან ვიყავით ჩაცუცქულები მაშინ, როდესაც საბერძნეთი და რომი კულტურის უმაღლეს საფეხურზე იდგნენ. ყველა მიზეზი გვაქვს იმისთვის, რომ ჩვენი წარსული მივჩქმალოთ. ჰიმლერი კი, ამის საპირისპიროდ, ყოველივეს ხმამაღლა გაჰყვირის. ალბათ, დღევანდელი რომაელები ჩვენს აღმოჩენებზე გულიანად იცინიან!“

„ეკლესია უდავოდ საჭიროა ხალხისთვის. ეკლესია არის ძლიერი და მყარი ელემენტი. რაიხის ეპისკოპოსი, ლუდვიგ მიულერი[81] მასშტაბური პიროვნება რომ ყოფილიყო, სიამოვნებთ ამოვუდგებოდი მხარში. რამდენ რამეს მიაღწევდა მაშინ ეკლესია! ჩემი ხელშეწყობით ევანგელისტური ეკლესია სახელმწიფო ეკლესია გახდებოდა, როგორც ინგლისშია“.

თუ როგორი წარმოედგინა ჰიტლერს თავისი სახელმწიფო ეკლესია, იმ ეპიზოდითაც კარგად ჩანს, რომელსაც ჰიტლერი თავად გვიყვებოდა ხოლმე: ერთხელ, თურმე, მას წარჩინებული არაბების დელეგაცია ესტუმრა. სტუმრებს საუბარში უთქვამთ, რომ, როდესაც მუსლიმანებმა VIII საუკუნეში საფრანგეთზე გაილაშქრეს, საიდანაც ცენტრალურ ევროპაში შეღწევას ლამობდნენ, გადამწყვეტი ბრძოლა წააგეს ქალაქ პუატიესთან, რის გამოც იძულებული გახდნენ, უკან დაეხიათ. არაბებს რომ პუატიესთან ბრძოლა მოეგოთ, დღეს მთელი მსოფლიო მუსლიმანური იქნებოდა, რადგან ისინი გერმანულ ტომებს ისეთ რელიგიას მიაღებინებდნენ, რომელიც მათი მრწამსით - რწმენის მახვილით გავრცელებითა და ამ რწმენისადმი ყველა ხალხის დამორჩილებით - გერმანელებისთვის ზედგამოჭრილი იქნებოდაო. მაგრამ, რადგან დამპყრობლები უფრო დაბალ რასას მიეკუთვნებოდნენ, დიდი ხნით ვერ შეინარჩუნებდენენ უპირატესობას გერმანებზე; ასე რომ, ისლამური მსოფლიო იმპერიის სათავეში არაბები კი არა, გამაჰმადიანებული გერმანები აღმოჩნდებოდნენ.

ამ ამბავს ჰიტლერი შემდეგ კომენტარსაც ურთავდა ხოლმე: „ჩვენი უბედურება ის არის, რომ არასწორი რელიგია გვაქვს. რა კარგი იქნებოდა, იაპონელების რელიგია რომ გვქონოდა, რელიგია, რომელიც სამშობლოსთვის გაღებულ მსხვერპლს უმაღლეს მსხვერპლად მიიჩნევს! მუსლიმანური რელიგიაც კი უფრო მეტად გამოგვადგებოდა, ვიდრე ქრისტიანობა თავისი არაფრის მქმნელი და ფორმალური შემწყნარებლობით!“ უცნაური ის იყო, რომ ჯერ კიდევ ომის დაწყებამდე ჰიტლერი ამ მსჯელობას შემდეგ სიტყვებსაც მოაყოლებდა ხოლმე: „დღეს ადამიანები ციმბირში, ბელორუსიაში და ტრამალებში ჯანსაღად ცხოვრობენ, ამიტომ კარგად განვითარდებიან და მომავალში გერმანელებსაც კი აჯობებენ.“

1938 წლის იანვრის ბოლოს ჰიტლერმა ოფიციალურად მიმიღო თავის სამუშაო კაბინეტში. ფიურერი ოთახის შუაგულში იდგა. მან საზეიმოდ მომმართა: „სასწრაფო დავალება მაქვს თქვენთვის. უახლოეს ხანებში მნიშვნელოვანი მოლაპარაკებები უნდა ვაწარმოო. ამისთვის მჭირდება დიდი დარბაზები, რომლებიც მოხიბლავს რანგით ჩემზე დაბლა მდგომ სტუმრებს. მთელი ფოსის ქუჩა თქვენს განკარგულებაში იქნება. ხარჯები არ მაღელვებს, მთავარია, ნაგებობა იყოს სოლიდური და რაც შეიძლება სწრაფად აშენდეს. რამდენი ხანი დაგჭირდებათ? პროექტებისთვის, ესკიზებისთვის, ყველაფრისთვის? წელიწად-ნახევარი ან ორი წელიწადი ბევრი მეჩვენება. შეძლებთ, მშენებლობა 1939 წლის 10 იანვრისთვის დაასრულოთ? მომდევნო მიღება დიპლომატებისთვის ახალ კანცელარიაში მინდა, ჩავატარო,“ - მითხრა და დამემშვიდობა.

მუშაობას დაუყოვნებლივ შევუდექი. პირველ რიგში, ფოსის ქუჩაზე რამდენიმე სახლი დავანგრიეთ მშენებლობის დასაწყებად. ცოტა ხნის შემდეგ ჰიტლერს პროექტი წარვუდგინე: სტუმარი ვილჰელმპლაცის მხრიდან დიდი ჭიშკრის გავლით საპატიო ეზოში მოხვდებოდა, შემდეგ საპარადო კიბეს აივლიდა და ჯერ პატარა მისაღებ დარბაზში შევიდოდა, საიდანაც თითქმის 5 მეტრის სიმაღლის კარები გაიღებოდა და მის თვალწინ მოზაიკით გაწყობილი დარბაზი გადაიშლებოდა; შემდეგ ის რამდენიმე საფეხურით ზემოთ უნდა ასულიყო, გადაეკვეთა გუმბათიანი მრგვალი ოთახი, საიდანაც 145 მეტრის სიგრძის გალერეაში მოხვდებოდა. ჰიტლერზე განსაკუთრებით დიდი შთაბეჭდილება ჩემმა გალერეამ მოახდინა, რადგან მისი სიგრძე ორჯერ აღემატებოდა ვერსალის სარკეებიანი გალერეის სიგრძეს. საერთო ჯამში, იმ ოთახებისა და დერეფნების სიგრძე, რომლებიც სტუმარს უნდა გაევლო, ვიდრე ჰიტლერის მისაღებ ოთახამდე მივიდოდა, 220 მეტრს უდრიდა. ეს იყო ეგრეთ წოდებული „ეფექტების ხელოვნება“, რომელიც ადრეც არსებობდა - ბაროკოს პერიოდშიც და მანამდეც.

ჰიტლერი კმაყოფილი იყო: „ამ გრძელ გზაზე - შესასვლელიდან მისაღებ დარბაზამდე, სტუმრებს უკვე შეექმნებათ შთაბეჭდილება გერმანიის რაიხის ძლევამოსილებასა და სიდიადეზე!“

ჰიტლერი ძალიან აჩქარებდა რაიხის კანცელარიის მშენებლობის პროცესს. ამის ერთ-ერთი მიზეზი მისი ჯანმრთელობის მდგომარეობაც იყო. ჰიტლერი შიშობდა, რომ სერიოზულად იყო ავად და დიდხანს ვეღარ იცოცხლებდა. 1935 წლიდან მან თავის თავს შთააგონა, რომ კუჭი ჰქონდა დაავადებული, რასაც ის გარკვეული დროის განმავლობაში თვითშეზღუდვის სისტემით მკურნალობდა; ჰიტლერი თვლიდა, რომ კარგად იცოდა, რომელი საჭმელი სწყენდა და დიეტა დაუნიშნა საკუთარ თავს. ცოტაოდენი წვნიანი, სალათი, მცირე რაოდენობით მსუბუქი კერძები - მხოლოდ ამას მიირთმევდა. სადილის დროს თავის თეფშზე მიუთითებდა და სასოწარკვეთით იტყოდა ხოლმე: „ამით როგორ უნდა იცოცხლოს ადამიანმა?! შეხედეთ ამას! ექიმებს რა ენაღვლებათ, როცა ამბობენ, რომ ადამიანმა ის უნდა ჭამოს, რასაც მოისურვებსო.

მე კი თითქმის ყველაფერი მწყენს. ყოველი ჭამის შემდეგ ტკივილი მეწყება. რა ვქნა, კიდევ უფრო შევამცირო ჩემი კვების რაციონი? მაშ, როგორღა ვიარსებო?“

ტკივილების გამო ხშირად მოლაპარაკებაც კი შეუწყვეტია, ნახევარი საათით ან მეტი ხნითაც გასულა ოთახიდან და ზოგჯერ აღარც კი დაბრუნებულა. გარდა ამისა, ჰიტლერი უჩიოდა მეტეორიზმს, გულს და უძილობას. ერთხელ ევა ბრაუნმა გამანდო მისთვის ნათქვამი ჰიტლერის სიტყვები: „მალე შენი გაშვება მომიწევს; აბა, რა გესაქმება ბებერ კაცთან.“ (არადა, ჰიტლერი მაშინ 50 წლისაც არ იყო).

ჰიტლერის პირადი ექიმი, დოქტორი ბრანდტი ახალგაზრდა ქირურგი იყო. ის ყველა ღონეს ხმარობდა ჰიტლერის დასარწმუნებლად, რომ სერიოზული ექიმებისთვის მიემართა და საფუძვლიანი გამოკვლევა ჩაეტარებინა. ექიმს ყველანი ვუჭერდით მხარს, მაგრამ ჰიტლერი ყველა შეთავაზებაზე უარს ამბობდა. ის თვლიდა, რომ უფლება არ ჰქონდა, სხვებს სცოდნოდათ მისი ავადმყოფობის შესახებ. ეს შეასუსტებდა მის პოლიტიკურ პოზიციას, განსაკუთრებით - საზღვარგარეთ. ჰიტლერმა იმაზეც კი განაცხადა უარი, რომ ექიმი მასთან მოსულიყო ბინაში. რამდენადაც ვიცი, იმ პერიოდში სერიოზულად არ გამოკვლეულა; იგი თავად თხზავდა სხვადასხვა თეორიას საკუთარ სიმპტომებზე დაკვირვების შედეგად - ნაწილობრივ ეს შტრიხიც ასახავს მის თანდაყოლილ მიდრეკილებას დილეტანტიზმისადმი.

ერთხელ, ყველას გასაკვირად, ჰიტლერმა ცნობილ ბერლინელ ლარინგოლოგს, პროფესორ ფონ აიკენს[82] მიმართა - მაშინ ჰიტლერი ხმის ჩახლეჩას უჩიოდა. პროფესორმა ფიურერს საფუძვლიანი გამოკვლევა ჩაუტარა, რის შემდეგაც ჰიტლერმა შვებით ამოისუნთქა, რადგან არანაირი კიბო არ აღმოაჩნდა. პროფესორმა მას მხოლოდ უმნიშვნელო კვანძი ამოაჭრა. გამოკვლევაც და ოპერაციაც ჰიტლერის ბინაში ჩატარდა.

ჰიტლერის ფოტოგრაფმა, ჰაინრიხ ჰოფმანმა ფიურერს ერთი ექიმი ურჩია - ვინმე დოქტორი მორელი[83], რომელიც ჰოფმანის ძველი ნაცნობი იყო. დოქტორი მორელი ცნობილი ბაქტერიოლოგის, ნობელის პრემიის ლაურეატისა და პასტერის ინსტიტუტის პროფესორის - ილია მეჩნიკოვის (1845-1916) მოწაფედ ასაღებდა თავს. მორელი ამტკიცებდა, რომ ბაქტერიული დაავადებების მკურნალობა მან მეჩნიკოვისგან ისწავლა. გარდა ამისა, მორელი დიდხანს მუშაობდა ექიმად სამგზავრო გემებზე. იგი არ ტოვებდა ჩვეულებრივი შარლატანის შთაბეჭდილებას; უფრო თავისი პროფესიის ფანატიკოსი და ფულის მოყვარული ჩანდა.

როგორც იქნა, ჰიტლერი დაჰყვა ჰოფმანის დაჟინებულ თხოვნას და საკონსულტაციოდ მორელი მოიწვია. ყველასთვის მოულოდნელად, ჰიტლერი ექიმთან შეხვედრით კმაყოფილი დარჩა: „ასე ზუსტად ჯერ არავის დაუსვამს ჩემთვის დიაგნოზი და არც ასე კარგად აუხსნია ვინმეს ჩემი ჯანმრთელობის მდგომარეობა. მისი მკურნალობაც ისე ლოგიკურად არის აგებული, რომ ამ ექიმის მიმართ უდიდესი

ნდობით განვიმსჭვალე. ამიერიდან ზედმიწევნით შევასრულებ მის დანიშნულებას.“ მორელის მიერ დასმული დიაგნოზი იყო ნერვული სისტემის გადაღლით გამოწვეული კუჭ-ნაწლავის ფლორის გამოფიტვა. ამ დაავადების მკურნალობის შედეგად სხვა ჩივილებიც ავტომატურად გაქრებოდა. მკურნალობა სწრაფი და ეფექტური რომ ყოფილიყო, მორელმა ჰიტლერს დამატებით ვიტამინები, ფოსფორი, გლუკოზა და ჰორმონებიც დაუნიშნა. ბოლომდე გამოჯანმრთელებას ერთი წელი დასჭირდება, მანამდე კი მხოლოდ ნაწილობრივი შედეგები გვექნებაო, განაცხადა მორელმა.

ასეა თუ ისე, მკურნალობის დაწყებიდან ცოტა ხნის შემდეგ ჰიტლერს გაუქრა ეგზემა, რომელიც მას კარგა ხანია, აწუხებდა. რამდენიმე კვირის შემდეგ ჰიტლერს კუჭ-ნაწლავის მდგომარეობაც გამოუსწორდა და უკვე გაცილებით მეტი საკვების მიღება შეეძლო; თავსაც უკეთ გრძნობდა და წამდაუწუმ გაიძახოდა: „კიდევ კარგი, რომ მორელს შევხვდი! მან სიკვდილს გადამარჩინა!“ ჰიტლერი დარწმუნებული იყო თავისი ექიმის გენიალობაში და მისი მისამართით ყოველგვარი კრიტიკული შენიშვნის გაკეთება აგვიკრძალა. ამიერიდან მორელიც ჰიტლერის უახლოესი გარემოცვის წევრი გახდა. ჩვენ ხშირად ვხუმრობდით მორელის საუბარზე - ლაპარაკი მას მხოლოდ სტრეპტოკოკებზე, სხვადასხვა ტიპის კოკებზე და უახლეს ვიტამინებზე შეეძლო.

ჰიტლერის ჯანმრთელობის მდგომარეობა მხოლოდ დროებით გამოკეთდა. მიუხედავად ამისა, მორელი კვლავ მის სათაყვანებელ ექიმად რჩებოდა; ჰიტლერი სულ უფრო ხშირად მიდიოდა მორელთან, ბერლინის მახლობლად შვანენვერდერის კუნძულზე მდებარე მის სახლში ჩაის დასალევად; ეს ერთადერთი ადგილი იყო, სადაც ჰიტლერი რაიხის კანცელარიის გარდა დადიოდა. ფიურერი იშვიათად სტუმრობდა დოქტორ გოებელსს; მე კი შლახტენზეეს[84] ტბის პირას მხოლოდ ერთხელ მესტუმრა ჩემი ახალი სახლის სანახავად.

1937 წლის ბოლოს მორელის მკურნალობამ შედეგი უკვე აღარ გამოიღო; ჰიტლერის ძველმა ჩივილებმა კვლავ იჩინა თავი. ჰიტლერი პროექტებისა და ესკიზების განხილვის დროსაც კი ჩაურთავდა ხოლმე: „არ ვიცი, კიდევ რამდენ ხანს ვიცოცხლებ. შესაძლოა, ამ შენობების უმეტესი ნაწილი მაშინ დამთავრდეს, როცა ამქვეყნად აღარ ვიქნები.“ უმეტესი ნაწილი მონუმენტური შენობებისა 1945-1950 წლებში უნდა დამთავრებულიყო. შესაბამისად ჰიტლერი ვარაუდობდა, რომ სიცოცხლის მხოლოდ რამდენიმე წელიღა ჰქონდა დარჩენილი.

1938 წლის 2 მაისს ჰიტლერმა თავისი ანდერძი შეადგინა. თავისი პოლიტიკური ანდერძი მან 1937 წლის 5 ნოემბერს წარუდგინა რაიხის სამხედრო მაღალჩინოსნებს საგარეო საქმეთა მინისტრის თანდასწრებით. ამ პოლიტიკური ანდერძის თანახმად, მისი შორს მიმავალი დამპყრობლური გეგმები მისი გარდაცვალების მერეც უნდა განხორციელებულიყო. ფიურერის ახლო გარემოცვის წევრებს წარმოდგენაც კი არ

ჰქონდათ, თუ რაოდენ დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა იგი თავის ოცნებას მსოფლიო ბატონობაზე. მოგვიანებით ჰიტლერის ბევრი ყოფილი თანამშრომელი ცდილობდა, ჩამოეყალიბებინა თეორია 1938 წელს ჰიტლერში მომხდარი მეტამორფოზის შესახებ: ამ ცვლილებების მიზეზად ბევრი მორელის მკურნალობის შედეგად ჰიტლერის ჯანმრთელობის გაუარესებას ასახელებდა. მე კი, მათგან განსხვავებით, ვთვლი, რომ ჰიტლერის გეგმები არასოდეს შეცვლილა. უბრალოდ, ავადმყოფობამ და სიკვდილის შიშმა მას ამ გეგმების განხორციელება დააჩქარებინა.

1938 წლის 2 თებერვალს ჰიტლერის ოთახიდან თავზარდაცემული გამოვიდა სამხედრო-სანაოსნო ფლოტის მთავარსარდალი ერიხ რაედერი. რაედერს სახეზე მიტკლის ფერი ედო, ფეხზე ძლივს იდგა და ისე გამოიყურებოდა, იფიქრებდით, აი, ახლა გულის შეტევა დაემართებაო. მეორე დღეს გაზეთში წავიკითხე, რომ საგარეო საქმეთა მინისტრის თანამდებობაზე ფონ ნოირათის[85] ნაცვლად ფონ რიბენტროპი დაინიშნა, ჯარის უმაღლეს მთავარსარდლად ფონ ფრიცშის ნაცვლად კი - ფონ ბრაუხედში[86], ვერმახტის[87] უმაღლესი მთავარსარდლობა ფელდმარშალ ფონ ბლომბერგის ნაცვლად თავად ჰიტლერმა ითავა, ხოლო კაიტელი[88] თავისი შტაბის უფროსად დანიშნა.

რიბენტროპის საგარეო საქმეთა მინისტრად დანიშვნის შემდეგ დიდი ხანი არ იყო გასული, რომ ჰიტლერმა მას საგარეო საქმეთა მინისტრის ძველი ვილის დანგრევა და სანაცვლოდ რაიხის ყოფილი პრეზიდენტის სასახლის სამინისტროდ გადაკეთება შესთავაზა. რიბენტროპი დათანხმდა.

1938 წლის მეორე მნიშვნელოვანი მოვლენის მომსწრე გავხდი 9 მარტს. ჰიტლერის ბინაში რადიომიმღებთან მისი ადიუტანტი შაუბი იჯდა და ავსტრიის კანცლერის, დოქტორ შუშნიგის[89] ინგსბურგში წარმოთქმულ სიტყვას უსმენდა. თავად ჰიტლერი თავის სამუშაო ოთახში, პირველ სართულზე იმყოფებოდა. როგორც ჩანს, შაუბი რაღაც კონკრეტულ ინფორმაციას ელოდებოდა, ამიტომ პრეზიდენტის სიტყვას აკონსპექტებდა.

შუშნიგი თანდათან უფრო კატეგორიული ხდებოდა და თავისი გამოსვლის ბოლოს ავსტრიაში რეფერენდუმი გამოაცხადა: ავსტრიელ ხალხს თვითონ უნდა გადაეწყვიტა საკუთარი დამოუკიდებლობის ბედი. სიტყვის დასასრულს შუშნიგმა თავის თანამემამულეებს ავსტრიულ დიალექტზე მიმართა: „ხალხნო, დროა!“[90]

როგორც ჩანს, შაუბისთვისაც მოვიდა დრო, რომ ჰიტლერთან ავარდნილიყო. ცოტა ხნის შემდეგ ფრაკში გამოწყობილი გოებელსი და სადღესასწაულო უნიფორმაში ჩაცმული გერინგი ჰიტლერთან გამოცხადდნენ. ისინი ბერლინის სამეჯლისო სეზონისადმი მიძღვნილ ზეიმზე იყვნენ, როდესაც ფიურერთან გამოიძახეს. ორივე ჰიტლერის სამუშაო ოთახში გაუჩინარდა.

რამდენიმე დღის შემდეგ გაზეთებიდან შევიტყვე, რაც მოხდა: 13 მარტს გერმანიის ჯარმა ავსტრია დაიკავა. დაახლოებით სამი კვირის შემდეგ მეც გავემგზავრე მანქანით ვენაში, რადგან დავალებული მქონდა, ჩრდილო-დასავლეთის რკინიგზის სადგურის დარბაზი დიდი მიტინგისთვის მომემზადებინა. ავსტრიის ყველა ქალაქში ზარ-ზეიმით ხვდებოდნენ გერმანიის მანქანებს. ვენაში სასტუმრო „იმპერიალში“[91] „ანშლუსის“ ბანალურ ბინძურ მხარესაც წავაწყდი: ვენაში ჩამოსული ბევრი ცნობილი პიროვნება ძველი რაიხისა, როგორიც იყო, მაგალითად, ბერლინის პოლიციის პრეზიდენტი გრაფი ჰელდორფი[92], როგორც ჩანს, ვენის მაღაზიების ფართო არჩევანით მოიხიბლნენ: „აქ ჯერ კიდევ შემორჩენილია კარგი თეთრეული... აგერ შალის საბნები, რამდენიც გენებოს... მე აღმოვაჩინე მაღაზია უცხოური ლიქიორით...“ - საუბრის ამგვარ ნაფლეთებს მოვკარი ყური სასტუმროს ჰოლში. ამ საქციელმა ჩემში ზიზღი გამოიწვია. მე მხოლოდ „ბორსალინოს“ ფირმის ქუდი შევიძინე.

ავსტრიის ანშლუსის[93] შემდეგ, ჰიტლერმა შუა ევროპის რუკა მოატანინა და თავის უახლოეს გარემოცვას, რომლის ყველა წევრი მას სულგანაბული უსმენდა, უჩვენა, როგორ მარწუხებში იყო მოქცეული ჩეხოსლოვაკია. ჰიტლერი რამდენიმე წლის შემდეგაც კმაყოფილი იგონებდა მუსოლინის საქციელს; ამ უკანასკნელმა ჰიტლერს ავსტრიაში ჯარების შეყვანაზე თანხმობა მისცა; ამისათვის ჰიტლერი სამუდამოდ მუსოლინის მადლიერი დარჩა. იტალიისათვის ავსტრია ნეიტრალურ ბუფერულ ზონას წარმოადგენდა. ახლა კი გერმანიის ჯარები ბრენერთან იდგნენ, რაც დროთა განმავლობაში იტალიის საშინაო პოლიტიკას სირთულეებს შეუქმნიდა. 1938 წელს ჰიტლერის იტალიაში მოგზაურობა, როგორც ჩანს, ამ მადლიერების გამოხატვის პირველი ჟესტი იყო, თუმცა ჰიტლერს იტალიაში რომისა და ფლორენციის არქიტექტურული ძეგლები და ხელოვნების ნიმუშებიც იზიდავდა.

მოგზაურობიდან დაბრუნებულმა ჰიტლერმა თავისი შთაბეჭდილებები შემდეგნაირად შეაჯამა: „რა კარგია, რომ ჩვენ მონარქია არა გვაქვს და მე არასოდეს დამიგდია ყური იმათთვის, ვისაც ჩემი ხელით მონარქიის აღდგენა სურდა. ოჰ, ეს სამეფო კარი და ეტიკეტი! წარმოუდგენელია! დუჩე კი მუდამ ჩრდილშია! ყველა სადილზე და ტრიბუნებზე საუკეთესო ადგილებს პირველ რიგში სამეფო ოჯახი იკავებდა. დუჩე კი - იტალიის სახელმწიფოს ჭეშმარიტი წარმომადგენელი, მათ უკან მოჰყვებოდა.“ პროტოკოლის თანახმად, ჰიტლერი როგორც სახელმწიფოს მეთაური, მეფის თანაბარ რანგში გადიოდა, მუსოლინი კი მხოლოდ პრემიერ-მინისტრი იყო.

იტალიაში ვიზიტის შემდეგ ჰიტლერი თავს ვალდებულად თვლიდა, მუსოლინისთვის განსაკუთრებული პატივი მიეგო. ამიტომ გადაწყვიტა, ბერლინის „ადოლფ ჰიტლერის“ სახელობის მოედანს - „Adolf-Hitler-Platz“ -ს დედაქალაქის რეკონსტრუქციის შემდეგ მუსოლინის სახელი დარქმეოდა. ფიურერს ეს მოედანი არქიტექტურული თვალსაზრისითაც არ მოსწონდა, რადგანაც ის „სისტემისდროინდელი“ თანამედროვე ნაგებობებით იყო დამახინჯებული. მისი განზრახვა ასეთი იყო: „თუ ჩვენ ადოლფ ჰიტლერის სახელობის მოედანს

მოგვიანებით მუსოლინის მოედნად მოვნათლავთ, ამით მე ამ მოედანს თავიდან მოვიშორებ; ესეც არ იყოს, განსაკუთრებულ პატივისცემად ჩამეთვლება, რომ ჩემი სახელობის მოედანს დუჩეს დავუთმობ. მუსოლინის ძეგლის ესკიზიც მე თვითონ შევქმენი!“

მაგრამ საქმე აქამდე არ მისულა, რადგან მოედნის რეკონსტრუქცია ვეღარ განხორციელდა.

დრამატიზმით აღსავსე 1938 წელს ჰიტლერმა, ბოლოს და ბოლოს, მიაღწია დასავლეთის ძალებთან შეთანხმებას იმის თაობაზე, რომ გერმანიას ჩეხოსლოვაკიის ტერიტორიების ნაწილი გადაეცემოდა. ამ მოვლენებზე რამდენიმე კვირით ადრე ჰიტლერი ნიურნბერგში გამართულ პარტიის ყრილობაზე რამდენჯერმე გამოვიდა სიტყვით; ამ გამოსვლებში ჰიტლერი გამოჩნდა, როგორც ერის მრისხანე წინამძღოლი - ფიურერი.

ჰიტლერის უახლოეს თანამშრომლებსაც აღარ ეპარებოდათ უკვე ეჭვი, რომ ომი გარდაუვალი იყო. ჰიტლერის გამონათქვამები ომის დაწყების მზადყოფნასთან დაკავშირებით მის უფროს ადიუტანტზე - ბრიუკნერზეც უდიდეს შთაბეჭდილებას ახდენდა. 1938 წლის სექტემბერში, პარტიის ყრილობის მსვლელობის დროს, მე და ბრიუკნერი ნიურნბერგის ციხე-კოშკის გალავანზე ვისხედით. ჩვენ წინ გადაშლილიყო სექტემბრის თბილი მზის საბურველში გახვეული ძველი ქალაქი. ბრიუკნერმა სასოწარკვეთით ჩაილაპარაკა: „იქნებ, ჩვენ ყოველივე ამას, ესოდენ მშვიდობიანს, ბოლოჯერ ვუყურებთ. ალბათ, მალე ომს დავიწყებთ.“

დასავლეთის ძალების ურთიერთშეთანხმებას უნდა ვუმადლოდეთ იმას, რომ ომი, რომელზეც ბრიუკნერი ლაპარაკობდა, ერთხელ კიდევ ავიცილეთ თავიდან. გაოგნებული მსოფლიოსა და ჰიტლერის შეუცდომლობაში ახლა უკვე ნამდვილად დარწმუნებული მისი მხარდამჭერების თვალწინ შედგა სუდეტების ოლქის გადაცემა გერმანიისათვის.

10 ნოემბერს სამსახურისკენ მიმავალმა ჩავუარე ბერლინის გადამწვარი სინაგოგის ჯერ კიდევ მხრჩოლავ ნანგრევებს. ეს მეოთხე მნიშვნელოვანი მოვლენა იყო, რომელმაც დაღი დაასვა ამ ომის წინა წლის ხასიათს.

რაიხის კანცელარიის ახალი შენობა 1939 წლის 7 იანვარს ჩავაბარე ჰიტლერს, რომელიც მიუნხენიდან ბერლინში ჩამოვიდა. ჩემმა ნამუშევარმა ჰიტლერის დიდი მოწონება დაიმსახურა. მაგრამ მანამდე მოხდა ერთი ფაქტი, რომელიც მინდა, გავიხსენო: რაიხის კანცელარიაში უკვე რამდენიმე ათეული წელია, იდგა რაინჰოლდ ბეგასის[94] მიერ შესრულებული ბისმარკის მარმარილოს ბიუსტი. საზეიმო კურთხევამდე რამდენიმე დღით ადრე, ძველი შენობიდან ახალ შენობაში გადატანის დროს, ეს ბიუსტი მუშებს ძირს დაუვარდათ და თავი მოსტყდა. ეს ცუდად მენიშნა, მით უფრო, რომ ჰიტლერისაგან ასეთი ამბავი მქონდა გაგონილი, პირველი მსოფლიო

ომის დაწყების წინ ფოსტის შენობის თავზე აღმართული რაიხის არწივი ჩამოვარდა, რაც გერმანიისთვის უბედურების მომასწავებელი აღმოჩნდაო. ამიტომ ბიუსტის გატეხვის ფაქტი ჰიტლერს დავუმალე.

1939 წლის 12 იანვარს შედგა რაიხის კანცელარიის ახალი შენობის კურთხევა: ჰიტლერმა მიიღო ბერლინში აკრედიტებული დიპლომატები, რომელთაც მას დიდ დარბაზში საახალწლო მილოცვების ადრესები გადასცეს.

შენობის საზეიმო გახსნიდან 65 დღის შემდეგ, 1939 წლის 15 მარტს, ჰიტლერის სამუშაო ოთახში ჩეხოსლოვაკიის პრეზიდენტი შეიყვანეს. სწორედ ამ ოთახში გათამაშდა ის ტრაგედია, რომელიც ჰახას[95] კაპიტულაციით დაიწყო და გამთენიისას მისი ქვეყნის დაპყრობით დამთავრდა. მოგვიანებით ჰიტლერი ამბობდა: „ბოლოს ეს მოხუცი კაცი ისე დავამუშავე, რომ ნერვებმა უღალატა და მზად იყო, ყველაფერზე მოეწერა ხელი; მაგრამ უცბად გულის შეტევა დაემართა. გვერდით ოთახში ჩემმა ექიმმა მორელმა ნემსი გაუკეთა, რომელმაც ავადმყოფზე ორმაგი ძალით იმოქმედა. ჰახა გონს მოვიდა, გამოცოცხლდა და ხელის მოწერაზე უარი განაცხადა; ბოლოს, როგორც იქნა, ვაიძულე, დათანხმებულიყო.“

რაიხის კანცელარიის საზეიმო კურთხევიდან 78 თვის შემდეგ, 1945 წლის 16 ივლისს, შენობა უინსტონ ჩერჩილმა[96] დაათვალიერა: „რაიხის კანცელარიის წინ უამრავი ადამიანი იყო შეკრებილი. ისინი გახარებულები გაჰყვიროდნენ ჩემს სახელს. მე ამ დემონსტრაციამ უფრო შემძრა, ვიდრე ჩამოძონძილი მოსახლეობის ტანჯვით სავსე სახეებმა. შემდეგ დიდხანს დავდიოდით რაიხის კანცელარიის დანგრეულ დერეფნებსა და დარბაზებში“.

ამის შემდეგ შენობა მალე დაანგრიეს, ხოლო ქვები და მარმარილო საშენ მასალად გამოიყენეს ტრეპტოვში - ომში დაღუპული რუსების მემორიალური ძეგლისთვის.

ბოლო შენობები, რომლებიც ჩვენ 1939 წელს დავაპროექტეთ, ნეოამპირის სტილში იყო გადაწყვეტილი, ანუ იმ სტილის მსგავსი, რომელიც ჯერ კიდევ 125 წლის წინ, ე. ი. ნაპოლეონის დაცემამდე იყო გამეფებული - იგივე გადატვირთულობა, ფუფუნება, ოქროს გადამეტებულად გამოყენება და... იგივე დეკადანსი. ამ შენობების არა მხოლოდ სტილისტურ გადაწყვეტაში, არამედ მათ უზარმაზარ მასშტაბებშიც დაუფარავად გამოჩნდა ჰიტლერის ზრახვები.

ერთხელ, 1939 წლის ადრეულ გაზაფხულზე, ჰიტლერმა მიმითითა რაიხის არწივის ფიგურაზე კლანჭებში სვასტიკით, რომელიც 290 მეტრის სიმაღლის გუმბათიანი შენობის თავზე უნდა მდგარიყო და თქვა: „ეს უნდა შეიცვალოს. აქ სვასტიკა არაფერ შუაშია; ეს არწივი მსოფლიოს დაეპატრონება! ამიტომ მსოფლიოს უდიდეს შენობას უნდა ამშვენებდეს არწივი, რომელიც გლობუსს აზის. მაშინდელ სამუშაო ნახაზებს ჰიტლერის მიერ შეტანილი ცვლილება დღესაც ეტყობა.

რამდენიმე თვის შემდეგ მეორე მსოფლიო ომი დაიწყო.

დაღმასვლის დასაწყისი

1939 წლის აგვისტოს დასაწყისში ჩვენ - ჰიტლერის უახლოესი გარემოცვის წევრები კელშტაინის ჩაის პავილიონში უდარდელად ვატარებდით დროს. ჰიტლერი ჩვეულ მედიტაციებს მისცემოდა და ფიქრებში წასულმა უცებ წარმოთქვა: „ალბათ მალე რაღაც მოხდება, რაღაც - ძალიან მნიშვნელოვანი. გერინგის გაგზავნაც რომ დამჭირდეს... უკიდურეს შემთხვევაში, თავად გავემგზავრები. ამ საქმისთვის ყველაფერზე ვარ წამსვლელი“. ეს იყო და ეს. მეტი არაფერი უთქვამს.

სამიოდე კვირის შემდეგ, 1939 წლის 21 აგვისტოს შევიტყვეთ, რომ გერმანიის საგარეო საქმეთა მინისტრი მოსკოვში მიემგზავრებოდა მოლაპარაკების გასამართავად. ვახშმობისას ჰიტლერს წერილი მიაწოდეს. მან წერილი სწრაფად ჩაიკითხა, ჭარხალივით გაწითლდა, ერთხანს თვალი გაუშტერდა, შემდეგ მაგიდას მუშტი ისეთი ძალით დაჰკრა, რომ ჭიქები აწკრიალდა და მთელი ხმით დაიყვირა: „რუსების თანხმობა მივიღე! მივიღე!“ მაგრამ თვალის დახამხამებაში შეძლო თავის მოთოკვა. ვერავინ გაბედა, მისთვის რამე ეკითხა და ვახშამიც ჩვეულებრივ გაგრძელდა.

ვახშმის დამთავრების შემდეგ ჰიტლერმა თავისი გარემოცვა დაიბარა: „ჩვენ რუსეთთან თავდაუსხმელობის პაქტს დავდებთ. აი, გაეცანით! დეპეშაა სტალინისგან[97].“ დეპეშა გერმანიის რაიხსკანცლერის - ადოლფ ჰოტლერის სახელზე იყო გამოგზავნილი და მოკლე ფორმით ჩამოყალიბებულ თანხმობას შეიცავდა. ეს დეპეშა ჩემთვის სრულიად მოულოდნელ და ამაღელვებელ ფაქტს წარმოაგენდა: ქაღალდის ერთ ფურცელზე, ერთმანეთის გვერდიგვერდ, მეგობრულ კონტექსტში დაწერილი სტალინისა და ჰიტლერის სახელები! საღამოს დამლევს ფიურერმა გვაჩვენა ფილმი, რომელიც ასახავდა წითელი არმიის აღლუმს - ძლიერმა, უზარმაზარმა ჯარმა ტრიბუნაზე მდგომ სტალინს ჩაუარა. ჰიტლერმა კმაყოფილება გამოთქვა იმის გამო, რომ ეს ძლევამოსილი არმია ნეიტრალიზებულ იქნა; შემდეგ თავის სამხედრო ადიუტანტებს მიუბრუნდა, რომ მათთან ერთად შეეფასებინა რუსების შეიარაღებისა და ჯარების პოტენციალი. ქალბატონებს ჰიტლერმა, რა თქმა უნდა, არაფერი გაუმხილა, მათ ჩვენგან შეიტყვეს ახალი ამბავი, რომელიც მალე რადიომაც გაავრცელა.

21 აგვისტოს გოებელსმა პრესკონფერენციაზე კომენტარი გაუკეთა ამ მოვლენას. პრესკონფერენციის შემდეგ ჰიტლერმა დაურეკა გოებელსს და ჰკითხა, თუ როგორი იყო საზღვარგარეთული პრესის წარმომადგენლების რეაქცია. ჰიტლერმა გადმოგვცა გოებელსის პასუხი: „ახალმა ამბავმა ნამდვილი სენსაცია გამოიწვია. თანაც ჩემი მოხსენების დროს გარეთ საეკლესიო ზარების რეკვის ხმა გაისმა, რაზეც ინგლისური

პრესის წარმომადგენელმა თქვა: ეს ბრიტანეთის იმპერიის გლოვის ზარებია.“ იმ საღამოს ეიფორიაში მყოფ ჰიტლერზე ყველაზე ძლიერი შთაბეჭდილება ამ სიტყვებმა მოახდინა. მან ირწმუნა, უკვე ისეთ სიმაღლეს მიაღწია, რომ ბედ-იღბალი ვეღარაფერს დააკლებდა.

ღამით მე და ჰიტლერი ბერგჰოფის ტერასაზე ვიდექით და გაოცებულები შევცქეროდით ბუნების ფრიად უცნაურ სანახაობას. ძლიერი პოლარული ნათება გადაეფარა მითებით და თქმულებებით განთქმულ უნტერსბერგს - თითქმის ერთი საათის განმავლობაში მთას წითელი შუქი ეფინა, ხოლო ცა ჩვენს თავზე ცისარტყელის ფერებად ელვარებდა. ამაზე უფრო ეფექტურად ვაგნერის „ღმერთების დაღუპვის“ ბოლო მოქმედებასაც კი ვერ დადგამდა კაცი. სახე და ხელები არაბუნებრივი წითელი ფერით შეგვეღება. ამ სანახაობამ ძლიერ დაგვაფიქრა. ჰიტლერმა კი ძალზე მშვიდად მიმართა თავის ერთ-ერთ სამხედრო ადიუტანტს: „ეს სანახაობა ბევრ სისხლს მაგონებს. ამჯერად ძალის გამოყენება დაგვჭირდება:“

უკვე რამდენიმე კვირა იყო, რაც ჰიტლერის ძირითადმა ინტერესებმა არქიტექტურიდან სამხედრო სფეროსკენ გადაინაცვლა. იგი საათობით ესაუბრებოდა ვერმახტის ოთხ ადიუტანტს: პოლკოვნიკ რუდოლფ შმუნდტს[98] (პასუხისმგებელი ვერმახტის ხელმძღვანელობაზე), კაპიტან გერჰარდ ენგელსს[99] (პასუხისმგებელი ჯარზე), კაპიტან ნიკოლაუს ფონ ბელოვს (პასუხისმგებელი ლუფტვაფეზე) და კაპიტან კარლ-იესკო ფონ პუტკამერს[100] (პასუხისმგებელი ფლოტზე). ჰიტლერი ცდილობდა, თავის გეგმებში გარკვეულიყო. ახალგაზრდა და უშუალო ოფიცრები მას ძალიან მოსწონდა. მას მხარდაჭერა სჭირდებოდა და ამ მხარდაჭერას ახალგაზრდებისგან უფრო ადვილად ღებულობდა, ვიდრე სკეპტიკურად განწყობილი გენერალიტეტისგან.

მაგრამ გერმანია-რუსეთის თავდაუსხმელობის პაქტის გამოცხადების შემდეგ ახალგაზრდა ადიუტანტები რაიხის პოლიტიკურმა და სამხედრო ელიტის წარმომადგენლებმა შეცვალეს, მათ შორის იყვნენ გერინგი, გოებელსი, კაიტელი და რიბენტროპი. გოებელსი დაუფარავად ლაპარაკობდა მოახლოებული ომის საშიშროებაზე. გასაოცარი ის იყო, რომ სხვა დროს რადიკალურად განწყობილი პროპაგანდისტი ამჯერად დიდ რისკზე საუბრობდა და ცდილობდა, ჰიტლერის გარემოცვისთვის მშვიდობიანი პოლიტიკის ხაზის გატარება ერჩია. გოებელსი არ მალავდა თავის უარყოფით დამოკიდებულებას რიბენტროპის მიმართ, რომელიც მას ომის მომხრეთა პარტიის მთავარ წარმომადგენლად მიაჩნდა. ჩვენ კი, ჰიტლერის უახლოესმა გარემოცვამ, გოებელსი და გერინგიც, რომელიც ასევე მშვიდობის შენარჩუნების იდეას იცავდა, ლაჩრებად მოვნათლეთ, კეთილდღეობისაგან დეგენერირებულ ადამიანებად, რომლებსაც მიღწეული პრივილეგიების დაკარგვის შიშით რისკზე წასვლა არ სურდათ.

ომის მომხრეთა პარტია, რომელშიც ჰიტლერი და რიბენტროპი შედიოდნენ, შემდეგ არგუმენტებს იშველიებდა: „დავუშვათ, დღეს ჩვენი შეიარაღების მზარდი ტემპის გამო ჩვენსა და მოწინააღმდეგეს შორის ძალთა თანაფარდობა ოთხი ერთთანაა. ჩეხოსლოვაკიის ოკუპაციის შემდეგ მოწინააღმდეგე მხარე თავის შეიარაღებაზე სერიოზულად ზრუნავს, მაგრამ სამხედრო ტექნიკის წარმოების მთელი ძალით ამუშავებას წელიწადნახევარს ან ორ წელს მაინც მოანდომებს და მხოლოდ 1940 წლიდან დაიწყებს ნელ-ნელა ჩვენი უპირატესობის დაძლევას. მას მერე, რაც მოწინააღმდეგე მხარე სამხედრო პროდუქციის იმ რაოდენობით წარმოებას შეძლებს, რომლითაც ჩვენ გაგვითანაბრდება, გერმანული პოტენციალის უპირატესობა თანდათან გაქრება; იმისათვის, რომ ჩვენი ამჟამინდელი უპირატესობა შევინარჩუნოთ, იარაღის წარმოება ოთხჯერ უნდა გავზარდოთ. ამას კი ვერ შევძლებთ. იმ შემთხვევაშიც კი, როცა მოწინააღმდეგის შეიარაღება ჩვენი შეიარაღების მხოლოდ ნახევარს გაუტოლდება, ძალთა თანაფარდობა შეიცვლება, მაგრამ ჩვენს სასარგებლოდ - არა. ჩვენ კი სწორედ ახლა გვაქვს უახლესი ტიპის შეიარაღება ჯარის ყველა სახის დანაყოფისთვის, მოწინააღმდეგეს კი - მხოლოდ მოძველებული ტექნიკა.“

ამგვარმა მსჯელობამ ჰიტლერს ალბათ გადაწყვეტილება ვერ შეაცვლევინა, მაგრამ ეჭვგარეშეა, რომ ამ მსჯელობამ ზეგავლენა მოახდინა ჰიტლერის მიერ ომის დაწყების დროის შერჩევაზე. ჯერ-ჯერობით კი ჰიტლერი ამბობდა: „მე ობერზალცბერგში იმდენ ხანს დავრჩები, რამდენიც მომავალი მძიმე დღეებისთვის ძალების მოსაკრებად იქნება საჭირო. ბერლინში მხოლოდ მაშინ გავემგზავრები, როდესაც გადამწყვეტი მომენტი დადგება.“

და რამდენიმე დღის შემდეგ ჰიტლერის მანქანების კოლონა მიუნხენის მიმართულებით დაიძრა: 10 მანქანა ერთმანეთისაგან მკაცრ დისტანციას იცავადა უსაფრთხოების მიზნით. ზაფხულის მიწურულის ლამაზი, უღრუბლო, მზიანი დღე იდგა. მოსახლეობამ უხმოდ გაატარა ჰიტლერის მანქანა, რაც ერთობ უჩვეულო იყო. თითქმის არავინ უქნევდა მას ხელს. ბერლინშიც რაიხის კანცელარიასთან სიმშვიდე სუფევდა. სხვა დროს, როგორც კი კანცელარიის თავზე ჰიტლერის დროშა აფრიალდებოდა, ნიშნად იმისა, რომ კანცლერი თავის რეზიდენციაში იმყოფებოდა, შენობას მოაწყდებოდა ხოლმე ხალხი, რომელიც კანცლერს შენობაში შესვლისა და იქიდან გამოსვლის დროს მხურვალედ ესალმებოდა.

მოვლენათა შემდგომ განვითარებას მე, რა თქმა უნდა, არავინ მატყობინებდა; ჰიტლერის ჩვეული დღის განრიგი ამ განსაკუთრებულ დღეებში საგრძნობლად აირ-დაირია. მას შემდეგ, რაც „სამეფო კარი“ ბერლინში გადმოვიდა, ჰიტლერი მთელ დროს სხვადასხვა მოლაპარაკებას უთმობდა და აღარც დიდი სადილები იმართებოდა. ჩემი დაკვირვებებიდან, რომლებიც მეხსიერებას იმ პერიოდიდან შემორჩა, პირველ რიგში იტალიის ელჩის - ბერნარდო ატოლიკოს[101] კომიკური ფიგურა მახსენდება: ატოლიკოს პოლონეთზე თავდასხმამდე რამდენიმე დღით ადრე

შევხვდი რაიხის კანცელარიაში. ის ქოშინით ამორბოდა კიბეზე, რათა სასწრაფოდ ეცნობებინა კანცლერისთვის, რომ იტალია ჯერჯერობით ვერ შეასრულებდა მოკავშირის ვალდებულებებს, თუ... და დუჩემ ამ უარს მოაყოლა მთელი რიგი მოთხოვნებისა, რომელთა შესრულება შეუძლებელი იყო: გერმანიას იტალიისათვის სამხედრო და სამეურნეო პროდუქციის დიდი რაოდენობა უნდა გადაეცა, რაც გერმანიის შეიარაღებული ძალების მნიშვნელოვან შესუსტებას გამოიწვევდა. ჰიტლერი კი განსაკუთრებით დიდ იმედებს ამყარებდა იტალიურ ფლოტზე, მრავალ წყალქვეშა ნავზე და იტალიის დიდ საჰაერო ფლოტზე. იტალიის ელჩის მიერ მოწოდებული ინფორმაციის მოსმენის შემდეგ ჰიტლერმა ერთ ხანს ჩათვალა, რომ მისი ჩანაფიქრი განუხორციელებელი დარჩებოდა. ჰიტლერი თვლიდა, რომ დასავლეთ ევროპის სახელმწიფოებს ომისთვის იტალიის მზადყოფნა დააფრთხობდა. ამდენად ჰიტლერი იძულებული გახდა, დროებით გადაედო პოლონეთზე თავდასხმა, მიუხედავად იმისა, რომ ბრძანება უკვე გაცემული ჰქონდა.

რამდენიმე დღის შემდეგ ჰიტლერმა ყოველივე ფხიზლად აწონ-დაწონა და ახალი აღმაფრენით შეუდგა საქმეს. ის ინტუიციურად მიხვდა, რომ დასავლეთის მხრიდან ომის არგამოცხადება არც იტალიის მოყოყმანე პოზიციით იქნებოდა განაღდებული. ჰიტლერმა უარი თქვა მუსოლინის მიერ შემოთავაზებულ ინტერვენციის გეგმაზე. ფიურერმა განაცხადა, რომ ჯარს მეტხანს ვეღარ შეაჩერებდა, რადგან მუდმივ მზადყოფნაში მყოფი ჯარისკაცები უკვე ნერვებს იყვნენ აყოლილები, გარდა ამისა ოქროს შემოდგომა მალე მიიწურებოდა, ხოლო წვიმების პერიოდში არსებობდა საშიშროება, საჯარისო ნაწილები პოლონეთის ქვიშაში ჩარჩენილიყვნენ.

გერმანიამ და ინგლისმა ნოტები გაცვალეს პოლონეთთან დაკავშირებით. ჰიტლერი გადაღლილი ჩანდა, როცა ერთ საღამოს თავისი ბინის ზამთრის ბაღში უახლოეს გარემოცვასთან დარწმუნებით თქვა: „ამჯერად 1914 წელს დაშვებული შეცდომა აღარ განმეორდება. ყველაფერი მხოლოდ იმაზეა დამოკიდებული, რამდენად შევძლებთ, რომ მთელი დანაშაული მოწინააღმდეგეს გადავაბრალოთ. 1914 წელს ეს საკმაოდ უხეშად გააკეთეს. საგარეო საქმეთა სამინისტროს მიერ მომზადებული საბუთები ახლაც სრულიად გამოუსადეგარია. უმჯობესია, ნოტა მე თვითონ შევადგინო.“ როგორც ჩანს, ის ქაღალდი, რომელიც ჰიტლერს ხელში ეკავა, საგარეო საქმეთა სამინისტროს მიერ მომზადებული ნოტის მონახაზი იყო. ჰიტლერი სწრაფად დაგვემშვიდობა, ჩვენ სუფრასთან დაგვტოვა და ზედა სართულზე თავის სამუშაო ოთახში ჩაიკეტა. დიდი ხნის მერე, ციხეში გავეცანი ამ ნოტებს; მათი წაკითხვის შემდეგ ისეთი შთაბეჭდილება დამრჩა, რომ ჰიტლერს მაშინ არცთუ წარმატებულად გაერთმია თავი თავისი განზრახვისათვის.

ჰიტლერი დიდ იმედებს ამყარებდა იმაზე, რომ პოლონეთი გერმანიას დიდხანს ვერ გაუწევდა წინააღმდეგობას, ხოლო ბრიტანეთის გენერალური შტაბი ყოველ ღონეს იხმარდა, რომ მისი ქვეყნის მთავრობას უარი ეთქვა ასეთ ომში მონაწილეობაზე. მაგრამ როდესაც 3 სექტემბერს დასავლეთის სახელმწიფოებმა ულტიმატუმების

შემდეგ მაინც გამოუცხადეს ომი გერმანიას, ჰიტლერმა თავი ასე ინუგეშა: ინგლისმა და საფრანგეთმა ომი ფიქტიურად გამოაცხადეს, მსოფლიოს თვალში თავიანთი ავტორიტეტი რომ არ დაეკარგათო. ჰიტლერი დარწმუნებული იყო, რომ ომის გამოცხადების მიუხედავად, საბრძოლო მოქმედებები არ დაიწყებოდა. ამიტომ მან ვერმახტს უბრძანა თავდაცვით პოზიციაზე დარჩენილიყო. ამ გადაწყვეტილებით ჰიტლერი ფრიად კმაყოფილი დარჩა და საკუთარი თავი გამჭრიახ პოლიტიკოსად ჩათვალა.

ფორიაქით სავსე აგვისტოს ბოლო დღეებს წარმოუდგენელი სიმშვიდე მოჰყვა. ჰიტლერი ცოტა ხნით თავის ჩვეულ რიტმსაც დაუბრუნდა; მას კვლავ გაუჩნდა ინტერესი არქიტექტურული პროექტების მიმართ. მასთან სადილად შეკრებილ საზოგადოებას კი ფიურერმა გამოუცხადა: „მართალია, ჩვენ ინგლისთან და საფრანგეთთან საომარ ვითარებაში ვიმყოფებით, მაგრამ თუ ჩვენ ჩვენი მხრიდან თავს ავარიდებთ ყოველგვარ საომარ მოქმედებებს, ყველაფერი მშვიდობიანად დასრულდება. და თუკი ჩვენ გემს ჩავძირავთ, რასაც მრავალი მსხვერპლი მოჰყვება, მაშინ მოწინააღმდეგე გააქტიურდება. თქვენ წარმოდგენაც კი არა გაქვთ, როგორები არიან ეს დემოკრატები: ისინი ბედნიერები იქნებიან, თუ ამ რთული ვითარებიდან თავს დაიძვრენენ... პოლონეთს კი ბედის ანაბარა მიატოვებენ!“ ჰიტლერს მაშინაც კი არ გაუცია ცეცხლის გახსნის ბრძანება, როდესაც გერმანული წყალქვეშა ნავები ხელსაყრელ პოზიციაში დაუპირისპირდნენ ფრანგულ საბრძოლო გემს, „დიუნკერკს“. ბრიტანეთის მიერ ვილჰელმჰაფენზე მიტანილმა საჰაერო იერიშმა და გემ „ათენიას“ დაღუპვამ ჰიტლერს ყველანაირი ილუზიები გაუფანტა, თუმცა ჭკუა მაინც ვერ ასწავლა.

იგი მაინც იმ აზრისა იყო, რომ დასავლეთი ძალზე უსუსური, მოუქნელი და დეკადენტურია იმისათვის, რომ სერიოზული ომი წამოიწყოს. შესაძლოა, ჰიტლერი ვერც საკუთარ თავს და ვერც თავის გარემოცვას უტყდებოდა, რომ შეცდა. ახლაც კარგად მახსოვს ის გაოგნება და სასოწარკვეთა, რომლითაც ჩვენ შევხვდით ცნობას იმის თაობაზე, რომ ჩერჩილი ბრიტანეთის საზღვაო ფლოტის მინისტრი და შესაბამისად ბრიტანეთის სამხედრო კაბინეტის წევრი გახდა. ამ ავის მაუწყებელი ფურცლით ხელში ჰიტლერის ოთახიდან გერინგი გამოვიდა. იგი პირველივე სავარძელში ჩაეშვა და დაღლილმა წარმოთქვა: „ჩერჩილი კაბინეტის წევრია, ეს კი იმას ნიშნავს, რომ ომი მართლა დაიწყება. აი, ახლა კი ნამდვილად იწყება ომი ინგლისთან.“ ამგვარი დაკვირვებების შედეგად ცხადი ხდება, რომ ამ ომის დაწყება ჰიტლერს ვერც კი წარმოედგინა. მან გარკვეული დროით დაკარგა შეუცდომელი ფიურერის დამამშვიდებელი აურა.

მოსახლეობა სიტუაციას გაცილებით უფრო სერიოზულად აფასებდა, ვიდრე ჰიტლერი და მისი გარემოცვა. საყოველთაო დაძაბულობის შედეგად სექტემბრის დასაწყისში ბერლინში ცრუ საჰაერო განგაში გამოცხადდა. მრავალ ბერლინელთან ერთად მეც აღმოვჩნდი ერთ-ერთ ბომბსაფარში. ადამიანები შიშით სავსე თვალებით

უყურებდნენ მომავალს. თავშესაფარში ძალზე დამთრგუნველი ატმოსფერო სუფევდა.

პირველი მსოფლიო ომისგან განსხვავებით, საჯარისო ნაწილებს ომში ყვავილებით აღარ აცილებდნენ. ქუჩები დაცარიელებული იყო. ვილჰელმსპლაცზეც არ გროვდებოდა ხალხი, არავინ სკანდირებდა ჰიტლერის სახელს. ამ დამთრგუნველი სიჩუმით შეწუხებულმა ჰიტლერმა ერთ ღამეს თავისი ჩემოდნები ჩაალაგებინა და აღმოსავლეთში - ფრონტის ხაზზე გასამგზავრებლად მოემზადა. პოლონეთზე თავდასხმის გამოცხადებიდან 3 დღის შემდეგ ჰიტლერის ადიუტანტმა დამირეკა და ფიურერთან გამოსათხოვებლად რაიხის კანცელარიაში დამიბარა. კანცელარიაში მე დამხვდა ადამიანი, რომელიც ჩაბნელებულ ოთახში იჯდა და ნებისმიერ წვრილმანს წონასწორობიდან გამოჰყავდა. ჰიტლერი დაემშვიდობა თავის კარისმხლებლებს, რომლებიც ბერლინში რჩებოდნენ და მანქანების კოლონა დაიძრა. ამ ისტორიული მომენტისთვის ქუჩაში კაციშვილს არ მიუქცევია ყურადღება: ჰიტლერი მიემგზავრებოდა თავის მიერვე ინსცენირებულ ომში. რა თქმა უნდა, გოებელსს შეეძლო, უამრავი ადამიანი მოეყარა და ხმაურიანი მანიფესტაცია მოეწყო, მაგრამ როგორც ჩანს, აღარც პროპაგანდის მინისტრს ჰქონდა ამის თავი.

ჰიტლერს გერმანიაში მობილიზაციის გამოცხადების შემდეგაც არ დავიწყებია თავისი ხელოვანები. 1939 წლის გვიან ზაფხულში ჰიტლერის ადიუტანტმა ჯარის საკითხებში ჯარის სარეგისტრაციო ოლქებიდან ხელოვანთა საბუთები გამოითხოვა, დახია და გადაყარა. ამ საკმაოდ ორიგინალური ჟესტის წყალობით ეს ადამიანები აღარ იყვნენ აქტუალურები ჯარისთვის, რადგან საბუთებით აღარ არსებობდნენ. ჰიტლერის და გოებელსის მიერ შედგენილ სიაში ყველაზე ცოტანი არქიტექტორები და მოქანდაკეები იყვნენ; ჯარიდან გათავისუფლებულთა უმეტეს ნაწილს მომღერლები და მსახიობები წარმოადგენდნენ. სახელმწიფოს მომავლისათვის ახალგაზრდა მეცნიერების გადარჩენაც რომ ძალზე მნიშვნელოვანი იყო, მხოლოდ ჩემი წყალობით მიხვდნენ 1942 წელს.

ობერზალცბერგიდან ტელეფონით დავუკავშირდი ვილ ნაგელს, ჩემს ყოფილ შეფს, ამჟამად კი ჰიტლერის მისაღების უფროსს და ტექნიკური დახმარების ჯგუფის მომზადების ნებართვა ვთხოვე. ჩვენ გვინდოდა, ჩვენი უკვე კარგად აწყობილი სამშენებლო გუნდის შესაძლებლობები ხიდების აღსადგენად, ქუჩების გადასაკეთებლად, ან სხვა ობიექტების მოსაწესრიგებლად გამოგვეყენებინა და ამ გზით დავხმარებოდით მთავარსარდლობას. მაგრამ ჩვენი მზადება მხოლოდ საძილე ტომრებისა და კარვების შეძენით და ჩემი BMW-ს ხაკისფრად შეღებვით შემოიფარგლა. საყოველთაო მობილიზაციის გამოცხადების დღეს მე გავემგზავრე ბენდლერის ქუჩაზე, სადაც ჯარის უმაღლესი მთავარსარდლობა იმყოფებოდა. გენერალ-პოლკოვნიკი ფრომი[102], რომელიც პასუხისმგებელი იყო ჯარის მობილიზაციაზე, პრუსიულ-გერმანული უწყებისთვის ჩვეული სიმშვიდით იჯდა ოთახში, აწყობილი მექანიზმი კი გეგმის მიხედვით მუშაობდა. მან სიამოვნებით

მიიღო ჩემი წინადადება; ჩემს მანქანას სამხედრო ნომერი მიანიჭეს, მე კი სამხედრო მოწმობა მომცეს. სამწუხაროდ, ამით დასრულდა ჩემი საომარი მოღვაწეობის პირველი ეტაპი.

ჰიტლერმა თავად ამიკრძალა საომარ მოქმედებებში მონაწილეობა და ყოველგვარი აქტიურობა. მან მიბრძანა, გამეგრძელებინა მუშაობა ჩემს არქიტექტურულ პროექტებზე: „სამშენებლო სამუშაოები ყოველგვარი დაბრკოლების გარეშე უნდა გაგრძელდეს!“ ჰიტლერის ამ ბრძანებითაც კარგად ჩანს, თუ რამდენად არარეალისტურად აზროვნებდა იგი: ერთი მხრივ, ჰიტლერი გამუდმებით იმაზე ლაპარაკობდა, რომ გერმანიას სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლისთვის უნდა გაეძლო; მეორე მხრივ - ის არ აპირებდა უარის თქმას თავის გრანდიოზულ სათამაშოებზე. ამასთან ერთად, იგი უგულებელყოფდა ხალხის მასების განწყობას. ხალხს მდიდრული, გრანდიოზული შენობების აღმართვის პროცესისთვის უნდა ეყურებინა იმ დროს, როცა ჰიტლერის ექსპანსიურმა ნებამ უკვე მოითხოვა პირველი მსხვერპლი. ეს იყო მისი პირველი ბრძანება, რომელსაც არ დავემორჩილე. ისეთი შთაბეჭდილება დამრჩა, რომ ჰიტლერი შეეგუა დიდი მშენებლობის შეჩერების აზრს.

ოქტომბრის დასაწყისში გერმანიის ელჩმა მოსკოვში, გრაფმა ფონ დერ შულენბურგმა[103] ჰიტლერს აცნობა, რომ სტალინი პირადად დაინტერესდა ჩვენი სამშენებლო გეგმებით. კრემლში გამართეს ჩვენი მაკეტების ფოტოსერიის გამოფენა, თუმცა ჰიტლერის მითითებით ყველაზე დიდი შენობების პროექტები საიდუმლოდ იყო დაცული, „სტალინს მადა რომ არ აღძვროდა.“ შულენბურგმა შესთავაზა ჰიტლერს, რომ მე მოსკოვში გავმგზავრებულიყავი და თავად წარმედგინა საკუთარი პროექტები. მაგრამ ჰიტლერმა ნახევრად ხუმრობით თქვა: „სტალინი თქვენ მოსკოვში დაგტოვებთ,“ და გამგზავრებაზე უარი მითხრა. ცოტა მოგვიანებით გერმანიის დესპანმა შნურემ შემატყობინა, რომ სტალინს ჩემი ესკიზები ძალიან მოსწონებოდა.

29 სექტემბერს რიბენტროპი მოსკოვის მეორე კონფერენციიდან დაბრუნდა და ჩამოიტანა გერმანულ-საბჭოთა ხელშეკრულება საზღვრების დადგენისა და მეგობრობის შესახებ. ამ ხელშეკრულების თანახმად, პოლონეთი მეოთხედ უნდა გაყოფილიყო. ჰიტლერთან სადილობისას რიბენტროპმა განაცხადა, რომ მას ჯერ არასოდეს უგრძვნია თავი ისე კარგად, როგორც სტალინის თანამშრომლების გარემოცვაში: „ჩემო ფიურერო, ისეთი შეგრძნება მქონდა, თითქოს ჩემი ძველი პარტიული ამხანაგების წრეში ვიმყოფებოდი!“ საგარეო საქმეთა მინისტრი ჩვეულებრივ თავშეკავებული კაცი იყო, ამჯერად კი მისი საუბარი ენთუზიაზმით იყო აღსავსე. ჰიტლერს რიბენტროპის ნათქვამისთვის ყურადღება არ მიუქცევია - გაშეშებული სახით იჯდა. რიბენტროპი კი ჰყვებოდა, რომ სტალინი საზღვრებზე შეთანხმებით კმაყოფილი იყო და რუსეთისთვის განკუთვნილ ზონაში საკუთარი ხელით შემოუხაზავს რუკაზე ერთი უზარმაზარი ოლქი, რომელიც მან რიბენტროპს საჩუქრად გადასცა სანადიროდ. ამ ჟესტმა გერინგის პროტესტი გამოიწვია: მას არ სურდა, რომ სტალინის საჩუქარი საგარეო საქმეთა მინისტრს რგებოდა. გერინგი

თვლიდა, რომ ეს სანადირო ტერიტორია რაიხის საკუთრებაში უნდა გადასულიყო, ანუ შესაბამისად მის - გერინგის საკუთრებაში, ვინაიდან იგი იყო რაიხის ნადირობის მინისტრი. რიბენტროპსა და გერინგს შორის კამათი ჩხუბში გადაიზარდა: გამარჯვებული გერინგი დარჩა.

ოქტომბერში ჰანკემ მითხრა, რომ მან მოახსენა ჰიტლერს პოლონეთში სადემარკაციო ხაზზე გერმანიისა და საბჭოთა ჯარის ნაწილების შეხვედრის შესახებ; ჰანკეს ისეთი შთაბეჭდილება დარჩენოდა, რომ საბჭოთა ჯარის აღჭურვილობა ღარიბული და მოძველებული იყო. დანარჩენმა ოფიცრებმაც დაადასტურეს ჰანკეს ნათქვამი. ეს ინფორმაცია ჰიტლერმა ყურადღებით მოისმინა. ჰიტლერი ყველგან იმას ლაპარაკობდა, რომ მოძველებული და ღარიბული აღჭურვილობა სამხედრო სისუსტეზე ან საორგანიზაციო ნაკლზე მიუთითებდა. მისი ეს შეხედულება მალე განამტკიცა კიდეც საბჭოთა კავშირის მიერ ფინეთის დაპყრობის მცდელობამ, რაც მარცხით დამთავრდა.

1939 წელს ჰიტლერმა დამავალა მისთვის შტაბ-ბინა მომეწყო დასავლეთ გერმანიაში. ჩვენ გავათანამედროვეთ და ბუნკერებით აღვჭურვეთ ციგენბერგის ციხესიმაგრე - გოეთესდროინდელი მამული, რომელიც ნაუჰაიმთან, ტაუნუსის მთის ძირას მდებარეობს. სამუშაო რომ დავასრულეთ, ჰიტლერმა უეცრად გამოგვიცხადა, რომ ეს შტაბ-ბინა მისთვის ძალიან ძვირფასი იყო; მას კი სურს, უფრო სადად იცხოვროს, ამიტომ ომის პერიოდში აიფელი უფრო მისაღები ადგილი იქნებაო.

საფრანგეთზე სწრაფად მიღწეული გამარჯვების შემდეგ დავიჯერე, რომ ჰიტლერი ერთ-ერთი უდიდესი ფიგურა გახდებოდა გერმანიის ისტორიაში.

თავად ჰიტლერი ამ წარმატების შემდეგ ზედმეტად თავდაჯერებული გახდა. მის მონოლოგებს სადილის სუფრასთან ახალი თემა შეემატა. ჰიტლერი ამბობდა, რომ მისი კონცეფცია არ დაინგრეოდა იმ მიზეზებით, რა მიზეზების გამოც გერმანია პირველ მსოფლიო ომში დამარცხდა: მაშინ პოლიტიკური და სამხედრო ხელმძღვანელობა დაქსაქსული იყო და სამხედროებმა ასპარეზი პოლიტიკურ პარტიებს დაუტოვეს, რითაც საფრთხე შეუქმნეს ერის სულიერ ერთობას.

არისტოკრატიული დინასტიების უსუსური პრინცები ჯარების უმაღლესი მთავარსარდლებად მხოლოდ პროტოკოლის გამო დაინიშნენ; მათ ომის დროს მომკილი დაფნის გვირგვინებით დიდება უნდა შეემატებინათ თავიანთი დინასტიისათვის. ისინი უდიდეს კატასტროფებს მხოლოდ იმის წყალობით გადაურჩნენ, რომ ამ დეკადენტური თავადური გვარების უბადრუკ შთამომავალთ ბრწყინვალე ოფიცრები ჰყავდათ. უმაღლესი მთავარსარდალი მაშინ ყოვლად უსუსური ვილჰემ მეორე იყო. ამგვარი ტირადის შემდეგ ჰიტლერი კმაყოფილებით ასკვნიდა: ახლა კი გერმანია ერთიანია; მთავარსარდლებად ავირჩიეთ საუკეთესო ოფიცრები, მათი წარმომავლობის გაუთვალისწინებლად; არისტოკრატია პრივილეგიებით აღარ სარგებლობს; პოლიტიკა და ვერმახტი, ისევე როგორც მთელი

ერი, ერთ მთლიანობად იქცა. ყოველივე ამის სათავეში კი იდგა იგი - ჰიტლერი. მისი ძალისხმევის, ნება-სურვილის და ენერგიის წყალობით გერმანია ყველა სიძნელეს დაძლევდა.

ჰიტლერმა საფრანგეთის დაპყრობის ოპერაციის წარმატება თვითონ მიიწერა, რადგან მისი თქმით, გეგმა თავად შეადგინა: „მე რამდენჯერმე წავიკითხე პოლკოვნიკ შარლ დე გოლის[104] წიგნი „მთლიანად მოტორიზებული საჯარისო შენაერთების თანამედროვე ბრძოლისუნარიანობის შესახებ“. ამ წიგნმა ბევრი რამ მასწავლა,“ - ამბობდა ხოლმე იმ პერიოდში ჰიტლერი.

საფრანგეთზე ლაშქრობის დასასრულს ფიურერის ადიუტანტმა დამირეკა: ფიურერს განსაკუთრებული დავალება ჰქონია ჩემთვის და მას შტაბ-ბინაზე უნდა ვწვეოდი. ფიურერის ბინა მდებარეობდა სედანის მახლობელ პატარა სოფელში, რომელსაც ბრიული ლე პეში ერქვა. სოფელი უკაცრიელი იყო. სოფლის ერთადერთ ქუჩაზე განლაგებულ პატარა სახლებში დაბინავდნენ გენერლები და ადიუტანტები. ჰიტლერის ბინა ბევრად არ განსხვავდებოდა მათი ბინებისაგან. როცა მივედი, ფიურერი თბილად მომესალმა და მითხრა: „რამდენიმე დღეში პარიზში მივფრინავთ. მინდა, ჩემთან ერთად წამობრძანდეთ. (არნო) ბრეკერი[105] და (ჰერმან) გისლერიც[106] წამოგვყვებიან.“ მე გაოგნებული დავრჩი: გამარჯვებული ფიურერი ფრანგების დედაქალაქში სამი ხელოვანის თანხლებით ჩადის!

საღამოს ჰიტლერთან მიმიწვიეს ვახშმად, რომლის დროსაც პარიზში გამგზავრების დეტალებზე იყო საუბარი. როგორც შევიტყვე, ვიზიტი ოფიციალური კი არ იყო, არამედ ჰიტლერის, ასე ვთქვათ, „სახელოვნებო მოგზაურობა“ იმ ქალაქში, რომელსაც იგი ჯერ კიდევ ახალგაზრდობაში მოუნუსხავს; ჰიტლერი თვლიდა, მას ისე ჰქონდა პარიზის გეგმა შესწავლილი, რომ თვალდახუჭულს შეეძლო ამ ქალაქში ყველა ქუჩისა და მნიშვნელოვანი ნაგებობის პოვნა.

1940 წლის 25 ივნისს ღამის პირველ საათსა და 35 წუთზე ძალაში უნდა შესულიყო ბრძანება ცეცხლის შეწყვეტის შესახებ. ჰიტლერთან ერთად ვისხედით გლეხის ერთ უბრალო ქოხში, ხის მაგიდის გარშემო. დათქმულ დრომდე ცოტა ხნით ადრე ჰიტლერმა ბრძანა, შუქი ჩაგვექრო და ფანჯრები გაგვეღო. ასე ვისხედით სიბნელეში ჩუმად. გარეთ საბრძოლო მოქმედებების დასასრულის მომასწავებელი ტრადიციული სიგნალი გაისმა. სადღაც შორს ელავდა. ამ სიჩუმეში უეცრად გაისმა ჰიტლერის ხმა; ის თითქოს თავის თავს ელაპარაკებოდა: „ოჰ, ეს პასუხისმგებლობა...“ რამდენიმე წუთის შემდეგ დაამატა: „აანთეთ სინათლე!“ საუბარი მშვიდად გაგრძელდა. მე კი მივხვდი, რომ იშვიათი მომენტის მომსწრე გავხდი: მე დავინახე ჰიტლერი - ადამიანი!

ცეცხლის შეწყვეტის გამოცხადებიდან სამი დღის თავზე, დილით ადრე, დაახლოებით ექვსის ნახევარზე ჩვენი თვითმფრინავი ლე ბურჟეს აეროპორტში დაეშვა. იქ სამი დიდი მერსედესი გველოდებოდა. ჰიტლერი მძღოლის გვერდით

დაჯდა, ბრეკერი და მე მის უკან, სათადარიგო ადგილებზე მოვთავსდით, ჩვენს უკან კი გისლერი და ადიუტანტი დასხდნენ. ჩვენ, სამ ხელოვანს, სამხედრო უნიფორმა მოგვარგეს და გეზიც პირდაპირ არქიტექტორ გარნიეს[107] შედევრის - პარიზის დიდი ოპერისკენ ავიღეთ. ჰიტლერი დიდი ხანია ოცნებობდა, რომ ნეობაროკოს სტილში აგებული თავისი საყვარელი ოპერის თეატრის შენობა ენახა.

ზედმიწევნით ყურადღებით დავათვალიერეთ მდიდრული კიბეები და ფოიე, ოქროთი მოვარაყებული მაყურებელთა დარბაზი. ოპერის შენობა ისეთი გაჩირაღდნებული იყო, თითქოს იქ გალა კონცერტი უნდა გამართულიყო. გიდობა თავად ჰიტლერმა გაგვიწია. უკაცრიელ შენობაში ერთი ჭაღარა კაპელდინერი დაგვყვებოდა. ჰიტლერს მართლაც კარგად ჰქონია შესწავლილი პარიზის ოპერის თეატრის გეგმა. პროსცენიუმის ლოჟასთან რომ მივედით, ფიურერს ერთი დიდი სალონი სათვალავში დააკლდა. და მართლაც, ეს კაპელდინერმაც დაადასტურა, მრავალი წლის წინ რეკონსტრუქციის დროს ეს დარბაზი გააუქმესო. ამაზე ჰიტლერს კმაყოფილებით აღმოხდა: „აი, ხომ ხედავთ, რა კარგად ვიცნობ აქაურობას!“ იგი ისე იყო აღფრთოვანებული ოპერის შენობით, მისი ენით უთქმელი სილამაზით, რომ სიხარულისგან თვალები უბრწყინავდა. რა თქმა უნდა, კაპელდინერმა თავიდანვე იცნო ფიურერი, მაგრამ ეს არ შეიმჩნია. იგი საქმიანად დაგვატარებდა შენობაში, ამასთან ხაზგასმით იცავდა დისტანციას. წასვლა რომ დავაპირეთ, ჰიტლერმა თავის ადიუტანტს ყურში რაღაც ჩასჩურჩულა; ბრიუკნერმა საფულიდან 50-მარკიანი ბანკნოტი ამოიღო და მოშორებით მდგომ მოხუც კაცს მიაწოდა. მოხუცმა თავაზიანად, მაგრამ გადაჭრით თქვა უარი ფულზე. ჰიტლერმა ერთხელ კიდევ სცადა და ახლა ბრეკერი მიუგზავნა, მაგრამ კაცი კვლავ უარზე იდგა, მე მხოლოდ ჩემს მოვალეობას ვასრულებდიო, - უთხრა მან ბრეკერს.

შემდეგ გავემგზავრეთ შანზ ელიზეზე, ტროკადეროზე, მივედით ეიფელის კოშკთან, ტრიუმფალურ თაღთან, ინვალიდების სასახლესთან, სადაც ჰიტლერი დიდხანს იდგა ნაპოლეონის სარკოფაგთან. ბოლოს ჰიტლერმა პანთეონიც მოინახულა, რომლის პროპორციებმაც მასზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა. გასაკვირია, მაგრამ ფიურერს მაინცადამაინც დიდი ინტერესი არ გამოუჩენია პარიზის ულამაზესი არქიტექტურული ძეგლების - ვოგის მოედნის, ლუვრის, იუსტიციის სასახლისა და სენ შაპელის მიმართ. რივოლის ქუჩის ერთ რიგად ჩამწკრივებულმა სახლებმა ფიურერი ისევ გამოაცოცხლა. ჩვენი მოგზაურობის დასასრულს მოვინახულეთ ეკლესია „საკრ კიორი“ - მონმარტრზე. ჰიტლერის გემოვნებას თუ გავითვალისწინებთ, ამ არჩევანს მისგან არ ველოდი. აქ იგი დიდხანს იდგა თავისი დაცვის ღონიერი ვაჟკაცებით გარშემორტყმული; ეკლესიაში მყოფებმა, მართალია, იცნეს ჰიტლერი, მაგრამ ყურადღება არ მიაქციეს. „საკრ კიორის“ ტერასიდან ჰიტლერმა უკანასკნელი მზერა გადაავლო პარიზს, შემდეგ კი სწრაფი სვლით ავიღეთ გეზი აეროპორტისკენ. დილის 9 საათი იქნებოდა. „პარიზის ნახვა ჩემი ცხოვრების ოცნება იყო. ვერც კი აღგიწერთ, როგორი ბედნიერი ვარ, რომ ეს ნატვრა ამისრულდა.“ რამდენიმე წამით ჰიტლერი შემეცოდა: სამი საათი პარიზში, ერთადერთხელ და

უკანასკნელად - ეს სამი საათი საკმარისი აღმოჩნდა იმისთვის, რომ ჰიტლერს თავი ბედნიერად ეგრძნო; და ეს იმ დროს, როდესაც მან თავისი კარიერის მწვერვალს მიაღწია.

პარიზის დათვალიერების დროს ჰიტლერი თავის ადიუტანტებს და პოლკოვნიკ შპაიდელს[108] უთანხმებდა პარიზში გამარჯვების აღლუმის ჩატარების ვარიანტებს, მაგრამ აღლუმის ჩატარება მალევე გადაიფიქრა. აღლუმზე უარის თქმის ოფიციალურ მიზეზად ინგლისის საჰაერო თავდასხმის საფრთხე დაასახელა; მოგვიანებით კი აღნიშნა: „აღლუმის ხასიათზე არა ვარ; ჩვენ ჯერ არ მიგვიღწევია საბოლოო გამარჯვებისთვის.“

იმავე საღამოს ჰიტლერმა თავის პატარა ქოხში მიმიწვია; ის მარტო იყო, მაგიდასთან იჯდა და ყოველგვარი შესავლის გარეშე განმიცხადა: „შპეერ, მოამზადეთ დადგენილება, რომლის თანახმადაც მე ბერლინში ყველა მშენებლობის განახლებას ვბრძანებ. პარიზი ხომ ლამაზია? ბერლინი პარიზზე გაცილებით უფრო ლამაზი უნდა გახდეს!“ ცოტა ხნის შემდეგ ჰიტლერმა საუბარი ისე მშვიდად განაგრძო, თითქოს საქმე უმარტივეს და ჩვეულებრივ რამეს შეეხებოდა: „ადრე ბევრჯერ მიფიქრია, რომ პარიზი დამენგრია; მაგრამ ბერლინს როცა გავაშენებთ, მისი სილამაზე პარიზსაც დაჩრდილავს; მაშ, რაღატომ უნდა დავანგრიოთ?“ - ეს Qთქვა და დამითხოვა.

მიუხედავად იმისა, რომ მიჩვეული ვიყავი ჰიტლერის იმპულსურ გამონათქვამებს, მაინც შემაშინა ვანდალიზმის ასეთმა აშკარა და ურცხვმა გამოხატულებამ. შევადგინე დადგენილება ბერლინში რაიხის საგანგებო მშენებლობის განახლების შესახებ და ჰიტლერს წარვუდგინე. მან დადგენილებას ხელი მოაწერა და თვითონვე დაათარიღა - 1940 წლის 25 ივნისი. სწორედ ამ დღეს გამოცხადდა ცეცხლის შეწყვეტის შესახებ; ეს დღე მისი უდიდესი ტრიუმფის დღე იყო.

ჰიტლერი თავისი შტაბ-ბინის წინ იოდლთან[109] და კაიტელთან ერთად სეირნობდა. ადიუტანტმა ჩემი მისვლის შესახებ მოახსენა. ჰიტლერმა მიხმო და მათ რომ მივუახლოვდი, გავიგონე წინადადება, რომელიც ჰიტლერის მიერ მანამდე წამოწყებული საუბრის დასასრული უნდა ყოფილიყო: „ყველას დავანახებთ, რა შეგვიძლია: მერწმუნეთ, კაიტელ, რუსეთის წინააღმდეგ გალაშქრება ამასთან შედარებით სილაში თამაში იქნება.“ ჰიტლერი შესანიშნავ ხასიათზე იყო. იგი გულითადად დამემშვიდობა, ჩემს ცოლთან მოკითხვა დამაბარა და იმედი გამოთქვა, რომ მალე უკვე ბერლინში განვიხილავდით მშენებლობის გეგმებსა და მაკეტებს.

გადამეტებული ზომები

იმ პერიოდში, როდესაც ჰიტლერი რუსეთზე ლაშქრობის გეგმებს აწყობდა, პარალელურად გამარჯვების აღლუმის ჩასატარებლადაც ემზადებოდა, 1950 წლისთვის, ანუ იმ დროისთვის, როდესაც ბერლინის მთავარი ქუჩა და დიდი ტრიუმფალური თაღი უკვე დამთავრებული იქნებოდა. მაგრამ სანამ ის ახალ ომებზე, ახალ გამარჯვებებზე და ზეიმებზე ოცნებობდა, მოხდა ისეთი რამ, რაც ჰიტლერის კარიერის ყველზე დიდი მარცხი აღმოჩნდა: 1940 წლის ივნისის დასაწისში ობერზალცბერგში ვიყავი მიწვეული ჩემი ესკიზებით. ბერგჰოფის შესასვლელში ჰესის გაფითრებული და აღელვებული ადიუტანტები ლაიტგენი და პიტში იდგნენ. მათ მთხოვეს, ცოტა ხანს მომეცადა, რადგან ჰიტლერისათვის ჰესის პირადი წერილი უნდა გადაეცათ. ამ დროს ჰიტლერი მეორე სართულიდან ჩამოვიდა და ერთ-ერთ ადიუტანტს უხმო. მე ჩემ ესკიზებს მივუბრუნდი და მათი დათვალიერება დავიწყე. უეცრად საშინელი, არაადამიანური, დაუნაწევრებელი ღრიალი გავიგონე. ამის შემდეგ ჰიტლერმა დაიყვირა: „ახლავე დაუძახეთ ბორმანს! სად არის ბორმანი?!“ ბორმანმა ბრძანება მიიღო, სასწრაფოდ დაკავშირებოდა გერინგს, რიბენტროპს, გოებელსსა[110] და ჰიმლერს. ჰიტლერის სტუმრებს გვთხოვეს, ზედა სართულებზე გადაგვენაცვლა. მხოლოდ რამდენიმე საათის შემდეგ გავიგეთ, რაც მოხდა: ჰიტლერის მოადგილე ჰესი გაგანია ომის დროს ჩვენს მოწინააღმდეგე ბანაკში - ინგლისში გაფრენილა.

ამიერიდან ჰიტლერის გარემოცვას ჰესის ხსენება აეკრძალა. მხოლოდ ბორმანი უთმობდა მას კვლავინდებურად დიდ ყურადღებას. გულმოდგინედ იქექებოდა თავისი ყოფილი უფროსის, და აწ უკვე წინამორბედის, ცხოვრებაში; განსაკუთრებულად უნამუსოდ კი ჰესის ცოლს დევნიდა. ჩემი აზრით, ჰესი იმიტომ გაიქცა ინგლისში, რომ ვეღარ აიტანა ამდენი წელი ჩრდილში ყოფნა. ჰესი ძალიან მგრძნობიარე, გულახდილი და ზედმეტად მერყევი იყო; იმდენად მერყევი, რომ ყველას ყველაფერში ეთანხმებოდა.

თავისი გაქცევიდან 25 წლის შემდეგ, შპანდაუს ციხეში ჰესი მთელი სერიოზულობით მიმტკიცებდა, რომ მას ეს იდეა სიზმარში უკარნახეს ზეციურმა ძალებმა. ჰესს არ უნდოდა, ყოფილიყო ჰიტლერის ოპონენტი და მისთვის არც სირთულეების შექმნას აპირებდა: „ჩვენ ინგლისს მსოფლიო იმპერიის გარანტიას ვაძლევთ, ამის სანაცვლოდ კი ინგლისი გერმანიას ხელ-ფეხს უხსნის ევროპაში...“ - ჰესი იმ მისიით გაემგზავრა ინგლისში, რომ ეს გზავნილი ადრესატისთვის გადაეცა. ოღონდ ადრესატმა ეს გზავნილი არ მიიღო.

ჰიტლერი მხოლოდ იმას არ ითხოვდა, რომ შუა ომის დროს ბერლინის მშენებლობა გაგრძელებულიყო; მან იმ ქალაქების რიცხვიც გაზარდა, რომელთა რეკონსტრუქციაც უნდა დაწყებულიყო; ეს მან მისი გაულაიტერების ზეგავლენით გადაწყვიტა. ამ ქალაქების რიცხვში თავიდან მხოლოდ ბერლინი, ნიურნბერგი, მიუნხენი და ლინცი იყვნენ. მოგვიანებით კი, ჰიტლერის მიერ გამოცემული საგანგებო დადგენილებით, ამ სიას კიდევ 27 ქალაქი დაემატა, მათ შორის, ჰანოვერი, აუგსბურგი, ბრემენი და

ვაიმარი. 1940 წლის 26 ნოემბერს ბორმანს გავუგზავნე ამ მასშტაბური პროექტის სავარაუდო ხარჯთაღრიცხვა - მშენებლობისთვის საჭირო თანხა 22-25 მილიარდ რაიხსმარკას შეადგენდა. ჰიტლერს უნდოდა, რომ მთელი პროექტისთვის, ანუ 27 ქალაქში წარმოებული სამშენებლო სამუშაოებისთვის მე მეხელმძღვანელა. მაგრამ ბევრი ვიფიქრე და მხოლოდ ნიურნბერგითა და ბერლინით შემოვიფარგლე.

იმისთვის, რომ პროექტს საზოგადოების ყურადღება არ მიექცია, მას დოკუმენტებში კოდირებული სახელწოდება მიენიჭა - „ბერლინის წყალგაყვანილობისა და რაიხის საგზაო და სარკინიგზო მშენებლობის სამხედრო პროგრამა“.

ქვეყანა საბჭოთა კავშირთან ომისთვის ემზადებოდა, ამ დროს კი ჰიტლერი სურათებს არჩევდა ლინცის სამხატვრო გალერეისთვის. მან ოკუპირებულ ქვეყნებში თავისი ექსპერტები და ხელოვნების ნიმუშებით მოვაჭრენი გაგზავნა ბაზრის შესასწავლად. ჰიტლერმა ნახატების ომი გააჩაღა თავის და გერინგის აგენტებს შორის. ეს ომი მეტად მძაფრ ხასიათს შეიძენდა, ჰიტლერს თავისი მარშალი რომ არ დაეტუქსა და მათ შორის არსებულ განსხვავებაზე არ მიეთითებინა.

1941 წელს ობერზალცბერგში დიდი, ტყავის ყდაში ჩასმული კატალოგები ჩამოვიდა იმ ასობით ნახატების ფოტოებით, რომლებიც ჰიტლერმა პირადად შეარჩია ლინცის, კიონიგსბერგის, ბრესლაუს და სხვა ქალაქების სამხატვრო გალერეებისთვის. ნიურნბერგის პროცესზე მე კიდევ ერთხელ ვიხილე ეს ყავისფერი ტომები მამხილებელი დოკუმენტების სახით; სურათები უმეტესწილად ებრაული ოჯახებიდან იყო წამოღებული და რაიზენბერგის პარიზულ შტაბ-ბინაში ინახებოდა.

ჰიტლერმა დაინდო საფრანგეთის ხელოვნების ნიმუშების ცნობილი კოლექციები; ეს მან არცთუ უანგაროდ ჩაიდინა: ჰიტლერი თვლიდა, რომ საზავო ხელშეკრულების დადების შემთხვევაში ლუვრის საუკეთესო ექსპონატები გერმანიისთვის უნდა გადაეცათ. აქვე, ალბათ ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ჰიტლერს თავისი ავტორიტეტი პირადი მიზნებისათვის არ გამოუყენებია; ოკუპირებული ტერიტორიებიდან გამოტანილი არც ერთი ნახატი თავისთვის არ დაუტოვებია.

1940 წლის ნოემბრის შუა რიცხვებში ბერლინში მოლოტოვი[111] ჩამოვიდა. ჰიტლერმა მოლოტოვი და საბჭოთა დელეგაცია სადილად დაპატიჟა. შემდეგ ირონიით იხსენებდნენ ჰიტლერის პირადი ექიმის - დოქტორი ბრანდტის მიერ მოწოდებულ ინფორმაციას იმის შესახებ, რომ საბჭოთა კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის და საგარეო საქმეთა მინისტრის თანმხლებ პირებს ინფექციის შიშით საგანგებოდ მოუთხოვიათ მათთვის განკუთვნილი ჭურჭლისა და დანა-ჩანგლის დამდუღვრა.

ბერგჰოფში, ჰიტლერის ოთახში დიდი გლობუსი იდგა, რომელზეც რამდენიმე თვის შემდეგ ამ მოლაპარაკებების უარყოფითი შედეგები ამოვიკითხე. ვერმახტის ერთ-ერთმა ადიუტანტმა საგანგებოდ მიმანიშნა გლობუსზე ფანქრით გასმულ ხაზზე: ეს

ხაზი ურალზე გადიოდა - ჩრდილოეთიდან სამხრეთისკენ. ამ ხაზით ჰიტლერმა თავისი ინტერესები იაპონიის ინტერესების სფეროსგან გამოყო. 1941 წლის 21 ივნისს, საბჭოთა კავშირზე თავდასხმის წინა დღეს, ჰიტლერმა ბერლინში, თავის ბინაში მიმიწვია და სადილის შემდეგ ლისტის „პრელუდიებიდან“ რამდენიმე ტაქტი დააკვრევინა: „ამ მელოდიას უახლოეს ხანში ხშირად გაიგონებთ, რადგან ეს იქნება რუსეთზე ჩვენი გამარჯვების ნიშანი. ეს მელოდია ფუნკმა შეარჩია. თქვენ თუ მოგწონთ? სულ მალე იმდენი გრანიტი და მარმარილო გვექნება, რამდენიც[112] თქვენს გულს გაუხარდება.“

ჰიტლერი უკვე აღარ მალავდა საკუთარ მეგალომანიას. ის, რაც წლების წინ მინიშნების სახით გამოიკვეთა მის ნაგებობებში, ახლა ომით ან, როგორც ჰიტლერი ამბობდა, „სისხლით“ უნდა განმტკიცებულიყო.

ჰიტლერს „გერმანელი ერის, გერმანული რაიხის“ სახელმწიფოებრივ-სამართლებრივი მოდელის შესახებ, მართალია, ძალიან ბუნდოვანი წარმოდგენა ჰქონდა, მაგრამ ერთი რამ მყარად იცოდა: ნორვეგიის ქალაქ დრონტჰაიმის მახლობლად უნდა აშენებულიყო გერმანიის უდიდესი საზღვაო ფლოტის საყრდენი პუნქტი დოკებითა და ნავთსაშენებით. ეს ტერიტორია გერმანული რაიხის შემადგენლობაში უნდა შესულიყო. მის კონცეფციას მსოფლიო ბატონობის შესახებ საზღვრები აღარ გააჩნდა.

ამავე კონტექსტში უნდა განვიხილოთ ჰიტლერის განზრახვა, ჩვენს მიერ საბჭოთა კავშირის ოკუპირებულ ტერიტორიებზე გერმანული ქალაქები დაგვეარსებინა.

1941 წლის 8 ნოემბერს ლისაბონში გაიხსნა „ახალი გერმანული არქიტექტურის“ გამოფენა, რომელსაც მეც ვესწრებოდი. ამის გამო ვერ დავხვდი ბერლინში ჩემს პირად მეგობრებს: ვლამინკი, დერენი[113] და დესპიო[114] მე მოვიწვიე ბერლინის რეკონსტრუქციის მაკეტების საჩვენებლად. ჩემმა ფრანგმა კოლეგებმა უკომენტაროდ დაათვალიერეს წარმოდგენილი ექსპონატები. შეიძლება სასაცილოდ მოგეჩვენოთ, მაგრამ ფრანგ ხელოვანებს უფრო მეტი თავისუფლება ჰქონდათ, ვიდრე მათ გერმანელ კოლეგებს. როდესაც პარიზის საშემოდგომო გამოფენა ვნახე, სამხატვრო გალერეის კედლებზე ისეთი სურათები ეკიდა, რომლებსაც გერმანიაში დეკადენტურ ხელოვნებად მონათლავდნენ. ჰიტლერსაც სმენოდა ამ გამოფენის შესახებ. მისი რეაქცია ერთდროულად მოულოდნელიც იყო და ლოგიკურიც: „განა, ჩვენ დაინტერესებულები ვართ სულიერად ჯანსაღი ფრანგი ხალხით?! მაშ, მივცეთ მათ გადაგვარების საშუალება! მით უკეთესი ჩვენთვის“.

ჩემი ლისაბონში ყოფნის პერიოდში ვითარება აღმოსავლეთის ფრონტზე კატასტროფულად განვითარდა; გერმანული ჯარის აღჭურვილობა არ შეეფერებოდა რუსულ ზამთარს. გარდა ამისა, საბჭოთა ჯარებმა უკან დახევისას საფუძვლიანად გაანადგურეს ყველა ლოკომოტივი, წყლის არხები და სარკინიგზო სისტემის სხვა ტექნიკური შემადგენელი ნაწილები. ზაფხულისა და შემოდგომის წარმატებით

თავბრუდახვეულებს რუსული დათვი უკვე განგმირული გვეგონა, ამიტომ ამ კომუნიკაციების აღდგენაზე არავის უფიქრია; ჰიტლერს კი არ სურდა იმის შეგნება, რომ რუსული ზამთრის გადასატანად სატრანსპორტო ტექნიკური საშუალებების დროული მოწესრიგება იყო საჭირო.

მე ამ სიძნელეების შესახებ გერმანული რკინიგზის მაღალჩინოსნებისაგან, სახმელეთო და საჰაერო ჯარის გენერლებისაგან შევიტყვე. ჰიტლერს მაშინვე შევთავაზე ჩემს დაქვემდებარებაში მყოფი 65000 გერმანელი მშენებელი მუშიდან 30000 მუშა სარკინიგზო გზების აღსადგენად გაგვეგზავნა ჩემი ინჟინრების ხელმძღვანელობით. წარმოუდგენელია, მაგრამ ფაქტია, რომ ჰიტლერმა მხოლოდ 14 დღის შემდეგ მომცა თანხმობა. ეს მოხდა 1941 წლის 27 დეკემბერს. ნაცვლად იმისა, რომ ჯერ კიდევ ნოემბრის დასაწყისში თავად გაეცა ასეთი სამუშაოს ჩატარების განკარგულება, ჰიტლერი არ ეპუებოდა სინამდვილეს და კატასტროფის მიუხედავად, მისი ტრიუმფალური ნაგებობების ვადებში ჩაბარებას მოითხოვდა.

იმავე საღამოს გერმანიის სამშენებლო ეკონომიკის გენერალურ რწმუნებულს - დოქტორ ტოდტს შევხვდი მის მოკრძალებულ სახლში ბერხტესგადენთან, ჰინტერზეეს ტბის პირას. მე ჩამაბარეს მთელი უკრაინა, ხოლო ტექნიკური სამსახური და მუშები ცენტრალური და ჩრდილო რუსეთის გზებზე მუშაობდნენ. ტოდტი ის-ის იყო დაბრუნდა აღმოსავლეთის ფრონტის ხანგრძლივი ექსპედიციიდან; მან იქ ნახა მიტოვებული სანიტარული მატარებელი, რომელშიც დაჭრილები გაყინულიყვნენ; ასევე ნახა ჯარის უსაზღვრო გაჭირვება დიდთოვლობის გამო სამყაროს მოწყვეტილ პატარა ქალაქებსა და სოფლებში, იგრძნო უკმაყოფილება და სასოწარკვეთილება გერმანელი ჯარისკაცების რიგებში. მან პესიმისტურად დაასკვნა, რომ ამგვარი წნეხი ჩვენ ფიზიკურადაც გაგვანადგურებდა და სულიერადაც გაგვტეხდა. ტოდტის აზრით, გერმანული ჯარის აღსასრული რუსეთში დადგებოდა: „ეს არის ბრძოლა, რომელშიც პრიმიტიული ადამიანები გაიმარჯვებენ, ისინი, ვინც ყველაფერს უძლებს, ამ საშინელ ამინდსაც კი. ჩვენ კი ძალიან მგრძნობიარენი ვართ და ამიტომ დავიღუპებით. ბოლოს რუსები და იაპონელები აღმოჩნდებიან გამარჯვებული.“

1945 წლის 29 მარტს ჰიტლერისადმი მიწერილ ჩემს უკანასკნელ წერილში ვწერდი: „გული მტკიოდა, როდესაც 1940 წლის გამარჯვების დღეებში ვხედავდი, რომ ხელმძღვანელობის უმეტესი ნაწილი შინაგან ძალას კარგავდა. სწორედ ამ დროს უნდა ვყოფილიყავით ჩვენ ჩვენი საქციელითა და შინაგანი შემართებით მტკიცენი იმ დიდი მისიის შესასრულებლად, რომელიც დაგვეკისრა.“

1942 წლის 8 თებერვალს დოქტორი ტოდტის თვითმფრინავმა ავიაკატასტროფა განიცადა. დოქტორი ტოდტი ადგილზე გარდაიცვალა. მე ჰიტლერის შტაბ-ბინაში ვიმყოფებოდი რასტენბურგში (აღმოსავლეთი პრუსია). დოქტორი ტოდტი სამი მინისტრის თანამდებობას ითავსებდა. ოფიციალურად ტოდტი შეიარაღებისა და ამუნიციის მინისტრი იყო; ამავე დროს იგი იყო ქუჩების მშენებლობის,

წყალგაყვანილობის, სამელიორაციო სისტემების და ყველა ჰიდროელექტროსადგურის უფროსი. გერინგის მიერ შედგენილ ოთხწლედის გეგმაში ტოდტს ებარა სამშენებლო ეკონომიკა; გარდა ამისა, ტოდტმა დააარსა ცალკე ორგანიზაცია, რომელიც მის სახელს ატარებდა და ატლანტის ოკეანის სანაპიროზე წყალქვეშა ნავებისთვის ბუნკერებს აშენებდა. იგივე ორგანიზაციას გაჰყავდა გზები ჩრდილოეთ ნორვეგიის, სამხრეთ საფრანგეთისა და რუსეთის ოკუპირებულ ტერიტორიებზე. ასე რომ, უკანასკნელი წლების განმავლობაში უმნიშვნელოვანეს ტექნიკურ სფეროებს ტოდტი ხელმძღვანელობდა.

ტოდტის გარდაცვალების მეორე დღეს, დაახლოებით დღის პირველ საათზე ჰიტლერმა გამომიძახა. მისი უფროსი ადიუტანტის, შაუბის მრავალმნიშვნელოვანი გამომეტყველებაც კი მეტყველებდა იმაზე, თუ რაოდენ მნიშვნელოვანი შეხვედრა მელოდა. ჰიტლერმა ოფიციალურად მიმიღო, როგორც რაიხის ფიურერმა. იგი ფეხზე იდგა, ძალზე სერიოზული და ფორმალური იყო; მე მივუსამძიმრე ერთგული თანამშრომლის გარდაცვალების გამო; ჰიტლერმა რამდენიმე სიტყვით მიპასუხა, შემდეგ კი პირდაპირ გამომიცხადა: „ბატონო შპეერ! მე თქვენ გნიშნავთ მინისტრ ტოდტის თანამდებობაზე მისი საქმიანობის ყველა სფეროში.“ თავზარი დამეცა. ჰიტლერმა გამოსამშვიდობებლად გამომიწოდა ხელი. მეგონა, ჰიტლერმა არასწორად გამოხატა თავისი სათქმელი და ამიტომ ვუპასუხე, რომ ყველანაირად შევეცდებოდი, შემეცვალა დოქტორი ტოდტი სამშენებლო სფეროში. მაგრამ ჰიტლერმა ხაზგასმით გამიმეორა: „არა, თქვენ შეასრულებთ მის ყველა მოვალეობას, მათ შორის, ამუნიციის მინისტრისაც“. „კი მაგრამ, მე ხომ ამისი არაფერი გამეგება,“ - აღმომხდა გაოცებულს. „მე მჯერა თქვენი, შპეერ! თქვენ ამას შეძლებთ, - გამაწყვეტინა სიტყვა ჰიტლერმა, - გარდა ამისა, სხვა კანდიდატურა არა მყავს. ახლავე დაუკავშირდით სამინისტროს და შეუდექით მუშაობას!“

ხელიდან გაშვებული შესაძლებლობა

გენერალ-პოლკოვნიკ ფრიდრიხ ფრომს სისტემატურად ვხვდებოდი. ჩვენ ერთად ვსადილობდით ხოლმე რესტორან „ჰორხერის“[115] კუპეში. ერთ-ერთი ასეთი შეხვედრის დროს, 1942 წლის აპრილის ბოლოს, ფრომმა ჩემთან საუბრისას აღნიშნა, რომ ომის მოგება მხოლოდ იმ შემთხვევაში იქნებოდა შესაძლებელი, თუ ჩვენ ძლიერი ზემოქმედების მქონე სრულიად ახალ იარაღს შევქმნიდით. ფრომს კავშირი ჰქონდა მეცნიერების ერთ ჯგუფთან, რომელიც სწორედ ასეთ იარაღზე მუშაობდა - იარაღზე, რომელსაც შეეძლო, დაენგრია და გაენადგურებინა მთელი ქალაქები და,

სავარაუდოდ, ინგლისის სახელმწიფოს მთელი კუნძულიც კი. ფრომმა შემომთავაზა, ამ მეცნიერებს შევხვედროდი.

ატომურ ბომბზე გერმანიის უდიდესი ფოლადის კონცერნის ხელმძღვანელმა და კაიზერ ვილჰელმის[116] საზოგადოების პრეზიდენტმა - დოქტორმა ალბერტ ფეგლერმაც გამამახვილებინა ყურადღება. პირველად მისგან შევიტყვე, რომ ის ხელშეწყობა, რასაც რაიხის განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო მკვლევართ უწევდა, არ იყო საკმარისი. 1942 წლის 6 მაისს ეს ვითარება ჰიტლერს მოვახსენე და შევთავაზე, რაიხის სამეცნიერო კვლევების მრჩეველი გერინგი დაენიშნათ ამ საქმის კურატორად, როგორც გავლენიანი ფიგურა. ერთი თვის შემდეგ, 1942 წლის 9 ივნისს გერინგი აღნიშნულ თანამდებობაზე დაინიშნა.

დაახლოებით ამავე პერიოდში შეიარაღების დარგის სამი მნიშვნელოვანი წარმომადგენელი - მილხი[117], ფრომი და ვიტცელი შემხვდნენ ჰარნაკის სახლში - კაიზერ ვილჰელმის საზოგადოების ბერლინის სათავო ოფისში. ჩვენ შევეცადეთ, გაგვეანალიზებინა გერმანული ატომური კვლევის status quo. მაშინ საუბარში რამდენიმე მეცნიერი ვახსენეთ, მათ შორის, ოტო ჰაანი და ვერნერ ჰაიზენბერგი[118], რომლებიც შემდეგში ნობელის პრემიის ლაურეატები გახდნენ. ჰაიზენბერგი უჩიოდა ატომური კვლევის არასაკმარის დაფინანსებას შესაბამისი სამინისტროს მხრიდან; იგი ასევე უჩიოდა მეცნიერი ასისტენტების ნაკლებობას, რადგან ახალგაზრდა მეცნიერებს ჯარიდან არ ათავისუფლებდნენ; ამის გამო, როგორც ჰაიზენბერგმა აგვიხსნა, გერმანული მეცნიერება ახლა უკვე იმ სფეროშიც ჩამორჩებოდა, რომელშიც რამდენიმე წლის წინ მოწინავე პოზიციებს იკავებდა. ამერიკულ სპეციალურ ჟურნალებში გამოქვეყნებული ძუნწი ცნობების მიხედვითაც კი ნათელი იყო, რომ აშშ-ში ატომური კვლევები სოლიდურად ფინანსდებოდა სახელმწიფოს მიერ. ამდენად, ამერიკას შესაძლოა, ძალიან მალე მიეღწია ატომის გახლეჩისათვის, რაც წარმოუდგენელ შედეგებამდე მიგვიყვანდა.

ჰაიზენბერგს ვკითხე, როგორ შეიძლებოდა გამოგვეყენებინა ატომური ფიზიკა ატომური ბომბების დასამზადებლად. ჰაიზენბერგის პასუხმა მაინცადამაინც ვერ გამამხნევა, თუმცა მან ამიხსნა, რომ მეცნიერული მეთოდისთვის უკვე მიგნებულია და ბომბის შექმნას წინ აღარაფერი უდგას; მაგრამ ისიც მითხრა, რომ საწარმოო-ტექნიკური წინაპირობები მხოლოდ ორი წლის შემდეგ გამოიკვეთებოდა, ისიც მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ამ დარგს შესაბამისი ხელშეწყობა ექნებოდა. ეს დრო - ორი წელიწადი ჰაიზენბერგმა, სხვა მიზეზებთან ერთად იმითაც დაასაბუთა, რომ ჯერჯერობით ევროპაში, კერძოდ პარიზში, არსებობს ერთადერთი და ისიც მინიმალური სიმძლავრის ციკლოტრონი, რომელსაც საიდუმლოდ ინახავენ და ამდენად მისი სრული დატვირთვით გამოყენება ვერ ხერხდებაო. ჰაიზენბერგს შევთავაზე, რომ იმ ფინანსებით, რასაც მე, როგორც შეიარაღების მინისტრი განვკარგავდი, შეგვექმნა ასეთივე და კიდევ უფრო მძლავრი ციკლოტრონები - ისეთი, როგორიც შეერთებულ შტატებს ჰქონდა. მაგრამ ჰაიზენბერგი თვლიდა, რომ

გამოუცდელობის გამო ჩვენ თავდაპირველად მხოლოდ პატარა ციკლოტრონის აგებას თუ შევძლებდით.

გენერალ-პოლკოვნიკი ფრომი დაგვპირდა, რომ ჯარიდან გაათავისუფლებდა რამდენიმე ასეულ მეცნიერს. მე კი მკვლევრებისთვის უნდა მიმემართა და მათგან შემეტყო, რა ოდენობის თანხა და რა მასალა იყო საჭირო მათი საქმიანობისათვის. შევადგინე შესაბამისი საბუთები და ჰიტლერს წარვუდგინე. გადამწყვეტი როლი ამ შემთხვევაშიც ფიურერის დილეტანტიზმმა ითამაშა. მან უარი განაცხადა ატომური ფიზიკის დაფინანსებაზე. მიზეზი კი ასეთი გახლდათ: ორი და სამი წლის შემდეგ, როცა, სავარაუდოდ, ატომური ბომბი იქნებოდა მზად, ომი უკვე დიდი ხნის დამთავრებული უნდა ყოფილიყო.

ჰიტლერი - უმაღლესი მთავარსარდალი

ჰიტლერის ერთ-ერთი დამახასიათებელი თვისება დილეტანტიზმი იყო. მას არასოდეს მიუღია პროფესიული განათლება და, შეიძლება ითქვას, აუტსაიდერად დარჩა, როგორც ეს ავტოდიდაქტებს სჩვევიათ. ჰიტლერს არ შეეძლო იმის განსჯა, თუ რას ნიშნავდა ნამდვილი პროფესიული განათლება. იგი ხარბად ითავსებდა სულ ახალ-ახალ ფუნქციებს და ვერ აცნობიერებდა ამა თუ იმ ამოცანის კომპლექსურ სირთულეს. ომის პირველი წლების სტრატეგიული წარმატებები შეიძლება იმით ავხსნათ, რომ ჰიტლერს არავითარი წარმოდგენა არ ჰქონდა თამაშის წესებზე; მას, როგორც მოყვარულს ანუ დილეტანტს, გადაწყვეტილებების მიღება სიხარულს ჰგვრიდა. მოწინააღმდეგე კი, რომლისთვისაც უცხო იყო ჰიტლერის ავტოდიდაქტური თვითდამკვიდრება, თამაშის წესებს იცავდა, ამიტომ იქმნებოდა მოულოდნელობის ეფექტი და სწორედ ეს ეფექტი და სამხედრო უპირატესობა იყო ომის პირველი წლების სტრატეგიული წარმატების მიზეზი. მაგრამ როგორც კი წარმატებამ ზურგი აქცია, ჰიტლერმა, როგორც ეს არაპროფესიონალების უმეტესობას ემართება, კრახი განიცადა. სწორედ აქ იჩინა თავი ჰიტლერის მიერ თამაშის წესების არცოდნამ და გამოჩნდა მისი უუნარობა. ჰიტლერის ნაკლი აღარ წარმოადგენდა მის უპირატესობას. რაც უფრო მეტ წარმატებას აღწევდა ჰიტლერი, მით უფრო ძლიერად ვლინდებოდა მისი გამოუსწორებელი დილეტანტიზმი. ჰიტლერის მიდრეკილება, მოულოდნელად მიეღო გადაწყვეტილებები, დიდი ხნის მანძილზე ითვლებოდა მის ძლიერ მხარედ; ახლა კი იგივე მიდრეკილება მას დაღუპვას უქადდა.

ორ ან სამ კვირაში ერთხელ მე ბერლინში მიწევდა გამგზავრება ჰიტლერის აღმოსავლეთპრუსიულ, მოგვიანებით კი - მის უკრაინულ შტაბ-ბინაში. ამ შეხვედრების დროს ჩვენ მრავალ ტექნიკური ხასიათის დეტალს ვიხილავდით,

რომლებითაც ჰიტლერი დაინტერესებული იყო, როგორც ჯარის უმაღლესი მთავარსარდალი. ჰიტლერი კარგად იცნობდა ბევრი სახეობის იარაღსა და საბრძოლო მასალას თავისი მონაცემებით - კალიბრით, ლულის სიგრძით და შორს სროლის უნარით; ჰიტლერს ზუსტი ცნობები ჰქონდა შეიარაღების რაოდენობაზე, მის წარმოებასა და მარაგზე. მას სულ მარტივად შეეძლო ჩვენი პროგრამების ზუსტი შედარება რეალურად მოწოდებულ სამხედრო პროდუქციასთან და აქედან დასკვნების გამოტანა.

ჰიტლერი ვერ მალავდა სიხარულს, როდესაც იგი ავლენდა ცოდნას სამხედრო შეიარაღებისა და აღჭურვილობის რაოდენობის შესახებ, როგორც ეს ადრე მანქანათმშენებლობისა და არქიტექტურის დარგებში ხდებოდა. ეს კი იმას ნიშნავდა, რომ ჰიტლერი ამ საქმეშიც დილეტანტი იყო. იგი გამუდმებით ეჯიბრებოდა ამ დარგის სპეციალისტებს და ცდილობდა, მათთვის ეჯობნა. ნამდვილი პროფესიონალი საქმეს რაციონალურად მიუდგებოდა და გონებას არ გადაიტვირთავდა იმ დეტალების დამახსოვრებით, რომელთა დაზუსტება საცნობარო ლიტერეტურაში ან ადიუტანტთან შეეძლო. ჰიტლერს კი პირიქით, თავისი ცოდნის გამოვლენა თვითდამკვიდრებისთვის სჭირდებოდა. თანაც ეს პროცესი დიდად სიამოვნებდა.

ინფორმაციას ჰიტლერი ერთი დიდი წითელყდიანი წიგნიდან იღებდა. ეს წიგნი გახლდათ ამუნიციისა და შეიარაღების კატალოგი, რომელიც მუდამ ჰიტლერის საწოლთან, მაგიდაზე იდო. ეს კატალოგი შეიცავდა ამუნიციისა და საბრძოლო იარაღის 50 სხვადასხვა სახეობას და ის გამუდმებით ახალი მონაცემებით ივსებოდა. ზოგჯერ, სამხედრო თათბირის დროს, ჰიტლერის განკარგულებით, მის მსახურს მოჰქონდა ხოლმე ეს კატალოგი; როდესაც თათბირზე რომელიმე თნამშრომელი რაიმე ციფრს ასახელებდა, ჰიტლერი ამ ციფრს შეუსწორებდა, შემდეგ კი იმის შესამოწმებლად, თუ ვინ იყო მართალი, კატალოგს გადაშლიდნენ და სწორი ჰიტლერის ვარაუდი გამოდგებოდა ხოლმე. ასე მოხდა მრავალჯერ. ამ მეთოდით ააშკარავებდა ჰიტლერი თავისი გენერლების არასწორ ინფორმირებულობას. ჰიტლერის ციფრების დამახსოვრების ნიჭი მის გარემოცვას შიშს გვრიდა.

მართალია, ამ გზით ჰიტლერს თავისი ოფიცრების დაფრთხობა შეეძლო, მაგრამ თუ ჰიტლერის პირისპირ სპეციალისტი იჯდა, იგი მოკრძალებულად იქცეოდა და როცა სპეციალისტი მის მიერ გამოთქმულ მოსაზრებას უარყოფდა, ჰიტლერი თავისი პოზიციის დაცვას ვერც კი ბედავდა.

ამგვარ თათბირებზე მე, ძირითადად, ჩრდილში ყოფნას ვამჯობინებდი; თათბირის თემას ვაცხადებდი, შემდეგ კი დამსწრე სპეციალისტებს მივმართავდი, თავიანთი მოსაზრება გამოეთქვათ. სპეციალისტებს არც იქ მყოფი გენერლების და ადიუტანტების რაოდენობა აშინებდათ და არც ჰიტლერის მთელი აპარატის ძლევამოსილება. იმის გამო, რომ ხანგრძლივი დროის განმავლობაში წარმატებულად

მუშაობდნენ თავიანთ დარგებში, მათ ჰქონდათ თავიანთი რანგისთვის შესაფერისი მკაფიოდ გამოხატული თავდაჯერებულობა და პასუხისმგებლობის გრძნობა. ზოგჯერ საუბარი ცხარე დისკუსიაში გადაიზრდებოდა ხოლმე, რადგან სპეციალისტებს ხშირად ავიწყდებოდათ, ვის ეკამათებოდნენ. ჰიტლერი ამ გარემოებას იუმორით უყურებდა და აღიარებდა მათ პროფესიონალიზმს; ამ წრეში ჰიტლერი, როგორც უკვე აღვნიშნე, მოკრძალებულად იქცეოდა და თათბირის მონაწილეებს თავაზიანად ეპყრობოდა.

ჰიტლერის ჰორიზონტი ტექნიკის დარგში, ისევე როგორც მისი კონცეფციები ხელოვნებაზე, ცხოვრების წესსა და სამყაროს აღქმაზე პირველი მსოფლიო ომის პერიოდით შემოიფარგლებოდა. მისი ტექნიკური ინტერესები ჯარისა და საზღვაო ფლოტის ტრადიციულ შეიარაღებაზე იყო კონცენტრირებული. ამ სფეროში გამუდმებით ცდილობდა ახალი ცოდნის შეძენას. სამაგიეროდ, ჰიტლერი ვერ ერკვეოდა სამხედრო ტექნოლოგიების განვითარებაში, მაგალითად რადარების, ატომური ბომბების კონსტრუქციებში, რაკეტებში და გამანადგურებლებში. როდესაც „კონდორის“ ახალი მოდელით დაფრინავდა, ჰიტლერს სულ ეშინოდა, რომ მექანიზმს შეეძლო, ეღალატა და შასი არ გახსნილიყო. იმასაც დააყოლებდა, რომ თვითმფრინავის ძველი მოდელი JU 52 ერჩივნა, რადგან მას უფრო გამძლე შასი ჰქონდა.

თათბირების შემდეგ ჰიტლერი სამხედრო გარემოცვას ხშირად უჩვენებდა თავის ახლად შეძენილ ტექნიკურ ცოდნას - მას უყვარდა და მოსწონდა საკუთარი ცოდნის დემონსტრირება.

ჯერ მინისტრი არ ვიყავი, რომ ერთხელ რაიხის კანცელარიის ბაღში სეირნობის დროს გავიგონე, როგორ უჩიოდა ჰიტლერი ჯარის შეიარაღების უწყებას იმის გამო, რომ ახალი ტიპის ტანკის დემონსტრაციის შემდეგ ამ უწყებამ არ გაითვალისწინა მისი მოთხოვნა, ტანკის ქვემეხის ლულა დაეგრძელებინათ, რითაც ეს საბრძოლო მანქანა უფრო დიდი სიჩქარის განვითარებას შეძლებდა. შეიარაღების უწყებას მაშინ საპირისპირო არგუმენტები ჰქონდა: მოდელი ისე იყო დაპროექტებული, რომ არ ითვალისწინებდა ქვემეხების გრძელ ლულას; ამიტომ ამ ცვლილების შეტანით შეიძლებოდა, ტანკის მთელი კორპუსი გამოსულიყო მწყობრიდან.

ჰიტლერი წარამარა იხსენებდა ხოლმე ისეთ შემთხვევებს, როდესაც მის მიერ შეთავაზებულ წინადადებას წინააღმდეგობა გაუწიეს: „მაშინ მე მართალი ვიყავი, მაგრამ არ დამიჯერეს. ახლაც მართალი ვარ!“ ეს სიტყვები მუდმივ რეფრენად ექცა.

ჩემს დაქვემდებარებაში მყოფ სამსახურს ტანკები იმ მოთხოვნების მიხედვით უნდა აეწყო, როგორც ეს დადგენილი იყო ჯარის (ანუ ჰიტლერის) გენერალური შტაბისა და შეიარაღების უწყების მიერ. საომარი ტაქტიკის საკითხები ჩვენ არ გვეხებოდა, ამ თემაზე დისკუსიას უმეტესწილად ოფიცრები მართავდნენ. 1942 წელს ჰიტლერი ჯერ კიდევ ერიდებოდა ასეთი დისკუსიების უხეშად შეწყვეტას თავისი მბრძანებლური

ტონით. იმხანად იგი ჯერ კიდევ მშვიდად უგდებდა ყურს კრიტიკას და ასევე მშვიდად აყალიბებდა თავის კონტრარგუმენტებს.

რადგან ტანკ „Tiger“-ის („ვეფხვი“) კონსტრუქცია გათვლილი იყო 50 ტონაზე, ხოლო ჰიტლერის მოთხოვნების გათვალისწინების შემდეგ 75 ტონამდე გაიზარდა, ჩვენ გადავწყვიტეთ, აგვეგო კიდევ ერთი ახალი 30-ტონიანი ტანკი, რომელიც თავისი სახელწოდების - „Panther“ („პანტერა“) შესაფერისად უფრო სწრაფი იქნებოდა, ხოლო ძრავა „Tiger“-ისა ექნებოდა. მაგრამ ერთი წლის განმავლობაში, ამ ტანკის კონსტრუირების პროცესში, ჰიტლერმა იმდენი ცვლილება შეიტანა და იმდენი ფენა ჯავშანი დაამატებინა, რომ ბოლოს ტანკის წონამ 48 ტონას მიაღწია, რაც „Tiger“ -ის საწყის წონას უდრიდა.

1942 წლის ივნისის დამლევს სხვების მსგავსად მეც გაზეთში წავიკითხე, რომ ჩვენმა ჯარებმა აღმოსავლეთის ფრონტზე ახალი დიდი შეტევა წამოიწყეს. შტაბ-ბინაში ამაღლებული განწყობილება იგრძნობოდა. ყოველ საღამოს ჰიტლერის უფროსი ადიუტანტი შმუნდტი შტაბის სამოქალაქო პირებს ამცნობდა ჩვენი ჯარების წარმატებებს და ამას კედელზე გაკრულ რუკაზე უჩვენებდა. ჰიტლერი ზეიმობდა. ამჯერადაც მართალი აღმოჩნდა გენერლების საპირისპიროდ, რომლებიც შეტევის ნაცვლად თავდაცვითი ტაქტიკის გაძლიერებას ურჩევდნენ.

მარცხენა ფლანგი კიევის აღმოსავლეთით სულ უფრო და უფრო იწელებოდა სიგრძეში. ჯარები სტალინგრადს უახლოვდებოდნენ. ჩვენ მიერ ახლად დაპყრობილ ტერიტორიებზე მატარებლების სარკინიგზო მიმოსვლის აღსადგენად წარმოებულ სამუშაოებში მნიშვნელოვან წარმატებებს მივაღწიეთ, რის შედეგადაც დამხმარე ჯარის ნაწილების ჩამოყვანას ვგეგმავდით.

წარმატებული წინსვლის დაწყებიდან სამი კვირის შემდეგ ჰიტლერი თავის ახალ შტაბ-ბინაში გადავიდა, რომელიც უკრაინის ქალაქ ვინიცას მახლობლად მდებარეობდა. რადგან რუსები საჰაერო თავდასხმებისაგან თავს იკავებდნენ და შტაბ-ბინა დასავლეთი ფრონტის ხაზიდან, თვით ჰიტლერის შეფასებითაც კი, ძალზე შორს იყო, ამიტომ ბუნკერი არ ჰქონდა.

სამსახურეობრივი მოვალეობის გამო ხშირად მიწევდა შტაბ-ბინაში ჩაფრენა, რასაც იმისთვისაც ვიყენებდი, რომ თავისუფალ დროს ქვეყანაში მემოგზაურა. ერთხელ კიევში მოვხვდი. ოქტომბრის რევოლუციის შემდეგ რუსეთში აშკარად იგრძნობოდა ავანგარდისტი არქიტექტორების - ლე კორბუზიეს[119], მაის და ელ ლისიცკის[120] გავლენა; სტალინიზმის ერის დასაწყისში კი (20-იანი წლების ბოლოს) ეს გავლენა შენების კონსერვატორულმა კლასიცისტურმა სტილმა შეცვალა. ასე მაგალითად, კიევის უმაღლესი საბჭოს შენობა თავისუფლად შეიძლებოდა პარიზის ნატიფ ხელოვნებათა სკოლის ერთ-ერთი შეგირდისათვის მიგეწერათ. სურვილი გამიჩნდა, შენობის არქიტექტორის ვინაობა დამედგინა, რათა ის გერმანიაში დამესაქმებინა. კლასიცისტურ სტილში აშენებული სტადიონი შემკობილი იყო ანტიკური ნიმუშების

მიხედვით შექმნილი ათლეტების ქანდაკებებით; ოღონდ ამ ათლეტებს საცურაო კოსტიუმები ეცვათ, რაც მნახველზე ერთობ გულისამაჩუყებელ შთაბეჭდილებას ტოვებდა.

კიევის ერთ-ერთი მთავარი ეკლესია დანგრეული დამხვდა. მითხრეს, რომ გასაბჭოების შემდეგ იქ დენთის საწყობი ყოფილა და ეკლესია მის აფეთქებას ემსხვერპლა. მოგვიანებით კი გოებელსისგან შევიტყვე, რომ ეს ეკლესია ერიხ კოხის[121] (უკრაინის რაიხის კომისრის) ბრძანებით ააფეთქეს იმ მიზნით, რომ უკრაინის ეროვნული სიამაყის სიმბოლო მოესპოთ. გოებელსმა კოხის ეს საქციელი დაგმო: იგი ზოგადად იყო აღშფოთებული ჩვენი სამხედროების მიერ ჩადენილი სისასტიკით რუსეთის ოკუპირებულ ტერიტორიებზე. იმ პერიოდში უკრაინაში ისეთი სიმშვიდე სუფევდა, რომ ესკორტის გარეშეც შეიძლებოდა ტყეებში გადაადგილება; სულ რაღაც ნახევარი წლის შემდეგ კი აღმოსავლეთში, გერმანელი კომისრების არასწორი პოლიტიკის გამო, მთელი ეს ტერიტორია პარტიზანებით გაივსო.

ჰიტლერი შტაბ-ბინაში ყოფნის დროსაც არ ღალატობდა თავის ჩვეულებას: იგი თავის უახლოეს თანამშრომლებთან ერთად სადილობდა და ვახშმობდა. და, თუ რაიხის კანცელარიაში ჰიტლერის სადილებსა და ვახშმებზე პარტიულ უნიფორმაში გამოწყობილი პირები ჭარბობდნენ, შტაბ-ბინაში ჰიტლერის გარემოცვას გენერლები და ოფიცრები წარმოადგენდნენ. რაიხის კანცელარიის მდიდრული ავეჯით გაწყობილი სასადილო დარბაზის ნაცვლად შტაბ-ბინის სასადილო ოთახი პატარა ქალაქის რკინიგზის სადგურის რესტორანს ჰგავდა. ისევე, როგორც მანამდე ბერლინში, ჰიტლერი აქაც გრძელ-გრძელ სიტყვა-მონოლოგებს წარმოთქვამდა თავის საყვარელ თემებზე, ხოლო მისი სტუმრები მხოლოდ უტყვი მსმენელების სტატუსს კმაყოფილდებოდნენ.

შეტევის პირველი კვირებისაგან განსხვავებით, როდესაც ჩვენ სადილის დროს ამაღლებული განწყობით ვიხილავდით გერმანული ჯარის სწრაფ წინსვლას რუსეთში, რვა კვირის შემდეგ სახეები უკვე ჩამოგვტიროდა და ჰიტლერიც ხშირად ვერ იკავებდა თავს და ფეთქდებოდა.

მართალია, ჩვენმა ჯარებმა მაიკოპის ნავთობსარეწები დაიკავეს, ელიტარული სატანკო ნაწილები მდინარე თერგთან იბრძოდნენ და ასტრახანთან, უდაბური ტრამალის გავლით, სამხრეთ ვოლგისკენ წაიწიეს წინ, მაგრამ პირველი კვირების ტემპმა იკლო. მაშველი ჯარი არ ჩანდა, აღჭურვილობის ყველა სათადარიგო ნაწილი უკვე გამოყენებული გვქონდა და წინა ხაზზე მებრძოლი საჯარისო ნაწილები სულ უფრო მეჩხერდებოდა. ასეთი მასშტაბური ოპერაციისათვის ჩვენ სამხედრო პროდუქციას არასაკმარისი რაოდენობით, - 1944 წელთან შედარებით ტანკების მხოლოდ ერთ მესამედს და არტილერიის ერთ მეოთხედს - ვაწარმოებდით. სამხედრო ტექნიკის გამოუცდელად, პირდაპირ ბრძოლაში ჩართვა, თანაც რუსეთის

უზარმაზარ სივრცეებში, წარმოუდგენელი ამოცანა იყო. კუმერსდორფის ტანკების საწვრთნელი ბაზის დასკვნა გვატყობინებდა, რომ მძიმე ტანკს 600-დან 800 კილომეტრამდე მანძილის გავლის შემდეგ ძრავის ან სავალი ნაწილის შეკეთება სჭირდებოდა.

ჰიტლერს კი არაფრის გაგონება არ სურდა. მას განზრახული ჰქონდა, მოწინააღმდეგის მოჩვენებითი სისუსტე გამოეყენებინა. ამიტომ მან დაგეგმა თავისი ჯარის ფორმარში სამხრეთ კავკასიაზე - კერძოდ კი საქართველოზე. ამისათვის ფრონტის წინა ხაზზე მებრძოლი, ისედაც დასუსტებული ჯარის საგრძნობი ძალები აქეთკენ გადმოისროლა - ისინი ჯერ მაიკოპიდან სოჭისკენ, შემდეგ სოჭიდან სანაპიროს ვიწრო ზოლით სამხრეთისკენ - სოხუმში უნდა შესულიყვნენ. ჰიტლერი დაჟინებით მოითხოვდა, ჯარებს ძირითადი გარღვევა ამ მიმართულებით მოეხდინათ; ის დარწმუნებული იყო, რომ ჩრდილოკავკასიის ტერიტორიას ისედაც ადვილად დაიპყრობდა.

მაგრამ საჯარისო ნაწილებს ბრძოლა აღარ შეეძლოთ. ჰიტლერის ბრძანების მიუხედავად, ისინი წინ ვეღარ მიიწევდნენ. სამხედრო თათბირებზე ჰიტლერს სოჭის შემოგარენში არსებული კაკლის ტყეების თვითმფრინავიდან გადაღებულ ფოტოებს უჩვენებდნენ. გენერალური შტაბის უფროსი ჰალდერი ცდილობდა ჰიტლერის დარწმუნებას იმაში, რომ სამხრეთში განხორციელებული ყველანაირი სამხედრო ოპერაცია უშედეგო იქნებოდა; რუსებს შეეძლოთ, გზისპირა კლდეები აეფეთქებინათ და ვიწრო სანაპირო გზა დიდი ხნით გაეხადათ გაუვალი. ეს სანაპირო გზა ისედაც ძალიან ვიწრო იყო იმისათვის, რომ იქ დიდ საჯარისო ნაწილებს ფორმარშით გაევლოთ. მაგრამ ამ ინფორმაციამ ჰიტლერი ვერ დაარწმუნა: „ამ სიძნელეების გადალახვა ისევეა შესაძლებელი, როგორც ყველა სხვა სიძნელისა! ჩვენ ჯერ გზა უნდა დავიკავოთ. ამის შემდეგ გზა სამხრეთ კავკასიისკენ ხსნილია. ჩვენ კი ჯარებს დავასვენებთ და მაშველ ჯარსაც დაველოდებით. შემდეგ, ერთ ან ორ წელიწადში, დიდი ბრიტანეთის იმპერიის ყველაზე სუსტ ადგილზე მივიტანთ იერიშს. ჩვენ შევძლებთ უმნიშვნელო ძალებით ერაყისა და სპარსეთის გათავისუფლებას. ინდოელები კი ჩვენს დივიზიას აღფრთოვანებით შეხვდებიან.“

როდესაც 1944 წელს პოლიგრაფიულ პროდუქციას ვამოწმებდით არააქტუალური წიგნების გამოსავლენად, აღმოვაჩინეთ, რომ ლაიფციგში OKW[122]-ს შეკვეთით გრძელდებოდა სპარსეთის რუკებისა და ირანული ენის თვითმასწავლებლების ბეჭდვა. ამ შეკვეთის გაუქმება ყველას გადაავიწყდა.

არაპროფესიონალისთვისაც კი ნათელი იყო, რომ ჩვენი შეტევა გნწირული იყო. ამ დროს მივიღეთ ცნობა, რომ გერმანული ჯარის ერთი ნაწილი კავკასიონის უმაღლეს მწვერვალზე - 5600 მეტრის სიმაღლის ელბრუსზე ავიდა და იქ გერმანიის საბრძოლო დროშა აღმართა. რა თქმა უნდა, ამის გაკეთება უაზრობა იყო და ისე უნდა აღგვექვა, როგორც მგზნებარე მთამსვლელების თავგადასავალი. სწორედ ასე გავიგეთ ჩვენ

ყველამ ეს ფაქტი და არანაირი განსაკუთრებული მნიშვნელობა არ მივანიჭეთ. მაგრამ ჰიტლერი... იშვიათად მინახავს ისეთი განრისხებული და აღშფოთებული ფიურერი, როგორიც ამ ამბის შემდეგ. მისმა ისტერიამ რამდენიმე საათს გასტანა: იგი ყვიროდა, რომ ამ უაზრო ქმედების გამო მთელი მისი ლაშქრობის გეგმა ჩაიშალა. მომხდარიდან რამდენიმე დღის შემდეგაც აგრძელებდა ჰიტლერი „ამ შეშლილი მთამსვლელების“ ლანძღვასა და გაკიცხვას და მათი სამხედრო ტრიბუნალისთვის გადაცემას აპირებდა. „გაგანია ომის დროს ეს იდიოტები რაღაც იდიოტურ მწვერვალს იპყრობენ, მაშინ როცა მე ხაზგასმით ვბრძანე, რომ ძალები სოხუმისკენ უნდა მიგვემართა“.

სასწრაფო საქმეების გამო ბერლინში მომიხდა დაბრუნება. რამდენიმე დღის შემდეგ შეიცვალა კავკასიონთან დისლოცირებული საჯარისო ნაწილის სარდალი, მიუხედავად იმისა, რომ იოდლი მას ენერგიულად იცავდა. დაახლოებით 14 დღის შემდეგ კვლავ შტაბ-ბინაში რომ აღმოვჩნდი, იქ დაძაბული ვითარება დამხვდა: ჰიტლერი წაეჩხუბა კაიტელს, იოდლს და ჰალდერს. ამ ამბის მერე ფიურერი მათ ხელს აღარ ართმევდა, არც სადილად ეპატიჟებოდა. ამ დღიდან ომის დასრულებამდე ჰიტლერი ბუნკერის ოთახში მარტო მიირთმევდა საჭმელს. ჰიტლერს თავის სამხედრო გარემოცვასთან ურთიერთობა საბოლოოდ გაუფუჭდა.

ისმის კითხვა, ამის მიზეზი მხოლოდ იმ შეტევის საბოლოო მარცხი იყო, რომელზეც ჰიტლერი ესოდენ დიდ იმედებს ამყარებდა, თუ მან პირველად შეიგრძნო დასასრულის მოახლოება? ის, რომ ჰიტლერი ოფიცრების საზოგადოებას გაურბოდა და მათთან ერთად სუფრასაც აღარ უჯდა, შესაძლოა, იმით იყო გამოწვეული, რომ იგი იმათ საზოგადოებაში თავს ტრიუმფატორად კი აღარ გრძნობდა, არამედ - დამარცხებულად. გარდა ამისა, ჰიტლერს ამოეწურა თავისი დილეტანტური იდეები; შესაძლოა, მან პირველად იგრძნო, რომ მისმა მაგიამ ძალა დაკარგა.

რამდენიმე კვირის შემდეგ ჰიტლერი შეურიგდა კაიტელს; მალე იოდლთანაც აღადგინა ურთიერთობა. რაც შეეხება ჯარის გენერალური შტაბის უფროსს - გენერალ-პოლკოვნიკ ჰალდერს, ის გაათავისუფლეს: ჰალდერი მშვიდი, გულჩათხრობილი ადამიანი იყო. მან ვერ გაუძლო ჰიტლერის დინამიკას... მის მაგივრად კურტ ცაიტცლერი[123] დაინიშნა, რომელიც ჰალდერის სრული ანტიპოდი იყო - უემოციო, პირდაპირი; ფიურერს პატაკს მუდამ მჭახე ხმით აბარებდა. ცაიტცლერი არ იყო დამოუკიდებლად მოაზროვნე სამხედრო პირი. ჰიტლერმა მისი სახით სანდო „დამხმარე მუშა ხელი“ იშოვა; ჰიტლერი კმაყოფილებით ამბობდა ხოლმე ცაიტცლერის შესახებ: „ცაიტცლერი ჩემს ბრძანებას დიდხანს კი არ უფიქრდება, მაშინვე ენერგიულად ზრუნავს მის შესრულებაზე.“ როგორც ჩანს, ჰიტლერმა ცაიტცლერი სწორედ ამ ნიშნით ამოირჩია უმაღლესი გენერალიტეტის წრიდან: ცაიტცლერი მანამდე სამხედრო იერარქიის დაბალ საფეხურზე მსახურობდა, ხოლო მისი ახალი პოსტი წარმოუდგენელი ნახტომი იყო მის კარიერაში.

მას შემდეგ, რაც ჰიტლერმა გენერალური შტაბის ახალი უფროსი დანიშნა, მე - ერთადერთ სამოქალაქო პირს დამრთო ნება, თათბირებს დავსწრებოდი. ჰიტლერი დარწმუნებული იყო, რომ თათბირებზე მისი პრესტიჟი ჩემს თვალში არ დაეცემოდა, რომ მე არ გამოვთქვამდი მის საწინააღმდეგო მოსაზრებას, არ დავიწყებდი კამათს და დისკუსიას.

ყოველდღე, 12 საათზე ტარდებოდა დიდი თათბირი, რომელიც, ჩვეულებრივ, ორ ან სამ საათს გრძელდებოდა ხოლმე. ჰიტლერი გრძელ, რუკებით მოფენილ მაგიდასთან იჯდა სახელურებიან სავარძელზე, მოწნული დასაჯდომით. თათბირის დანარჩენი მონაწილეები კი მაგიდის გარშემო იდგნენ: ადიუტანტების გვერდით OKW-ს შტაბის უფროსები, ჯარის გენერალური შტაბის ოფიცრები, რომლებიც კონტაქტს ამყარებდნენ ლუფტვაფესთან, ფლოტთან, SS-ის ჯართან და ჰიმლერთან; როგორც წესი, ესენი იყვნენ ახალგაზრდა, სიმპათიური ყმაწვილები პოლკოვნიკის ან მაიორის სამხედრო ჩინით. მათთან ერთად სხდომას ესწრებოდნენ კაიტელი, იოდლი და ცაიტცლერი. ზოგჯერ გერინგიც მოდიოდა. გერინგისთვის, ჰიტლერის განკარგულებით, რბილი ტაბურეტი მოჰქონდათ; ამდენად გერინგი ჰიტლერის შემდეგ მეორე პირი იყო, რომელსაც ამ თათბირებზე დაჯდომის უფლება ჰქონდა, მისი მაღალი თანამდებობის და, ალბათ, მისი გაბარიტების გამოც. მაგიდაზე გაშლილ რუკებს სპეციალური, გრძელ თოკზე დაკიდებული საოფისე ლამპები ანათებდა. თათბირზე პირველ რიგში აღმოსავლეთის ფრონტის ვითარებას იხილავდნენ. ჰიტლერის წინ მაგიდაზე ერთმანეთის მონაცვლეობით დებდნენ გენერალური შტაბის სამ ან ოთხ, ერთმანეთზე გადაწეპებულ რუკას; თითოეული რუკის ზომა 2,50მx1,50მ იყო. ჯერ იხილავდნენ აღმოსავლეთის ფრონტის ჩრდილო ნაწილს. რუკებზე აღნიშნული იყო ყოველი წვრილმანი, რომელიც წინა დღეს მოხდა. ყოველი წინსვლა, თვით სადაზვერვო ოპერაციაც კი, და გენერალური შტაბის უფროსი თითოეულ უმნიშვნელო დეტალს განმარტავდა. რუკებს ისე ალაგებდნენ, რომ ჰიტლერს თვალწინ ჰქონოდა რუკის ყველა საჭირო ფრაგმენტი. მნიშვნელოვანი მოვლენების განხილვას უფრო დიდ დროს უთმობდნენ. ჰიტლერი ყველა ცვლილებას ინიშნავდა. გენერალური შტაბის უფროსისა და მისი ოფიცრებისთვის ძალიან მძიმე და რთული სამუშაო თუნდაც მხოლოდ ამ მოხსენებების მომზადება იყო. მე, როგორც არაპროფესიონალი, გამაოცა იმ გარემოებამ, მოხსენების დროს როგორ განსაზღვრავდა ჰიტლერი გერმანული დივიზიების დისპოზიციებს, აქეთ-იქით გადაადგილებდა საჯარისო ნაწილებს და გასცემდა ბრძანებებს წვრილმანებთან დაკავშირებითაც კი.

როდესაც სახმელეთო ჯარის მდგომარეობისადმი მიძღვნილი თათბირი მთავრდებოდა, იწყებოდა ორი შემდეგი თათბირი - საჰაერო და სამხედრო ფლოტის მდგომარეობის შესახებ.

დიდი თათბირის გარდა გვიან ღამით კიდევ ერთი თათბირი იმართებოდა, რომელზეც ახალგაზრდა შტაბის ოფიცერი ჰიტლერს აბარებდა პატაკს, რა მოხდა

უახლოესი საათების განმავლობაში. ამ თათბირის დროს ჰიტლერი და მოპატაკე ოფიცერი მარტონი იყვნენ - თათბირს სხვა არავინ ესწრებოდა.

იმაში, რომ ჰიტლერი სულ უფრო და უფრო რწმუნდებოდა თავის ზეადამიანურ შესაძლებლობებში, მის პირად გარემოცვასაც მიუძღვის ბრალი. გენერალ-ფელდმარშალი ბლომბერგი, რომელიც ჰიტლერის პირველი და უკანასკნელი ომის მინისტრი იყო, ხოტბას ასხამდა ჰიტლერის არაჩვეულებრივ სტრატეგიულ გენიას. ჰიტლერზე გაცილებით უფრო თავშეკავებულ და მორიდებულ პიროვნებასაც კი აუვარდებოდა თავში გაუთავებელი ჰიმნები, ოდები და ოვაციები, რის შედეგადაც ადამიანი, როგორც წესი, თვითშეფასების უნარს კარგავს. ჰიტლერი რჩევებს მხოლოდ იმ ადამიანებისაგან იღებდა, რომლებიც ვითარებას მასზე უფრო ოპტიმისტურად აფასებდნენ. ასეთი იყო, მაგალითად, კაიტელი. როგორც კი ჰიტლერი ისეთ გადაწყვეტილებას მიიღებდა, რომელსაც ოფიცრების და გენერლების უმრავლესობა არ ეთანხმებოდა, თუნდაც უკმაყოფილება ხმამაღლა არ გამოეხატათ, კაიტელი მაშინვე იწყებდა ფიურერის პოზიციის გამართლებას. მუდამ ჰიტლერის უშუალო სიახლოვეს მყოფი კაიტელი მალე მოექცა ფიურერის ზეგავლენის ქვეშ. პატიოსანი, ბურჟუაზიულ-სოლიდური გენერლიდან კაიტელი გადაიქცა მლიქვნელ, პირფერ, ცრუ, უინსტინქტო მსახურად. კაცმა რომ თქვას, კაიტელი განიცდიდა თავის სისუსტეს. ჰიტლერის მიერ წამოწყებული ყოველი დისკუსია კაიტელის, როგორც პიროვნების, სრული მარცხით მთავრდებოდა - იგი ვერ გამოხატავდა საკუთარ აზრს. კაიტელს რომ წინააღმდეგობა გაეწია და ჯიუტად დაეცვა თავისი შეხედულებები, მას სხვა კაიტელით ჩაანაცვლებდნენ.

1943 - 1944 წლებში ჰიტლერის უფროსი ადიუტანტი შმუნდტი, ბევრ სხვა თანამდებობის პირთან ერთად, ცდილობდა კაიტელის მოხსნას და მის ადგილზე ენერგიული გენერალ-ფელდმარშლის, კესელრინგის[124] დანიშვნას, მაგრამ ჰიტლერმა კაიტელი დაიცვა: „მე კაიტელს ვერ დავთმობ! ის ძაღლივით ერთგულია ჩემი!“ ალბათ, ჰიტლერისთვის კაიტელი ყველაზე მეტად მიესადაგებოდა მსახურის ისეთ ტიპს, რომლის ყოლაც ასე ძალიან სჭირდებოდა თავის გარემოცვაში ფიურერს.

არც გენერალ-პოლკოვნიკი იოდლი ეწინააღმდეგებოდა ხოლმე ჰიტლერს. კაიტელისაგან განსხვავებით, იოდლი უფრო ტაქტიკურად მოქმედებდა. იგი ხშირად იყო ჩუმად და ამ სიჩუმით ბევრი რთული სიტუაცია განუმუხტავს კიდეც, იმასაც ახერხებდა, მოგვიანებით ჰიტლერისთვის ესა თუ ის გადაწყვეტილება მიეღებინებინა, ან უკვე მიღებული გადაწყვეტილება შეეცვლევინებინა.

გენერლები მუდმივად გადაღლილები იყვნენ, ამიტომ ჰიტლერს მათი დაყოლიება ადვილად შეეძლო. ჰიტლერი თავის შტაბში სამუშაოს ისე ანაწილებდა, რომ ეს განაწილება OKW-ს სამუშაო გრაფიკს ემთხვეოდა. ამიტომ გენერლები და ოფიცრები სულ გამოუძინებლები რჩებოდნენ. შტაბის დაღლილი გენერლებისა და ოფიცრების ჩანაცვლების მიზნით ხშირად მიცდია, ფრომის გარდა, ჩემი მგობარი -

ფელდმარშალი მილხიც შემეყვანა ფიურერის გარემოცვაში. მილხს დავალებული ჰქონდა, შეედგინა გეგმა, თუ როგორ უნდა შეგვეცვალა ბომბდამშენები გამანადგურებელი თვითმფრინავებით. მაგრამ გერინგმა აუკრძალა მილხს ყველანაირი ვიზიტი ჰიტლერის შტაბ-ბინაში.

როდესაც გერინგს 1942 წლის მიწურულს ჰიტლერის შტაბ-ბინის წინ მდებარე პავილიონში შევხვდი, ისიც დაღლილ-დაქანცული მეჩვენა. მან მითხრა: „კარგი იქნება, თუ ამ ომის შემდეგ გერმანია 1933 წლის საზღვრებს შეინარჩუნებს.“

როდესაც გერინგი ჰიტლერთან შესახვედრად მის შტაბ-ბინაში მოდიოდა, რამდენიმე წუთით თავის პავილიონში შეივლიდა ხოლმე; ამასობაში მას ტელეფონით უკავშირდებოდა ბოდენშტეტი - მისი ჰიტლერთან დამაკავშირებელი გენერალი; ეს უკანასკნელი გერინგს ატყობინებდა, თუ რა განწყობა სუფევდა შტაბ-ბინაში. ასე რომ, როდესაც რაიხსმარშალი თათბირზე შედიოდა, ზუსტად იმ პოზიციას იცავდა, რომლის გატარებასაც თავად ჰიტლერი აპირებდა. რის მერეც ფიურერი გაბრწყინებული სახით მიმართავდა ხოლმე თავის გარემოცვას: „აი, ხომ ხედავთ! რაიხსმარშალიც ამავე აზრისაა!“

1942 წლის 7 ნოემბერს ჰიტლერი თავისი საგანგებო მატარებლით მიუნხენში მიემგზავრებოდა. მეც თან ვახლდი, რადგან ჰიტლერის ყურადღების მიპყრობა აღჭურვილობის საკითხებისადმი ამგვარი მოგზაურობების დროს უფრო ადვილი იყო, ვიდრე მის შტაბ-ბინაში. ეს საგანგებო მატარებელი აღჭურვილი იყო რადიოთი, ტელეტაიპით და ტელეფონის კომუტატორით. ჰიტლერს იოდლი და გენერალური შტაბის კიდევ რამდენიმე წარმომადგენელი ახლდა.

ატმოსფერო დაძაბული იყო. ყოველ სადგურზე დიდხანს ვჩერდებოდით იმისთვის, რომ ფრონტის ხაზიდან უახლესი ცნობები მიგვეღო. იმ დღეს ხმელთაშუა ზღვაში გიბრალტარის სრუტით უნდა შესულიყო სატრანსპორტო გემების უზარმაზარი არმადა სამხედრო გემებთან ერთად.

ადრე ჰიტლერი ყოველ გაჩერებაზე ფანჯრიდან იხედებოდა, ხალხს რომ დაენახა, ახლა კი გარესამყაროსთან ყოველგვარი კონტაქტი აღიზიანებდა, მისი ვაგონის ფანჯრებზე ფარდა ჩამოშვებული იყო. როდესაც გვიან საღამოს სასადილო ვაგონში ჰიტლერთან ერთად მდიდრულად გაწყობილ სუფრას ვუსხედით, ვერც კი შევნიშნეთ, რომ გვერდით ლიანდაგზე სატვირთო მატარებელი ჩამოდგა; პირუტყვისთვის განკუთვნილი ვაგონებიდან მოგვშტერებოდნენ დამშეული, დაძონძილი, დაჭრილი ჯარისკაცები, რომლებიც აღმოსავლეთის ფრონტიდან ბრუნდებოდნენ. ისინი პირველმა ჰიტლერმა შენიშნა. მხოლოდ ორი მეტრის მანძილი აშორებდა მას ჯარისკაცებისგან, მაგრამ ჰიტლერი მათ არც კი მიესალმა; მხოლოდ ბრძანა, ფარდა ჩამოფარებინათ. ასე დასრულდა ჯარისკაცებთან მისი არცთუ ხშირი შეხვედრებიდან ერთ-ერთი.

ინტრიგები

1942 წლის ზამთარში, სტალინგრადის კრიზისის დროს, ბორმანი, კაიტელი და ლამერსი ერთმანეთს შეეკრნენ და გადაწყვიტეს, ჰიტლერი კიდევ უფრო მეტად მოექციათ იზოლაციაში. ამიერიდან დოკუმენტებს ხელის მოსაწერად ჰიტლერს მხოლოდ ეს სამი კაცი შეუტანდა. ამით ბოლო მოეღებოდა დირექტივების უაზრო ხელმოწერასა და ბრძანებების ქაოტურ გაცემას. ამიერიდან ჰიტლერი მხოლოდ საბოლოო გადაწყვეტილებას მიიღებდა. სახელმწიფო მოხელეების ერთმანეთისგან განსხვავებული შინაარსის დოკუმენტებს „სამთა კომიტეტი“ განიხილავდა.

სამთა კოლეგიამ სფეროები გადაინაწილა. კაიტელი ვერმახტის დადგენილებებზე უნდა ყოფილიყო პასუხისმგებელი, მაგრამ მისმა საქმიანობამ თავიდანვე განიცადა მარცხი, რადგან ლუფტვაფეს და სამხედრო ფლოტის მთავარსარდლებმა გადაჭრით განაცხადეს უარი მასთან თანამშრომლობაზე. ლამერსი სამინისტროებთან ურთიერთობაზე იქნებოდა პასუხისმგებელი, ასევე ყველა სახელმწიფოებრივ-სამართლებრივ და ადმინისტრაციულ საკითხზე. მაგრამ ლამერსი იძულებული გახდა, ეს სფერო თანდათან ბორმანისათვის დაეთმო, რომელიც მას საშუალებას არ აძლევდა, ჰიტლერს ხშირად შეხვედროდა. ბორმანმა კი თავის თავზე აიღო პასუხისმგებლობა, ჰიტლერისათვის ყველა შიდა პოლიტიკური საკითხი მოეხსენებინა. მაგრამ ბორმანს ამ საქმიანობის შესასრულებლად მხოლოდ ინტელექტი კი არა, გარე სამყაროსთან კონტაქტიც აკლდა. რვა წლის განმავლობაში ბორმანი ჰიტლერის განუყრელ თანამდევ ჩრდილად იქცა. მას არასოდეს უცდია, შვებულება აეღო ან ხანგრძლივ მივლინებაში წასულიყო; ბორმანი მუდმივად შიშობდა, რომ მისი გავლენა ჰიტლერზე შესუსტდებოდა. ბორმანმა ჯერ კიდევ იმ პერიოდიდან, როდესაც თავად იყო ჰესის მოადგილე, შესანიშნავად იცოდა, რა საფრთხეს წარმოადგენდნენ პატივმოყვარე მოადგილეები: ჰიტლერს ყოველთვის სჩვეოდა რანგით მეორე ადგილზე მდგომი პირებისთვის ბევრი დავალების მიცემა; იგი მათ ისე ეპყრობოდა, როგორც თავისი შტაბის თანამშრომლებს. ეს თავისებურება სრულებითაც არ ნიშნავდა იმას, რომ ჰიტლერი მოწადინებული იყო, თავისი ძალაუფლება სხვებისთვის გაენაწილებინა; ჰიტლერს უყვარდა თავის გარშემო ახალი სახეების ხილვა, ახალი ადამიანების გამოცდა. ამგვარი კონკურენციისათვის თავის არიდების მიზნით, ზოგიერთი ფრთხილი მინისტრი ცდილობდა, თავის მოადგილედ ნაკლებად ინტელექტუალური და ენერგიული კაცი დაენიშნა.

ბორმანის, კაიტელის და ლამერსის განზრახვას, ჰიტლერის გარშემო კედელი აღემართათ, გაეფილტრათ ყველა ინფორმაცია, რომელიც მასთან აღწევდა, გაეკონტროლებინათ მისი ძალაუფლება, შედეგად შეიძლებოდა, ჰიტლერის

ერთპიროვნული მმართველობის დასასრული მოჰყოლოდა. ეს ასეც მოხდებოდა, ბორმანი, ლამერსი და კაიტელი ინიციატივიანი, ფანტაზიისა და პასუხისმგებლობის გრძნობის მქონე პირები რომ ყოფილიყვნენ. მაგრამ ისინი (ბორმანი, კაიტელი და ლამერსი) მიჩვეული იყვნენ, რომ ყოველთვის ჰიტლერის სახელით უნდა ემოქმედათ. ისინი ჰიტლერის ნება-სურვილზე მონურად იყვნენ დამოკიდებული. ჰიტლერმა მალე შეცვალა სამეულის მიერ მიღებული ახალი წესი, რომელიც ფიურერს ხელ-ფეხს უკრავდა და მის ბუნებასაც ეწინააღმდეგებოდა. ამ ჩაკეტილი წრის შექმნის პრეცედენტმა, სავსებით გასაგები მიზეზების გამო, დააბნია და დაასუსტა ის პირები, რომლებიც ამ წრის მიღმა დარჩნენ.

სინამდვილეში, მთავარ როლს მაინც ბორმანი ასრულებდა. ბორმანი წყვეტდა, სამოქალაქო პირთაგან ვინ დაიშვებოდა ჰიტლერთან მიღებაზე, უფრო სწორად, ბორმანი წყვეტდა იმას, თუ ვინ არ დაიშვებოდა. თითქმის ვერც ერთი მინისტრი, რაიხსლაიტერი და გაულაიტერი ვერ აღწევდა ჰიტლერამდე: ყველა მათგანს ბორმანისთვის უნდა მიემართა და ბორმანს უნდა მიეტანა ჰიტლერამდე მათი პრობლემები. ბორმანი ძალიან სწრაფად მუშაობდა. ესა თუ ის მინისტრი რამდენიმე დღეში ღებულობდა თავის თხოვნაზე პასუხს, რომელსაც ადრე რამდენიმე თვე უნდა დალოდებოდა. მხოლოდ მე წარმოვადგენდი გამონაკლისს. რადგან მე სამხედრო საქმით ვიყავი დაკავებული, ნებისმიერ დროს შემეძლო ჰიტლერთან შესვლა.

ჰიტლერთან ჩემი მოლაპარაკებების დასრულებისას ზოგჯერ ბორმანიც შემოდიოდა (მისი მოსვლის შესახებ ადიუტანტი მოგვახსენებდა ხოლმე); ბორმანი სათათბირო ოთახში გამოგვეცხადებოდა თავისი საქაღალდით, რამდენიმე წინადადებით მოკლედ და მონოტონურად აცნობდა ფიურერს საქმის ვითარებას და შემდეგ თავადვე სთავაზობდა პრობლემის გადაჭრის გზას. უმეტესწილად ჰიტლერი ბორმანის შემოთავაზებას თავისი ჩვეული ერთსიტყვიანი ფორმულით - „ვეთანხმები“ პასუხობდა. ბორმანისათვის ეს ერთი სიტყვა საკმარისი იყო, რომ ვრცელი დადგენილებები დაეწერა და ამას მაშინაც აკეთებდა, როდესაც ჰიტლერის პასუხი ერთობ ბუნდოვანი იყო. ამგვარად, ნახევარი საათის განმავლობაში ბორმანი იღებდა 10 ან უფრო მეტ მნიშვნელოვან გადაწყვეტილებას; რაიხის შიდა საქმეებს de facto ბორმანი მართავდა. რამდენიმე თვის შემდეგ, 1943 წლის 12 აპრილს ბორმანმა ჰიტლერს ხელი მოაწერინა ერთი შეხედვით უმნიშვნელო დოკუმენტზე, რომლის თანახმადაც ბორმანი „ჰიტლერის მდივანი“ ხდებოდა.

შეიარაღების დარგში ჩემ მიერ მიღწეული დიდი წარმატებების შემდეგ გოებელსმა კვლავ მოწყალე თვალით შემომხედა (გოებელსის ჩემდამი ცუდი დამოკიდებულება გამოწვეული იყო მისი ხანგრძლივი სასიყვარულო ურთიერთობით ლიდა ბაროვასთან[125] და ამ ურთიერთობის გაწყვეტის შემდეგ გამოსწორდა). 1942 წლის ზაფხულში მე გოებელსს ვთხოვე, პროპაგანდის აპარატის საინფორმაციო საშუალებები - ვოხენშაუები, ილუსტრირებული ჟურნალები და გაზეთები ჩემი საქმიანობის გასაშუქებლად გამოეყენებინა. პროპაგანდის მინისტრის ღია წერილმა

რაიხის ერთ-ერთ ყველაზე ცნობილ პიროვნებად მაქცია და დიდი წონაც შემძინა, რაც, თავის მხრივ, დიდად ეხმარებოდა ჩემს თანამშრომლებს სახელმწიფო და პარტიულ უწყებებთან ყოველდღიური საქმიანი შეხლა-შემოხლის დაძლევაში.

ჩვეული ფანატიზმი, რომელიც დამახასიათებელი იყო გოებელსის საჯარო გამოსვლებისთვის, სრულებითაც არ ნიშნავდა იმას, რომ გოებელსს უზღვავი ტემპერამენტი ჰქონდა. გოებელსი იყო ბეჯითი, მშრომელი ადამიანი, საკმაოდ პედანტური თავისი იდეების განხორციელების დროს, ამასთან ერთად, იგი ზოგადი ვითარების გაკონტროლებასაც ახერხებდა. გოებელსს პრობლემების განზოგადების უნარი ჰქონდა და ამის გამო საქმიანი დასკვნების გამოტანაც შეეძლო. ამ შთაბეჭდილებას აძლიერებდა მისი ცინიზმი და ლოგიკური აზროვნების უნარი, რაშიც საუნივერსიტეტო განათლება იგრძნობოდა. გოებელსი მხოლოდ ჰიტლერის პირისპირ იყო შებოჭილი.

ომის პირველ, წარმატებულ ფაზაში გოებელსი არ ავლენდა არანაირ პატივმოყვარეობას. პირიქით, 1940 წელს მან განაცხადა, რომ ომში გამარჯვების შემდეგ იგი სახელმწიფო სამსახურს თავს დაანებებდა და თავის მრავალრიცხოვან საყვარელ საქმეს (მათ შორის სამიჯნურო ურთიერთობებსაც) მიჰყოფდა ხელს. გოებელსი თვლიდა, რომ პასუხისმგებლობა ქვეყნის მომავალზე ახალგაზრდა თაობას უნდა ეტვირთა.

მოვლენების კატასტროფულმა განვითარებამ განაპირობა ის, რომ 1942 წლის დეკემბერში გოებელსმა თავის სახლში კოლეგების დაპატიჟება დაიწყო. ამ კოლეგებს წარმოვადგენდით: ვალტერ ფუნკი, რობერტ ლაი[126] და მე. ეს არჩევანი გოებელსმა იმიტომ გააკეთა, რომ ჩვენ სამივეს სრული საუნივერსიტეტო განათლება გვქონდა მიღებული.

სტალინგრადმა ყველას თავზარი დაგვცა - არა მხოლოდ მეექვსე არმიის ჯარისკაცების ტრაგედიამ, არამედ იმ ამბავმაც, რომ ჰიტლერის ბრძანებამ ასეთ კატასტროფამდე მიგვიყვანა. აქამდე ყოველ დამარცხებას წარმატებული შეტევით ვპასუხობდით, რაც მანამდე არსებულ დანაკლისს აბათილებდა, ან ყოველ შემთხვევაში გვავიწყებდა მაინც. ამჯერად პირველად განვიცადეთ ისეთი მარცხი, რომელსაც ანალოგი არ მოეძებნებოდა.

1943 წლის დასაწყისში ჩვენ ოთხს შორის გამართულ ერთ-ერთ მოლაპარაკებაზე გოებელსმა გვითხრა: „ომის დასაწყისში ამის ნახევარი ძალებით მივაღწიეთ უდიდეს სამხედრო წარმატებას, რამაც გვაფიქრებინა, რომ მომავალშიც განსაკუთრებული ძალისხმევის გარეშე შევძლებდით მიღწეული გამარჯვების შენარჩუნებას და განმტკიცებას. ჩვენგან განსხვავებით, ინგლისელებს ბედმა უფრო გაუღიმა, უფრო მეტ წარმატებას მიაღწიეს, რადგან დიუნკერკის შემთხვევა ომის დასაწყისშივე მოხდა. ამ დამარცხებამ ინგლისელებს უდიდესი სტიმული მისცა სამოქალაქო

შემართების გააქტიურებისათვის. სტალინგრადი ჩვენი დიუნკერკია! მხოლოდ და მხოლოდ კარგი გუნება-განწყობილების შენარჩუნებით ომს ვეღარ მოვიგებთ“.

გოებელსმა გაგვაცნო მისი მრავალი განშტოების მქონე აპარატის აგენტურის ანგარიშები, რომლებშიც საუბარი იყო საზოგადოებაში არსებულ მღელვარებასა და მთავრობის მიმართ უნდობლობაზე. საზოგადოება რაიხის ხელმძღვანელობისაგან ყოველგვარ ფუფუნებაზე უარის თქმას მოითხოვდა.

ამას ისიც დაემატა, რომ ჰიტლერმა არა მხოლოდ შეიარაღების წარმოების კიდევ უფრო გაზრდა, არამედ აღმოსავლეთის ფრონტზე არნახული დანაკლისის აღმოსაფხვრელად ვერმახტში სამრეწველო დარგის 800 000 ახალგაზრდა სპეციალისტის გაწვევაც მოითხოვა. მაგრამ ფაბრიკებში მუშახელის შემცირება კიდევ უფრო გაართულებდა ისედაც მძიმე მდგომარეობას.

ხალხში გაჩენილი უნდობლობა როგორმე ნდობით უნდა შეგვეცვალა. და მე გამოვედი წინადადებით, რომ ჯობდა შეგვემცირებინა ადმინისტრაციულ უწყებებში დასაქმებულ ადამიანთა რიცხვი, რაც თითქმის სამ მილიონს აღწევდა. კიდევ უფრო მეტი მღელვარება გამოიწვია ჩემმა მოთხოვნამ, რომლის თანახმადაც სახელმწიფო მოხელის სამუშაო დრო შეიარაღების სფეროში მომუშავე პერსონალის სამუშაო დროისთვის უნდა გაგვეთანაბრებინა; ამ გზით შეიარაღების სფეროსთვის დაახლოებით 200 000 ადმინისტრაციულ მოხელეს მოვიპოვებდით.

ჰიტლერი დიდი ყოყმანის შემდეგ დასთანხმდა ჩვენს წინადადებას, რომელიც გულისხმობდა ადმინისტრაციის გამარტივებას, მზა ნაწარმისა და გასართობი კულტურული ღონისძიებების შემცირებას. იმედი მქონდა, რომ ამ დავალებას გოებელსს დავაკისრებდი, მაგრამ, სამწუხაროდ, იმედი ბორმანმა გამიცრუა, რომელმაც პატივმოყვარე მეტოქე თავიდან მოიშორა. გოებელსის ნაცვლად ეს მისია დაეკისრა ლამერსს - ბორმანის მოკავშირეს სამთა კომიტეტში.

ლამერსი ის პიროვნება იყო, ვინც 1943 წლის იანვარში სახელმწიფო კაბინეტის სხდომა ჰიტლერის ნაცვლად ჩაატარა (კაბინეტის სხდომების ჩატარება ჰიტლერმა დიდი ხნის წინ შეწყვიტა, ლამერსმა კი ეს სხდომები აღადგინა). ამ სხდომაზე მინისტრთა კაბინეტის ყველა წევრი არ მიიწვიეს. მიიწვიეს მხოლოდ ისინი, ვინც დღის წესრიგში მდგომ საკითხებზე მუშაობდა. სხდომის ჩატარების ადგილი - რაიხის კანცელარიის მინისტრთა კაბინეტის დარბაზი - იმაზე მიუთითებდა, თუ რამხელა ძალაუფლება ეპყრა ხელთ ამ სამეულს - ბორმანს, ლამერსსა და კაიტელს.

სხდომებზე ცხარე დისკუსიები და კამათი იმართებოდა: გოებელსი და ფუნკი მხარს უჭერდნენ ჩემს რადიკალურ მოთხოვნებს; შინაგან საქმეთა მინისტრი ფრიკი და ლამერსი საპირისპირო მოსაზრებებს ავითარებდნენ; ზაუკელი უაპელაციოდ აცხადებდა, რომ მას შეეძლო ოკუპირებული ქვეყნებიდან ჩამოეყვანა მუშახელისა და სპეციალისტების საჭირო რაოდენობა. გოებელსმა იმითაც ვერაფერს მიაღწია, რომ

პარტიის წამყვანი ფუნქციონერებისგან მათი შეუზღუდავი ცხოვრების წესის შეცვლა მოითხოვა. როდესაც ცნობილი გახდა ჩვენ მიერ შემუშავებული დადგენილების - რაიხის საპარიკმახეროებში თმის ქიმიური დახვევის აკრძალვისა და კოსმეტიკური ნაწარმის მრეწველობის შეჩერების შესახებ, ამან თვით ევა ბრაუნის უკმაყოფილება გამოიწვია, მიუხედავად იმისა, რომ ის თავშეკავებულობით გამოირჩეოდა და პოლიტიკაში არასოდეს ერეოდა. ევა ბრაუნმა ჰიტლერს შესჩივლა და ფიურერმა კომპრომისული ვარიანტი შემომთავაზა: ნაცვლად „აკრძალვისა“ დადგენილებაში ასეთი ფორმულირება შეგვეტანა: „თმის შესაღები საშუალებებისა და აუცილებელი კოსმეტიკური ნაწარმის დროებით დაკონსერვება“, ასევე „თმის ქიმიური დახვევისთვის საჭირო აპარატების შეკეთების შეწყვეტა“.

რაიხის კანცელარიაში გამართული რამდენიმე სხდომის შემდეგ გოებელსისთვის და ჩემთვის ცხადი გახდა, რომ ბორმანის, ლამერსის და კაიტელის ხელში ჩვენი შეიარაღების გაძლიერებაზე ფიქრიც კი ზედმეტი იყო.

1943 წლის 18 თებერვალს გოებელსმა წარმოთქვა თავისი სიტყვა „ტოტალური ომის“ შესახებ. ეს სიტყვა მხოლოდ მოსახლეობისადმი არ იყო მიმართული, იგი ეხებოდა რაიხის ხელმძღვანელობასაც, რომელიც არ იზიარებდა ჩვენს მოსაზრებას, რადიკალური ზომები მიგვეღო ქვეყნის ყველანაირი რეზერვის მობილიზაციისათვის. გოებელსი ცდილობდა, ლამერსი და ის ხელმძღვანელები, რომლებიც მის მსგავსად ფიქრობდნენ, ქუჩის პროტესტებით დაგვეშინებინა.

მხოლოდ ჰიტლერის ყველაზე წარმატებული საჯარო გამოსვლების დროს მინახავს მსგავსი ფანატიზმით შეპყრობილი მსმენელები. როდესაც გოებელსმა თავისი გამოსვლის შემდეგ სახლში გააანალიზა თავისი სიტყვა, ჩემდა გასაკვირად აღმოვაჩინე, რომ მისი თითქოსდა იმპროვიზებული ემოციური აფეთქებები წინასწარ იყო გათვლილი - ფსიქოლოგიური ეფექტის მისაღწევად - გამოცდილი მსახიობიც კი ვერ გააკეთებდა ამას უკეთესად. გოებელსი იმ საღამოს თავისი აუდიტორიით ძლიერ კმაყოფილი ჩანდა: „შეამჩნიეთ? ისინი მცირე ნიუანსებზეც კი რეაგირებდნენ და საჭირო ადგილას მიკრავდნენ ტაშს. გერმანიაში ვერ ნახავთ პოლიტიკურად ამაზე უკეთ მომზადებულ აუდიტორიას“. გოებელსის სიტყვა საგარეო პოლიტიკასაც ეხებოდა. ეს იყო მცდელობა, ჰიტლერს მილიტარიზმის გარდა პოლიტიკაზეც ეფიქრა. გოებელსი დარწმუნებული იყო, რომ მისი სიტყვა მოწოდება იყო დასავლეთისადმი; იგი დასავლეთის ქვეყნებს იმ საფრთხის არსებობას შეახსენებდა, რომელიც მთელ ევროპას აღმოსავლეთიდან ემუქრებოდა. რამდენიმე დღის შემდეგ, დასავლეთის პრესას რომ გაეცნო, გოებელსი ძალიან კმაყოფილი დარჩა იმით, რომ სტატიებში სწორედ ამ წინადადებებს მოჰყვა დადებითი კომენტარი.

იმხანად გოებელსს მართლაც ჰქონდა იმის ამბიცია, რომ საგარეო საქმეთა მინისტრი გამხდარიყო. თავისი მჭევრმეტყველების მთელი არსენალის გამოყენებით იგი ცდილობდა, ჰიტლერი რიბენტროპის წინააღმდეგ განეწყო და თითქოს მიაღწია

კიდეც საწადელს, რადგან ჰიტლერი მის მსჯელობას უხმოდ უსმენდა, არ აწყვეტინებდა და არც სხვა ნაკლებად არასასიამოვნო თემაზე გადაჰქონდა საუბარი, როგორც ეს ფიურერს სჩვეოდა ხოლმე. გოებელსმა ჩათვალა, რომ წარმატებას მიაღწია. მაგრამ ერთ მშვენიერ დღეს ჰიტლერმა მოულოდნელად რიბენტროპის საქმიანობის ქება დაიწყო; ჰიტლერის აზრით, სწორედ რიბენტროპი იყო ის პიროვნება, რომელიც „მოკავშირეებთან“ მოლაპარაკებების საწარმოებლად გამოდგებოდა; ჰიტლერის ამ მსჯელობას ლაპიდარული დასკვნაც მოჰყვა: „თქვენ ცდებით რიბენტროპის შეფასებაში. იგი ერთ-ერთი იმ დიდ პიროვნებათაგანია, რომლებიც გერმანიას ჰყავს და ისტორია მას ოდესმე ბისმარკზე მაღლა დააყენებს. რიბენტროპი ბისმარკზე დიდია“. ამას გარდა, ჰიტლერმა გოებელსს აუკრძალა, დასავლეთისთვის მიემართა.

ყველაფრის მიუხედავად, გოებელსის სიტყვას ტოტალური ომის შესახებ მაინც მოჰყვა ერთი ფაქტი, რომელმაც საზოგადოების მოწონება დაიმსახურა: ჰიტლერმა ბერლინის ფეშენებელური რესტორნებისა და გასართობი ადგილების დახურვის ბრძანება გასცა. მართალია, გერინგი მაშინვე შეეცადა, დაეცვა თავისი საყვარელი რესტორანი „ჰორხერი“, მაგრამ გოებელსმა დემონსტრანტების ჯგუფი შეკრიბა, რომლებიც მზად იყვნენ, რესტორნის ფანჯრებისთვის ქვები დაეშინათ. გერინგმა ფარ-ხმალი დაყარა. ამ ინციდენტმა გერინგსა და გოებელსს შორის ურთიერთობა დაძაბა.

1943 წლის 19 თებერვალს, გოებელსის მიერ წარმოთქმული სიტყვის მეორე დღეს, მის სასახლეში, რომელიც მან ომის დაწყებამდე ცოტა ხნით ადრე აიშენა ბრანდენბურგის ჭიშკრის გვერდით, ბევრმა მაღალჩინოსანმა მოიყარა თავი. მათ შორის იყვნენ: ფელდმარშალი მილხი, იუსტიციის მინისტრი თირაკი, შინაგან საქმეთა სამინისტროს სახელმწიფო მდივანი შტუკარტი, სახელმწიფო მდივანი კერნერი, ფუნკი და ლაი. ამ შეხვედრაზე მილხმა და მე პირველად გამოვთქვით მოსაზრება, საშინაო პოლიტიკაში წესრიგის დასამყარებლად გერინგის უფლებამოსილება გამოგვეყენებინა, გერინგისა, რომელიც „რაიხის თავდაცვის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე“ იყო.

ცხრა დღის შემდეგ გოებელსმა კვლავ მიგვიწვია თავისთან ფუნკი, ლაი და მე. მისი უზარმაზარი სასახლის მდიდრული ინტერიერი ამჯერად სრულიად ჩაბნელებული იყო. გოებელსმა ბრძანა, დიდი მისაღები დარბაზები გამოეკეტათ, ხოლო დანარჩენ ოთახებში ელნათურების უმეტესობა ამოახრახნინა. ამით მას „ტოტალური ომის“ აქციის დასაწყისისთვის მისაბაძი მაგალითის ჩვენება სურდა. ჩვენ შეგვიყვანეს ერთ პატარა ოთახში, რომლის ფართობიც დაახლოებით 50 კვადრატული მეტრი იქნებოდა. ლივრეებში ჩაცმულმა მსახურებმა ფრანგული კონიაკი და ჩაი მოგვართვეს. შემდეგ გოებელსმა ისინი დაითხოვა და ჩვენ მარტონი დავრჩით. საუბარი მასპინძელმა დაიწყო: „ასე გაგრძელება აღარ შეიძლება. ჩვენ ბერლინში ვსხედვართ და ჰიტლერს ჩვენი არ ესმის; მე მასზე პოლიტიკურად ვერანაირ ზეგავლენას ვერ ვახდენ, ჩემს უწყებაში სასწრაფოდ გასატარებელ ღონისძიებებსაც კი

ვერ ვუთანხმებ. ის ყველაფერს მხოლოდ ბორმანისგან იგებს. ჰიტლერი უნდა ვაიძულოთ, ბერლინში ხშირად ჩამოვიდეს.“ შემდეგ გოებელსმა აღნიშნა, რომ ჰიტლერს საშინაო პოლიტიკაც გაუსხლტა ხელიდან და მის ნაცვლად ამასაც ბორმანი აკეთებს; ბორმანმა კი მოახერხა და ჰიტლერი დაარწმუნა, რომ კვლავინდებურად იგი - ჰიტლერი იყო ქვეყნის მმართველი. პირველ რიგში ბორმანის გავლენა უნდა შევასუსტოთო, თქვა გოებელსმა.

გოებელსმა თავის ჩვეულებას უღალატა და კრიტიკისაგან ჰიტლერიც აღარ დაინდო: „ჩვენ ამჟამად არა მხოლოდ ხელმძღვანელობის კრიზისს განვიცდით, არამედ ხელმძღვანელის კრიზისსაც“. გოებელსი დაბადებით პოლიტიკოსი იყო და ამიტომ მისთვის სრულიად მიუღებელი იყო, რომ ჰიტლერმა სწორედ პოლიტიკა, ეს უმნიშვნელოვანესი ინსტრუმენტი, დათმო საომარ პოზიციებზე მთავარსარდლობის გამო. ჩვენ ისღა დაგვრჩენოდა, გოებელსს დავთანხმებოდით. გოებელსის კრიტიკამ ნათელი გახადა, სინამდვილეში რას ნიშნავდა სტალინგრადი ჩვენთვის. გოებელსმა ეჭვი შეიტანა ჰიტლერის ყოვლისშემძლეობაში და, ამასთან ერთად, მის გამარჯვებაშიც. ეს ეჭვი ჩვენც შემოგვეპარა.

მე კიდევ ერთხელ გამოვთქვი მოსაზრება, რომ გერინგისთვის ისევ ის ფუნქცია მიგვენიჭებინა, რომელიც მას ომის დასაწყისში ჰქონდა. გერინგი თავად წარმოადგენდა ყველანაირი უფლებამოსილების მქონე სახელმწიფოებრივ და სამართლებრივ სტრუქტურას, რომელსაც იმის უფლებაც კი ჰქონდა, რომ კანონები ჰიტლერის მონაწილეობის გარეშე მიეღო. მხოლოდ გერინგი შეძლებდა, ბორმანისა და ლამერსისთვის მათ მიერ უზურპირებული ძალაუფლება წაერთმია. და რადგან „ჰორხერის“ რესტორნის ინციდენტის შემდეგ გოებელსსა და გერინგს შორის ურთიერთობა დაიძაბა, ჩვენმა პატარა კრებამ გერინგთან შეხვედრა მე დამავალა.

როდესაც დღევანდელი გადასახედიდან ვაფასებ ჩვენს მაშინდელ მცდელობას, ბორმანისა და ლამერსისათვის ძალაუფლება წაგვერთმია, სულ უფრო მეტად ვრწმუნდები, რომ იმ ვითარებაში ეს არაფერს შეცვლიდა. ჩვენ ხელმძღვანელობის კურსის შეცვლა გვინდოდა და ამას მხოლოდ ჰიტლერის მდივნების დამხობით ვერ მოვახერხებდით. ეს მხოლოდ ჰიტლერის წინააღმდეგ მიმართული ძალისხმევის შედეგად გახდებოდა შესაძლებელი. ასეთი რამ კი ჩვენ ფიქრადაც არ გაგვივლია. თუ ბორმანი შეძლებდა და ჰიტლერის თვალში ჩვენს შერყეულ პოზიციებს გაამყარებდა, ჩვენ იმისთვისაც ვიყავით მზად, ჰიტლერის მიერ არჩეული კურსი უპირობოდ მიგვეღო და იმაზე უფრო დიდი მონდომებით გაგვეტარებინა, ვიდრე ეს ლამერსისა და ინტრიგანი ბორმანის დროს ხდებოდა. ის, რომ სრულიად უმნიშვნელო ცვლილებასაც კი სერიოზულად აღვიქვამდით, მხოლოდ და მხოლოდ იმ ჩაკეტილ სამყაროზე მეტყელებს, რომელშიც ჩვენ ყველანი ვცხოვრობდით.

ამ საქციელით მე გავცდი ჩემი, როგორც სპეციალისტის, კომპენტენციის საზღვრებს და პოლიტიკურ ცხოვრებაში ჩავები. ამ ნაბიჯს ყველანაირად გავურბოდი, მაგრამ

ახლა, როდესაც უკვე გადავდგი, მივხვდი, რომ შინაგან ლოგიკას მივყევი: დიდი შეცდომა იყო იმის დაჯერება, რომ მხოლოდ ჩემი პროფესიული საქმიანობით შემოფარგვლას შევძლებდი. ავტორიტარულ სისტემაში ძალაუნებურად ხვდები პოლიტიკური ბრძოლის ქარცეცხლში, თუკი ქვეყნის სათავეში დარჩენა გსურს.

გერინგი ობერზალცბერგში, თავის საზაფხულო რეზიდენციაში იმყოფებოდა. როგორც მილხმა მითხრა, მას შემდეგ, რაც ჰიტლერმა ლუფტვაფეს წარუმატებელი ოპერაციების გამო მკაცრად გააკრიტიკა, განაწყენებულმა გერინგმა სწორედ აქაურობას შეაფარა თავი, ანუ ხანგრძლივ შვებულებაში გავიდა. გერინგმა დაუყოვნებლივ მიმიღო - 1943 წლის 28 თებერვალს.

ჩვენი საუბარი დიდხანს გაგრძელდა. გერინგი კმაყოფილი ჩანდა. ამ შეხვედრიდან დამამახსოვრდა გერინგის წითლად შეღებილი ფრჩხილები და საგულდაგულოდ დადებული მაკიაჟი სახეზე, რამაც არასასიამოვნოდ გამაოცა. მის ხალათზე დაბნეული უზარმაზარი ლალის გულსაბნევი კი პირიქით, გერინგისთვის დამახასიათებელ ელემენტად აღვიქვი.

გერინგმა მშვიდად მოისმინა ჩვენი შეთავაზება. დროდადრო ხალათის ჯიბიდან ძვირფას თვლებს იღებდა და ხელში ათამაშებდა. იმან, რომ ჩვენ ის გაგვახსენდა, გერინგი გაახარა. ისიც გრძნობდა ბორმანისგან მომდინარე საფრთხეს და ჩვენს გეგმებს დაეთანხმა. მხოლოდ გოებელსის ფიგურამ გააღიზიანა უკვე ხსენებული განხეთქილების გამო. მიუხედავად ამისა, შევთავაზე, პროპაგანდის მინისტრი პირადად დაეპატიჟა და, ახლა უკვე მასთან ერთად, კიდევ ერთხელ საფუძვლიანად განგვეხილა ჩვენი გეგმა.

მეორე დღეს გოებელსი ბერხტესგადენში ჩამოვიდა და მეც დაწვრილებით ვუამბე გერინგთან ჩემი შეხვედრის შესახებ. გერინგის რეზიდენციაში გოებელსი და მე ერთად გავემგზავრეთ. შეხვედრის დროს მორიდებულად გავდექი განზე და ვაცალე თავიანთი სათქმელი დაუფარავად ეთქვათ ერთმანეთისთვის. პირადი კონფლიქტის საკითხი ამოწურეს თუ არა, მეც მიხმეს. ბრძოლის ჟინით შეპყრობილი გერინგი კმაყოფილებისგან ხელებს ისრესდა. მისი აზრით, პირველ რიგში რაიხის თავდაცვის მინისტრთა საბჭოს შემადგენლობა უნდა შეგვეცვალა. გოებელსი და მე ამ ახალი საბჭოს წევრები უნდა გავმხდარიყავით (ის გარემოება, რომ ჩვენ ამ საბჭოს წევრებად აქამდე არავინ დაგვასახელა, იმაზე მიუთითებდა, რომ ამ ინსტიტუციას თავისი მნიშვნელობა დაკარგული ჰქონდა). გერინგმა რიბენტროპის შეცვლაზეც ილაპარაკა: საგარეო საქმეთა მინისტრი, რომელმაც ჰიტლერი პოლიტიკის ჭკვიანურად წარმართვაში უნდა დაარწმუნოს, ფიურერის რუპორს უფრო წარმოადგენს, ვიდრე იმ ფიგურას, რომელსაც დამოუკიდებლად შეუძლია პოლიტიკური გადაწყვეტილებების მიღება.

გოებელსი ემოციურად ჩაება საუბარში: „ფიურერი რიბენტროპის უსუსურობას ვერ მიხვდა და არც ლამერსი ჰყავს გაშიფრული“. ამ სიტყვებზე გერინგი წამოხტა:

„ლამერსი თავისი განუწყვეტელი ყბედობით სულ ტორპედოებს მირტყამდა გვერდებში. ამიერიდან ეს აღარ მოხდება! ამაზე მე ვიზრუნებ, ბატონებო!“ გოებელსს სიამოვნებდა გერინგის გაბრაზება. ამიტომ ის ყველანაირად ცდილობდა მის წაქეზებას, თუმცა რაიხსმარშლის იმპულსურობა აშინებდა კიდეც: „მენდეთ, ბატონო გერინგ, ჩვენ ფიურერს ბორმანსა და ლამერსთან დაკავშირებით თვალს ავუხელთ, ოღონდ არ უნდა გადავაჭარბოთ. ფრთხილად უნდა ვიმოქმედოთ. თქვენ ხომ იცნობთ ფიურერს. მინისტრთა საბჭოს დანარჩენ წევრებთან არავითარ შემთხვევაში არაფერი არ უნდა წამოგვცდეს. მათ არც კი უნდა იცოდნენ, რომ ჩვენ სამთა კომიტეტის მხილებას ვაპირებთ. ჩვენ ხომ მხოლოდ და მხოლოდ ფიურერის ერთგული ადამიანების კავშირს წარმოვადგენთ და არანაირი პირადი მიზნები არ გვამოძრავებს. თუ ფიურერს ერთმანეთზე ცალ-ცალკე მივაწვდით დადებით ინფორმაციას, ამით ჩვენც გავძლიერდებით და ფიურერის გარშემო მყარ კედელსაც ავაშენებთ!“

უკან რომ ვბრუნდებოდით, გოებელსმა კმაყოფილებით აღნიშნა: „დიდი ამბავი მოხდება! თქვენ არ მოგეჩვენათ, რომ გერინგი ძალზე გამოცოცხლებულია?“ უკანასკნელი წლების განმავლობაში გერინგი ასეთი მხნე, გაბედული და ენერგიული არ მენახა.

ობერზალცბერგში, გერინგის სახლის წინ მდებარე პარკში სეირნობისას გერინგი და მე ვსაუბრობდით იმ გზაზე, რომელსაც ბორმანი დაადგა. მე პირდაპირ ვუთხარი გერინგს, რომ ბორმანს სურდა, არც მეტი არც ნაკლები, ჰიტლერის მემკვიდრე გამხდარიყო. თავისი მიზნის მისაღწევად ყველა ღონესაც იხმარდა და ყველა ჩვენგანსაც გამოიყენებდა. გერინგს ისიც ვუამბე, რომ ბორმანი ბოლო ხანებში არც ერთ შანსს არ უშვებდა ხელიდან, რაიხსმარშალი ჰიტლერის თვალში დაემცირებინა და მისთვის შეურაცხყოფა მიეყენებინა. გერინგი დიდი ინტერესით მისმენდა. მე კი თხრობა განვაგრძე და გერინგს ობერზალცბერგში ჰიტლერთან გამართულ ჩაის საღამოებზეც ვუამბე. ამ შეკრებებზე ჰიტლერი გერინგს არასოდეს პატიჟებდა. სწორედ ამ შეხვედრების დროს ვაკვირდებოდი ბორმანის ტაქტიკას: ბორმანი პირდაპირ არასოდეს გადადიოდა შეტევაზე. ის თავის მოქმედებას პატარ-პატარა ნაბიჯების ერთმანეთში გადახლართვით იწყებდა, ხოლო ამ ნაბიჯების შედეგი საბოლოო სურათში ჩანდა. ასე მაგალითად, ერთ-ერთ საღამოს ბორმანი მდაბიურ ვენურ ანეგდოტებს ყვებოდა; მისი მიზანი შირახის რეპუტაციის შელახვა იყო. მაგრამ, როცა შენიშვნებს შირახზე ჰიტლერი აკეთებდა, მას კვერს არ უკრავდა. პირიქით, ბორმანი იწყებდა შირახის ქებას - რა თქმა უნდა, ამ ქებას ჰიტლერზე უარყოფითი შთაბეჭდილება უნდა მოეხდინა. ერთ წელიწადში ბორმანმა იმას მიაღწია, რომ ფიურერმა შირახი ლამის თავის მტრად გამოაცხადა. ამის შემდეგ ბორმანი ჰიტლერის არყოფნის დროს გარეგნულად თითქოს უწყინარი, მაგრამ სინამდვილეში გამანადგურებელი ნაბიჯის გადადგმას ბედავს - აცხადებს, რომ ფიურერი შესანიშნავად ჩაეწერებოდა ვენის ატმოსფეროში, სადაც ყველა ერთმანეთის წინააღმდეგ ხლართავდა ინტრიგებს. ამ ამბის მოყოლის შემდეგ გერინგს ვუთხარი, რომ ბორმანი გერინგის რეპუტაციასაც გამოუთხრიდა ძირს.

რა თქმა უნდა, ბორმანისთვის გერინგის რეპუტაციის შელახვა ძნელი არ იყო, რადგან რაიხსმარშალი ამისთვის მრავალ საბაბს იძლეოდა. ამ დღეებში თვით გოებელსიც კი ფრთხილად ლაპარაკობდა გერინგის „ბაროკოს სტილის სამოსზე“, რომელიც საკმაოდ კომიკურ შთაბეჭდილებას ტოვებდა, მეტადრე მაშინ, თუ გერინგს კარგად არ იცნობდი. გერინგი პირად საუბარში არასოდეს ახსენებდა იმ გარემოებას, რომ მან, როგორც ლუფტვაფეს მთავარსარდალმა, მარცხი განიცადა. მოგვიანებით, 1945 წლის გაზაფხულზე, როდესაც ჰიტლერმა სამხედრო თათბირზე ყველას თანდასწრებით თავისი რაიხსმარშალი შეურაცხმყოფელად გააკრიტიკა, გერინგმა ჰიტლერის ადიუტანტს ბელოვს უთხრა: „შპეერი მართალი აღმოჩნდა, როდესაც მაფრთხილებდა. აი, ახლა გამისწორდა ბორმანი!“ გერინგი ცდებოდა. ბორმანი მას ჯერ კიდევ 1943 წლის გაზაფხულზე გაუსწორდა.

რამდენიმე დღის შემდეგ, 1943 წლის 5 მარტს მე ბერლინის შტაბ-ბინაში გავფრინდი შეიარაღების საკითხების მოსაგვარებლად. მაგრამ ამაზე მეტად ის მსურდა, რომ გერინგის, გოებელსისა და ჩემი კავშირის საქმეები წამეწია წინ. ჰიტლერი ადვილად დავითანხმე, გოებელსი თავისთან მიეწვია. ჰიტლერს მოეწონა იდეა, პროპაგანდის მინისტრი ერთი დღით სწვეოდა შტაბ-ბინაში.

გოებელსი შტაბ-ბინაში სამი დღის შემდეგ ჩამოვიდა და მაშინვე გვერდზე გამიყვანა: „ბატონო შპეერ, როგორია ფიურერის განწყობა?“ გოებელსს ვუთხარი, რომ ჩემი დაკვირვებით ჰიტლერი გერინგის წინააღმდეგ ალესილი იყო, ამიტომ ვურჩიე, გერინგის ხსენებისგან თავი შეეკავებინა და უკეთესი იქნებოდა, ჩვენი ტაქტიკური სვლები დროებით შეგვეჩერებინა. გოებელსი დამეთანხმა: „თქვენ, ალბათ, მართალი ბრძანდებით, ფიურერთან გერინგზე საუბარი ახლა უადგილო იქნება და ყველაფერს გააფუჭებს!“

რამდენიმე კვირით ადრე მოკავშირეებმა გერმანიის მასიური საჰაერო დაბომბვა დაიწყეს, რამაც გერინგის ისედაც შერყეული პოზიცია კიდევ უფრო შეასუსტა. გერინგის სახელის ხსენებაზე ჰიტლერი ისტერიულად იწყებდა ჩივილს, რომ გერმანიის საჰაერო საომარი მოქმედებები არასწორად იყო დაგეგმილი. ამ დღესაც ჰიტლერმა უკვე მერამდენედ გამოხატა შეშფოთება, რომ ხანგრძლივი საჰაერო დაბომბვის შედეგად არა მხოლოდ ქალაქები დაინგრეოდა, ხელისუფლებისადმი ხალხის რწმენაც სამუდამოდ დაიმსხვრეოდა.

ჰიტლერმა გოებელსი და მე სადილად დაგვპატიჟა. რაოდენ უცნაურიც არ უნდა მოგეჩვენოთ, ჰიტლერი ამგვარ თავშეყრაზე თავის განუყრელ მდივანს - ბორმანს არასოდეს იწვევდა. ჰიტლერი ბორმანს მხოლოდ და მხოლოდ როგორც მდივანს, ისე ექცეოდა. ამ დღეს გოებელსის მიერ წაქეზებული ჰიტლერი, ძალიან ცოცხალი და უშუალო მოსაუბრე იყო. მე ასეთი ჰიტლერი შტაბ-ბინაში არასოდეს მინახავს. ჰიტლერმა მომენტით ისარგებლა და გული მოიფხანა - როგორც ყოველთვის, იგი თითქმის ყველა თავის თანამშრომელს უარყოფითად ახასიათებდა და აკრიტიკებდა.

სადილის შემდეგ ჰიტლერი და გოებელსი მარტო დავტოვე. მათი საუბარი რამდენიმე საათს გაგრძელდა. ამის შემდეგ მხოლოდ სამხედრო თათბირზე ვნახე ორივე. ვახშმობისას კვლავ შევხვდით ერთმანეთს. ჰიტლერმა ბუხარში ცეცხლი დაანთებინა, მსახურმა ჩვენთვის ერთი ბოთლი ღვინო მოიტანა, ჰიტლერს კი, ჩვეულებისამებრ, ფახინგერი მიართვა. გათენებამდე ვისხედით მყუდროდ და მშვიდად. მე ცოტას ვლაპარაკობდი, რადგან გოებელსი ოსტატურად ფლობდა ჰიტლერის გართობის ხელოვნებას: მისი საუბარი გამოირჩეოდა მჭევრმეტყველებით, დახვეწილობით; ირონიას მოზომილად და საჭირო ადგილას მიმართავდა; სენტიმენტალობას და აღფრთოვანებას სწორედ მაშინ გამოხატავდა, როდესაც ამას ჰიტლერი მოელოდა; თანაც მოხერხებულად ყვებოდა სხვადასხვა ჭორს, განსაკუთრებით, რაიხის მაღალჩინოსნების სასიყვარულო ურთიერთობებზე. გოებელსს ყველაფერზე შეეძლო საუბარი: თეატრზე, ფილმებზე, ძველ დროებაზე. ჰიტლერი გოებელსს ყოველთვის დაწვრილებით გამოჰკითხავდა ხოლმე მისი მრავალშვილიანი ოჯახის ამბებს. და ბედნიერი მამაც დაწვრილებით აღწერდა თავისი ბავშვების საყვარელ თამაშებს, იმეორებდა მათ მიერ წარმოთქმულ სახალისო ფრაზებს. ასეთი საუბარი ჰიტლერს ყოველთვის ართობდა. გოებელსის მონათხრობმა ფიურერს საკუთარი დარდი გადაავიწყა.

ყვალაფრის მიუხედავად, გობელსმა და მე გადავწყვიტეთ, ამავე საღამოს გაგვეცნო ჰიტლერისათვის ჩვენი გეგმა რაიხის თავდაცვის მინისტრთა საბჭოს გააქტიურების შესახებ. სასაუბროდ ხელსაყრელი მომენტი დადგა. ის-ის იყო საუბრის დაწყება დავაპირეთ, რომ ჰიტლერს ნიურნბერგზე მომხდარი ძლიერი საჰაერო თავდასხმის შესახებ შეატყობინეს. ისეთი შთაბეჭდილება შეგვექმნა, თითქოს ჰიტლერმა ჩვენი წამოწყების შესახებ რაღაც იცოდა, ან ბორმანისგან იყო გაფრთხილებული. ჰიტლერმა ისეთი სცენა გაითამაშა, როგორიც იშვიათად მინახავს. მან მაშინვე იხმო გერინგის უფროსი ადიუტანტი გენერალ-მაიორი ბოდენშაცი, რომელიც ჰიტლერის თანაშემწეებმა საწოლიდან წამოაგდეს და დაუყოვნებლივ მოიყვანეს მასთან. ჰიტლერმა ბოდენშაცი საყვედურებით აავსო და არც „უსუსური რაიხსმარშალი“ დავიწყებია. გოებელსი და მე ვცდილობდით ჰიტლერის დამშვიდებას და მართლაც, ის თითქოს დაწყნარდა. მაგრამ ჩვენ ჩვენი მოსამზადებელი სამუშაოები წყალში ჩაგვეყარა: გოებელსი დამეთანხმა, რომ უპრიანი იქნებოდა, ამ საკითხისთვის ჯერჯერობით თავი აგვერიდებინა. ამავე დროს გოებელსი დიდად კმაყოფილი დარჩა იმით, რომ ჰიტლერმა განსაკუთრებულად შეაქო მისი ბოლოდროინდელი პოლიტიკური კურსი. ამ დღის მერე გოებელსი აღარ ახსენებდა „ხელმძღვანელის კრიზისს“. როგორც ჩანს, ამ საღამოს გოებელსმა კვლავ ირწმუნა ჰიტლერის. მაგრამ ბრძოლა ბორმანის წინააღმდეგ უნდა გაგრძელებულიყო, - ასე გადაწყვიტა გოებელსმა.

17 მარტს გოებელსი, ფუნკი, ლაი და მე შევხვდით გერინგს მის სასახლეში, ბერლინში, ლაიპციგის მოედანზე. გერინგმა ხაზგასმულად ოფიციალურად მიგვიღო თავის სამუშაო ოთახში. თავად უზარმაზარი საწერი მაგიდის თავში, რენესანსული

ტიპის სავარძელში იჯდა, ჩვენ კი მაგიდის გარშემო მდგომ მოუხერხებელ სკამებზე დაგვსვა. გერინგი აღარ ასხივებდა იმ კეთილგანწყობასა და თავაზიანობას, რომელიც მან ობერზელცბერგში გამოიჩინა. თითქოს მაშინდელ საქციელს ნანობდა კიდეც.

ფუნკი, ლაი და მე ჩუმად ვისხედით, გერინგი და გოებელსი კი სულ უფრო შედიოდნენ ექსტაზში და სულ უფრო მძაფრად უხატავდნენ ერთმანეთს იმ საშიშროებას, რომელიც ჰიტლერის გარშემო მოქმედი სამთა კავშირიდან მომდინარეობდა. ამევე დროს ისინი იმედიანად სახავდნენ ჰიტლერის იზოლაციიდან დახსნის პერსპექტივას. გოებელსს თითქოს დაავიწყდა, როგორ უარყოფითად შეაფასა ამ რამდენიმე დღის წინ ჰიტლერმა გერინგის საქმიანობა. ორივეს - გოებელსსაც და გერინგსაც ეგონათ, რომ მიზანს უკვე მიაღწიეს. გერინგი, ჩვეულებისამებრ, ხან აპათიური იყო, ხანაც ეიფორია ეუფლებოდა, ამიტომ სამთა კავშირის გავლენის მნიშვნელობას ჯეროვნად ვერ აფასებდა. „ბატონო გოებელს, მათ მნიშვნელობას ნუ გავაზვიადებთ! ბორმანი და კაიტელი მხოლოდ და მხოლოდ ფიურერის მდივნები არიან. თავი რა ჰგონიათ! ისინი თავისთავად არაფერს წარმოადგენენ!“

მე მათ წინაშე წამოვაყენე ერთი საკითხი: მონაცემები მუშახელის რაოდენობის შესახებ, რომელთაც, როგორც ზაუკელი - ბორმანის ფორპოსტი ამტკიცებდა, გერმანულ ინდუსტრიას აწვდიდა და რის შესახებას თავმომწონედ უპატაკებდა ხოლმე ჰიტლერს, უკვე დიდი ხანია, რაც საწარმოებში მუშახელის რეალურ რაოდენობას აღარ შეესაბამებოდა. განსხვავება რეალურსა და დასახელებულ ციფრს შორის ასობით ათასს უდრიდა. ჩვენს კოალიციას შევთავაზე, გაერთიანებული ძალებით გვეიძულებინა ზაუკელი, რომ მუშების ზუსტი რაოდენობა დაესახელებინა.

ჰიტლერის განკარგულებით, ბერხტესგადენთან ააგეს დიდი შენობა ბავარიულ სტილში, რომელიც ბერლინის რაიხის კანცელარიის ფილიალს წარმოადგენდა. როდესაც ჰიტლერი თვეობით იკარგებოდა ობერზალცბერგში, ლამერსი და მისი გუნდის წევრები სწორედ აქედან მართავდნენ რაიხის კანცელარიის საქმეებს. 1943 წლის 12 აპრილს სწორედ ამ შენობის სხდომათა დარბაზში მოაწვევინა გერინგმა ლამერსს ჩვენი ჯგუფი, ასევე - ზაუკელი და მილხი. შეხვედრის დაწყებამდე მილხმა და მე კიდევ ერთხელ შევახსენეთ გერინგს ჩვენი მოთხოვნები. გერინგი ხელებს ისრესდა: „ამას მე მოგიგვარებთ!“

მაგრამ, ჩვენდა გასაკვირად, სხდომათა დარბაზში ჰიმლერი, ბორმანი და კაიტელი შემოვიდნენ. ამას ისიც დაერთო, რომ შეხვედრაზე გოებელსი არ გამოცხადდა: მან ადიუტანტის პირით შემოგვითვალა, რომ ბერხტესგადენთან მოახლოებულს თირკმელის შეტევა დაეწყო და თავის მანქანაში წევს. დღემდე ვერ გამიგია, რას ნიშნავდა მისი საქციელი. მართლა ცუდად გახდა, თუ შექმნილი ვითარება სწორად განჭვრიტა. ეს სხდომა ჩვენი კოალიციის დასასრული იყო. ზაუკელმა ეჭვქვეშ დააყენა ჩვენი განაცხადი ქვეყნის მეურნეობისათვის 2 100 000 მუშის საჭიროების შესახებ,

მიგვითითა მის მიერ წარმატებულად ჩატარებულ სამუშაოზე, რომლის წყალობითაც მან ყველა მოთხოვნა დააკმაყოფილა და აფეთქდა, როდესაც ვუთხარი, რომ მისი ციფრები სინამდვილეს არ შეესაბამებოდა.

მილხი და მე მოველოდით, რომ გერინგი ზაუკელს განმარტების მიცემას და მუშახელის განაწილების პოლიტიკაში ცვლილებების შეტანას მოსთხოვდა. ამის ნაცვლად, ჩვენდა საუბედუროდ, გერინგმა მილხს შეუტია (პირდაპირ ჩემზე იერიშის მოტანა ვერ გაბედა). იგი ყვიროდა, გაუგონარია, რომ მილხი ასეთ პრობლემებს გვიქმნისო; ჩვენი ერთგული პარტიული ამხანაგი ზაუკელი ისე ბეჯითად შრომობს და იმდენ წარმატებას მიაღწია, რომ მე მისი დიდად მადლობელი ვარ, მილხი კი ბრმა ყოფილა, თუკი ზაუკელის წარმატებას ვერ ხედავსო. ისეთი შთაბეჭდილება შემექმნა, თითქოს გერინგს შეეშალა და გრამოფონის სხვა ფირფიტა ჩართო. შემდეგ ხანგრძლივი დისკუსია გაიმართა, რომლის დროსაც ყველა დამსწრე მინისტრი, მიუხედავად იმისა, ამ საკითხის სპეციფიკაში ერკვეოდა თუ არა, შეეცადა, აეხსნა, თუ საიდან გაჩნდა ეს განსხვავებული ციფრები. ჰიმლერმა სრულიად მშვიდად განაცხადა: იქნებ, ის ასობით ათასი მუშა გარდაიცვალაო.

ეს სხდომა ჩვენს მარცხს ნიშნავდა. შეკრებაზე მუშახელის რაოდენობაზე ვერანაირი ახსნა-განმარტება ვერ მივიღეთ, ის კი არა, ეს სხდომა ბორმანის წინააღმდეგ დიდი შემართებით დაწყებული ომის დასასრული გახდა.

სხდომის შემდეგ გერინგმა განზე გამიყვანა: „მე ვიცი, რომ თქვენ ჩემს სახელმწიფო მდივანთან - მილხთან მჭიდრო თანამშრომლობა გაკავშირებთ. მინდა, მეგობრულად გაგაფრთხილოთ: მილხი სანდო არ არის, თუ რაიმე ან ვინმე მის ინტერესებს ეწინააღმდეგება, იგი თავის საუკეთესო მეგობრებსაც კი დაუფიქრებლად გასწირავს.“ ეს სიტყვები მილხს დაუყოვნებლივ გადავეცი. მას გაეცინა: „რამდენიმე დღის წინ გერინგმა ზუსტად იგივე მითხრა შენზე.“ გერინგის მცდელობა, რომ ჩვენს შორის შუღლი ჩამოეგდო, სრულიად საპირისპირო იყო იმისა, რაზეც ჩვენ მანამდე შევთანხმდით - ერთიანი ბლოკი შეგვექმნა. უნდობლობის გამო მეგობრობა ისე აღიქმებოდა როგორც საფრთხე და მუქარა.

ამ სხდომიდან რამდენიმე დღის შემდეგ მილხმა მითხრა, გერინგმა იმიტომ შეცვალა ტაქტიკა, რომ გესტაპოს მისი მორფინისტობის დამამტკიცებელი საბუთები აქვსო. მილხს ადრეც ჰქონდა ჩემთვის ნათქვამი, გერინგის თვალის გუგებს დავკვირვებოდი. ნიურნბერგის პროცესზე ჩემმა ადვოკატმა, დოქტორმა ფლექსნერმა კი მითხრა, რომ გერინგი ჯერ კიდევ 1933 წლამდე დიდი ხნით ადრე იყო მორფინისტი. თავად დოქტორი ფლექსნერი ყოფილა გერინგის ადვოკატი პროცესზე, რომელზეც გერინგს მორფინის ინექციების არადანიშნულებისამებრ გამოყენება ედებოდა ბრალად.

ჩვენი მცდელობა, გერინგი ბორმანის წინააღმდეგ აგვემხედრებინა, ალბათ, თავიდანვე იყო განწირული, რადგან ბორმანს გერინგისთვის „ადოლფ ჰიტლერის

სახელობის ფონდიდან“ (როგორც ეს ნიურნბერგის პროცესზე ერთ-ერთი დოკუმენტიდან გამოჩნდა) საჩუქრად 6 000 000 მარკა ჰქონია გადაცემული.

ჩვენი კოალიციის დაშლის შემდეგ გერინგი ცოტა ხნით ისევ გამოფხიზლდა და აქტიური მოქმედება დაიწყო, ოღონდ უკვე ჩემ წინააღმდეგ. ერთხელ დამავალა, ობერზალცბერგში სხდომაზე შავი მეტალურგიის დარგის ხელმძღვანელები მომეწვია. სხდომა, რომელიც ჩემი ატელიეს სახაზავ მაგიდასთან გაიმართა, გერინგის საქციელის გამო, არასასიამოვნოდ დამამახსოვრდა. გერინგი ეიფორიულ მდგომარეობაში იყო, გუგები საგრძნობლად შევიწროებოდა. მან მეტალურგიის დარგის წამყვან სპეციალისტებს მეთოდური მოხსენება წაუკითხა რკინის მოპოვებისა და დამუშავების ტექნოლოგიის შესახებ. მოხსენებას ზოგადი დებულებებიც ახლდა: მეტი უნდა ვაწარმოოთ! სიახლეების არ უნდა გვეშინოდეს! ინდუსტრია ტრადიციაში გაიყინა! მრეწველობამ უნდა შეძლოს, საკუთარ ჩრდილს გადაახტეს და ასე შემდეგ. ორსაათიანი სიტყვაუხვი ლექციის შემდეგ გერინგს მეტყველება შეუნელდა, სახის გამომეტყველება თანდათან წაეშალა. ბოლოს თავი მაგიდაზე დადო და მშვიდად დაიძინა. ჩვენ გადავწყვიტეთ, მდიდრულ უნიფორმაში გამოწყობილი რაიხსმარშლისთვის ყურადღება არ მიგვექცია, თავი უხერხულად რომ არ ეგრძნო და სხდომა განვაგრძეთ. უცებ გერინგმა გაიღვიძა და, ყველასათვის მოულოდნელად, სხდომა დახურულად გამოაცხადა.

ჩვენი გეგმების ჩაშლიდან რამდენიმე თვის შემდეგ ჰიტლერის შტაბ-ბინის ტერიტორიაზე ჰიმლერი შემხვდა. მან მუქარით სავსე ტონით მითხრა: „ნუღარ შეეცდებით რაიხსმარშლის გააქტიურებას! ეს მიზანშეწონილად არ მიმაჩნია!“

ეს ისედაც შეუძლებელი იყო. გერინგი ამჯერად საბოლოოდ ჩავარდა ლეთარგიაში. ის მხოლოდ ნიურნბერგში გამოფხიზლდა.

1942 წლის 19 ნოემბერს, როდესაც პირველი ცნობები მიიღო რუსების მიერ ფრონტის ხაზის გარღვევის შესახებ, ჰიტლერი ობერზალცბერგში იყო გადაბარგებული. შეტევითი ბრძოლები, რუსები ცხრა კვირის მანძილზე რომ აწარმოებდნენ სტალინგრადში, ჩვენი ჯარის კაპიტულაციით დასრულდა. ძლიერი საარტილერიო დარტყმის შემდეგ საბჭოთა ჯარმა სერაფინოვთან გაარღვია რუმინული დივიზიის პოზიციები. ჰიტლერმა ამ კატასტროფის ახსნა თვდაპირველად თავისი მოკავშირეების სუსტი სამხედრო მომზადებით სცადა და ამას მაინცადამაინც დიდი მნიშვნელობა არ მიანიჭა. მაგრამ ცოტა ხნის შემდეგ საბჭოთა ჯარმა გერმანულ დივიზიებზეც მიიტანა იერიში; ფრონტის ხაზზე ვითარება ჩვენთვის არასახარბიელოდ შეიცვალა.

ჰიტლერი მომხდარს არაადეკვატურად აღიქვამდა. „ჩვენი გენერლები ისევ იმეორებენ თავიანთ ძველ შეცდომებს. ისინი რუსების ძალას აზვიადებენ. ფრონტიდან მიღებული ყველა ცნობის თანახმად, მოწინააღმდეგეს ჯარისკაცები არ ჰყოფნის. რუსები დასუსტებული არიან; მათ ბევრი სისხლი დაკარგეს. მაგრამ ამ

ცნობების დაჯერება არავის სურს. საერთოდ არავის! რუსი ოფიცრები ცუდად არიან მომზადებული! მათი ძალებით რომელ შეტევაზეა ლაპარაკი! ჩვენ ხომ ვიცით, რა არის საჭირო შეტევისა და შტურმისთვის! ადრე თუ გვიან, რუსს გადამწვარი მიწა შერჩება ხელში. ამასობაში ჩვენ რამდენიმე ახალ დივიზიას გადავისვრით იქითკენ და მდგომარეობას გამოვასწორებთ!“

ბერგჰოფში განმარტოებული ჰიტლერი ვერ აღიქვამდა მოვლენების სერიოზულობას. მაგრამ ცუდი ამბების ნაკადი არ წყდებოდა და სამი დღის შემდეგ თავზარდაცემული ფიურერი სასწრაფოდ გაემგზავრა აღმოსავლეთ პრუსიაში, რასტენბურგში მდებარე შტაბ-ბინაში.

რამდენიმე დღის შემდეგ მეც ჩავედი რასტენბურგში სამხედრო თათბირზე დასასწრებად. გენერალური შტაბის მაგიდაზე გაშლილ რუკებზე ვორონეჟიდან სტალინგრადამდე 200 კილომეტრის დიამეტრში უამრავი წითელი ისარი იყო ჩარჭობილი: წითელი ისრები საბჭოთა ჯარების მდგომარეობას ასახავდა. რუკაზე მხოლოდ აქა-იქ მოჩანდა გერმანული ჯარისა და მისი მოკავშირეების დივიზიების ნარჩენების აღმნიშვნელი პატარა ლურჯი წრეები. სტალინგრადი მთლიანად წითლად იყო შემოხაზული. ჰიტლერი აღელვებული ჩანდა. მან ბრძანება გასცა, ყველა ფრონტიდან და ოკუპირებული ტერიტორიიდანაც სასწრაფოდ გამოეყვანათ საჯარისო ნაწილები და ისინი სამხრეთით - სტალინგრადისკენ გადაესროლათ. იქ, ადგილზე ჩვენ არანაირი რეზერვი არ გაგვაჩნდა. გენერალი ცაიტცლერი რა ხანია, შტაბის და ხელმძღვანელობის ყურადღებას შემდეგ გარემოებაზე ამახვილებდა: რუსეთის სამხრეთ ნაწილში თითოეულ დივიზიას ძალიან დიდ მანძილზე უხდება ფრონტის ხაზის დაცვა, ამიტომ გერმანელი ჯარისკაცები ვერ შეძლებენ საბჭოთა ჯარების შეტევის მოგერიებას.

როდესაც სტალინგრადი ალყაში მოექცა, სახეაწითლებული და ღამენათევი ცაიტცლერი დაჟინებით მოითხოვდა მეექვსე არმიის გადაყვანას დასავლეთში. ცაიტცლერმა დაწვრილებით მოახსენა ხელმძღვანელობას ალყაში მოქცეული ჩვენი ჯარის არასაკმარისი მომარაგების შესახებ. მან ისიც აღნიშნა, რომ ჯარისკაცები ყინვას ვერ უძლებდნენ და დიდი ხანია, ცხელი კერძები არ ეჭამათ. ჰიტლერმა მოხსენება მშვიდად მოისმინა, შემდეგ კი ისე აუღელვებლად თქვა, თითქოს უნდოდა, რომ ყველაფერი ცაიტცლერის ფსიქოზით აეხსნა: „სტალინგრადს მალე გავათავისუფლებთ, თუ საპასუხო შეტევით დარტყმას სამხრეთიდან განვახორციელებთ. ბრძანება უკვე გავეცი. ამგვარი სიტუაციები ხომ ადრეც ბევრი გვქონია, მაგრამ ბოლოს მაინც ჩვენ ვრჩებოდით გამარჯვებული.“ შტაბ-ბინაში ცხარე კამათი გაიმართა. 200 000-ზე მეტი ჯარისკაცის ბედი წყდებოდა. ცაიტცლერი დამხმარე ძალების დასავლეთში გადაყვანილ მეექვსე არმიასთან გაერთიანებას და საპასუხო შეტევის განხორციელებას ითხოვდა, ხოლო ჰიტლერი მოითხოვდა, სტალინგრადი ნებისმიერ ფასად შეგვენარჩუნებინა. 24 საათის შემდეგ ალყაშემორტყმული ჯარის ბედი საბოლოოდ გადაწყდა. შტაბ-ბინაში გერინგი

შემოვიდა - ოპერეტის ტენორის მსგავსად მომღიმარი და გამოპრანჭული. ჰიტლერმა კითხვით მიმართა რაიხსმარშალს, თან ამ კითხვას თხოვნის ინტონაცია შეურია: „შევძლებთ თუ არა, სტალინგრადისთვის საჰაერო ძალების მეშვეობით მომარაგების მიწოდებას?“ გერინგმა პათოსით განაცხადა: „ჩემო ფიურერო, მე ჩემს თავზე ვიღებ პასუხისმგებლობას, რომ მეექვსე არმია სტალინგრადში მომარაგებას მიიღებს! შეგიძლიათ მენდოთ!“ გერინგის ამ სიტყვების გაგონებისთანავე ჰიტლერი გამოცოცხლდა. მას კვლავ დაუბრუნდა გამბედაობა: „მაშ, სტალინგრადი უნდა დავიცვათ! იმაზე ფიქრი, რომ მეექვსე არმია ფრონტის ხაზს გაარღვევს, სისულელეა! ამ პროცესში არმია თავის მძიმე შეიარაღებას დაკარგავს, ჯარისკაცებს კი ძალა გამოელევათ. მეექვსე არმია სტალინგრადში დარჩება!“

გერინგმა მშვენივრად იცოდა, რომ სტალინგრადში მომწყვდეული არმიის ბედი მის სიტყვაზე იყო დამოკიდებული. ამ დროს კი ის, 1942 წლის 12 დეკემბერს, ბერლინის სახელმწიფო ოპერის აღდგენისადმი მიძღვნილ საზეიმო წარმოდგენაზე გვპატიჟებს. სადღესასწაულო უნიფორმებში და ფრაკებში გამოწყობილები ფიურერის დიდ ლოჟაში ვისხედით და რიხარდ ვაგნერის[127] „ნიურნბერგელ მაისტერზინგერებს“ ვუსმენდით. ეს საზეიმო აქტი იმდენად შეუსაბამო იყო ფრონტზე განვითარებულ მოვლენებთან, რომ დიდხანს ვნანობდი, ოპერაში რამ წამიყვანა-მეთქი.

რამდენიმე დღის შემდეგ ისევ შტაბ-ბინაში ვიყავი. ცაიტცლერი ყოველდღე აბარებდა პატაკს საჰაერო გზით მეექვსე არმიის მომარაგების შესახებ, მაგრამ მიწოდებული სურსათისა და ამუნიციის რაოდენობა ზღვაში წვეთი იყო იმასთან შედარებით, რასაც გერინგი ფიურერს დაჰპირდა. ჰიტლერი ამას გერინგს ყოველდღე ახსენებდა, მაგრამ რაიხსმარშალი ხან ცუდი ამინდით, ხან ქარბუქით, ხანაც ნისლით იმართლებდა თავს.

ჯარისკაცების კვების რაციონი სტალინგრადში კიდევ უფრო შემცირდა. ცაიტცლერმა, პროტესტისა და სოლიდარობის ნიშნად, გენერალური შტაბის სასადილოში თავისთვისაც ზუსტად ისეთი საჭმელი მოითხოვა, როგორითაც გერმანელი ჯარისკაცები იკვებებოდნენ ალყაშემორტყმულ სტალინგრადში. რამდენიმე დღის შემდეგ ცაიტცლერმა საგრძნობლად დაიკლო წონაში. ჰიტლერმა არამიზანშეწონილად მიიჩნია ის გარემოება, რომ გენერალური შტაბის უფროსი ფუჭი სოლიდარობის გამო არ უფრთხილდებოდა საკუთარ ჯანმრთელობასა და ნერვებს და ცაიტცლერს უბრძანა, ნორმალურად ეკვება, ხოლო შტაბ-ბინის კორპუსს რამდენიმე კვირით აუკრძალა შამპანურისა და კონიაკის დალევა. ვითარება რთული იყო, განწყობა შტაბ-ბინაში სულ უფრო მძიმდებოდა, ყველანი ნიღბებად ქცეული სახეებით დადიოდნენ. მაგრამ ჰიტლერი ჯერ კიდევ იმედოვნებდა; სექტემბრის დასაწყისშიც კი ჰქონდა რაღაცის იმედი.

ამ რთულ ვითარებაში ჰიტლერმა 1943 წლის 15 იანვარს გამოსცა განკარგულება, რომლის თანახმადაც ფელდმარშალ მილხს განსაკუთრებული უფლებამოსილება

ენიჭებოდა. ამ უფლებამოსილებით მილხს შეეძლო, გერინგის ნებართვის გარეშე და მასთან შეუთანხმებლად მიეღო ყველანაირი გადაწყვეტილება და სამხედრო და სამოქალაქო საჰაერო ფლოტისთვის მიეცა მითითებები სტალინგრადის მომარაგების საკითხთან დაკავშირებით. იმხანად მე ხშირად ვუკავშირდებოდი ტელეფონით მილხს; მილხი დამპირდა, რომ სტალინგრადში ალყაში მოქცეულ ძმას გადამირჩენდა. მაგრამ საყოველთაო არეულობაში მისი პოვნა ვერ შევძელით. ჩემი ძმისგან სასოწარკვეთილ წერილებს ვიღებდი. მას ჰეპატიტი აღმოაჩნდა და ლაზარეთში გადაიყვანეს, მაგრამ იქ ვერ გაძლო და ისევ საარტილერიო დაზვერვაში დაბრუნდა. ეს ბოლო ცნობა იყო, რომელიც ჩემი ძმისაგან მივიღეთ. ასეთ დღეში ასობით და ათასობით ოჯახი იყო გერმანიაში. სტალინგრადის ამბების დასრულებამდე, ისინი საჰაერო გზით ერთხანს კიდევ იღებდნენ წერილებს თავიანთი ნათესავებისგან. ამ კატასტროფაზე მხოლოდ ჰიტლერი და გერინგი იყვნენ პასუხისმგებელი. ამის მერე ჰიტლერს სტალინგრადზე სიტყვაც კი აღარ დაუძრავს. ამის ნაცვლად მან ბრძანა, დაუყოვნებლივ შექმნილიყო ახალი მეექვსე არმია, რომელსაც განადგურებული ჯარის დიდება უნდა აღედგინა.

ჰიტლერი 1943 წლის შემოდგომაზე

როგორც ჰიტლერის ძველმა თანამშრომლებმა, ასევე მისმა ადიუტანტებმაც შეამჩნიეს, რომ ფიურერი ამ ბოლო წლის განმავლობაში ძალიან შეიცვალა. ეს არც იყო გასაკვირი, რადგან მან გადაიტანა სტალინგრადის ტრაგედია, ტუნისში 250 000 ჯარისკაცის კაპიტულაციის მომსწრეც იყო და მრავალი გერმანული ქალაქის დანგრევისაც. ამავე დროს, ჰიტლერი იძულებული გახდა, გამოთხოვებოდა თავის, როგორც მთავარსარდლის, ერთ-ერთ უდიდეს იმედს, ის დასთანხმდა სამხედრო ფლოტის გადაწყვეტილებას, ატლანტის ოკეანედან უკან გამოეხმო წყალქვეშა გემები.

ეჭვგარეშეა, ჰიტლერი აცნობიერებდა მოვლენების განვითარებაში მომხდარ გარდატეხას და ისიც ეჭვგარეშეა, რომ იგი ამაზე ისევე რეაგირებდა, როგორც ნებისმიერი სხვა ადამიანი: გაწბილებით, დეპრესიით და ნაძალადევი ოპტიმიზმით. ისტორიკოსისათვის ჰიტლერი შესაძლოა, საქმიანი, უემოციო სამეცნიერო კვლევის ობიექტს წარმოადგენდეს; ჩემთვის კი იგი დღესაც ხორციელია და დღესაც არსებობს.

1942 წლის დასაწყისსა და 1943 წლის ზაფხულს შორის ჰიტლერი განსაკუთრებულად დათრგუნვილი ჩანდა. სწორედ ამ პერიოდიდან შეიმჩნევა მასში უცნაური ცვლილებები. სრულიად უიმედო სიტუაციის დროსაც კი ჰიტლერი, უმეტეს შემთხვევაში, დარწმუნებული იყო საბოლოო გამარჯვებაში. ძნელი სათქმელია,

მართლა სჯეროდა მას საბოლოო გამარჯვების, თუ ეს უბრალოდ შთააგონა საკუთარ თავს. ასეა თუ ისე, რაც უფრო გარდაუვალი ხდებოდა კატასტროფა, მით უფრო ხევდებოდა ჰიტლერი - მით უფრო ჯიუტად იყო დარწმუნებული, რომ ყველა გადაწყვეტილება, რომელსაც ის ღებულობდა, სწორი იყო.

მისი უახლოესი გარემოცვა შეწუხებული აკვირდებოდა ჰიტლერის თავის თავში ჩაკეტილობას. Yყველა გადაწყვეტილებას ჰიტლერი შეგნებულად მარტო ღებულობდა. ამავე დროს, იგი სულიერადაც გახევდა და თითქმის აღარ ცდილობდა, ახალ იდეებზე ეფიქრა. იგი ცხოვრობდა და მოქმედებდა ერთხელ და სამუდამოდ დადგენილი და გატკეპნილი გზით და აღარ შესწევდა უნარი, თავი დაეღწია ამ გზისთვის.

მისი გახევების უმთავრეს მიზეზს წარმოადგენდა ის ჩიხი, რომელშიც ის თავისი მოწინააღმდეგეების აღმატებული ძალის გამო მოექცა. 1943 წლის იანვარში ჰიტლერის მოწინააღმდეგეები შეთანხმდნენ, რომ გერმანიას უპირობო კაპიტულაცია უნდა გამოეცხადებინა. ალბათ, ჰიტლერი ერთადერთი ადამიანი იყო, რომელსაც ამ განცხადების სერიოზულობაში ეჭვი არ ეპარებოდა. გოებელსი, გერინგი და სხვები თავიანთ საუბრებში ხშირად გამოთქვამდნენ აზრს, რომ ჩვენ ჩვენს სასარგებლოდ უნდა გამოგვეყენებინა მოკავშირეებს შორის არსებული პოლიტიკური უთანხმოებები. სხვები კი მოელოდნენ, ჰიტლერი სხვადასხვა პოლიტიკური საშუალებით შეეცდებოდა მაინც, რომ თავისი მარცხის შედეგები რაღაცით შეერბილებინა. ადრე, ავსტრიის კაპიტულაციიდან საბჭოთა კავშირთან თავდაუსხმელობის პაქტის დარღვევამდე ხომ მოსდიოდა თავში ახალ-ახალი პოლიტიკური ილეთები და ხრიკები?! ახლა სამხედრო თათბირებზე ჰიტლერი სულ უფრო ხშირად ამბობდა: „ნუ გექნებათ ილუზია. უკან დასახევი გზა აღარ არსებობს, მხოლოდ წინ უნდა ვიაროთ. უკან დასახევი ყველა ხიდი ჩატეხილია.“ ამ სიტყვებით მან თავის თანამშრომლებს მოლაპარაკებების წარმოების ყველა შანსი წაართვა, ხოლო ნათქვამის დაფარული აზრი მხოლოდ ნიურნბერგის პროცესზე გახდა ნათელი.

ჰიტლერში მომხდარი ცვლილებების ერთ-ერთი მიზეზი მისი უკიდურესი დაძაბულობაც იყო, რაც, ჩემი აზრით, მისი მუშაობის უჩვეულო სტილმა გამოიწვია. რუსეთის წინააღმდეგ სამხედრო კამპანიის დაწყების დღიდან ჰიტლერმა სხვანაირად დაიწყო მუშაობა: თუკი მანამდე იგი ოპერატიულად ამუშავებდა თავის საწერ მაგიდაზე დახვავებულ ქაღალდების მთელ დასტას და შიგადაშიგ განტვირთვასაც ახერხებდა, ახლა იგი ყოველ წვრილმანს დეტალურად ჩაჰკირკიტებდა. ჰიტლერი მკაცრად დისციპლინირებულ მუშაკად გადაიქცა. და რადგან ეს ყველანაირად ეწინააღმდეგებოდა მის შინაგან ბუნებას, ამიტომ მის გადაწყვეტილებებზეც აისახებოდა.

ჰიტლერს ომამდეც ჰქონია გადაქანცვის მომენტები, რაც იმაში გამოიხატებოდა, რომ ის გაურბოდა გადაწყვეტილებების მიღებას და საზოგადოებაში გამოჩენას. ხანდახან

მისი ეს გადაღლილობა ტანჯვით აღსავსე მონოლოგებად გადმოიღვრებოდა ხოლმე. ზოგჯერ კი პირიქით - ჩუმად იყო, საუბრის დროს მხოლოდ „ჰო“ -ს ან „არა“-ს თუ ჩაურთავდა, ამიტომ ვერ გაიგებდი, გისმენდა საუბრის დროს, თუ თავის ფიქრებში იყო ჩაფლული. მაგრამ ადრე გადაღლილობის ეს ფაზები დიდხანს არ გრძელდებოდა. ობერზალცბერგში რამდენიმე კვირის გატარების შემდეგ ჰიტლერს კვლავ უბრუნდებოდა სიმხნევე, სწრაფი რეაგირებისა და გადაწყვეტილებების მიღების უნარი.

ფიურერის გარემოცვა 1943 წელსაც ურჩევდა მას, შვებულებაში გასულიყო. ჰიტლერი რამდენიმე კვირით, ზოგჯერ თვეობითაც ადიოდა ობერზალცბერგში, მაგრამ თავის დღის განრიგში ცვლილება არ შეჰქონდა. აქაც, ობერზალცბერგში, ბორმანი ყოველდღე ახვედრებდა მთელ რიგ საკითხებს განსახილველად და გადაწყვეტილების მისაღებად; განუწყვეტლივ მოდიოდნენ მნახველები, რომლებიც ცდილობდნენ, ჰიტლერის ბერგჰოფში ან რაიხის კანცელარიაში ყოფნა თავის სასარგებლოდ გამოეყენებინათ; გაულაიტერები და მინისტრები, რომელთაც ის შტაბ-ბინაში არ იღებდა, ითხოვდნენ მასთან შეხვედრას. ამასთან ერთად, აქაც ტარდებოდა ყოველდღიური სამხედრო თათბირები, რადგან მთელი სამხედრო შტაბი ჰიტლერს ყველგან თან დაჰყვებოდა. საკუთარი ჯანმრთელობის მდგომარეობით შეწუხებული ჰიტლერი ხშირად გვეუბნებოდა: „ადვილია, შვებულებაში გასვლა მირჩიო, მაგრამ ამის შესრულებაა შეუძლებელი. მიმდინარე სამხედრო გადაწყვეტილებებს 24 საათითაც კი ვერავის გადავაბარებ“.

ჰიტლერის სამხედრო გარემოცვა ბავშვობიდანვე იყო მიჩვეული ყოვედღიურ შრომას,ამიტომ მას ვერ გაუჩნდებოდა თანაგრძნობა ჰიტლერის გადაღლილობის მიმართ. ვერც ბორმანი ხვდებოდა, რომ ჰიტლერისგან მეტისმეტს მოითხოვდა მაგრამ კთილი ნების არსებობის შემთხევაშიც კი ვერ იზამდა ჰიტლერი იმას, რაზედაც ნებისმიერი ფაბრიკის დირექტორს უნდა ეზრუნა: კერძოდ, ყველა მნიშვნელოვან სფეროში დაენიშნა კომპეტენტური წარმომადგენლი. ჰიტლერს არც ძლიერი მთავრობის მეთაური ჰყავდა, არც ვერმახტის ენერგიული უფროსი და არც ჯარის გამჭრიახი მთავარსარდალი. ჰიტლერი გამუდმებით არღვევდა ძველთაგან დადგენილ წესს, რომლის თანახმადაც პირს, რაც უფრო მაღალი თანამდებობა ეკავა, მით უფრო მეტი თავისუფალი დრო უნდა დარჩენოდა. ადრე ჰიტლერი მისდევდა ამ წესს.

გადაქანცულობამ და სიმარტოვემ ჰიტლერი გახევებულობის მდგომარეობამდე მიიყვანა და უხეში გახადა, მას სტანჯავდა გადაწყვეტილების მიღების უუნარობა, პერმანენტული დაძაბულობა და აღგზნებულობა. გადაწყვეტილებები, რომელთაც ის ადრე იოლად და თამაშ-თამაშით იღებდა, ახლა თავისი დაღლილი ტვინიდან უნდა ამოეჭყლიტა. ჩემი სპორტსმენობის პერიოდში ჩემთვის ცნობილი იყო ტერმინი „გადამეტებული წვრთნა“. ასეთ დროს ჩვენ ნაკლებად აქტიურები, უხასიათოები, გაღიზიანებულები და მოუქნელები ვხდებოდით, იმ ავტომატებივით

ვმოქმედებდით, რომელთაც შესვენება კი არა, წვრთნის გაგრძელება სურდათ. სულიერ გადატვირთვასაც შეუძლია მიიღოს გადამეტებული წვრთნის ფორმები. ომის მძიმე წლებში ჩემს თავს ვატყობდი, რომ ახალი და სწრაფი შთაბეჭდილებების ნაკადის მიღებისას შეფერხებულად ვაზროვნებდი, როდესაც საწინააღმდეგო შემთხვევაში, ჩემი გაყინული ტვინი მექანიკურ მუშაობას აგრძელებდა.

1939 წლის 3 სექტემბერს, ღამით ჰიტლერმა სრულიად უხმაუროდ დატოვა რაიხის კანცელარიის ჩაბნელებული შენობა და ფრონტზე გაემგზავრა. მისი ეს საქციელი ახალი ეტაპის დაწყებას მოასწავებდა. ჰიტლერის ხალხისადმი დამოკიდებულებაც შეიცვალა: ჰიტლერი ადრე ხალხის მასებთან კონტაქტს რამდენიმე თვის ინტერვალით მაინც ახერხებდა. ახლა ხალხის ენთუზიაზმი და აღტაცება მისი პიროვნებით ისევე ჩაქრა, როგორც ჰიტლერის უნარი, მოენუსხა ადამიანები.

30-იანი წლების დასაწყისში, როდესაც ძალაუფლების ხელში ჩასაგდებად უკანასკნელი ბრძოლები იმართებოდა, ჰიტლერი თითქმის ისეთივე აქტიური იყო, როგორიც ომის მეორე ნახევარში. როგორც ჩანს, იმხანად გადაქანცვის სტადიაში მყოფ ჰიტლერს მასების წინაშე სიტყვით გამოსვლა იმაზე მეტ ენერგიას და გაბედულებას ანიჭებდა იმ ძალასა და ენერგიასთან შედარებით, რომელსაც მათთვის გაიღებდა. 1933 და 1939 წლებს შორის, ანუ იმ პერიოდში, როდესაც თანამდებობა ცხოვრებას უადვილებდა, საგრძნობლად შესამჩნევი იყო, რომ ობერზალცბერგში აღფრთოვანებული თაყვანისმცემლების ყოველდღიური დეფილე დიდად სიამოვნებდა. ჰიტლერისათვის ასევე დიდი სტიმულის მიმცემი იყო მიტინგები, რომლებიც ომამდე იმართებოდა. ყოველივე ეს მისი ცხოვრების შემადგენელი ნაწილი იყო და ამგვარი ღონისძიებების შემდეგ ფიურერი უფრო მეტად თავდაჯერებული ხდებოდა და წელში კიდევ უფრო იმართებოდა.

მისი პირადი წრე – მდივანი ქალები, ექიმები და ადიუტანტები, რომელთა გარემოცვაშიც ის იმყოფებოდა თავის შტაბ-ბინაში, შესაძლოა, გაცილებით ნაკლებ სტიმულს აძლევდა მას ახლა, ვიდრე მათივე საზოგადოება ობერზალცბერგში და რაიხის კანცელარიაში ომამდე. აქ იგი უკვე ვეღარ ხედავდა თავის გარშემო აღფრთოვანებულ და აღელვებისგან ენაწართმეულ ადამიანებს. ჰიტლერთან ყოველდღიურმა ურთიერთობამ - და ეს მე ჯერ კიდევ მაშინ შევნიშნე, როდესაც ერთად ვოცნებობდით სამშენებლო გეგმებზე და პროექტებზე - ფიურერი მათ თვალში ღმერთკაცისგან (რომლადაც იგი გოებელსმა აქცია) რიგით ადამიანად იქცა, რომელსაც ჩვეულებრივი მოკვდავისათვის დამახასიათებელი ყველა მოთხოვნილება და სისუსტე ჰქონდა. მიუხედავად ამისა, მისი ავტორიტეტი მაიც შეულახავი დარჩა.

ჰიტლერის სამხედრო გარემოცვა, როგორც ჩანს, მასზე დამღლელად მოქმედებდა. შტაბ-ბინის საქმიან ატმოსფეროში ნაძალადევი აღტაცება თუ აღფრთოვანება უსიამოვნო და უადგილო იქნებოდა. ოფიცრები ხაზგასმულად მშვიდად და უემოციოდ იქცეოდნენ. ისინი ასეთი საღად მოაზროვნე ადამიანები რომც არ

ყოფილიყვნენ, ამას მათგან მათი აღზრდა და ეტიკეტი მოითხოვდა. ამ ფონზე კიდევ უფრო თვალშისაცემი იყო კაიტელისა და გერინგის ყალბი ბიზანტიზმი. თავად ჰიტლერი არ მოითხოვდა თავისი სამხედრო გარემოცვისგან მონურ მორჩილებას. მისთვის მთავარი საქმიანი ურთიერთობა იყო.

ჰიტლერი ვერ იტანდა, როდესაც მისი ცხოვრების წესს აკრიტიკებდნენ. ამიტომ მისი უახლოესი გარემოცვა, მართალია შეშფოთებული იყო მისი მდგომარეობით, მაგრამ იძულებული იყო, უპირობოდ მიეღო ეს წესი. ჰიტლერი სულ უფრო და უფრო გაურბოდა საუბარს პირად საკითხებზე. იშვიათად ესაუბრებოდა ის თავის ძველ თანამებრძოლებს - გოებელსს, ლაის და ესერს. სხვებისგან კი შორს ეჭირა თავი. დღეები, როდესაც ჰიტლერი მობილიზებული იყო და ძველებურად ცოცხლად იღებდა გადაწყვეტილებებს, იმდენად იშვიათი გახდა, რომ ასეთ მომენტებზე უკვე ყურადღებას ვამახვილებდით.

შმუნდტმა და მე გადავწყვიტეთ, ჰიტლერისთვის ფრონტის ახალგაზრდა ოფიცრები გაგვეცნო, რათა შტაბ-ბინის დახშულ, ჩახუთულ ატმოსფეროში გარესამყაროდან სიცოცხლე შემოგვეტანა. მაგრამ აქედან არაფერი გამოვიდა. თავიდან ჰიტლერს არ ჰქონდა სურვილი, ძვირფასი დრო ამაზე დაეხარჯა, შემდეგ კი ჩვენ თვითონაც მივხვდით, რომ ეს ზიანის მომტანი იქნებოდა. ერთი ასეთი საუბრის დროს სატანკო ნაწილის ოფიცერმა ჰიტლერს მოახსენა გერმანული ჯარის წინსვლაზე მდინარე თერგთან: გერმანულ საჯარისო ნაწილებს მოწინააღმდეგე თითქმის ვეღარანაირ წინააღმდეგობას ვეღარ უწევდა, მაგრამ, მიუხედავად ამისა, გერმანულმა ჯარმა ფორმარში შეაჩერა მხოლოდ და მხოლოდ იმ მიზეზით, რომ საბრძოლო მასალა არ ჰყოფნიდა. ჰიტლერი ისე აღელდა, რომ რამდენიმე დღის მანძილზე სულ ამ ამბავს უბრუნდებოდა. „ესეც თქვენ! 75-მილიმეტრიანი საბრძოლო მასალის გამო! რა ხდება ჩვენს სამხედრო წარმოებაში? ახლავე ყველა ზომას მიმართეთ და აამაღლეთ საწარმოო მაჩვენებლები.“ სინამდვილეში, ჩვენი მწირი შესაძლებლობების ფარგლებშიც კი საბრძოლო მასალა საკმაო რაოდენობით გვქონდა, მაგრამ შეტევითი ფორმარშის დროს ვერ მოხერხდა მისი დროულად მიწოდება. ამას კი ერთადერთი მიზეზი ჰქონდა: საკომუნიკაციო გზები, რომლებითაც დამატებითი საბრძოლო მასალა უნდა მიგვეწოდებინა, დიდ მანძილზე იყო გაწელილი. ჰიტლერს კი ამის გათვალისწინება არ სურდა.

მსგავს შემთხვევებში ფრონტის ახალგაზრდა ოფიცრებისგან ჰიტლერი სხვა დეტალებსაც გებულობდა, საიდანაც ასკვნიდა, რომ გენერალური შტაბი ცუდად მუშაობდა. სინამდვილეში, სირთულეების უმეტესი ნაწილის მიზეზი ფორმარშის ის სწრაფი ტემპი იყო, რომელსაც ჰიტლერი მოითხოვდა. სპეციალისტებს უფლება არ ჰქონდათ, ჰიტლერს ამ საკითხზე შედავებოდნენ, მას არანაირი წარმოდგენა არ ჰქონდა იმ რთული აპარატის მუშაობის შესახებ, რომელიც ამგვარი ფორმარშის ტემპს უზრუნველყოფდა.

დროდადრო ჰიტლერი ხვდებოდა იმ ოფიცრებსა და ჯარისკაცებს, რომელთაც მაღალ საომარ ჯილდოებს გადასცემდა. იმ უნდობლობის ფონზე, რომელსაც ჰიტლერი მისი შტაბის უნარიანობის მიმართ იჩენდა, ამგვარი შეხვედრების შემდეგ ის კიდევ უფრო ღიზიანდებოდა და ზოგად ბრძანებებს იძლეოდა. ამის თავიდან ასაცილებლად, კაიტელმა და შმუნდტმა გადაწყვიტეს მნახველების შეძლებისდაგვარად ნეიტრალიზირება.

საღამოს ჩაის სმამ, რომელიც ჰიტლერის შტაბ-ბინაშიც იმართებოდა, თანდათან ღამის 2 საათზე გადაინაცვლა და ეს რიტუალი დილის 3-4 საათამდე გრძელდებოდა. ფიურერიც სულ უფრო და უფრო გვიან იძინებდა. ამის გამო მე ერთხელ ვთქვი: „თუ ომი კიდევ დიდხანს გაგრძელდება, ის მაინც გვეღირსება, რომ ნორმალური დღის განრიგს დავუბრუნდებით და ჰიტლერის საღამოს ჩაი დილის ჩაიდ გადაიქცევა“.

ჰიტლერს, აშკარად, უძილობა აწუხებდა. იგი ჩიოდა, რომ როცა ადრე წვებოდა დასაძინებლად, დიდხანს იწვა თვალებგახელილი და იტანჯებოდა. ხშირად დილის ჩაისთან ჰიტლერი იმასაც უჩიოდა, რომ წინა ღამით ნაწყვეტ-ნაწყვეტი ძილის შემდეგ მხოლოდ გამთენიისას ჩაეძინა.

მასთან დაშვებული იყვნენ მხოლოდ მისი უახლოესი ექიმები, მდივანი ქალები, სამხედრო და სამოქალაქო ადიუტანტები, პრესის სამსახურის წარმომადგენელი ელჩი ჰეველი, ზოგჯერ მისი დიეტოლოგ-მზარეული ქალი ვენიდან, კიდევ ვინმე, შემთხვევით მოსული ჰიტლერის ახლო ნაცნობი და, რაღა თქმა უნდა, ბორმანი. მე ყოველთვის სასურველ სტუმრად ვითვლებოდი. ჰიტლერის სასადილო ოთახში მოუსვენრად ვისხედით მოუხერხებელ სავარძლებში. ასეთ დროს ჰიტლერს უყვარდა „მყუდრო“ ატმოსფეროს შექმნა ანთებულ ბუხართან. იგი საკუთარი ხელით ხაზგასმით გალანტურად აწვდიდა მდივან ქალებს ნამცხვარს და ცდილობდა, თავაზიანად მოპყრობოდა თავის სტუმრებს, როგორც ეს ლაღ მასპინძელს შეეფერებოდა. მე ის მეცოდებოდა. ყველა მისი მცდელობა, სითბო ეჩვენებინა იქ მყოფთათვის და ეს სითბო თვითონაც მიეღო, უშედეგო იყო.

რადგან შტაბ-ბინაში მუსიკა აკრძალული იყო, რჩებოდა მხოლოდ საუბარი, რომელსაც, როგორც წესი, მხოლოდ ჰიტლერი წარმართავდა. მართალია, მის ყველასთვის ნაცნობ ხუმრობებსა და ანეგდოტებზე სტუმრები იცინოდნენ, თითქოს პირველად ისმენდნენ, ინტერესით უსმენდნენ მის მონათხრობს მისი ახალგაზრდობის მძიმე წლებსა და ბრძოლის შესახებ,მაგრამ თვითონ ეს ადამიანები დიდად ვერ განგაწყობდნენ ცხოველი საუბრისთვის. დაუწერელი კანონი იყო, არაფერი გვეთქვა ფრონტისა და პოლიტიკის თემაზე, ან გაგვეკრიტიკებინა მაღალი რანგის პირები. ცხადია, ამ საკითხებზე საუბარი არც ჰიტლერს უნდოდა. მხოლოდ ბორმანს ჰქონდა პრივილეგია, მაპროვოცირებელი შენიშვნები გაეკეთებინა. ზოგჯერ ევა ბრაუნის წერილებიც კი აბრაზებდა ჰიტლერს, მაგალითად, როცა იგი თავის წერილში ფიურერს ამცნობდა მოხელეთა ქედმაღლური სიბრიყვის ფაქტებზე.

როდესაც მიუნხენის მაცხოვრებლებს შუა ზამთარში მთებში თხილამურებზე სრიალი აეკრძალათ, ჰიტლერი აღშფოთდა და დაუსრულებელ ტირადებს წარმოთქვამდა თავისი მუდმივი წარუმატებელი ბრძოლის შესახებ ბიუროკრატიულ შეუვალობასთან. ტირადის დასასრულს კი ჰიტლერი ბორმანს ავალებდა ამგვარი შემთხვევების გამოძიებას.

ჩვენი საუბრების წინასწარ მოფიქრებული თემების უმნიშვნელობა იმის მაჩვენებელი იყო, თუ რა ცოტა ჰყოფნიდა ჰიტლერს, რომ ნებისმიერი მიზეზით აფეთქებულიყო. მაგრამ, რაღაც თვალსაზრისით, ამგვარი წვრილმანები მასზე განნმუხტავადაც კი მოქმედებდა, რადგან იმ პატარა სამყაროში აბრუნებდა, რომელშიც მას ჯერ კიდევ შეეძლო დომინანტური როლის თამაში. ასეთ დროს მას, თუნდაც რამდენიმე წამით, ავიწყდებოდა, რომ ძალაუფლება დაკარგული ჰქონდა. ახლა უკვე მისი მოწინააღმდეგეები განსაზღვრავდნენ მოვლენების განვითარებას, ჰიტლერის სამხედრო ბრძანებებს კი სასურველი წარმატება ვეღარ მოჰქონდა.

მაგრამ ამ წრეშიც კი, მიუხედავად ყველანაირი მცდელობისა, გაქცეოდა რეალობას, ჰიტლერი ვერ ახერხებდა არსებული მდგომარეობის გაცნობიერებისგან თავის დაღწევას. იგი ხშირად ჩიოდა, რომ საკუთარი ნების წინააღმდეგ გახდა პოლიტიკოსი, რომ იგი არშემდგარი არქიტექტორი იყო და მხოლოდ ამიტომ ვერ გახდა წარმატებული ინჟინერ-მშენებელი, რომ მხოლოდ როგორც რაიხის ხუროთმოძღვარმა, რომელიც აცნობიერებდა მიზნის სიდიადეს, შეძლო საკუთარი თავის რეალიზება. ჰიტლერის თქმით, მას მხოლოდ ერთი სურვილიღა ჰქონდა, და ამას ხშირად იმეორებდა საკუთარი თავის მიმართ მომეტებული თანაგრძნობით: „ერთი სული მაქვს, რაც შეიძლება სწრაფად დავკიდო ნაცრისფერი მუნდირი საკიდზე. როდესაც ომს გამარჯვებით დავამთავრებთ, შევძლებ საკუთარ თავს ვუთხრა, რომ ჩემი მისია შევასრულე, დავუბრუნდები ჩემს ნავთსაყუდელს - ძველ საცხოვრებელ ადგილს დუნაისპირა ლინცზე. აი, მერე კი ჩემმა მემკვიდრემ აგვაროს პრობლემები“. ჰიტლერი ამგვარ აზრებს ჯერ კიდევ ომის დაწყებამდე გამოთქვამდა ობერზალცბერგში გამართულ ჩაის საღამოებზე. იმ ხანად ასეთი პოზიციით ის ალბათ მხოლოდ კეკლუცობდა. ახლა კი მის სიტყვებში არანაირი პათეტიკა, მხოლოდ გულწრფელი გულისტკივილი იგრძნობოდა.

ჰიტლერის გაუნელებელი ინტერესი ქალაქის მიმართ, სადაც სიცოცხლის ბოლო დღეების გატარებას აპირებდა, ნელ-ნელა რეალობისგან გაქცევას ემსგავსებოდა. ლინცის მთავარ არქიტექტორს, ჰერმან გისლერს ომის ბოლო წლებში სულ უფრო ხშირად იწვევდნენ შტაბ-ბინაში თავისი პროექტებით, ხოლო ჰამბურგის, ბერლინის, ნიურნბერგის და მიუნხენის სარესტავრაციო გეგმები, რომლებიც ჰიტლერისთვის ოდესღაც ამდენს ნიშნავდა, ფიურერმა თითქმის სულ მიივიწყა. დათრგუნვილი ჰიტლერი გულდაწვეტით ამბობდა ხოლმე, რომ სიკვდილი მისთვის ხსნა იქნებოდა იმ ტანჯვასთან შედარებით, რასაც იგი ამჟამად განიცდიდა. შემთხვევითი არ იყო, რომ ლინცის ნაგებობების პროექტების შესწავლის დროს ჰიტლერი სულ უფრო

ხშირად ათვალიერებდა თავისი საძვალის ესკიზებს, რომლის აშენებასაც იგი ლინცის პარტიული შენობის ერთ-ერთ კოშკში გეგმავდა. ჰიტლერი არ მალავდა, რომ გერმანიის გამარჯვების შემთხვევაშიც კი მას არ სურდა, დაკრძალულიყო ბერლინის მხედრული დიდების მემორიალში, თავისი ფელდმარშლების გვერდით.

უკრაინაში და აღმოსავლეთ პრუსიაში ღამის საუბრების დროს ჰიტლერი გაუწონასწორებელი ადამიანის შთაბეჭდილებას ტოვებდა. ამ საუბრების დამსწრეთ - ჩვენ ცოტანი ვიყავით - გვთრგუნავდა დილის გარიჟრაზე ჩამოწოლილი ტყვიისებრი სიმძიმე. მხოლოდ ზრდილობა და ვალდებულების გრძნობა გვაიძულებდა ამ საუბრებში მონაწილეობის მიღებას, თუმცა დაძაბული სხდომების შემდეგ ჰიტლერის მონოტონური ლაპარაკის მოსმენისას თვალები გვეხუჭებოდა და თავს ძლივს ვიკავებდით. ჰიტლერის შემოსვლამდე რომელიღაც იკითხავდა: „ნეტავ, დღეს საღამოს მორელი სად არის?“ რაზედაც მეორე უხალისოდ პასუხობდა: „უკვე სამი საღამოა, არ მოდის.“ ერთ-ერთი მდივანი ქალი აიტაცებდა თემას: „შეეძლო, უფრო დიდხანს დარჩენილიყო ხოლმე, თორემ სულ ერთი და იგივე ხალხია... მეც სიამოვნებით დავიძინებდი.“ მეორე აღნიშნავდა: „ერთმანეთს უნდა ვენაცვლებოდეთ. რა წესია, მხოლოდ ზოგიერთები აღწევენ თავს აქაურობას, დანარჩენები კი სულ აქ უნდა იყვნენ.“ ჰიტლერს ამ წრეში, რა თქმა უნდა, ჯერ კიდევ დიდ პატივს სცემდნენ, მაგრამ მისი შარავანდედი შესამჩნევად გაუფერულდა.

საუზმის შემდეგ, მოგვიანებით ჰიტლერისთვის გაზეთები და პრესის ინფორმაციები მოჰქონდათ. ეს ძალზე მნიშვნელოვანი იყო იმისთვის, რომ ჰიტლერს წარმოდგენა შეჰქმნოდა არსებულ მდგომარეობაზე, ამაზე იყო დამოკიდებული მისი გუნება-განწყობილებაც. საზღვარგარეთის სააგენტოებისგან მიღებულ ზოგიერთ ცნობაზე ჰიტლერი მყისვე რეაგირებდა და თავის ოფიციალურ, უმეტესწილად, აგრესიულ კომენტარს იძლეოდა, რომელსაც სიტყვა-სიტყვით კარნახობდა ხოლმე პრესის უფროსს, დოქტორ დიტრიხს ან მის თანაშემწეს, ლორენცს. ჰიტლერი დაუფიქრებლად ერეოდა შესაბამისი სამინისტროების კომპეტენციაში და მინისტრებს - გოებელსსა და რიბენტროპსაც კი არაფერს ატყობინებდა.

ამის შემდეგ ჰეველი აცნობდა ხოლმე ჰიტლერს საგარეო პოლიტიკურ ამბებს, რასაც ჰიტლერი გაცილებით მშვიდად ხვდებოდა, ვიდრე ცნობებს ქვეყანაში მდგომარეობის შესახებ. ახლა რომ ვფიქრობ, მეჩვენება, რომ ჰიტლერს ამ ამბების ასახვა უფრო მნიშვნელოვნად მიაჩნდა, ვიდრე რეალობა, გაზეთებში დაბეჭდილი ინფორმაცია უფრო აინტერესებდა ვიდრე თავად მომხდარი მოვლენები. შემდეგ შაუბის დრო დგებოდა. ის ფიურერს მოახსენებდა გასული ღამის განმავლობაში მომხდარი საჰაერო თავდასხმების შესახებ. ამ ცნობებს გაულაიტერები ბორმანს აწვდიდნენ. ქალაქების დაბომბვიდან 2-3 დღის შემდეგ ჩავდიოდი სამხედრო საწარმოების დასათვალიერებლად დანგრეულ ქალაქებში და შემიძლია დავადასტურო, რომ ჰიტლერი სწორად იყო ინფორმირებული ნგრევის მასშტაბის შესახებ. უაზრობა იქნებოდა, გაულაიტერებს ზარალის ოდენობა დაემალათ. ადგილობრივი

ხელმძღვანელის ავტორიტეტი მხოლოდ ამაღლდებოდა, თუკი ის ამ საშინელი ნგრევის დროს კიდევ ახერხებდა, შეენარჩუნებინა საწარმოების მუშაობა და ცხოვრების ნორმალური რიტმი.

შესამჩნევი იყო, რომ ეს მოხსენებები ჰიტლერზე მძიმე შთაბეჭდილებას ახდენდა, მაგრამ იგი მოსახლეობის ამოხოცვით ან საცხოვრებელი კვარტლების ნგრევით კი არ იყო შეძრული, არამედ ძვირფასი ნაგებობების, განსაკუთრებით, თეატრების განადგურებით. როგორც ომამდე, „გერმანიის ქალაქების ხელახლა აშენების“ გეგმების შემუშავებისას მას, პირველ რიგში, ისევ მათი საზეიმო იერი აინტერესებდა. ჰიტლერი არაფრად აგდებდა სოციალურ გაჭირვებას და ადამიანების ტანჯვას. მისი პირადი ბრძანებები მხოლოდ დამწვარი და დანგრეული თეატრების აღდგენას ითვალისწინებდა. მე მას სამშენებლო წარმოებაში არსებულ პრობლემებზეც მივუთითებდი. ადგილობრივი პოლიტიკური უწყებები, როგორც ჩანს, გაურბოდნენ ამ არაპოპულარული ბრძანებების შესრულებას და ჰიტლერიც, რომელიც მთლიანად ჩაფლული იყო სამხედრო თათბირებში, თითქმის არასოდეს კითხულობდა ამ სფეროში მიმდინარე სამუშაოების მდგომარეობას. მან მიაღწია, რომ მიუნხენში, მის მეორე მშობლიურ ქალაქში და ბერლინში აღედგინათ ოპერის თეატრის შენობები, რასაც დიდძალი თანხა მოხმარდა.

ჰიტლერი ყოველგვარ კონტრარგუმენტებს უარყოფდა და ამით ამჟღავნებდა, რომ ვერ აფასებდა რეალურ ვითარებას და ხალხის განწყობილებას: „სწორედ იმისათვის, რომ შევინარჩუნოთ მოსახლეობის განწყობილება, გვჭირდება თეატრალური წარმოდგენები.“ გერმანიის ქალაქების მოსახლეობას, რაღა თქმა უნდა, სულ სხვა საზრუნავი ჰქონდა. ჰიტლერის ამგვარი გამონათქვამები იმაზე მეტყველებდა, რამდენად ღრმად იყო იგი ჩაფლული თავის ბიურგერულ გარემოში.

როდესაც ჰიტლერი ისმენდა ცნობებს მიყენებული ზარალის შესახებ, იგი გზას აძლევდა საკუთარ გამძვინვარებას ინგლისის მთავრობისა და ებრაელების მიმართ, რომლებიც თითქოს ამ დაბომბვებში იყვნენ დამნაშავეები. ჰიტლერის აზრით, მოწინააღმდეგეების შეტევების შეჩერება მხოლოდ საკუთარი ბომბდამშენების საჰაერო ფლოტის შექმნით გახდებოდა შესაძლებელი. როდესაც საწინააღმდეგო აზრს გამოვთქვამდი - რომ ჰაერიდან ფართომასშტაბიანი ომისათვის არც საკმარისი რაოდენობის თვითმფრინავები და არც საკმარისი ასაფეთქებელი ნივთიერებები გაგვაჩნდა, ჰიტლერი მუდამ ერთსა და იმავეს მპასუხობდა: „შპეერ, თქვენ იმდენი რამ გახადეთ შესაძლებელი, რომ დარწმუნებული ვარ, ამასაც შეძლებთ.“ როდესაც ახლა ვუფიქრდები, თვითონ ის ფაქტი, რომ შეტევების მიუხედავად გაცილებით მეტ სამხედრო პროდუქციას ვაწარმოებდით, ერთ-ერთი მიზეზი უნდა ყოფილიყო, რომ ჰიტლერი გერმანიის თავზე გამართულ საჰაერო ბრძოლას სერიოზულად რომ არ აღიქვამდა. სწორედ ამიტომ თქვა მან უარი მილხისა და ჩემს შეთავაზებაზე, ბომბდამშენების წარმოების ნაცვლად „Jäger“-ის ტიპის თვითმფრინავების წარმოება

გაგვეზარდა, ხოლო როდესაც, ბოლოს და ბოლოს, ამის საჭიროებას მიხვდა, უკვე გვიან იყო.

მე რამდენჯერმე ვცადე დამეთანხმებინა ჰიტლერი, მოენახულებინა დაბომბილი ქალაქები და დანახვებოდა ამ ქალაქების მოსახლეობას. გოებელსსაც არა ერთხელ შემოუჩივლია ჩემთვის, რომ ამ საკითხთან დაკავშირებით ამაოდ ცდილობდა ჰიტლერზე ზეგავლენის მოხდენას. გოებელსი შურით ახსენებდა ხოლმე ჩერჩილის საქციელს: „ერთი ასეთი ვიზიტიც რომ შემდგარიყო, როგორ პროპაგანდას გავაჩაღებდი!“ ჰიტლერი კი ამგვარ მინიშნებებს მუდამ გაურბოდა. როდესაც იგი შტეტინის რკინიგზის სადგურიდან რაიხის კანცელარიაში ანდა მიუნხენში თავისი ბინიდან პრინც-რეგენტენ-შტრასესკენ მიემართებოდა, მუდამ უმოკლეს გზას ირჩევდა, არადა ადრე შემოვლითი გზებით მოგზაურობაზე უარს არასოდეს ამბობდა. მე რამდენჯერმე ვახლდი ჰიტლერს, ირგვლივ ყველაფერი ნანგრევებად იყო ქცეული, იგი კი სრულიად უემოციოდ უბრალოდ იტყოდა რამეს.

ექიმ მორელის დაჟინებულ რჩევას, ხანგრძლივად ესეირნა, ჰიტლერი ყურადღებას არ აქცევდა. არცთუ ძნელი იყო აღმოსავლეთ პრუსიის მოსაზღვრე ტყეებში რამდენიმე ბილიკის ათვისება, მაგრამ ჰიტლერი კატეგორიულ უარზე იყო, ასე რომ მისი ყოველდღიურ სეირნობა შემოიფარგლებოდა რამდენიმე წრის დარტყმით შემოღობილი ტერიტორიის შიგნით.

ამ სეირნობის დროს ჰიტლერი ყურადღებას არ აქცევდა თანმხლებ პირებს, მთელი მისი ყურადღება მიმართული იყო მისი ნაგაზის, ბლონდისადმი, რომლის გაწვრთნასაც ცდილობდა. აპორტირების რამდენიმე სავარჯიშოს შემდეგ, ძაღლს უნდა გაერბინა 20-სმ სიგანის და 8-მ სიგრძის მორზე, რომელიც 2 მეტრის სიმაღლეზე იყო გადებული. რა თქმა უნდა ჰიტლერმა იცოდა, რომ ძაღლები თავის პატრონად მხოლოდ იმას ცნობენ, ვინც მათ აჭმევს. ვიდრე ჰიტლერი მსახურს მითითებას მისცემდა, ძაღლის სადგომი გაეღო, რამდენიმე წუთით ყოვნდებოდა, ძაღლი ყეფასა და ყმუილს იწყებდა სიხარულისა და შიმშილისაგან და ვოლიერის კარს აწყდებოდა. რადგან მე განსაკუთრებულ პატივში ვიყავი, რამდენჯერმე უფლება მომეცა, დავსწრებოდი ძაღლის გამოკვების პროცესს, დანარჩენები შორიდან გვადევნებდნენ თვალს. ნაგაზს ჰიტლერის პირად ცხოვრებაში განსაკუთრებული ადგილი ეჭირა; ძაღლი მისთვის უფრო მნიშვნელოვანი იყო, ვიდრე მისი უახლოესი თანამშრომლები.

ხშირად, როდესაც ჰიტლერის შტაბ-ბინაში მისთვის სასურველი სტუმარი არ იყო, ჰიტლერი მარტო სადილობდა, მისი ძაღლის საზოგადოებაში. რა თქმა უნდა, თუ მე ვიყავი შტაბ-ბინაში, ჩემი სტუმრობა კი ორ ან სამ დღეს გრძელდებოდა, ერთი-ორჯერ მიწვევდა ხოლმე სადილად. შტაბ-ბინაში ბევრს ეგონა, რომ ჩვენ სუფრასთან მნიშვნელოვან საზოგადო პრობლემებს ან პირად საკითხებს ვიხილავდით. მაგრამ ჩემთვისაც კი შეუძლებელი აღმოჩნდა ჰიტლერთან ომის მსვლელობის სერიოზულ

ასპექტებზე ან თუნდაც მხოლოდ ეკონომიკურ მდგომარეობაზე ლაპარაკი; ჩვენი საუბარი უმნიშვნელო თემებს ან წარმოების მაჩვენებელ მშრალ ციფრებს ეხებოდა.

თავიდან იგი ჯერ კიდევ იჩენდა ინტერესს იმ საკითხების მიმართ, რომლებიც ჩვენ ორივეს ოდესღაც ძალიან მნიშვნელოვნად მიგვაჩნდა, მაგალითად, გერმანიის ქალაქების იერი მომავალში. ჰიტლერი ხშირად უბრუნდებოდა თავის ადრინდელ მოთხოვნას, დამეგეგმა რკინიგზის ტრანსკონტინენტური ქსელი, რომელიც მის მომავალ რაიხს ეკონომიკურად გააერთიანებდა.მან ბრძანა, რაიხის რკინიგზის დიდი მონაკვეთისათვის სპეციალურად შეგვემუშავებინა სხვადასხვა ტიპის ვაგონების ნახაზები და დეტალურად გამოაანგარიშებინა სატვირთო მატარებლების ტვირთზიდვის ამტანობა; ეს საკითხები მან უძილო ღამეების განმავლობაში შეისწავლა. ტრანსპორტის სამინისტრომ ჩათვალა, რომ რკინიგზის ორი სისტემის არსებობა ბევრ უხერხულობას შექმნიდა, რაც შესაძლო უპირატესობას გადასწონიდა, მაგრამ ჰიტლერი ჯიუტად იცავდა ამ იდეას, რომელსაც იგი თავისი იმპერიისთვის გაცილებით უფრო დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა, ვიდრე ავტობანებს.

თვიდან თვემდე ჰიტლერი სულ უფრო მდუმარე ხდებოდა. შესაძლოა, ჩემს საზოგადოებაში თავს ნებას აძლევდა, არ ეზრუნა საუბრის გაგრძელებაზე, რასაც იძულებით აკეთებდა სხვა სტუმრებთან. ასეა თუ ისე, 1943 წლის შემოდგომიდან მოყოლებული, სადილი ჰიტლერის საზოგადოებაში ნამდვილ ტანჯვად იქცა. ჩვენ უხმოდ მივირთმევდით წვნიანს, შემდეგი კერძის შემოტანამდე, მოკლე შესვენებისას რამდენიმე სიტყვას ვამბობდით ამინდზე, რასაც ჰიტლერი ხშირად დაურთავდა ხოლმე შენიშვნას მეტეოროლოგიური სამსახურის უუნარობის შესახებ, ბოლოს საუბარი მხოლოდ საჭმლის ხარისხზე თუ ჩამოვარდებოდა. ჰიტლერი ძალიან კმაყოფილი იყო თავისი მზარეული ქალით, რომელიც მისთვის დიეტურ კერძებს ამზადებდა, და აქებდა მის კულინარულ ხელოვნებას ვეგეტარიანულ სფეროში. როდესაც ჰიტლერს რომელიმე კერძი განსაკუთრებით მოეწონებოდა, აუცილებლად შემომთავაზებდა მის გასინჯვას. ჰიტლერს ეშინოდა, წონაში არ მოემატებინა: „წარმოუდგენელი ამბავია! მე წინ გადმოგდებული მუცლით ვიარო! ეს ხომ პოლიტიკურად გამანადგურებელი იქნებოდა!“ ცდუნებისათვის თავი რომ დაეღწია, ჰიტლერი ხშირად უხმობდა თავის მსახურს და ეუბნებოდა: „ეს შეგიძლიათ თქვენ მიირთვათ, ჩემთვის მეტისმეტად გემრიელია.“ ხუმრობით დასცინოდა ხორცის მოყვარულებს, მაგრამ არასოდეს უცდია, ვეგეტარიანელად ვექციე. როდესაც სუფრაზე ხორციან ბულიონს შემოიტანდნენ, დანამდვილებით ვიცოდი, რომ ჰიტლერი „გვამის ჩაი“ -ს ახსენებდა. ხოლო თუ სუფრაზე კიბორჩხალები შემოჰქონდათ, ჰიტლერს გამზადებული ჰქონდა ამბავი ვიღაც გარდაცვლილ მოხუც ქალზე, რომელიც მისმა ნათესავებმა მდინარეში გადააგდეს ამ ურჩხულების სატყუარად. ხოლო თუკი გველეთევზებისგან დამზადებული კერძით გვიმასპინძლდებოდნენ, ჰიტლერი უსათუოდ აღნიშნავდა, რომ გველთევზების გამოკვების და დაჭერის საუკეთესო საშუალება მკვდარი კატები იყო.

ჰიტლერს არც ადრე, რაიხის კანცელარიის საღამოს თავყრილობებზე უქმნიდა უხერხულობას მრავალჯერ გამეორებული ისტორიების მოყოლა. ახლა კი, უკან დახევისა და დაცემის დროს, ეს ჰიტლერის კარგი გუნება-განწყობილების მაჩვენებლად უნდა აღქმულიყო. მაგრამ ძირითადად სამარისებული სიჩუმე იდგა. ჰიტლერის პიროვნება ნელ-ნელა ინავლებოდა.

სხდომების ან სადილების დროს, რაც ხშირად საათობით გრძელდებოდა, ჰიტლერი თავის ძაღლს უბრძანებდა, კუთხეში, თავის საფენზე დაწოლილიყო, სადაც ბლონდი უკმაყოფილო ბურდღუნით მოიკუნტებოდა ხოლმე. თუ ძაღლი შეამჩნევდა, რომ არავინ აქცევდა ყურადღებას, თავისი პატრონის სკამისკენ გამოჩოჩდებოდა და რთული მანევრების ჩატარების შემდეგ, ბედავდა, თავი ჰიტლერის მუხლებზე დაედო. ჰიტლერის მკაცრი ბრძანება, ძაღლს თავის კუთხეში აბრუნებდა. ისევე როგორც ამას მეტნაკლებად ჭკვიანი ადამიანი გააკეთებდა, მეც ვცდილობდი, არ დამემსახურებინა მისი ძაღლის კეთილგანწყობა, რაც ყოველთვის ადვილი როდი იყო. განსაკუთრებით, სადილობისას ბლონის თავი თუ ჩემს მუხლებზე აღმოჩნდებოდა. ის ყურადღებით ადევნებდა თვალს ხორცის ყოველ ნაჭერს, რომელიც პირთან მიმქონდა და ის ბევრად უფრო იზიდავდა, ვიდრე მისი პატრონის ვეგეტარიანული კერძი. როდესაც ჰიტლერი ამას ამჩნევდა, გაბრაზებული ხმით უხმობდა ხოლმე მას. კაცმა რომ თქვას, ეს ნაგაზი შტაბ-ბინაში ერთადერთი სულიერი არსება იყო, რომელიც ჰიტლერს აფხიზლებდა და აცოცხლებდა. სწორედ ეს გვსურდა შმუნდტსა და მე. მაგრამ: ძაღლი უტყვი იყო.

Hჰიტლერი თანდათან, თითქმის შეუმჩნევლად, უფრო მეტად ექცეოდა იზოლაციაში. მრავლისმეტყველი იყო ერთი ფრაზა, რომელსაც ჰიტლერი 1943 წლის შემოდგომიდან სულ უფრო ხშირად იმეორებდა: „შპეერ, ბოლოს მხოლოდ ორი მეგობარი დამრჩება, ფროილაინ ბრაუნი და ჩემი ძაღლი.“ ტონი, რომლითაც ჰიტლერი ამ ფრაზას წარმოთქვამდა, ისეთი კატეგორიული და ადამიანების მიმართ ზიზღის გამომხატველი იყო, რომ შეუძლებელი იყო მასში ერთგულება ან წყენა დაგენახა. ეს სიტყვები ჰიტლერის ერთადერთი წინასწარმეტყველება იყო, რომელიც ახდა, რა თქმა უნდა, თუკი მოვლენებს ზედაპირულად შევაფასებთ. ეს ორი მეგობარი ბოლომდე მისი ერთგული რჩებოდა არა მისი - ჰიტლერის – თვისებების გამო, არამედ ჰიტლერის საყვარლის სიმამაცისა და მისი ძაღლის პატრონისადმი ერთგულების გამო.

მოგვიანებით, ჩემი მრავალწლიანი პატიმრობის დროს მივხვდი, რას ნიშნავს იცხოვრო დიდი ფსიქოლოგიური წნეხის ქვეშ. მხოლოდ აქ გახდა ჩემთვის ნათელი, რომ ჰიტლერის ცხოვრება ძალიან ჰგავდა პატიმრის ცხოვრებას. მისი ბუნკერი იმხანად ჯერ არHჰგავდა უზარმაზარ მავზოლეუმს, რომელიც მას 1944 წლის ივლისში ერგო, ჰქონდა სატუსაღოს მსგავსი სქელი კედლები და ჭერი, რკინის კარი და ყველა გამოსასვლელი დარაბებით იყო დახურული. მავთულხლართით

შემოღობილ ტერიტორიაზე სეირნობა იმაზე მეტ ჰაერსა და ბუნებას ვერ აძლევდა ფიურერს, რასაც ციხის პატარა ეზოში წრეზე მოსეირნე პატიმარს.

Hჰიტლერი მხოლოდ მაშინ ცოცხლდებოდა, როდესაც, დაახლოებით 14 საათზე, სადილის შემდეგ დიდი სამხედრო თათბირი იმართებოდა. სურათი 1942 წლის გაზაფხულის შემდეგ თითქოს არც კი იყო შეცვლილი. თითქმის უკლებლივ იგივე გენერლები და ადიუტანტები ირეოდნენ რუკებიანი დიდი მაგიდის გარშემო, რომელთანაც ჰიტლერი იჯდა. Gგანსხვავება ის იყო, რომ ამ თათბირის ყველა მონაწილე დაბერებული და დათრგუნვილი იყო. ისინი ბრძანებებს და მითითებებს უემოციოდ ისმენდნენ.

დისკუსიის თემად იმედები იქცა. ტყვეების დაკითხვისა და მათგან მიღებული ცნობებით ჩნდებოდა იმედი, რომ მოწინააღმდეგე ძალაგამოლეული იყო. შეტევითი ბრძოლების შედეგად რუსების დანაკარგი ჩვენს დანაკარგზე მეტი ჩანდა, მთელი მოსახლეობის რაოდენობის პროცენტულ მაჩვენებელთან შედარებითაც კი. თათბირებზე დიდი დრო ეთმობოდა უმნიშვნელო წარმატებების შესახებ ცნობების განხილვას და ეს გამარჯვებები ისეთ აღმატებულ ხარისხში ადიოდა, ჰიტლერისთვის უდავო მტკიცებულებად ხდებოდა იმისა, რომ გერმანია მოახერხებდა რუსების შეტევის იმ დრომდე შეკავებას, ვიდრე მოწინააღმდეგე „სისხლისგან არ დაიცლებოდა“. ბევრ ჩვენგანს სჯეროდა, რომ ჰიტლერი საჭიროების შემთხვევაში ომს დროულად დაამთავრებდა.

იოდლმა ჰიტლერს უახლოესი თვეების მოვლენების სავარაუდო განვითარების პროგნოზირების შესახებ მოხსენება მოუმზადა. ამით ის შეეცადა, შეეხსენებინა თავისი, როგორც ვერმახტის შტაბის უფროსის ფუნქციები. ბოლო დროს ჰიტლერმა ეს ფუნქციები იოდლს თანდათან ჩამოართვა. იოდლმა იცოდა, რომ ჰიტლერი სკეპტიკურად უყურებდა სტატისტიკურ მონაცემებს. 1943 წლის მიწურულს ჰიტლერი თავს დაესხა გენერალ გეორგ თომასს მის მიერ ჩატარებული კვლევის გამო, რომელშიც მან საბჭოთა კავშირის საომარი პოტენციალი განსაკუთრებულად მნიშვნელოვნად მიიჩნია. გეორგ თომასის ეს გამოკვლევა ჰიტლერს დიდხანს აღიზიანებდა და მალევე აუკრძალა თომასს და OKW-ს მსგავსი კვლევების ჩატარება. როდესაც 1944 წლის შემოდგომაზე ჩემი სამინისტროს დაგეგმარების უწყებამ შეიმუშავა მემორანდუმი მოწინააღმდეგის აღჭურვილობის მოცულობის შესახებ (რაც, ჩვენი ღრმა რწმენით, საომარი მოქმედებების ხელმძღვანელობას უნდა დახმარებოდა), კაიტელმა ჩვენც აგვიკრძალა მსგავსი დოკუმენტების გაგზავნა OKW-ში.

იოდლმა იცოდა, რომ მისი განზრახვის შესრულებას წინააღმდეგობა შეხვდებოდა. ამიტომ მან შეარჩია ლუფტვაფეს ახალგაზრდა პოლკოვნიკი ქრისტიანი, რომელსაც ერთ-ერთ სამხედრო თათბირზე მოხსენება უნდა გაეკეთებინა საომარი მოქმედებების მხოლოდ ერთი ნაწილის შესახებ. პოლკოვნიკს ერთი მეტად მნიშვნელოვანი ღირსება

ჰქონდა, ის დაქორწინებული იყო ჰიტლერის ერთ-ერთ მდივან ქალზე, რომელიც ჰიტლერის ღამის ჩაის ვიწრო წრის წევრი იყო. იოდლისა და პოლკოვნიკ ქრისტიანის მიერ მომზადებულ ანალიზს უნდა ეჩვენებინა მოწინააღმდეგის შორს მიმავალი ტაქტიკური გეგმა და შედეგები, რაც ჩვენზე გავლენას მოახდენდა.ეს მცდელობა კრახით დამთავრდა. მეხსიერებას შემორჩა ევროპის რამდენიმე დიდი რუკა და მათ ფონზე პოლკოვნიკი ქრისტიანი, რომელიც რაღაცას უხსნიდა მდუმარე ჰიტლერს.

საქმის ვითარება ისევ ძველებურად წარიმართა - სამხედრო თათბირში მონაწილეების ყოველგვარი აღშფოთებისა და წინააღმდეგობის გარეშე: ჰიტლერი თავად იღებდა ყველა გადაწყვეტილებას შეფასებასა და დასკვნებზე, ჰიტლერი უარს ამბობდა კომპლექსურ ანალიზზე, თავისი იდეების მატერიალურ-ტექნიკური და სატრანსპორტო უზრუნველყოფის გააზრებაზე; მისთვის არ არსებობდა ცნება კვლევითი ჯგუფი, რომელიც ყველანაირად გათვლიდა შეტევის გეგმებს და მოწინააღმდეგის საპასუხო მოქმედებებს. შტაბ-ბინის ყველა განყოფილება კარგად იცნობდა თანამედროვე ომის წარმოების მეთოდებს; მათ მხოლოდ გააქტიურება სჭირდებოდათ. ჰიტლერმა ნება დართო, მისთვის დროდადრო მოეხსენებინათ ვითარების შესახებ ამა თუ იმ სფეროში, მაგრამ ცალკეული ელემენტების შეკვრა ერთ მთლიან სურათად მხოლოდ მის თავში უნდა მომწიფებულიყო. მისი ფელდმარშლები და უახლოესი თანამშრომლები მხოლოდ მრჩევლების ფუნქციას ასრულებდნენ, რადგან ჰიტლერი გადაწყვეტილებას ჯერ დამოუკიდებლად იღებდა და შემდეგ მხოლოდ ცალკეული ნიუანსების დამატება იყო შესაძლებელი. ამას გარდა, ჰიტლერი 1942-1943 წლების აღმოსავლეთის სამხედრო კამპანიის დროს საკუთარი გამოცდილების შედეგად მიღებულ გაკვეთილებსაც კი არ ითვალისწინებდა.

Pპასუხისმგებლობის საოცარი წნეხის ქვეშ მყოფი შტაბ-ბინის თანამშრომლებისათვის არაფერი იყო ისეთი სასურველი, როგორც გადაწყვეტილება, რომელიც ბრძანების ფორმით ზემოდან მოდიოდა - შვების მომგვრელი და ამავე დროს გამმართლებელი. მე მხოლოდ ცალკეული შემთხვევების შესახებ ვიცი, როდესაც ოფიცრები ნებაყოფლობით მიდიოდნენ ფრონტზე, რომ შტაბ-ბინაში მოსალოდნელი კონფლიქტისთვის აერიდებინათ თავი. ფენომენი, რომელიც აქ იჩენდა თავს, ჩემთვის დღესაც ამოუხსნელია, კრიტიკული განწყობის მიუხედავად, აშკარად არც ერთ ჩვენგანს არასოდეს გამოუთქვამს პროტესტი, რადგან პროტესტი არც გვქონია. ჩვენ, სიცხადეს მოკლებულ, შტაბ-ბინის სამყაროში მყოფთ, სრულებით არ გვაღელვებდა, რა მოჰქონდა ჰიტლერის ბრძანებებს ფრონტისთვის, სადაც ადამიანები იბრძოდნენ და იხოცებოდნენ.

არავინ მოელოდა, რომ სახელმწიფოს მეთაური რეგულარულად მოინახულებდა ფრონტის ხაზს, მაგრამ როგორც სახმელეთო ჯარების მთავარსარდალი, რომელიც თავად წყვეტდა ყოველ წვრილმანს, ვალდებული იყო, ეს გაეკეთებინა. და თუკი იგი ამას ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო ვერ ახერხებდა, მაშინ ამ მისიით ფრონტზე

სხვა უნდა გაეგზავნა; თუ ჰიტლერს იმის შიში ჰქონდა, ფრონტზე არ მოეკლათ, მაშინ არც უფლება ჰქონდა, არმიის მთავარსარდალი ყოფილიყო.

რამდენჯერმე მაინც რომ გამგზავრებულიყვნენ ფრონტის ხაზზე, ჰიტლერსაც და მისი შტაბის წევრებსაც მაშინვე თვალი აეხილებოდათ და დაინახავდნენ იმ პრინციპულ შეცდომებს, რომელთა გამოც უამრავმა გერმანელმა დაღვარა სისხლი. ჰიტლერს და მის სამხედრო თანამშრომლებს კი ეგონათ, რომ მათ ომის ხელმძღვანელობა სათათბირო რუკების მეშვეობოთ შეეძლოთ. მათ წარმოდგენა არ ჰქონდათ არც რუსულ ზამთარზე და რუსეთის გზებზე, არაფერი იცოდნენ ჯარისკაცების გაჭირვების შესახებ - ისინი იძულებული იყვნენ, მიწურებში ეცხოვრათ, იყვნენ ცუდად შეიარაღებულები, დაღლილ-დაქანცულები, გაყინულები და მორალურად გატეხილები. სამხედრო თათბირებზე ჰიტლერი ამგვარ საჯარისო დანაყოფებს სრულფასოვნად მიიჩნევდა და მათ შესაბამის ამოცანებს უსახავდა.Hჰიტლერი რუკაზე აქეთ-იქით გადააადგილებდა შეუიარაღებელ დივიზიებს, და ამა თუ იმ ამოცანის შესრულებას სრულიად არარეალურ ვადებში ითხოვდა. და რადგანაც ის გამუდმებულად შეტევაზე გადასვლას დაუყოვნებლად მოითხოვდა, საჯარისო ნაწილები ფრონტის წინა ხაზზე ცეცხლის ქვეშ ხვდებოდნენ მანამ, სანამ ისინი შეთანხმებულ მოქმედებას შეძლებდნენ: ასე უვარდებოდნენ მტერს ხელში, ასე ფანტავდნენ და ანადგურებდნენ მათ.

შტაბ-ბინის საკომუნიკაციო ქსელი იმ დროის სანიმუშო იყო. მას შეეძლო ომის ყველა მნიშვნელოვან საბრძოლო წერტილთან უშუალო სატელეფონო კავშირის დამყარება.მაგრამ ჰიტლერი გადამეტებულ მნიშვნელობას ანიჭებდა ტელეფონის, ტელეგრაფისა და ტელეტაიპის შესაძლებლობებს. ამავე დროს, წინა ომებისგან განსხვავებით, ეს შესაძლებლობები პასუხისმგებელ სამხედრო მეთაურებს დამოუკიდებლად მოქმედების ყველა შანსს ართმევდა, რადგან ჰიტლერი ჯიუტად და განუწყვეტლივ ერეოდა მათ საქმეში ფრონტის ნებისმიერ მონაკვეთზე. ამ აპარატურის მეშვეობით ჰიტლერს თავისი სათათბირო ოთახის მაგიდიდან შეეძლო ედირიჟორა ცალკეული დივიზიებისთვის საბრძოლო მოქმედების ნებისმიერ ფრონტზე. რაც უფრო რთული იყო მდგომარეობა, მით უფრო შორდებოდა ბრძანებების ფანტაზია რეალობას.

Hსამხედრო ხელმძღვანელს უნდა ჰქონდეს ნათელი გონება, სიმტკიცე და რკინის ნერვები. ჰიტლერი თვლიდა, რომ ყველა ამ თვისებით იგი ბევრად მეტად იყო დაჯილდოებული, ვიდრე მისი გენერლები. 1941-1942 წლების ზამთრის კატასტროფის შემდეგ იგი წინასწარმეტყველებდა, რომ წინ კიდევ უფრო დიდი სიძნელეები ელოდათ, რომელთა გადალახვაც მოუხდებოდათ და აი, სწორედ მაშინ გამოჩნდება, როგორი შეუდრეკელი და როგორი ნერვების პატრონი იყო.

Hჰიტლერის ამგვარი გამონათქვამები სამხედრო თათბირზე დამსწრე ოფიცრებისათვის ძალზე დამამცირებელი იყო; ჰიტლერი კი საკმაოდ ხშირად

მიმართავდა მისი გენერალური შტაბის ოფიცრებს შეურაცხმყოფელი სიტყვებით და ამბობდა, რომ ისინი იყვნენ არასაკმარისად მტკიცენი, მუდამ უკან დახევას ლამობდნენ და მაშინაც მზად იყვნენ დაპყრობილი მიწები დაეთმოთ, როდესაც ამის მიზეზი არ არსებობდა; გენერალური შტაბის ეს ლაჩრები თვითონ არასოდეს დაიწყებდნენ საომარ მოქმედებებს; ისინი ყოველთვის ცდილობდნენ, მისთვის გადაეთქმევინებინათ ბრძოლის დაწყება, გამუდმებით აცხადებდნენ, ძალა აღარ შეგვწევსო. წარმატება კი მის, ჰიტლერის მხარეს იყო! ჰიტლერი ჩამოთვლიდა თავის ადრინდელ სამხედრო წარმატებებს და გენერალური შტაბის უარყოფით დასკვნებს ამ სამხედრო ოპერაციების დაწყების წინ – ყოველივე ეს შექმნილ ვითარებაში საშინელ ზემოქმედებას ახდენდა. ზოგჯერ ჰიტლერი გამოდიოდა მწყობრიდან, ალმური ედებოდა და იწყებდა ისტერიულ ყვირილს: „თქვენ არა მხოლოდ ლაჩრები, არამედ ორგულებიც ხართ. თქვენ ცნობილი მატყუარები ხართ. გენერალური შტაბი - ფლიდებისა და მატყუარების სკოლაა. ეს მონაცემები სწორი არ არის ცაიტცლერ! თქვენც მოტყუებული ხართ. მერწმუნეთ, მდგომარეობას სპეციალურად გვიხატავენ ასეთ მუქ ფერებში, რომ უკან დახევა მაიძულონ!“ და რაღა თქმა უნდა, ამას ჰიტლერის ბრძანება მოჰყვებოდა, ყველანაირი ძალებით შეენარჩუნებინათ ფრონტის ხაზი ან ამა თუ იმ შეტევაზე გადასულიყვნენ, მაგრამ ასევე ბუნებრივი იყო ისიც, რომ საბჭოთა ძალები რამდენიმე დღეში ან კვირაში ამ პოზიციებს გაარღვევდნენ. ამ ამბავს მოჰყვებოდა გამძვინვარების ახალი ტალღა, რასაც თან სდევდა ოფიცრების მორიგი ლანძღვა და თათხვა; ხშირად ეს უხამსი კრიტიკა გერმანელ ჯარისკაცებზეც ვრცელდებოდა: „ჯარისკაცი პირველ მსოფლიო ომში გაცილებით უფრო ამტანი იყო, რა არ გამოიარეს, ვერდენი - ბრძოლა მდინარე სომაზე. დღეს მსგავს ვითარებაში დღევანდელი ჯარისკაცები დეზერტირებად გადაიქცეოდნენ.“ საჯაროდ გალანძღულ ოფიცერთაგან ბევრი შემდეგ 1944 წლის 20 ივლისის მოვლენების მონაწილე გახდა. ადრე ჰიტლერს გამძაფრებული ინტუიცია ჰქონდა, რაც ეხმარებოდა მას, ნებისმიერი აუდიტორიისთვის გამოენახა ზუსტი და შესაფერისი სიტყვები. ახლა კი თავს ვეღარ იკავებდა და ვერ აკონტროლებდა. მისი სიტყვების ნაკადი ზღვარს სცილდებოდა: ასე ემართება პატიმარს, რომელიც მისდაუნებურად მისთვის სახიფათო საიდუმლოს გასცემს. ისეთი შთაბეჭდილება მრჩებოდა, რომ ჰიტლერს რაღაც ზევიდან აიძულებდა, ასე ელაპარაკა.

მომავალი თაობები საკუთარ სიმართლეში რომ დაერწმუნებინა, 1942 წლის გვიან შემოდგომაზე ჰიტლერმა სამხედრო თათბირების ოქმების შესადგენად რაიხსტაგის სტენოგრაფები მოიწვია, რომელთაც ფიცი დაადებინეს. მათ ყოველი მისი სიტყვა უნდა ჩაეწერათ.

ხშირად ჰიტლერს ეჩვენებოდა, რომ ამა თუ იმ დილემის გადაჭრის კარგი გზა გამონახა, იგი დაურთავდა ხოლმე: „აბა, რა ხდება? დიახ, მოგვიანებით ყველა დამეთანხმება, მაგრამ ამ იდიოტებს გენერალური შტაბიდან ჩემი დაჯერება არ სურთ.“ მაშინაც კი, როდესაც ჯარი მასიურად იხევდა უკან, ჰიტლერი თავს მაინც ტრიუმფატორად აცხადებდა: „განა, სამი დღის წინ არ გიბრძანეთ, ასე და ასე

მოიქეცით-მეთქი? მაგრამ ბრძანებები არ შესრულდა. ისინი არ ასრულებენ ჩემს ბრძანებებს, მერე კი ცრუობენ. ისინი უტიფრად ტყუიან, როცა მეუბნებიან, რომ ჩემი ბრძანებების შესრულებას რუსებმა შეუშალეს ხელი.“ ჰიტლერს არაფრით არ უნდოდა იმის აღიარება, რომ ყველა მისი მარცხი ომის დროს, რომელშიც მან ჩაგვითრია, გამოწვეული იყო ჩვენი სუსტი პოზიციით რამდენიმე ფრონტზე.

სტენოგრაფები, რომლებიც ამ საგიჟეთში აღმოჩდნენ, როგორც ჩანს, ჯერ კიდევ რამდენიმე თვის წინ ჰიტლერი იდეალურ პიროვნებად ესახებოდათ, ხოლო მისი გენია კი უბადლოდ, როგორც მათ ეს გოებელსმა ჩაუნერგა. ახლა კი მათ შიშველი სიმართლე დაინახეს. დღესაც კი თვალწინ მიდგას მათი გაფითრებული სახეები, დათრგუნვილები როგორ უსხდნენ სამუშაო მაგიდებს, თავისუფალ დროს უაზროდ რომ სცემდნენ ბოლთას შტაბ-ბინაში. ისინი ჩემთვის ხალხის წარგზავნილებს ჰგავდნენ, წარგზავნილები, რომლებიც ტრაგედიის მხოლოდ მოწმეები კი არ იყვნენ, არამედ მისი უნებლიე მონაწილეებიც.

სლავების განუვითარებლობის თეორიით შეპყრობილი ჰიტლერი მათ წინააღმდეგ ომს „ქვიშაში თამაშს“ უწოდებდა; მაგრამ, რაც უფრო დიდხანს გრძელდებოდა ომი, მით უფრო მეტ პატივისცემას იმსახურებდნენ მისგან რუსები. ჰიტლერს მოსწონდა ის, თუ როგორ მედგრად ხვდებოდნენ რუსები თავიანთ დამარცხებებს. სტალინს ჰიტლერი პატივისცემით მოიხსენიებდა ხოლმე, განსაკუთრებით ხაზს უსვამდა მის თავდაჭერილობასა და სიმტკიცეს და პარალელებს ავლებდა საკუთარ თავსა და სტალინს შორის: ის საფრთხე, რომელიც 1941 წლის ზამთარში მოსკოვს ემუქრებოდა, ჰიტლერის აზრით, მის ახლანდელ - 1943 წლის მდგომარეობას წააგავდა. როგორც კი ფრონტზე გამარჯვებების ტალღა იწყებოდა, ჰიტლერი მაშინვე ხუმრობანარევი ტონით ამბობდა, რომ ყველაზე კარგი გამოსავალი იქნებოდა, რუსეთზე გამარჯვების შემდეგ ქვეყნის მმართველობა ისევ სტალინისთვის ჩაებარებინათ, ოღონდ, რა თქმა უნდა, გერმანიის პროტექტორატის ქვეშ, რადგან რუსებთან ურთიერთობას სტალინზე უკეთ ვერავინ შეძლებდა. საერთოდ, ჰიტლერი სტალინს ისე უყურებდა, როგორც თავის კოლეგას. როდესაც სტალინის ვაჟიშვილი ტყვედ ჩავარდა, ჰიტლერმა ბრძანა, რომ მას განსაკუთრებით კარგად მოპყრობოდნენ. ალბათ ეს ფაქტიც სტალინის მიმართ პატივისცემის გრძნობით აიხსნება.

ბევრი რამ შეიცვალა მას მერე, რაც ჰიტლერმა საფრანგეთთან ზავის დადების შემდეგ იწინასწარმეტყველა, რომ საბჭოთა კავშირთან ომი ისეთივე ადვილი იქნებოდა, როგორც „ქვიშაში თამაში“.

რუსეთთან ომის მსვლელობის დროს ჰიტლერი თანდათან დარწმუნდა, რომ საქმე სერიოზულ მოწინააღმდეგესთან ჰქონდა. მაგრამ მიუხედავად ამისა, მას ომის ბოლო დღეებში მაინც ჯიუტად სჯეროდა, რომ დასავლეთის ქვეყნების ჯარები არასაკმარისად ბრძოლისუნარიანები იყვნენ. ჰიტლერი მაშინაც კი ამ აზრის ერთგული დარჩა, როდესაც მოკავშირეებმა წარმატებებს მიაღწიეს აფრიკასა და

იტალიაში; ჰიტლერი მაშინაც თვლიდა, რომ მოკავშირეების ჯარისკაცები გერმანელების პირველივე შეტევის შემდეგ გაიქცეოდნენ ბრძოლის ველიდან. ჰიტლერის აზრით, დემოკრატია ხალხს ასუსტებს. 1944 წლის ზაფხულში ჰიტლერი ჯერ კიდევ დარწმუნებული იყო, რომ დასავლეთის ფრონტზე ყველაფერს უკან დაიბრუნებდა. აქედან გამომდინარეობდა მისი მსჯელობაც დასავლეთის სახელმწიფო მეთაურებზე. ჰიტლერი სამხედრო თათბირზე ხშირად იმეორებდა, რომ ჩერჩილი სმის მოყვარული, არაფრის მაქნისი დემაგოგი იყო, ხოლო რუზველტთან დაკავშირებით მთელი სერიოზულობით ამტკიცებდა, რომ ამერიკის პრეზიდენტს დამბლა ბავშვობიდან კი არ ჰქონდა, არამედ სიფილისის შედეგად განუვითარდა, რის გამოც იგი ყოვლად არაპროგნოზირებად პიროვნებად ჩამოყალიბდა. ამ მსჯელობებიდანაც ჩანს, რომ ჰიტლერი თავისი სიცოცხლის უკანასკნელ წლებში მდგომარეობას ჯეროვნად ვერ აფასებდა და რეალობას გაურბოდა.

რასტენბურგის შტაბ-ბინის შენობას ჩაის პავილიონი მიაშენეს, რომლის ინტერიერი სასიამოვნოდ განსხვავდებოდა შტაბ-ბინის საქმიანი გარემოსგან. აქ ვიკრიბებოდით ვერმუტის დასალევად. აქ ელოდებოდნენ ფელდმარშლები აუდიენციას ჰიტლერთან. თვითონ ჰიტლერი კი ამ ოთახს გაურბოდა, შესაბამისად, იგი გაურბოდა ვერმახტის უმაღლეს მთავარსარდლებთან, გენერლებთან და შტაბის უფროსებთან შეხვედრას. 1943 წლის 25 ივლისს იტალიაში ფაშიზმი სამარცხვინოდ დამარცხდა და მთავრობას ბადოლიო ჩაუდგა სათავეში. ამ მოვლენებიდან რამდენიმე დღის შემდეგ ჰიტლერი სწორედ ამ ჩაის პავილიონში იჯდა ნაშუადღევს დაახლოებით ათ სამხედრო და დიპლომატ თანამშრომელთან ერთად, რომელთა შორის კაიტელი, იოდლი და ბორმანიც იყვნენ, და ჩაის მიირთმევდა. საუბრის დროს იოდლს სრულიად გულუბრყვილოდ წამოსცდა: „ისეთი შთაბეჭდილება მრჩება, თითქოს ფაშიზმი საპნის ბუშტივით გასკდა.“ ამ სიტყვების შემდეგ შიშნარევი სიჩუმე ჩამოვარდა, რომელიც მხოლოდ მას შემდეგ გაიფანტა, რაც ერთ-ერთმა ჩვენგანმა საუბარი სხვა თემაზე გადაიტანა. იოდლი კი აღელვებისაგან სულ მთლად გაწითლდა.

რამდენიმე კვირის შემდეგ შტაბ-ბინაში დაიბარეს პრინცი ფილიპ ფონ ჰესენი[128]. პრინცი ფილიპი ჰიტლერის ამალის იმ წევრების რიცხვს მიეკუთვნებოდა, რომელთაც ფიურერი მუდამ პატივისცემითა და რიდით ეპყრობოდა. ფილიპის სამსახურს ჰიტლერი ხშირად იყენებდა, განსაკუთრებით რაიხის პირველ წლებში. ჰიტლერმა სწორედ ფილიპის მეშვეობით დაამყარა კონტაქტი იტალიელი ფაშისტების ელიტასთან. ამას გარდა, ფილიპი არაერთხელ დახმარებია ჰიტლერს ხელოვნების ძვირფასი ნიმუშების შეძენასა და იტალიიდან გამოტანაში - ეს მხოლოდ იტალიის სამეფო გვართან პრინცის კავშირების მეშვეობით გახდა შესაძლებელი.

როდესაც პრინცმა რამდენიმე დღის შემდეგ გამგზავრება დააპირა, ჰიტლერმა მას პირდაპირ განუცხადა, რომ ის შტაბ-ბინას ვეღარ დატოვებდა. მართალია, ჰიტლერი ფილიპს კვლავინდებურად უაღრესად თავაზიანად ეპყრობოდა, სადილად და ვახშმადაც ეპატიჟებოდა, მაგრამ ჰიტლერის გარემოცვა, რომელიც აქამდე ამაყობდა

„ნამდვილ პრინცთან“ ურთიერთობით, ახლა თავს ისე არიდებდა მას, თითქოს კეთროვანი ყოფილიყო. 1943 წლის 9 სექტემბერს ჰიტლერის ბრძანებით პრინცი ფილიპ ფონ ჰესენი და პრინცესა მაფალდა[129] (იტალიის მეფის ასული) საკონცენტრაციო ბანაკში გადაიყვანეს.

ამ ამბის შემდეგ ჰიტლერი კიდევ კარგა ხანს იმეორებდა, მან დროულად იეჭვა, რომ პრინცი ფილიპი იტალიის სამეფო კარს საიდუმლო ცნობებს აწვდიდა. როგორც ამბობდა, მას თავად შეუმჩნევია პრინცი ჯაშუშობაში და ბრძანება გაუცია მისი სატელეფონო საუბრების მოსმენის შესახებ. შემჩნეულ იქნა, რომ პრინცი თავის ცოლს დაშიფრული კოდით ელაპარაკებოდა. მიუხედავად ამისა, ჰიტლერი მას ამის შემდეგ მეგობრულად ეპყრობოდა, რაც ფიურერის ტაქტიკის ერთ-ერთი შემადგენელი ნაწილი იყო. ჰიტლერი განსაკუთრებით ამაყობდა თავისი წარმატებით კრიმინალისტიკაში.

პრინცისა და მისი მეუღლის დაპატიმრებამ ყველას, ვისაც ფიურერთან განსაკუთრებულად ახლო ურთიერთობა ჰქონდა, შეახსენა, რომ მათი ბედი ჰიტლერის ხელში იყო.

მუსოლინის დამოკიდებულება ჰიტლერისადმი ყველა ჩვენგანისათვის მეგობრული ურთიერთობის ნიმუში იყო. იტალიის სახელმწიფო მეთაურის დამხობამ და მისმა უკვალოდ გაქრობამ ჰიტლერში ნიბელუნგების ერთგულების მსგავსი გრძნობა გამოიწვია. იგი ყველა თათბირზე გამუდმებით ითხოვდა, რომ ყველა ღონე გვეხმარა დაკარგული მუსოლინის მოსაძებნად.

1943 წლის 12 სექტემბერს შტაბ-ბინაში დაგეგმილი იყო თათბირი, რომელზეც მიწვეულები ვიყავით ტიროლისა და კერნტენის გაულაიტერები და მე. ამ თათბირზე დაამტკიცეს დოკუმენტი, რომლითაც არა მხოლოდ სამხრეთ ტიროლი, არამედ იტალიის ნაწილიც ვერონამდე ტიროლის გაულაიტერის - ჰოფერის, ხოლო ვენეციის დიდი ნაწილი, ტრიესტის ჩათვლით, კერნტენის გაულაიტერის - რაინერის დაქვემდებარებაში გადადიოდა. ჩემს განკარგულებაში კი იტალიის დარჩენილ ტერიტორიებზე არსებული სამხედრო აღჭურვილობისა და ტექნიკის წარმოების სფერო გადმოვიდა. ამით იტალიის მხარე კარგავდა თავის უფლებამოსილებას აღჭურვილობისა და სამხედრო ტექნიკის წარმოებაზე. მაგრამ რაოდენ დიდი იყო ჩვენი გაოცება, როდესაც ამ სამ დოკუმენტზე ხელის მოწერიდან რამდენიმე საათში ცნობილი გახდა მუსოლინის გათავისუფლების შესახებ. ორივე გაულაიტერს და მეც ჩვენი ახალი უფლებამოსილების ფონზე წამოგვცდა: „ასეთ რამეს ფიურერი დუჩეს არ აკადრებს!“ ამიტომ ცოტა ხნის შემდეგ ჰიტლერს შევხვდი და შევთავაზე, შეეკვეცა ჩემი გაზრდილი უფლებამოსილებანი. დარწმუნებული ვიყავი, რომ ჰიტლერი ამ ცნობას აღფრთოვანებით შეხვდებოდა. ჩემდა გასაკვირად, მან გადაჭრით თქვა უარი ჩემს შეთავაზებაზე. დოკუმენტი უკვე ძალაშია შესულიო, განაცხადა ჰიტლერმა. მე ფიურერის ყურადღება იმაზე გავამახვილე, რომ მუსოლინის თაოსნობით შექმნილი

ახალი ფაშისტური მთავრობა არ დაუშვებდა ჩვენს ჩარევას იტალიის უფლებებში. ჰიტლერი ცოტა ხანს დაფიქრდა, შემდეგ კი თქვა: „ჩემ მიერ შედგენილი დადგენილება კიდევ ერთხელ წარმომიდგინეთ ხელის მოსაწერად, ოღონდ ამჯერად ხვალინდელი თარიღით. ეს იმის ეჭვს გაფანტავს, რომ დუჩეს გათავისუფლებამ ჩემს ბრძანებაზე ზეგავლენა მოახდინა.“ როგორც ჩანს, ჰიტლერს ჩრდილო-იტალიის ჩამოჭრამდე რამდენიმე დღით ადრე შეატყობინეს იმის შესახებ, რომ ცნობილი გახადა მუსოლინის ადგილსამყოფელი. ამდენად ვფიქრობ, ჩვენ სწორედ ამიტომ დაგვიბარეს შტაბ-ბინაში მუსოლინის გათავისუფლებამდე ცოტა ხნით ადრე.

მეორე დღეს მუსოლინი რასტენბურგში ჩამოვიდა. ჰიტლერი გულითადად გადაეხვია მუსოლინის. ხოლო სამთა კავშირის ხელშეკრულების წლისთავზე ჰიტლერმა მას ასეთი მისალოცი ადრესი გაუგზავნა: „განუყრელ მეგობარს, დუჩეს... საუკეთესო სურვილებით ფაშიზმის დროშის ქვეშ თავისუფლებისთვის მებრძოლი იტალიის მომავლისათვის.“

და ეს იმ ჰიტლერმა დაწერა, რომელმაც 14 დღით ადრე იტალია დააქუცმაცა.

გასამართლება

ომის ამ ბოლო სტადიაში საქმის კეთება ჩემთვის ყურადღების გადატანას და სიმშვიდეს ნიშნავდა. ჩემს თანამშრომელს - ზაურს დავავალე, ეზრუნა სამხედრო წარმოებაზე, რომელიც სულს ღაფავდა. მე კი მჭიდრო კავშირი დავამყარე ინდუსტრიის სხვადასხვა დარგის წარმომადგენლებთან მომარაგებისა და ომის შემდგომ გარდამავალ პერიოდზე გადასვლის საჭირბოროტო საკითხებზე მოსალაპარაკებლად.

მორგენთაუს გეგმა ჰიტლერსა და პარტიას ძალზე ხელსაყრელ შესაძლებლობას აძლევდა, მოსახლეობისთვის ეჩვენებინათ, რომ ომში დამარცხება მათ ბედს სამუდამოდ გადაწყვეტდა. ამ მუქარამ მართლაც იმოქმედა მოსახლეობის დიდ ნაწილზე. ჩვენ კი გერმანიის განვითარების სულ სხვა კონცეფცია გაგვაჩნდა. საქმე ის იყო, რომ ჰიტლერი და მისი პოლიტიკის მიმდევრები ოკუპირებულ ტერიტორიებზე მორგენთაუს გეგმის მსგავს მიზნებს ისახავდნენ, ოღონდ გაცილებით უფრო მკაცრი და რადიკალური ფორმით. მაგრამ გამოცდილებამ გვაჩვენა, რომ ჩეხოსლოვაკიაში, პოლონეთში, ნორვეგიასა და საფრანგეთში მრეწველობა, გერმანელთა განზრახვისა და მცდელობის მიუხედავად, მაინც ვითარდებოდა, რადგან გამწარებული იდეოლოგების იდეაფიქსზე გაცილებით უფრო ძლიერი იყო მრეწველობის

საკუთარი მიზნებისთვის გამოყენების სურვილი. სამრეწველო პროცესის აღდგენისთანავე იძულებული ხდებოდი, შეგესრულებინა ეკონომიკის ძირითადი პირობები - გამოგეკვება ადამიანები და მათთვის ტანსაცმელი და ხელფასები მიგეცა. ასეთი მდგომარეობა იყო ჩვენს მიერ ოკუპირებულ ტერიტორიებზე. ჩვენი აზრით ამის ერთადერთი წინაპირობა ის იქნებოდა, თუ წარმოების მექანიზმი მაქსიმალურად აწყობილად იმუშავებდა, ანუ არ გაჩერდებოდა. ჩემი საქმიანობა ომის ბოლო პერიოდში და განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც ჰიტლერზე თავდასხმაზე უარი განვაცხადე, თითქმის მთლიანად იყო მიმართული იმისკენ, რომ, ყველა სიძნელის მიუხედავად, გადამერჩინა ინდუსტრიული სუბსტანცია მისი იდეოლოგიური და ნაციონალური ნიშნის მიუხედავად. 1945 წლის იანვარში ერთ-ერთ სამხედრო თათბირზე ჰიტლერმა უცხოური პრესიდან ამონარიდი მომაწოდა: „მე ხომ გავეცი ბრძანება, რომ საფრანგეთში ყველაფერი უნდა განადგურებულიყო. მაშ, ამიხსენით, როგორ მოხდა, რომ საფრანგეთის ინდუსტრია რამდენიმე თვეში კვლავ თავისი წარმოების ომამდელ მაჩვენებელს დაუბრუნდა?“ ჰიტლერმა აღშფოთებით შემომხედა. მე მშვიდად მივუგე: „იქნებ ეს პროპაგანდისტული მონაცემებია.“ ჰიტლერი კარგად ერკვეოდა ფალსიფიცირებული პროპაგანდისტული ცნობების გავრცელების ტექნოლოგიაში და ამჯერად ჩემი განმარტებით დაკმაყოფილდა.

1945 წლის თებერვალში გავემგზავრე უნგრეთის ნავთობის მომპოვებელ ოლქში, ჯერ კიდევ ჩვენს კუთვნილებაში მყოფ ზემო სილეზიის ქვანახშირის საბადოზე, ჩეხოსლოვაკიაში და დანციგში. ყველგან მოვახერხე ადგილობრივი სამინისტროების თანამშრომლების დარწმუნება და მათი ჩვენს მხარეზე გადმობირება. უნგრეთში ბალატონის ტბაზე SS-ის რამდენიმე დივიზიის თავმოყრის მოწმე გავხდი, რომელთა ძალებითაც ჰიტლერი ფართომასშტაბიანი ოპერაციის განხორციელებას აპირებდა. ამ ოპერაციის გეგმა მკაცრად იყო გასაიდუმლოებული და ამიტომ ორმაგად უფრო გროტესკულ შთაბეჭდილებას ტოვებდა ის გარემოება, რომ სამხედრო შენაერთების ოფიცრებსა და ჯარისკაცებს უნიფორმებზე ჯარის ელიტარული ნაწილის აღმნიშვნელი სამხრეები ეკეთათ. ამაზე გაცილებით უფრო გროტესკული იყო ჰიტლერის თავდაჯერებულობა, რომ იგი რამდენიმე სატანკო დივიზიის მეშვეობით ბალკანეთის ნახევარკუნძულზე ახლად დამყარებული საბჭოთა ძალაუფლების დამხობას შეძლებდა. ჰიტლერის აზრით, სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპის ხალხებს რამდენიმე თვეში უკვე მობეზრდებოდათ საბჭოთა კავშირის ჰეგემონია. ჰიტლერი ამ ბოლო კვირების განმავლობაში სასოწარკვეთილებამ მოიცვა და ამ მდგომარეობიდან გამოსავლის ძიებაში თავის თავს შთააგონა, რომ რამდენიმე, თუნდაც მცირე, წარმატებული სამხედრო ოპერაცია ომის მსვლელობაში გარდატეხას შეიტანდა: კერძოდ კი, საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ სახალხო აჯანყება დაიწყებოდა და მოსახლეობაც ჩვენს მხარეს დადგებოდა ერთი საერთო მტრის წინააღმდეგ საბოლოო გამარჯვების მიღწევამდე. ეს ფანტასტიკას წააგავდა.

დანციგში საგანგებო მატარებელში კომფორტულად მოწყობილ ჰიმლერის შტაბ-ბინაში მოვხვდი. სრულიად შემთხვევით შევესწარი ჰიმლერისა და გენერალ ვაისის სატელეფონო საუბარს: როგორც ჩანს, ვაისმა ჰიმლერს დაკარგული პოზიციებიდან უკან დახევის შესახებ უპატაკა, რაზედაც ჰიმლერმა ფიურერისათვის დამახასიათებელი ტონით უპასუხა: „მე თქვენ გიბრძანეთ. თქვენ ამაზე საკუთარი თავით აგებთ პასუხს. თუ ამ პოზიციას დაკარგავთ, პასუხისგებაში მიგცემთ“.

მეორე დღეს პრუსიულ სტარგრადში გენერალი ვაისი ვინახულე, რომლისგანაც შევიტყვე, რომ ღამით საბრძოლო პოზიცია დავთმეთ. ისეთი შთაბეჭდილება დამრჩა, რომ ჰიმლერის მუქარამ ვაისზე არანაირად არ იმოქმედა: „მე ჩემს ჯარს არ დავაკისრებ ისეთ ამოცანას, რომლის შესრულება შეუძლებელია და დიდ დანაკარგს მოითხოვს. მხოლოდ იმას გავაკეთებ, რაც შესაძლებელია“. ჰიტლერის და ჰიმლერის მუქარებმა ძალა დაკარგეს. ამ მოგზაურობის დროს სამინისტროს ფოტოგრაფს ლტოლვილების დაუსრულებელი ნაკადის სურათები გადავაღებინე, ნაკადისა, რომელიც უხმოდ მიემართებოდა დასავლეთისკენ. ჰიტლერმა ამჯერადაც უარი განაცხადა ამ ფოტოების ნახვაზე.

ზემო სილეზიაში ყოფნისას გავიცანი გენერალ-პოლკოვნიკი ჰაინრიკი[130], რომელთანაც ომის ბოლო კვირების განმავლობაში მჭიდრო თანამშრომლობა მელოდა. მაშინ კი, თებერვლის შუა რიცხვებში, ჩვენ გადავწყვიტეთ, როგორმე შეგვენარჩუნებინა სარკინიგზო მიმოსვლა, რომელიც მომავალში სამხრეთ-აღმოსავლეთში ნახშირის გადასაზიდად გამოგვადგებოდა. ჰაინრიკისთან ერთად რიბნიკთან ახლოს მდებარე სამთო ქარხანაც დავათვალიერე. ფრონტის ხაზის სიახლოვის მიუხედავად, საბჭოთა ჯარები ქარხნის მუშაობას ხელს არ უშლიდნენ. როგორც ჩანს, მოწინააღმდეგეც იზიარებდა ჩვენს არდანგრევის პოლიტიკას.

მარტის დასაწყისში რურის ოლქში გავემგზავრე, რათა იქ ადგილზე განმემარტა, თუ რა უნდა გაგვეკეთებინა ომის მოახლოებული დასასრულის დროს და ომის შემდგომ გარდამავალ პერიოდში. მრეწველების ყურადღების ცენტრში, პირველ რიგში, სატრანსპორტო გზები იყო: თუ შევინარჩუნებდით მეტალურგიულ ქარხნებს და ქვანახშირის საბადოებს, ხოლო ხიდებს დავანგრევდით, მაშინ ნახშირის, ფოლადისა და გაგლინული რკინის ტრანსპორტირებას ვეღარ შევძლებდით. იმავე დღეს ფელდმარშალ მოდელს[131] შევხვდი. მოდელი აღშფოთებული იყო: ჰიტლერს სწორედ იმ წუთას ებრძანებინა მისთვის, თავისი დივიზიებით რემაგენის ფლანგზე თავს დასხმოდა მოწინააღმდეგეს და ბრძოლით დაებრუნებინა ხიდები. სასოწარკვეთილმა მოდელმა მითხრა: „ჩემმა დივიზიებმა იმდენი იარაღი დაკარგეს, რომ ბრძოლას ვეღარ შეძლებენ. შტაბ-ბინაში წარმოდგენაც კი არა აქვთ ამის შესახებ!.. წარუმატებლობას კი მე დამაბრალებენ.“ ჰიტლერის ბრძანებით უკმაყოფილო მოდელი მზად აღმოჩდა ჩემი მოსაზრებისა და შეთავაზების მოსასმენად და მისაღებად. საუბრის ბოლოს მოდელი დამპირდა, რომ რურის ოლქისთვის

წარმოებულ ბრძოლაში ხიდებს და სარკინიგზო კომუნიკაციებს გაუფრთხილდებოდა.

ხიდების დამღუპველი ნგრევის თავიდან ასაცილებლად გენერალ-პოლკოვნიკ გუდერიანთან ერთად შევიმუშავე დადგენილება „საკუთარ ქვეყანაში გამანადგურებელი ღონისძიებების შესახებ“. ამ დადგენილებით იკრძალებოდა ყველა იმ ობიექტის განადგურება, რომლის გარეშეც შეუძლებელი იქნებოდა გერმანიის მოსახლეობის მომარაგება. გუდერიანი თავად იქნებოდა პასუხისმგებელი ამ მითითების შესრულებაზე. როდესაც გუდერიანმა დადგენილების ტექსტი ხელის მოსაწერად იოდლს მიუტანა, რომლის დაქვემდებარებაშიც იყო დასავლეთის ფრონტის საკითხები, იოდლმა იგი კაიტელთან გაგზავნა. კაიტელმა დადგენილების ტექსტი ჩაიბარა და განაცხადა, რომ მას ჰიტლერთან ერთად განიხილავდა. მოსალოდნელმა შედეგმაც არ დააყოვნა: უახლოეს სამხედრო თათბირზე ჰიტლერმა კატეგორიულად მოითხოვა მის მიერ გაცემული ბრძანების შესრულება. ეს იყო მისი პასუხი გუდერიანის შეთავაზებაზე.

მარტის შუა რიცხვებში შევადგინე მემორანდუმი, რომელშიც კიდევ ერთხელ დაუფარავად გამოვთქვი ჩემი მოსაზრება იმ აუცილებელ ნაბიჯებზე, რომლებიც არსებულ ვითარებაში უნდა გადაგვედგა.

ჩემი 24-გვერდიანი მემორანდუმის ტექსტის ერთი ეგზემპლარი პოლკოვნიკ ფონ ბელოვს - ფიურერის შტაბ-ბინასთან დამაკავშირებელ ოფიცერს გადავეცი და ვთხოვე, ის ხელსაყრელ მომენტში გაეცნო ჰიტლერისთვის. შემდეგ ჰიტლერის პირად ადიუტანტს, იულიუს შაუბს ვთხოვე, ჩემი მოახლოებული დაბადების დღის აღსანიშნავად (ორმოცი წელი მისრულდებოდა) ჰიტლერს ჩემთვის თავისი ფოტო ეჩუქებინა პირადი მიძღვნით. ჰიტლერის უახლოესი თანამშრომლების წრეში მე ერთადერთი ვიყავი, რომელსაც 12 წლის განმავლობაში ასეთი თხოვნით მისთვის არც ერთხელ არ მიუმართავს. ახლა, როდესაც ჰიტლერის მმართველობისა და ჩვენი ურთიერთობის დასასრული ახლოვდებოდა, მინდოდა მისთვის მეგრძნობინებინა: მიუხედავად იმისა, რომ დავუპირისპირდი და ჩემს მემორანდუმში დაუფარავად ვამხელდი მისი პოლიტიკის კრახს, კვლავინდებურად პატივს ვცემდი მას და მის წარწერიან ფოტოსურათს უდიდეს ჯილდოდ ჩავთვლიდი. მაგრამ ჩემს უსაფრთხოებაში დარწმუნებული არ ვიყავი; ამიტომ მზად ვიყავი, როგორც კი ჩემს მემორანდუმს სამხედრო თათბირზე გაეცნობოდნენ, აქაურობას გავცლოდი: იმავე ღამით საბჭოთა ჯარის მიერ დაკავებულ კენიგსბერგში ვაპირებდი გამგზავრებას.

ასეთი განწყობით მივედი 18 მარტს სამხედრო თათბირზე, რომელზეც ჩემი მემორანდუმის ჩაბარებას ვაპირებდი. სამხედრო თათბირები აღარ ტარდებოდა ჰიტლერის მდიდრულ სამუშაო დარბაზში, რომელიც 7 წლის წინ დავაპროექტე. ჰიტლერმა სამხედრო თათბირები ბუნკერის პატარა სამუშაო ოთახში გადაიტანა. სხდომის დაწყებისთანავე მან მელანქოლიური ხმით მომმართა: „ახ, ბატონო შპეერ,

იცით, თქვენი მშვენიერი არქიტექტურა აღარ შეეფერება სამხედრო თათბირებს“. 18 მარტს სამხედრო თათბირის თემა გენერალ პატონის ჯარისაგან ზაარის მხარის დაცვა იყო. ისევე, როგორც ადრე რუსული მანგანუმის საბადოების აღდგენის საკითხის განხილვისას, ჰიტლერმა ახლაც მე მომმართა, თითქოს ჩემს მხარდაჭერას ითხოვდა: „თქვენ თავად უთხარით ამ ბატონებს, თუ რას ნიშნავს თქვენთვის ზაარის ნახშირის დაკარგვა!“ მე სპონტანურად აღმომხდა: „ზაარის ნახშირის დაკარგვა ჩვენს დამარცხებას მხოლოდ დააჩქარებს.“ ჰიტლერი და მე ერთმანეთს მივაშტერდით: მეც და ისიც ერთნაირად გაკვირვებული დავრჩით. უხერხული სიჩუმის შემდეგ ჰიტლერმა თემა შეცვალა.

იმავე დღეს დასავლეთის ფრონტის მთავარსარდალმა, ფელდმარშალმა კესელრინგმა ჰიტლერს მოახსენა, რომ დასავლეთ გერმანიის მოსახლეობა ხელს უშლიდა გერმანულ საჯარისო დანაყოფებს ამერიკის ჯარების წინააღმდეგ ბრძოლაში; გერმანული მოსახლეობა გერმანულ ჯარს გერმანულ სოფლებში არ უშვებდა. ჰიტლერი წამითაც არ დაფიქრებულა შედეგებზე და კაიტელს ანიშნა, ახალი განკარგულება დაწერეო; კაიტელიც ბეჯითად მიუჯდა საწერ მაგიდას და საქმეს შეუდგა.

ერთ-ერთმა გენერალმა ჰიტლერს მოახსენა, რომ ასობით ათასი ადამიანის ევაკუირების ორგანიზება შეუძლებელი იყო: აღარც მატარებლები არსებობდა და აღარც სხვა ტრანსპორტი. ჰიტლერს წარბიც არ შეუხრია: „ტრანსპორტი თუ არ არის, ფეხით იარონ!“ ამაზე გენერალმა მიუგო, რომ ამის ორგანიზება შეუძლებელი იქნებოდა, რადგან ამისთვის ხალხის სურსათით მომარაგება გახდებოდა საჭირო, გარდა ამისა, ადამიანებს ნაკლებად დასახლებულ ტერიტორიებზე უნდა გაევლოთ და შესაფერისი ფეხსაცმელიც კი არ ჰქონდათ. გენერალმა სიტყვის თქმაც კი ვერ დაასრულა, რადგან ჰიტლერმა მას ზურგი შეაქცია.

ამასობაში კაიტელმა ბრძანების ტექსტი შეადგინა და ჰიტლერს წარუდგინა. ჰიტლერმა ტექსტი მოიწონა და ასეთი განკარგულება გასცა: „მოსახლეობის ყოფნა საბრძოლო ზონაში ერთნაირად საშიშია როგორც ჯარისთვის, ასევე თავად მოსახლეობისათვის. ამიტომ ფიურერი ბრძანებს: რაინის დასავლეთით, ზაარსა და პფალცში ფრონტის ხაზის მიღმა მდებარე დასახლებული პუნქტები დაიცალოს მოსახლეობისაგან. ევაკუირებული მოსახლეობის გადაყვანის ზოგადი მიმართულებაა სამხრეთ-აღმოსავლეთი. ევაკუაციის დეტალური გეგმის შესრულებაზე პასუხისმგებელი არიან შესაბამისი მთავარსარდლები და გაულაიტერები. ბრძანებას ხელს აწერს OKW-ს უფროსი გენერალ-ფელდმარშალი კაიტელი.“

არავის გაუპროტესტებია. როდესაც სათათბირო ოთახიდან გამოვედით, ცანდერმა, ჰიტლერთან ბორმანის დამაკავშირებელმა ოფიცერმა, სასოწარკვეთით წარმოთქვა: „კი მაგრამ, ეს ხომ შეუძლებელია! ეს ხომ კატასტროფამდე მიგვიყვანს! წინასწარ

არაფერი არ არის მომზადებული!“ იმპულსს ავყევი და განვაცხადე, რომ კენიგსბერგში აღარ გავფრინდებოდი და იმავე ღამით დასავლეთ გერმანიაში გავემგზავრებოდი.

თათბირი დამთავრდა. შუაღამეს გადაცდა, რაც იმას ნიშნავდა, რომ ორმოცი წლის შევსრულდი. ჰიტლერთან ხანმოკლე აუდიენცია ვითხოვე. როდესაც მის ოთახში შევედი, ჰიტლერმა მსახურს თავისი უკვე ხელმოწერილი ფოტოსურათი მოატანინა და დაბადების დღის საუკეთესო სურვილებთან ერთად გადმომცა. ვერცხლის ჩარჩოში ჩასმული ფოტოსურათი წითელი ტყავის ეტუიში იყო ჩადებული. ფიურერს მადლობა მოვახსენე ძვირფასი საჩუქრისთვის; ჩემი მემორანდუმის ჯიბიდან ამოღება დავაპირე, ამიტომ საჩუქარი მაგიდაზე დავდე. ამასობაში ჰიტლერმა წარმოთქვა: „ბოლო დროს მიჭირს ორიოდ სიტყვის დაწერაც კი. ხომ იცით, ხელი როგორ მიკანკალებს! ხშირად ხელსაც კი ვერ ვაწერ. ის, რაც თქვენთვის დავწერე, ძნელი გასარჩევია.“ ეს რომ თქვა, ეტუი გავხსენი, რომ მიძღვნა წამეკითხა. ხელნაწერი მართლაც ძნელი გასარჩევი იყო, მაგრამ უჩვეულოდ გულითადი: ფიურერი მადლობას მიხდიდა ჩემი მუშაობისათვის და მარადიულ მეგობრობას მეფიცებოდა. ყოველივე ამის შემდეგ, მართალი გითხრათ, გამიძნელდა მისთვის ჩემი მემორანდუმის გადაცემა, რომლითაც სრულიად გაცნობიერებულად წერტილს ვუსვამდი მისი ცხოვრების მთელ ნამოღვაწარს, მაგრამ მაინც გადავეცი.

ჰიტლერმა მემორანდუმი უსიტყვოდ ჩამომართვა. შექმნილი უხერხულობის დასაფარავად მოვახსენე, რომ ამაღამ დასავლეთის ფრონტზე ვაპირებდი გამგზავრებას. შემდეგ კი დავემშვიდობე. ჯერ კიდევ ბუნკერში ვიყავი და ტელეფონით მანქანისა და მძღოლის გამოძახებას ვცდილობდი, როდესაც ისევ ჰიტლერთან დამიბარეს: „ვიფიქრე, უკეთესი იქნებოდა, თუკი რომელიმე ჩემი მანქანით გაემგზავრებოდით და ჩემი მძღოლი კემპკა წაგიყვანდათ.“ მე შევეცადე, უარი მეთქვა. ბოლოს ასე შევთანხმდით: მე ჩემი მანქანით გავემგზავრებოდი, საჭესთან კი კემპკა დაჯდებოდა. თავს რაღაც უცნაურად ვგრძნობდი: ის სითბო, რომლითაც ჰიტლერმა თავისი ფოტოსურათი გადმომცა და რითაც მომნუსხა, სადღაც გამქრალიყო. დამშვიდობებისას ჰიტლერი საკმაოდ ცუდ ხასიათზე იყო. უკვე კარებთან ვიდექი, როდესაც მითხრა: „თქვენს მემორანდუმზე წერილობით პასუხს მიიღებთ!“ და შემდეგ გაყინული ტონით დაამატა: „ომს თუ წავაგებთ, ერიც დაიღუპება. გერმანელი ხალხის პრიმიტიული არსებობისთვის საჭირო პირობებზე ფიქრი აუცილებელი არ არის. პირიქით, უმჯობესია, თუ ხალხს არსებობისთვის საჭირო პირობებს საერთოდ არ შევუქმნით. გერმანელი ხალხი უფრო სუსტი გამოდგა, ვიდრე მე მეგონა. მომავალი კი აღმოსავლეთის უფრო ძლიერ ხალხებს ეკუთვნით. ის გერმანელები, რომლებიც ამ ომს გადაურჩნენ, სრულფასოვნები არ არიან, საუკეთესოები ომში დაიღუპნენ.“

მე დასავლეთის ფრონტზე გავემგზავრე. ფელდმარშალ მოდელს თავის შტაბ-ბინაში - ვესტერვალდიდან 200 კილომეტრის დაშორებით შევხვდი. ახლო მდებარე სოფლის

დუქანში დავსხედით და ვისაუბრეთ რურის ოლქში სარკინიგზო მიმოსვლის შენარჩუნების შესაძლებლობებზე. შუა საუბრის დროს შტაბის უფროსმა მოდელს დეპეშა გადასცა: „ეს თქვენ გეხებათ," - მითხრა დაბნეულმა მოდელმა. გულმა რეჩხი მიყო. ეს იყო ჰიტლერის „წერილობითი პასუხი" ჩემს მემორანდუმზე. ჰიტლერის ბრძანების თანახმად, რომლის მოთხოვნა ჩემი მემორანდუმის მოთხოვნების საპირისპირო შინაარსისა იყო, მთელი რაიხის ტერიტორიაზე უნდა განადგურებულიყო ყველა სამხედრო, სატრანსპორტო, საკომუნიკაციო, სამრეწველო და მომარაგების უწყება-დანადგარი და ყველანაირი დოკუმენტაცია. ეს იყო გერმანელი ხალხის სასიკვდილო განაჩენი, „გადამწვარი მიწის" პრინციპის ყველაზე უფრო რადიკალური ფორმა. ამ ბრძანებით მე გათავისუფლებული ვიყავი ჩემი ყველა თანამდებობიდან და ჩემ მიერ გაცემული ყველა ბრძანება ინდუსტრიის შენარჩუნებასთან დაკავშირებით ბათილად იქნა გამოცხადებული. „განადგურების" ბრძანების შესრულება ამიერიდან გაულაიტერებს ეკისრებოდათ.

ჰიტლერის ულტიმატუმი

1945 წლის მარტის ბოლოს ჰიტლერის ორმა გადაწყვეტილებამ ცხადად დამანახა, რომ მან გადაწყვეტილება მიიღო, უკიდურესი ზომებისთვის მიემართა. 18 მარტს ვერმახტის ანგარიშში წავიკითხე, რომ ოთხი ოფიცერი სიკვდილით დასაჯეს - მათ ბრალად ის ედებოდათ, რომ რემაგენთან, რაინზე გამავალი ხიდი დროულად არ ააფეთქეს. არადა, მოდელმა სწორედ ორიოდე დღით ადრე მითხრა, ეს ოფიცრები სრულიად უდანაშაულოები არიანო. იმავე დღეს შევიტყვე, რომ ჰიტლერმა გენერალ-პოლკოვნიკ ფრომის სიკვდლით დასჯის ბრძანება გასცა.

22 მარტს ჰიტლერმა შეიარაღების საკითხებისადმი მიძღვნილ თათბირზე დამიბარა. გადავწყვიტე, თათბირზე არ წავსულიყავი და ჩემ მაგივრად ზაური გავგზავნე. როგორც შემდეგ თათბირის ოქმში ამოვიკითხე, ჰიტლერი და ზაური თურმე მხნედ და ოპტიმისტურად იხილავდნენ გერმანიის ჯარის შეიარაღების საკითხებს მაშინ, როცა სამხედრო წარმოება აღარ არსებობდა. ფიურერმა და ზაურმა ისე საქმიანად განიხილეს ეს პროექტები, თითქოს მთელი 1945 წელი მათ განკარგულებაში იყო.

როდესაც 21 მარტს შემატყობინეს, რომ ინგლისის ჯარებმა ყოველგვარი წინააღმდეგობის გარეშე დაიკავეს რურის ოლქის ჩრდილოეთი ნაწილი და რაინი გადმოლახეს, მაშინვე ჩემი მანქანის საჭეს მივუჯექი და რურის ოლქში გავემგზავრე. რურის ოლქის გადარჩენა ომის შემდგომი პერიოდის ყველაზე მნიშვნელოვანი ამოცანა იყო. რურის ოლქამდე ჯერ არ ვიყავი მისული, რომ ვესტფალიაში ჩემს მანქანას საბურავი დაეშვა და იძულებული გავხდი, ერთ პატარა სოფელში

გავჩერებულიყავი. საღამო ხანს იქაურ გლეხებს გამოველაპარაკე. ჩემდა გასაკვირად, შექმნილი ვითარების მიუხედავად, აქაურ მოსახლეობაში ჰიტლერისადმი ნდობა ჯერ კიდევ დიდი იყო: ჰიტლერი ომს ვერ წააგებს, ამბობდნენ გლეხები, მას კიდევ ექნება რეზერვში რაღაც, რასაც ბოლო წამს გამოიყენებს და სწორედ ამის შემდეგ მოხდება დიდი გარდატეხა; ის, რომ ჰიტლერი მოწინააღმდეგეს ასე ახლოს უშვებს, მხოლოდ მახეა! ამდაგვარ აზრებს არა თუ გლეხები, თვით მთავრობის წევრებიც გამოთქვამდნენ. ისინი დარწმუნებული იყვნენ, რომ ჰიტლერი უკანასკნელ მომენტში გამოიყენებდა სასწაულებრივ გამანადგურებელ იარაღს. ასე მაგალითად, ერთხელ ფუნკმა მკითხა: „ჩვენ ხომ გვაქვს განსაკუთრებული იარაღი? იარაღი, რომელიც ყველაფერს შეცვლის?“

იმავე ღამით დავიწყე დოქტორ როლანდთან მოლაპარაკება. დოქტორი როლანდი რურის ოლქის შტაბის ხელმძღვანელი იყო. შტაბის თანამშრომლების ანგარიში შეგზარავდათ: რურის ოლქის გაულაიტერები - ფლორიანი, ჰოფმანი და შლესმანი მზად იყვნენ, განადგურების ბრძანება შეესრულებინათ.

ამ ოპერაციის შედეგად რურის ოლქის ინდუსტრია გაურკვეველი ვადით გამოვიდოდა მწყობრიდან: ქვანახშირის საბადოები, შახტები წყლით უნდა ამოვსებულიყო, ცემენტით დატვირთული გემები უნდა ჩაეძირათ, რითაც ბლოკირებული იქნებოდა მიმოსვლა მდინარეებზე. აფეთქებითი სამუშაოების დაწყებას გაულაიტერები მეორე დილით აპირებდნენ, რადგანაც მოწინააღმდეგის ჯარი ჩრდილოეთის მხრიდან სწრაფი ტემპით მოიწევდა რურისკენ. მაგრამ გაულაიტერებს არასაკმარისი სატრანსპორტო საშუალება ჰქონდათ და მხოლოდ ჩემი ორგანიზაციის დახმარების იმედად იყვნენ; ასაფეთქებელი ნივთიერება, დეტონატორები და ბიკფორდის ზონარი შახტებში ეგულებოდათ.

როლანდმა რურის შტაბში ქვანახშირის შახტების 20 ყველაზე სანდო წარმომადგენელი მოიწვია. ხანმოკლე ერთობლივ თათბირზე ისე მშვიდად, თითქოს საქმე უმარტივეს ამბავს შეეხებოდა, გადაწყდა, შახტებში ასაფეთქებელი ნივთიერება, დეტონატორები და ბიკფორდის ზონრები ჩაეყარათ, რის შედეგადაც შახტების გამოყენება შეუძლებელი გახდებოდა. ჩვენს ერთ-ერთ თანამშრომელს ყველა ჩვენს განკარგულებაში არსებული მანქანების საწვავის მინიმალური მარაგით უზრუნველყოფა და მათი რურის ოლქიდან გამოყვანა დაევალა. როლანდსა და მის თანამშრომლებს ჩემი ორგანიზაციის კუთვნილ 50 ავტომატს შევპირდი ჰიდროელექტროსადგურებისა და სხვა მნიშვნელოვანი სამრეწველო ობიექტების გაულაიტერების გამანადგურებელი ჯარებისაგან დასაცავად. იარაღის ეს რაოდენობა გაბედული ვაჟკაცების ხელში, რომლებიც თავიანთ საწარმოს იცავდნენ, დიდ ძალას წარმოადგენდა. ჩვენ არც აჯანყებას გამოვრიცხავდით, რადგან რამდენიმე დღით ადრე პოლიციამ და პარტიულმა ფუნქციონერებმა მთელი თავიანთი იარაღი ჯარს გადასცეს.

გაულაიტერები ფლორიანი, ჰოფმანი და შლისმანი ჰაგენთან ახლოს მდებარე სოფელ რუმენოლში შეიკრიბნენ. მიუხედავად ჰიტლერის აკრძალვისა, მე კიდევ ერთხელ შევეცადე, გადამეფიქრებინა მათთვის განადგურების აქტის ჩადენა, მაგრამ ამაოდ: ფლორიანი ჯიუტად და პედანტურად იცავდა ფიურერისა და პარტიის ხაზს. ერთში მაინც გამიმართლა, ბოლოს და ბოლოს, ჰოფმანი და შლისმანი, როგორც იქნა, დავიყოლიე.

ბრძანების შესასრულებლად მილიონობით ადამიანის ევაკუაცია რაინის დასავლეთ სანაპიროდან და რურის ოლქიდან ანუ მანჰაიმიდან და ფრანკფურტიდან მხოლოდ ნაკლებად დასახლებულ ადგილებში, პირველ რიგში კი, თიურინგიასა და მდინარე ელბის ქვემო წელისკენ იყო შესაძლებელი. როგორ უნდა მოგვეხდინა ცუდად ჩაცმული და მშიერი მოსახლეობის ევაკუაცია იმ რაიონებში, სადაც არც სანიტარული და საცხოვრებელი ნაგებობები არსებობდა და არც სურსათი იშოვებოდა?! შიმშილი, ეპიდემიები და სიღატაკე გარდაუვალი იყო.

შეკრებილმა გაულაიტერებმა ერთხმად აღიარეს, რომ პარტიას ბრძანების შესასრულებლად აღარანაირი საშუალება აღარ გააჩნდა. ჰოფმანი და შლისმანი დამეთანხმნენ იმაში, რომ რურის ოლქში წარმოების გაგრძელებას თავდაცვითი მნიშვნელობა ჰქონდა, მით უფრო, რომ ამ გზით საჭირო ამუნიციას ადგილზევე მივაწვდიდით რურისკენ დაძრულ ჩვენს საბრძოლო შენაერთებს. ჰიდროელექტროსადგურების განადგურება, რაც მეორე დღეს უნდა დაწყებულიყო, გადაიდო. ბრძანება მათი განადგურების შესახებ შევცვალე ბრძანებით მათი კონსერვაციის შესახებ.

მაშინვე შევხვდი ფელდმარშალ მოდელს მის შტაბ-ბინაში. მოდელმა გამოთქვა მზადყოფნა, ბრძოლები ინდუსტრიული ობიექტებიდან მოშორებით ეწარმოებინა, რითაც საგრძნობლად შემცირდებოდა მათი აფეთქებისა და დაზიანების საშიშროება.

მოდელისგან შევიტყვე, რომ ამერიკის ჯარი უკვე ფრანკფურტისკენ მიიწევდა ფორმარშით, რომ ფრონტის ხაზის ზუსტი განსაზღვრა უკვე შეუძლებელი იყო და კესელრინგის შტაბ-ბინაც ღამით აღმოსავლეთით გადაეტანათ. მაშინვე გავეშურე ნაუჰაიმში - კესელრინგის ძველ შტაბ-ბინაში, სადაც შტაბის უფროსს - გენერალ ვესტფალს შევხვდი. ვესტფალი დამპირდა, რომ განადგურების ბრძანებას ზომიერების ფარგლებში შეასრულებდა.

თვით უმაღლესი მთავარსარდლის შტაბის უფროსსაც კი არ გააჩნდა ინფორმაცია იმის შესახებ, თუ რამდენად წაიწია წინ მოწინააღმდეგემ გასული ღამის განმავლობაში, ამიტომ ჩვენ შემოვლითი გზებით ჩავედით ჰაიდელბერგში.

ჰაიდელბერგის შეიარაღების შტაბში ბადენის გაულაიტერს - ვაგნერს უკვე მზად ჰქონდა ბრძანებები ჩემს მშობლიურ ქალაქ ჰაიდელბერგსა და ბადენის სხვა ქალაქებში წყლისა და გაზის გაყვანილობის მწყობრიდან გამოყვანის შესახებ. ამ

კატასტროფის თავიდან ასაცილებლად ერთ მარტივ ხერხს მივმართეთ: ბრძანებები, როგორც წესი იყო, ისე გავაფორმეთ და ჩავყარეთ ქალაქის საფოსტო ყუთში. ქალაქი უმოკლეს ხანში მოწინააღმდეგის ხელში უნდა გადასულიყო.

ღამით ჰაიდელბერგის ობერბიურგერმაისტერს - დოქტორ ნაინჰაუზს ვესაუბრე და ვთხოვე, ჩემი მშობლიური ქალაქისთვის უკანასკნელი სამსახური გაეწია: მას ჰაიდელბერგი ქალაქ-ლაზარეთად უნდა გამოეცხადებინა და უბრძოლველად ჩაებარებინა მოწინააღმდეგისათვის. გამთენიისას ჩემს მშობლებთან მივედი გმოსათხოვებლად. ჩვენი ერთად ყოფნის ამ ბოლო საათების განმავლობაში დედაჩემი და მამაჩემი სიმშვიდესა და სულის სიმტკიცეს არ კარგავდნენ, ისევე, როგორც ტანჯული გერმანელი ხალხის უმეტესობა. როდესაც მანქანას ვძრავდი, ორივენი სახლის კართან იდგნენ; უეცრად მამაჩემმა მანქანასთან მოირბინა, უკანასკნელად ჩამომართვა ხელი და უხმოდ ჩამხედა თვალებში: ორივე მივხვდით, რომ ვეღარასოდეს ვნახავდით ერთმანეთს.

ჰაიდელბერგიდან ვიურცბიურგისკენ გავემგზავრე, შემდეგ თიურინგიის ქალაქები და სოფლები შემოვიარე. 27 მარტს გვიან საღამოს ბერლინში ჩავედი, სადაც სიტუაცია შეცვლილი დამხვდა.

ჰიტლერმა SS-ის გრუპენფიურერი კამლერი დანიშნა პასუხისმგებლად ყველა თანამედროვე ტიპის თვითმფრინავის დაპროექტებისა და წარმოების საქმეში, რითაც მე ჩამომერთვა კომპეტენცია საჰაერო ძალების შეიარაღების საკითხებში. ეს ახალი დანიშვნა პარტიული და საორგანიზციო თვალსაზრისითაც იწვევდა ქაოსს - გამოდიოდა, რომ კამლერს სამინისტროში ჩემს თანამშრომლებთან ერთად უნდა ემუშავა და არც გერინგს ექვემდებარებოდა და არც მე. ფონ პოზერმა შემატყობინა, რომ ჰიტლერმა გუდერიანი გაათავისუფლა - ოფიციალური ვერსიით, ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუარესების გამო, მაგრამ შტაბ-ბინაში ყველამ იცოდა, რომ გუდერიანი აღარ დაბრუნდებოდა.

ამას გარდა, რამდენიმე კეთილმოსურნემ საიდუმლოდ შემატყობინა, რომ შეიარაღება ზაურს ჩააბარეს, რომელიც ჰიმლერის დაქვემდებარებაში იმუშავებდა. ყოველივე ეს იმაზე მიუთითებდა, რომ ჰიტლერმა ჩემი თავიდან მოცილება გადაწყვიტა. მალე შაუბმა დამირეკა და ჩემთვის უცხო, მკაცრი ხმით მიბრძანა, საღამოს ჰიტლერთან გამოვცხადებულიყავი.

როდესაც მიწის ქვეშ ღრმად დაფარულ ბუნკერში ჰიტლერის კაბინეტისკენ მივყავდი, თავი უხერხულად ვიგრძენი. ჰიტლერი მარტო იყო. იგი ძალიან ცივად შემხვდა, ხელი არ გამომიწოდა, ჩემს სალამზე პასუხი ძლივს გამცა და მშვიდი, მაგრამ მკაცრი ხმით მაშინვე საქმეზე გადავიდა: „ბორმანისაგან შევიტყვე, რომ თქვენ რურის ოლქში გაულაიტერებთან მოლაპარაკებები გიწარმოებიათ. თქვენ თურმე მოუწოდეთ მათ, რომ ჩემი ბრძანებები არ შეესრულებინათ და გამოუცხადეთ, რომ ომი წაგებულია. აცნობიერებთ თუ არა იმას, რა შედეგი მოჰყვება ყოველივე ამას?“

შემდეგ თითქოს რაღაც გაახსენდაო, ხმა შეურბილდა, დაძაბულობა მოეხსნა და როგორც სრულიად ნორმალურმა ადამიანმა, ისე მითხრა: „თქვენ რომ ჩემი არქიტექტორი არ ყოფილიყავით, ისეთ ზომებს მივმართავდი, როგორსაც სხვა შემთხვევაში.“ ნაწილობრივ სიჯიუტისა და ნაწილობრივ გადაღლილობის გამო, უფრო იმპულსურად, ვიდრე ვაჟკაცურად, ვუპასუხე: „მიმართეთ იმ ზომებს, რომელთაც საჭიროდ ჩათვლით და ნურავითარ შეღავათს ნუ გამიწევთ.“

ჩემმა სიტყვებმა ჰიტლერი, ცოტა არ იყოს, დააბნია. სიჩუმე ჩამოვარდა. შემდეგ კი ფიურერმა, როგორც მე მომეჩვენა, კარგად აწონ-დაწონა და თავაზიანად განაგრძო: „თქვენ გადაიღალეთ და ავად ხართ. ამიტომ მე თქვენი შვებულებაში გაშვება გადავწყვიტე. სამინისტროში ვინმე შეგცვლით“. „არა, მე თავს ჯანმრთელად ვგრძნობ,“ - ვუპასუხე გადაჭრით, - „შვებულებაში არ გავალ. თუ თქვენ მინისტრად აღარ გინდივართ, გამათავისუფლეთ დაკავებული თანამდებობიდან.“ ეს ვთქვი თუ არა, გამახსენდა, რომ ჰიტლერმა ამ გადაწყვეტილებაზე ერთი წლის წინ ერთხელ უკვე თქვა უარი. ჰიტლერმა მკაცრად და უაპელაციოდ მიპასუხა: „მე თქვენი გათავისუფლება არ მინდა, მაგრამ დაჟინებით მოვითხოვ, რომ თქვენ დაუყოვნებლივ გახვიდეთ შვებულებაში და თქვენს ჯანმრთელობას მიხედოთ.“ მე ჯიუტად ვიცავდი ჩემს პოზიციას: „ეს შეუძლებელია, მე ვერ ვიქნები მინისტრი და ვერ ვიტვირთავ პასუხისმგებლობას იმ შემთხვევაში, თუ ჩემი სახელით სხვა იმოქმედებს“. მცირე პაუზის შემდეგ უფრო შემრიგებლური ტონით დავამატე: „არ შემიძლია, ჩემო ფიურერო!“ ასე პირველად მივმართე. ჰიტლერი არც კი შერხეულა: „თქვენ სხვა გამოსავალი არა გაქვთ. მე არ შემიძლია თქვენი გათავისუფლება!“ შემდეგ კი, თითქოს მანაც სისუსტე გამოავლინაო, დაამატა: „საშინაო და საგარეო პოლიტიკური მოსაზრებით თქვენი გაშვება არ შემიძლია.“ მე გავმხნევდი და მივუგე: „შვებულებაში ვერ გავალ. სანამ ამ თანამდებობაზე ვარ, სამინისტროს საქმიანობას მე გავუძღვები. მე ავად არა ვარ!“

ხანგრძლივი პაუზა ჩამოვარდა. ჰიტლერი დაჯდა. მეც დავჯექი, თუმცა არავის შემოუთავაზებია. ჰიტლერმა მშვიდი და შემრიგებლური ტონით განაგრძო: „შპეერ, თუ თქვენ დარწმუნებული ხართ, რომ ომი არ წაგვიგია, მაშინ შეგიძლიათ, თქვენს თანამდებობაზე დარჩეთ“.

და რადგან მე ხმას არ ვიღებდი და მას თვალს არ ვაცილებდი, ჰიტლერმა თავისი მოთხოვნა მოულოდნელად ასე ჩამოაყალიბა: „თქვენ რომ გჯეროდეთ, რომ ომის მოგება ჯერ კიდევ შესაძლებელია, თქვენ რომ ეს გჯეროდეთ მაინც, მაშინ ყველაფერი კარგად იქნებოდა“. ჰიტლერმა ეს სიტყვები მუდარით სავსე ხმით წარმოთქვა. ჰიტლერის თავის მხარეს გადმაბირების ოსტატურ ნიჭს მხოლოდ იმით გადავურჩი, რომ მისი განადგურების ბრძანებები და განზრახვები კარგად მახსოვდა. ამიტომ გადაჭრით ვუპასუხე: „არ შემიძლია! როგორც არ უნდა მთხოვოთ, არ შემიძლია. გარდა ამისა, არ მინდა, დავემსგავსო თქვენი გარემოცვის იმ ღორებს, რომლებიც გარწმუნებენ, რომ გამარჯვებისა სჯერათ, მაშინ როდესაც მათ ამისი არ სჯერათ.“

ჰიტლერმა ჩემი ნათქვამი ურეაქციოდ დატოვა. ერთხანს რაღაცას დააშტერდა, შემდეგ კი თქვა: „უნდა გჯეროდეთ, რომ ყველაფერი კარგად დამთავრდება. გაქვთ ომის წარმატებული გაგრძელების იმედი თუ თქვენი რწმენა შეირყა?“ ისევ ხანგრძლივი დუმილი ჩამოვარდა. უცბად ჰიტლერი წამოდგა და ისევ მკვახედ წარმოთქვა: „24 საათს გაძლევთ! იფიქრეთ თქვენს პასუხზე! ხვალ მეტყვით, გაქვთ თუ არა იმის იმედი, რომ ჩვენ ომს მაინც მოვიგებთ.“ ხელიც კი არ ჩამოურთმევია ჩემთვის, ისე გამომიშვა.

ჩემს დროებით ბინაში რომ დავბრუნდი, წამოვწექი და ჩავფიქრდი, როგორ და რა უნდა მეპასუხა ჰიტლერის 24-საათიან ულტიმატუმზე. ბოლოს გადავწყვიტე, წერილი დამეწერა. წერილის ტექსტი იმ სიტყვებით დავასრულე, რომლებიც, ჩემი აზრით, პასუხი იყო ჰიტლერის კითხვაზე: „შეუძლებელია, ჩვენი საქმის წარმატებული დასასრულის იმედი მქონდეს, თუ თქვენ ამ გადამწყვეტი თვეების განმავლობაში ჩვენი ხალხის გადარჩენისთვის აუცილებელ ობიექტებს მეთოდურად გავანადგურებთ. ეს იმდენად დიდი უსამართლობაა ჩვენი ხალხის წინაშე, რომ განგება ზურგს შეგვაქცევს. ამიტომ მოგმართავთ თხოვნით, არ მიაყენოთ ეს დარტყმა გერმანელ ხალხს. თუკი თქვენ გადაწყვეტილებას მიიღებთ და გერმანელ ერს უბედურებას თავიდან ააცილებთ, მაშინ მე კვლავ ვიწამებ, რომ ჩვენი საქმე წარმატებით დასრულდება და მაქსიმალური ენერგიით გავაგრძელებ ჩემს საქმიანობას.

წერილი იმ დროისათვის მიღებული ფორმით - „ჰაი, ჩემო ფიურერო!“ - კი არ დავასრულე, არამედ სიტყვებით: „ღმერთი იყოს გერმანიის მფარველი.“ რადგან, ჩემი ღრმა რწმენით, გერმანელ ხალხს მხოლოდ ღმერთის იმედიღა რჩებოდა.

წერილი დასაბეჭდად ჰიტლერის მდივანს გადავეცი. ცოტა ხანში მდივანი ტლეფონით დამიკავშირდა: „ფიურერმა ამიკრძალა თქვენი წერილების მიღება. მას თქვენი ნახვა და Qთქვენი პასუხის პირადად მოსმენა სურს:“ რამდენიმე ხანში მივიღე ბრძანება, ჰიტლერთან გამოვცხადებულიყავი.

შუაღამისას დანგრეულ ვილჰემშტრასეზე რაიხის კანცელარიისკენ მივდიოდი. რამდენიმე ასეული მეტრი უნდა გამევლო, მე კი არ ვიცოდი, როგორ მოვქცეულიყავი და რა პასუხი გამეცა ფიურერისათვის. ულტიმატუმის 24 საათი ამოიწურა, პასუხი კი არ მქონდა.

ჰიტლერი ჩემ წინ იდგა - იგი თითქოს დაბნეული იყო, შეშინებულიც კი ჩანდა და მოკლედ მკითხა: „აბა?!“ რამდენიმე წამით დავიბენი, პასუხი მზად არ მქონდა, მაგრამ შემდეგ, უფრო იმიტომ რომ რაღაც მაინც მეთქვა, სრულიად დაუფიქრებელი და არაფრის მთქმელი რამ აღმომხდა: „ჩემო ფიურერო, მე ულაპარაკოდ თქვენს გვერდით ვარ.“

ჰიტლერმა არაფერი მიპასუხა, მაგრამ ჩემმა პასუხმა იგი შეძრა. ცოტაოდენი ყოყმანის შემდეგ მან ხელი გამომიწოდა, თვალები წყლით აევსო, რაც ბოლო ხანებში ხშირად ემართებოდა. „მაშინ ყველაფერი კარგად არის," - თქვა მან. აშკარა იყო, შვებით ამოისუნთქა. მისმა მოულოდნელმა თბილმა რეაქციამ ცოტა ხნით მეც კი ამიჩუყა გული. თითქოს ჩვენს შორის ძველი ურთიერთობა აღდგა. სიტუაციით ვისარგებლე და განვაგრძე: „და თუკი მე თქვენს გვერდით ვარ, მაშინ გაულაიტერების ნაცვლად მე უნდა დამავალოთ თქვენი ბრძანების სისრულეში მოყვანა." ჰიტლერმა დამავალა, შემედგინა შესაბამისი დოკუმენტი, რომელზეც დაუყოვნებლივ აპირებდა ხელის მოწერას, მაგრამ იგი კვლავ ჯიუტად მოითხოვდა სამრეწველო ობიექტებისა და ხიდების განადგურებას. ამის შემდეგ დავემშვიდობე. ამასობაში ღამის პირველი საათი შესრულდა.

აპრილის პირველ ნახევარში ბერლინში მოულოდნელად, ყოველგვარი დაპატიჟების გარეშე, ევა ბრაუნი ჩამოვიდა და გამოაცხადა, რომ ამიერიდან მუდამ ჰიტლერის გვერდით იქნებოდა. ჰიტლერი სთხოვდა, მიუნხენში დაბრუნებულიყო და მეც შევთავაზე, ჩვენი თვითმფრინავით ესარგებლა. მაგრამ ევა ბრაუნმა ყველაფერზე გადაჭრით განაცხადა უარი. ბუნკერში ყველა გრძნობდა, რისთვისაც ჩამოვიდა. ევა ბრაუნის სახით ბუნკერში რეალურადაც და ფიგურალურადაც სიკვდილის მაცნე დასახლდა.

ჰიტლერის პირადმა ექიმმა, დოქტორმა ბრანდტმა თავისი ცოლ-შვილი თიურინგიაში ამერიკელებთან გადაიყვანა. ამის გამო ჰიტლერმა იგი გაასამართლა და სასიკვდილო განაჩენი გამოუტანა.

ამ მოულოდნელი შემთხვევის გამო, ცოტა არ იყოს, დავფრთხი, რადგან 6 აპრილს ოჯახი მეც ჰოლშტაინში, ბალტიის ზღვისპირეთში კაპელნის მახლობლად მდებარე მამულში გავხიზნე. ახლა კი ირკვეოდა, რომ ეს დანაშაული ყოფილა. როდესაც ჰიტლერმა ევა ბრაუნის პირით მოიკითხა ჩემი ოჯახი და დაინტერესდა, სად იყვნენ ჩემი ოჯახის წევრები, მოვიტყუე და ვუთხარი, რომ ისინი ბერლინის მახლობლად ჩვენი ერთი მეგობრის სახლში იმყოფებოდნენ. ამ განმარტებამ ჰიტლერი დააკმაყოფილა; მან პირობა ჩამომართვა, რომ მეც ჩემი ოჯახით ობერზალცბერგში ჩავიდოდი, როდესაც ფიურერი იქ გადავიდოდა. იმხანად ჰიტლერს ჯერ კიდევ განზრახული ჰქონდა უკანასკნელი ბრძოლისთვის ეგრეთ წოდებული ალპების ციხესიმაგრიდან ეხელმძღვანელა.

გოებელსმა კი გამომიცხადა, რომ იმ შემთხვევაშიც კი, თუ ჰიტლერი ბერლინს დატოვებდა, თვითონ მაინც ბრლინში დაელოდებოდა თავის აღსასრულს: „ჩემმა ცოლმა და შვილებმა ჩემი სიკვდილის შემდეგ არ უნდა იცოცხლონ. ამერიკელები მათ თავიანთ ჭკუაზე გადაიყვანენ და ჩემს წინააღმდეგ გამოიყენებენ."

აპრილის შუა რიცხვებში შვანენვერდერში გოებელსთან სტუმრობის დროს ქალბატონმა გოებელსმა გამიზიარა თავისი შეძრწუნება და წუხილი მისი შვილების

ბედით, მაგრამ, ამავე დროს ისიც მითხრა, რომ ის წინააღმდეგობას ვერ უწევდა ქმრის გადაწყვეტილებას. რამდენიმე დღის შემდეგ მე ქალბატონ გოებელსს შევთავაზე, რომ გადამწყვეტ მომენტში, ღამით ჩვენი გემით მივადგებოდით ყურეს გოებელსის ვილასთან და ბორტზე საიდუმლოდ ავიყვანდით მას და მის შვილებს, გემბანის ქვეშ დავმალავდით და ელბის დასავლეთ სანაპიროზე გადავიყვანდით.

ბრძოლა ბერლინისთვის წინ გველოდა. ჰიტლერმა ბერლინის სამხედრო კომენდანტი გენერალი რაიმანი თავისთან დაიბარა. მან დაიბარა ასევე გენერალ-პოლკოვნიკი ჰაინრიკი, ჯარების იმ ნაწილის მთავარსარდალი, რომელიც მდინარე ოდერის გასწვრივ დაახლოებით 100 კილომეტრის მანძილზე, ბალტიის ზღვიდან ოდერის ფრანკფურტამდე იყო განლაგებული. ჰაინრიკს დიდი ხანია, ვიცნობდი. ცოტა ხნით ადრე სწორედ ის დამეხმარა რიბნიკის ქვანახშირის საბადოს გადარჩენაში. როდესაც რაიმანმა დაიჟინა, რომ ყველაფერი მოემზადებინათ ბერლინის ყველა ხიდის ასაფეთქებლად, 15 აპრილს, ანუ რუსების დიდ შეტევამდე ერთი დღით ადრე, მე პრენცლაუში, ჰაინრიკის შტაბ-ბინაში გავემგზავრე. თან მახლდნენ ბერლინის ქუჩებისა და მიწისქვეშა კომუნიკაციების ინჟინერი, მრჩეველი ლანგერი და ბერლინის რაიხის რკინიგზის პრეზიდენტი ბეკი. ჰაინრიკმა, ჩემი თხოვნით, თათბირზე რაიმანიც მოიწვია.

ორივე სპეციალისტმა - ლანგერმა და ბეკმა - დაასაბუთა, რომ დაგეგმილი აფეთქებები ბერლინის სიკვდილს ნიშნავდა. ქალაქის კომენდანტი ჰიტლერის ბრძანებას იმოწმებდა, რომლის თანახმადაც ბერლინი ყველა საშუალებით უნდა დაეცვა და ამბობდა, მე უნდა ვიბრძოლო, ამისთვის კი ხიდები უნდა ავაფეთქოო.

გენერალმა რაიმანმა მომახსენა, რომ თუ ბრძოლები ქალაქის ცენტრში გაიმართებოდა, იქაც ააფეთქებდა ყველა ხიდს. მე ვუთხარი, რომ თუ ბერლინი საფუძვლიანად დაინგრეოდა, ყველანაირი წარმოება გაურკვეველი დროით შეწყდებოდა. მრეწველობის გარეშე კი ომი წაგებული იყო. გენერალი რაიმანი დაიბნა. ჩვენი შეხვედრა უშედეგოდ დასრულდებოდა, რომ არა გენერალ-პოლკოვნიკ ჰაინრიკის ბრძანება, რომლის თანახმადაც ბერლინის რამდენიმე სარკინიგზო და სატრანსპორტო მნიშვნელოვანი სასიცოცხლო არტერიიდან უნდა მოეშორებინათ ასაფეთქებელი ნივთიერებები, ხოლო ხიდები მხოლოდ გადამწყვეტი საბრძოლო მოქმედებების დროს აეფეთქებინათ.

მას შემდეგ, რაც თანამშრომლები ოთახიდან დავითხოვეთ, ჰაინრიკმა პირისპირ საუბარში მითხრა: „ამ დადგენილების თანახმად, ბერლინში არც ერთი ხიდი არ აფეთქდება, რადგან ბერლინთან ბრძოლა არ გაიმართება. იმ შემთხვევაში, თუ რუსები ბერლინში შემოჭრას მოახერხებენ, ჩვენი ჯარების ერთი ფლანგი ჩრდილოეთისკენ გადაინაცვლებს, მეორე კი - სამხრეთისკენ. ჩრდილოეთით ჩვენ აღმოსავლეთ-დასავლეთ არხების სისტემას დავეყრდნობით. აი, აქ ხიდებს ვეღარ შევინარჩუნებ.“ მე სათქმელს მივუხვდი: „ესე იგი, ბერლინს მალე აიღებენ?“ გენერალ-

პოლკოვნიკმა მიპასუხა: „ყოველ შემთხვევაში, უმნიშვნელო წინააღმდეგობის გაწევის შემდეგ.“

მეორე დღეს, 16 აპრილს დილაუთენია გამაღვიძეს. პოლკოვნიკ ფონ პოზერს და მე გადაწყვეტილი გვქონდა, ვირცენთან მდებარე ამაღლებული გორაკიდან გვეყურებინა ამ ომის გადამწყვეტი ბრძოლისთვის - საბჭოთა ჯარების შეტევისათვის ბერლინზე. სქელი ნისლის გამო ძნელი იყო რაიმეს დანახვა. ერთმა მეტყევემ ამბავი მოგვიტანა, ჩვენი ჯარები უკან იხევენ და რუსები მალე აქ იქნებიანო. ჩვენც სასწრაფოდ გავეცალეთ იქაურობას. უკან დახევისას ნიდერფენოვთან მდებარე დიდ გემთსაშენ ქარხანასთან ჩავიარეთ. ლეტენანტმა გვიპატაკა, რომ აფეთქებისთვის ყველაფერი მზად იყო. როგორც ჩანს, აქ ჯერ კიდევ ჰიტლერის 19 აპრილის ბრძანებით ხელმძღვანელობდნენ. როდესაც ლეიტენანტს ფონ პოზერმა განკარგულება მისცა, არ აეფეთქებინა, ლეიტენანტმა შვებით ამოისუნთქა. 30 კილომეტრის გავლის შემდეგ გერინგის მამულში - იდუმალი ტყეებით მოცულ შორფჰაიდეში აღმოვჩნდით. ჩემი თანმხლები პირები გავუშვი, ხის ძირკვზე ჩამოვჯექი და კალმის ერთი მოსმით დავწერე სიტყვა-მიმართვა, რომლითაც მსურდა, აჯანყებისაკენ მომეწოდებინა, ყოველგვარი მიკიბ-მოკიბვის გარეშე ამეკრძალა ფაბრიკების, ხიდების, კანალიზაციის სისტემის, წყალგაყვანილობის, სარკინიგზო, რადიო-ტელეგრაფების ობიექტების განადგურება-მოსპობა; მინდოდა მომეწოდებინა, რომ ვერმახტის ჯარისკაცებს ყველა საშუალებით, უკიდურეს შემთხვევაში, ცეცხლსასროლი იარაღის გამოყენებითაც კი არ დაეშვათ მათი განადგურება. ამავე მოწოდებაში ვითხოვდი მოწინააღმდეგის ჯარისათვის პოლიტიკური პატიმრებისა და ებრაელების გადაცემას. იმისკენაც მოვუწოდებდი, რომ ტყვეებისა და უცხოელი მუშებისთვის არ შეეშალათ ხელი, სამშობლოში დაბრუნებულიყვნენ. ჩემი სიტყვა კრძალავდა ვერვოლფის[132] საქმიანობას და ქალაქებისა და დასახლებული პუნქტების უბრძოლველად ჩაბარებისკენ მოუწოდებდა.

პოზერის მეშვეობით ჩემი სიტყვის ტექსტი გადავეცი ბერლინის რადიოსადგურის გენერალურ დირექტორს - დოქტორ რიხარდ ფიშერს. ფიშერი ყოველდღიურად უშვებდა ეთერში ვერვოლფის გადაცემებს; ჩემი განკარგულების თანახმად, ბოლო საეთერო გადაცემა სწორედ ჩემი გამოსვლა უნდა ყოფილიყო, რომელიც კრძალავდა ვერვოლფის საქმიანობას.

19 აპრილის საღამოს ბუნკერში გამართულ სამხედრო თათბირზე ჰიტლერმა განაცხადა თავისი გადაწყვეტილების შესახებ - ყველა სარეზერვო ძალის გამოყენებით ეწარმოებინა გადამწყვეტი ბრძოლა რაიხის დედაქალაქის დასაცავად.

განადგურება

მეჩვენებოდა, რომ ბოლო ორი წლის მანძილზე რაღაცნაირად გახევებული ჰიტლერი თავისი სიცოცხლის უკანასკნელ კვირებში ისევ გამოცოცხლდა. ის კვლავ კომუნიკაბელური ჩანდა და თითქოს იმისთვისაც მზად იყო, რომ თავისი გადაწყვეტილებების შესახებ ემსჯელა. ჯერ კიდევ 1944 წლის ზამთარში ეს სრულიად წარმოუდგენელი იყო. ახლა კი ჰიტლერი მზად იყო, ჩაბმულიყო დისკუსიაში ომის პერსპექტივების შესახებ და კონტრარგუმენტებიც მოესმინა. მისი ეს მდგომარეობა შინაგანი თავისუფლებით არ აიხსნებოდა, პირიქით, ახლა იგი იმ ადამიანს დაემსგავსა, რომლის მთელი ცხოვრების ნამოღვაწარი განადგურდა, გაცამტვერდა, მაგრამ იგი ინერციით აგრძელებდა სვლას გატკეპნილ გზაზე მასში დაგროვილი ენერგიის ხარჯზე. სინამდვილეში ჰიტლერი ბედს უკვე შეგუებული იყო.

ჰიტლერი ისეთ შთაბეჭდილებას ტოვებდა, თითქოს მას არსი გამოსცლოდა. ზოგჯერ ჩემს თავს ვეკითხები, ხომ არ იყო ეს მიუწვდომლობა, ეს უარსებითობა - თვისება, რომელიც მას სიყრმიდანვე ახასიათებდა და სიკვდილამდე გაჰყვა. თუ ეს ასეა, მაშინ ადვილი ასახსნელია, რატომ შეიპყრო ძალადობის ჟინმა გაათმაგებული ძალით; თანაც ამას არანაირი ადამიანური გრძნობა არ დაუპირისპირდა. ვერავინ მოახერხებდა ჰიტლერის არსთან მიახლოებას - მისი არსი მკვდარი იყო, ცარიელი.

ამავე დროს ეს იყო მოხუცი კაცის უსუბსტანციურობა. ამ მოხუც კაცს ხელ-ფეხი უკანკალებდა, იგი წელში მოხრილი დადიოდა და ფეხებსაც მიათრევდა; მისმა ხმამ სიმტკიცე დაკარგა; ახლა იგი ნაწყვეტ-ნაწყვეტად ლაპარაკობდა, თითქმის ჩურჩულით და ხმა სულ მთლად ეკარგებოდა, როცა აღელდებოდა, როგორც ეს მოხუცებს სჩვევიათ. ძველებურად ხშირად ჯიუტობდა, მაგრამ ამჯერად მისი სიჯიუტე აღარ მაგონებდა ბავშვისთვის დამახასიათებელ უზნეობას, ეს ღრმად მოხუცებული ადამიანისთვის ჩვეულ თვისებას უფრო ჰგავდა. სახე შეშუპებოდა და მკვდრის ფერი ედო, მისი უნიფორმა, ადრე მუდამ სუფთა და უზადოდ მოვლილი, სიცოცხლის ბოლო პერიოდში მოუწესრიგებელი და დალაქავებული იყო.

ჰიტლერის ასეთი მდგომარეობა შოკს ჰგვრიდა მის გარემოცვას, იმ გარემოცვას, რომელიც მისი აღმავლობის წლებშიც მის გვერდით იყო და მაშინდელი ჰიტლერიც კარგად ახსოვდა. მეც კი მემუქრებოდა იმის საფრთხე, რომ ამ გულის ამაჩუყებელი კონტრასტის მსხვერპლი გავმხდარიყავი. იქნებ, სწორედ ამიტომ უსმენდა მას მისი გარემოცვა უსიტყვოდ, როდესაც ჰიტლერი სრულიად უიმედო მდგომარეობაში კვლავინდებურად იძლეოდა განკარგულებებს უკვე არარსებული დივიზიების ფრონტზე გასაგზავნად, ბრძანებდა, ტვირთი გადაეზიდათ თვითმფრინავებით, რომლებიც საწვავის უქონლობის გამო ვერაფრით ვერ აფრინდებოდნენ. ალბათ, სწორედ ამიტომ არ აწყვეტინებდნენ მას სიტყვას, როდესაც ჰიტლერი ამგვარი თათბირების დროს სულ უფრო და უფრო შორდებოდა რეალობას და საკუთარი

ფანტაზიების სამყაროში ეფლობოდა; ასეთ დროს იგი საუბრობდა იმ დიდ განხეთქილებაზე, რომელიც დასავლეთსა და აღმოსავლეთს შორის უნდა მომხდარიყო; ამ განხეთქილების გარდაუვალობაში ჰიტლერი თავად დარწმუნებული იყო და მუდარით სავსე ხმით ცდილობდა, ამაში თავისი გარემოცვაც დაერწმუნებინა.

ჰიტლერი კვლავინდებურად ამტკიცებდა, რომ მხოლოდ მას შესწევს ძალა, თავისი პიროვნული თვისებებითა და უნარით, დასავლეთთან ერთად ბოლშევიზმიც გაანადგუროს. გასაოცარია, მაგრამ ამგვარი განცხადებები მისი გარემოცვისთვის დამაჯერებლად ჟღერდა, განსაკუთრებით კი ის, რომ, როგორც ფიურერი ამბობდა, იგი მზადაა თავისი სიცოცხლის უკანასკნელი საათები იმ საქმეს შესწიროს, რომელიც შექმნილ ვითარებაში გარდატეხას შეიტანს. ის თავშეკავებულობა და პათოსი, რომლითაც ჰიტლერი ამ განცხადებებს აკეთებდა, მის გარემოცვაში, ერთი მხრივ, მისდამი თანაგრძნობის გრძნობას ბადებდა, ხოლო მეორე მხრივ - მისდამი პატივისცემას ერთი-ორად ზრდიდა.

სამაგიეროდ, პირად ურთიერთობებში ჰიტლერი უფრო უშუალო და კომუნიკაბელური გახდა. ბევრი რამით იგი იმ ძველ ჰიტლერს მაგონებდა, რომელიც 12 წლის წინ გავიცანი, ოღონდ იმ განსხვავებით, რომ ამჯერად ჩემს წინ იმ ჰიტლერის აჩრდილი იდგა. ჰიტლერი კეთილგანწყობას იმ რამდენიმე ქალბატონის მიმართაც ინარჩუნებდა, რომლებიც მრავალი წლის მანძილზე მის გარშემო ტრიალებდნენ. განსაკუთრებული სიმპათიით ჰიტლერი მისი ომში დაღუპული მსახურის ქვრივს - ქალბატონ იუნგეს ეპყრობოდა, ასევე მისი დიეტური კერძების მზარეულს, რომელიც ვენიდან თვითონ ჩამოიყვანა და თავის ორ მდივან ქალს, ქალბატონ ვოლფს[133] და ქალბატონ ქრისტიანს, რომლებიც დიდი ხანია, რაც მასთან მუშაობდნენ. ჰიტლერის სიცოცხლის უკანასკნელ დღეებში ეს ადამიანები შეადგენდნენ მის პირად გარემოცვას. რამდენიმე თვის განმავლობაში ჰიტლერი ამ ადამიანების საზოგადოებაში საუზმობდა, სადილობდა, ვახშმობდა, მათთან ერთად სვამდა ჩაის. მამაკაცები ამ ვიწრო წრეში თითქმის არ იყვნენ. მეც კი აღარ მეპატიჟებოდნენ ჰიტლერის სუფრასთან. სხვათა შორის, ევა ბრაუნის ჩამოსვლამ რამდენიმე ცვლილება შეიტანა ჰიტლერის ცხოვრების ჩვეულ რიტმში, მაგრამ მას არც ამის შემდეგ გაუწყვეტია კავშირი თავისი გარემოცვის დანარჩენ მანდილოსნებთან. ჰიტლერს, ალბათ, ერთგულებაზე ის მარტივი წარმოდგენა იზიდავდა, რაც, მისი აზრით, გაჭირვების ჟამს ქალებს უფრო ახასიათებთ, ვიდრე მისი შტაბის წევრ მამაკაცებს, რომელთაც ის ხშირად არ ენდობოდა. გამონაკლისს მხოლოდ ბორმანი, გოებელსი და ლაი წარმოადგენდნენ - მათ ერთგულებაში ჰიტლერი ბოლომდე იყო დარწმუნებული.

ამგვარი სქემატური ჰიტლერის გვერდით განკარგულებების მიღებისა და გაცემის აპარატი მექანიკურად აგრძელებდა ფუნქციონირებას, მიუხედავად იმისა, რომ ამ აპარატის ინიციატორს ძველებური ენერგია აღარ ჰქონდა. ინერციით მუშაობდა

გენერალიტეტიც, რომელიც ამ უკანასკნელ სტადიაშიც ისევ გაკვალული გზით მიიწევდა წინ, მიუხედავად იმისა, რომ ჰიტლერის ნებამ ინტენსივობა და ძალა დაკარგა.

ჰიტლერმა, როგორც ჩანს, შეამჩნია, რომ მის გარემოცვაში დისციპლინამ იკლო. ადრე, როდესაც ის ოთახში შემოდიოდა, ყველანი ფეხზე დგებოდნენ და უფლება არ ჰქონდათ, დამსხდარიყვნენ მანამ, სანამ ჰიტლერი არ დაჯდებოდა. ახლა კი შეამჩნევდით მისი გარემოცვის წევრებს, რომლებიც ისხდნენ და საუბარს აგრძელებდნენ; მსახურებსაც შეამჩნევდით, რომლებიც სტუმრებს ჰიტლერის თანდასწრებით ესაუბრებოდნენ; ხშირად ნახავდით შტაბის ალკოჰოლით გაჟღენთილ, სავარძელში ჩაძინებულ თანამშრომლებს. ვინ იცის, იქნებ, ჰიტლერი ამგვარ ცვლილებებს განზრახ არ ამჩნევდა, ჩემზე კი ეს სანახაობა ისე მოქმედებდა, როგორც ცუდი სიზმარი. ამას კანცლერის ბინაში მომხდარი ცვლილებებიც ემატებოდა: ჩამოხსნილი გობელენები, კედლებიდან ჩამოღებული სურათები, აკეცილი ხალიჩები და ბუნკერში შესანახად გამზადებული ძვირფასი ავეჯი; შპალერზე დარჩენილი ღია ფერის ლაქები, ავეჯისაგან დაცარიელებული კუთხეები, მიმობნეული გაზეთები, ცარიელი ჭიქები და დასვრილი, საჭმლის ნარჩენებიანი თეფშები; და ბოლოს ქუდი, რომელიც ვიღაცას სკამზე დაეგდო - ყოველივე ეს იმაზე მიანიშნებდა, რომ სახლის პატრონი სხვაგან გადადიოდა.

ჰიტლერი უკვე დიდი ხანია, რაც აღარ ცხოვრობდა თავისი ბინის ზედა სართულზე; მან ეს იმით დაასაბუთა, რომ გამუდმებული საჰაერო შეტევები ძილს უფრთხობდა და მუშაობაში უშლიდა ხელს; ბუნკერში გამოძინებას მაინც ახერხებდა. ამგვარად ჰიტლერმა თავისი ცხოვრება მიწისქვეშეთში გააგრძელა.

ჰიტლერის გაქცევას მის მომავალ აკლდამაში სიმბოლური მნიშვნელობა ჰქონდა. ბუნკერის გარე სამყაროსგან იზოლირება ნიშნავდა გამიჯვნას იმ ტრაგედიისაგან, რომელიც გარეთ, ღია ცის ქვეშ ხდებოდა. ამ სამყაროსთან მან ყოველგვარი კავშირი გაწყვიტა. როდესაც ჰიტლერი დასასრულზე ლაპარაკობდა, ის გულისხმობდა თავისი თავის და არა ერის დასასრულს. მან მოახერხა, რეალობას გაქცეოდა.

1945 წლის აპრილში, ჰიტლერის სიცოცხლის უკანასკნელ დღეებში, ხანდახან მე მასთან ერთად ვათვალიერებდი ლინცის რეკონსტრუქციის პროექტებს: ბუნკერში მსხდომნი უხმოდ დავცქეროდით ჩვენი ოცნების ესკიზებს. ბუნკერში ჰიტლერის სამუშაო ოთახის ჭერი 5 მეტრის სისქისა იყო და ზემოდან 2 მეტრი მიწის საფარი ედო. ეს ადგილი ბერლინში ყველაზე უსაფრთხო იყო. როდესაც მის სიახლოვეს ბომბები ფეთქდებოდა, ბუნკერი რხევას იწყებდა. ეს იმას ნიშნავდა, რომ აფეთქების ტალღები ბერლინის ქვედა ქანებში ვრცელდებოდა. აფეთქების ხმაზე ჰიტლერი სავარძელში შეკრთებოდა ხოლმე. როგორ შეიცვალა მსოფლიო ომის ოდესღაც უშიშარი ჯარისკაცი! ახლა იგი მხოლოდ ნამსხვრევი იყო, ცარიელი ნერვების კონა, რომელიც თავის ემოციებს ვეღარ მალავდა.

ჰიტლერის უკანასკნელი დაბადების დღე - 1945 წლის 20 აპრილი - საგანგებოდ არ აღგვინიშნავს. თუკი ადრე უამრავი სტუმრის მისაღებად საპატიო ყარაული იდგა და რაიხისა და საზღვარგარეთიდან ჩამოსული საპატიო სტუმრები მის მისალოცად რიგში ეწყობოდნენ ხოლმე, ახლა ირგვლივ სრული სიმშვიდე სუფევდა. ამ დღეს ჰიტლერი ბუნკერიდან გამოვიდა და რაიხის კანცელარიის ზედა სართულზე ავიდა. კანცელარიის ბაღში მას ჰიტლერიუგენდის დელეგაცია წარუდგინეს, რომელსაც ჰიტლერმა რამდენიმე სიტყვა უთხრა, ერთ თუ ორ ბიჭუნას ლოყაზე ხელი მოუთათუნა. ის ხმადაბლა ლაპარაკობდა. ცოტა ხნის შემდეგ ისევ ბუნკერში დაბრუნდა. როგორც ჩანს, ჰიტლერმა იგრძნო, რომ არავის დარწმუნება აღარ შეეძლო და ერთადერთი გრძნობა, რომელსაც ის ადამიანებში აღძრავდა, სინანული და თანაგრძნობა იყო. ბუნკერის სხდომათა დარბაზში შეკრებილთ აღარ დაგვჭირდა უხერხული მისალოცი სიტყვების წარმოთქმა, რადგან ჰიტლერმა სამუშაო თათბირზე დაგვიბარა.

ცოტა ხნის შემდეგ ყველანი გრძელი სათათბირო მაგიდის გარშემო ვისხედით. ჰიტლერის პირდაპირ გერინგი დაჯდა. გერინგმა, რომელიც ყოველთვის უდიდეს მნიშვნელობას ანიჭებდა გარეგნობას, თავისი უნიფორმა უკანასკნელ დღეებში საგრძნობლად შეცვალა: ძველი უნიფორმის მოვერცხლისფრო-მონაცრისფრო ნაჭერი, ჩვენდა გასაკვირად, ამერიკული უნიფორმის მოყავისფრო-მონაცრისფრო მაუდით, ხოლო ხუთი სანტიმეტრის სიგრძის ოქროსგან დაწნული აქსელბანდები - ნაჭრის აქსელბანდებით შეცვალა, რომლებზეც პირდაპირ იყო დამაგრებული მისი სამხრე ნიშანი - რაიხის მარშალის არწივი. თათბირის ერთ-ერთმა მონაწილემ ჩამჩურჩულა: „ამერიკელი გენერალივითაა!“ მაგრამ ჰიტლერმა მგონი, ეს ცვლილება ვერც კი შეამჩნია.

თათბირზე განვიხილავდით ბერლინის ცენტრზე მოსალოდნელ თავდასხმას, რომელსაც უმოკლეს ხანებში ველოდით. წინა საღამოს გამოითქვა მოსაზრება, უარი გვეთქვა ბერლინის დაცვაზე, ხელმძღვანელობა კი ალპებში მდებარე ციხე-სიმაგრეში გახიზნულიყო. მაგრამ, როგორც ჩანს, ღამის განმავლობაში ჰიტლერმა აზრი შეიცვალა. მან გადაწყვიტა, ბერლინის ქუჩებში ქალაქის დასაცავი ბრძოლები გაემართათ. როგორც კი ჰიტლერმა ეს მოსაზრება გაგვაცნო, სხდომის თითქმის ყველა მონაწილემ მაშინვე დაჟინებით მოითხოვა მისგან, რომ შტაბ-ბინა დაუყოვნებლივ გადაეტანათ ობერზალცბერგში, რადგან მერე ასეთი შესაძლებლობა აღარ მიეცემოდათ. გერინგმა იმაზეც გაამახვილა ყურადღება, რომ ჩვენს განკარგულებაში მხოლოდ ერთადერთი დამაკავშირებელი გზა ჩრდილოეთიდან სამხრეთისაკენ ბავარიის ტყეზე გადიოდა, ხოლო ბერხტესგადენისკენ გასაქცევი გზა ყოველ წუთს შეიძლებოდა გადაკეტილიყო. ჰიტლერი ენერგიულად უარობდა დედაქალაქის მიტოვებას: „როგორ უნდა გავამხნევო ჯარი ბერლინის დასაცავად მოსალოდნელი გადამწყვეტი ბრძოლის წინ, თუ ამავე დროს ჩემს უსაფრთხოებაზე ვიზრუნებ?!“ ჰიტლერის პირდაპირ მჯდომი ახალ უნიფორმაში გამოწყობილ გერინგს ფერი წასვლოდა და ფართოდ გახელილი თვალებით იყურებოდა; ჰიტლერს აღელვება

სულ უფრო მეტად ეტყობოდა: „განგებას მივანდობ, დედაქალაქში მოვკვდები თუ უკანასკნელ წუთს ობერზალცბერგში გავიქცევი!“

როგორც კი თათბირი დამთავრდა და ჰიტლერმა გენერლები გაუშვა, ჰიტლერთან სახეალეწილი გერინგი მივიდა. იგი ძალიან ნერვიულობდა. მან ჰიტლერს მოახსენა, რომ გერმანიის სამხრეთით სასწრაფო საქმეები ჰქონდა მოსაგვარებელი და ახლავე უნდა გამგზავრებულიყო ბერლინიდან. ჰიტლერმა მას უაზრო გამომეტყველებით შეხედა, გამოსამშვიდობებლად ხელი გაუწოდა და რამდენიმე გამოსათხოვარი სიტყვაც უთხრა; ჰიტლერმა გერინგს არ აგრძნობინა, რომ დიდი ხანია, რაც გაშიფრა. მე მათგან რამდენიმე ნაბიჯის მოშორებით ვიდექი და ისეთი შეგრძნება დამეუფლა, თითქოს ისტორიული მომენტის მომსწრე გავხდი - რაიხის ხელმძღვანელობა დაიშალა. ამით დამთავრდა ფიურერის დაბადების დღისადმი მიძღვნილი თათბირი.

თათბირის სხვა მონაწილეებთან ერთად ბუნკერი ისე დავტოვე, რომ ჰიტლერს პირადად არ დავმშვიდობებივარ. გენერალ-პოლკოვნიკი ფონ პოზერი მთხოვდა, მოვმზადებულიყავი იმავე ღამით გასამგზავრებლად. საბჭოთა არმია საბოლოო შეტევისთვის ბერლინს მოადგა და, როგორც ჩანს, საკმაოდ სწრაფად მოიწევდა წინ. ჩვენი გაქცევისათვის ყველაფერი მზად იყო: ყველაზე აუცილებელი ნივთები უკვე ჰამბურგში იყო გადაგზავნილი, ოიტინის ტბასთან დოენიცის შტაბ-ბინის სიახლოვეს, პლოენში რაიხის რკინიგზის ორი საცხოვრებელი ვაგონი იდგა.

ჰამბურგში ისევ შევხვდი გაულაიტერ კაუფმანს, რომელიც ფიურერის გადაწყვეტილებით, შექმნილ ვითარებაში ბრძოლის გაგრძელების შესახებ ჩემსავით იყო გაკვირვებული. ამით გამხნევებულმა კაუფმანს ჩემი ტექსტი გავუწოდე, რომელიც ერთი კვირის წინ შორფჰაიდეში ხის ძირკვზე მჯდომმა დავწერე. კაუფმანის აზრით, ეს სიტყვა ჰამბურგის რადიოში უნდა ჩამეწერა, რომ ჰამბურგის რადიოსადგურს ეთერით გადაეცა. ასეც მოვიქეცი. ჩემი გამოსვლა ჩავწერეთ, ფირი კაუფმანს გადავეცი და დავუბარე, რა შემთხვევაში უნდა გაეშვა ჩანაწერი ეთერში. ეს პირობები ბოლო დღეების განმავლობაში თავიდან არ ამომდიოდა: თუ ბორმანის განკარგულებით მომკლავდნენ, თუ ჰიტლერი გაიგებდა რაიმეს ჩემი ინიციატივების შესახებ და სასიკვდილო განაჩენს გამომიტანდა და თუ ჰიტლერი ცოცხალი აღარ იქნებოდა და მისი პოლიტიკური მემკვიდრე მის დაწყებულ საქმეს - განადგურების უაზრო და დამღუპველ პოლიტიკას გააგრძელებდა.

გენერალ-პოლკოვნიკ ჰაინრიკს გადაწყვეტილი ჰქონდა, უარი ეთქვა ბერლინის დაცვაზე, ამიტომ მოსალოდნელი იყო, რომ ქალაქს რამდენიმე დღეში აიღებდნენ და ყველაფერი დამთავრდებოდა. როგორც SS-ის გენერალმა ბერგერმა და ევა ბრაუნმა მითხრეს, ჰიტლერს უკვე 22 აპრილს ჰქონია გადაწყვეტილი თავის მოკვლა. მაგრამ ჰიტლერმა მოულოდნელად ჰაინრიკი თანამდებობიდან გაათავისუფლა, ხოლო კაიტელს და იოდლს უბრძანა, მათ დაქვემდებარებაში მყოფი ყველა დივიზია ბერლინის დასაცავად გადმოესროლათ.

მე არანაირი მოვალეობა აღარ მეკისრებოდა, რადგან შეიარაღების წარმოება აღარ არსებობდა. მაგრამ შინაგანი შფოთვა თავს არ მანებებდა, რის გამოც ხან რას ვიწყებდი და ხან - რას. ამ დროს შევიტყვე, რომ ჰიტლერის ექიმი, დოქტორი ბრანდტი ბერლინის შემოგარენში ერთ-ერთ ვილაზე იყო დატყვევებული. ჩავთვალე, რომ ეს საყოველთაო არეულობით გამოწვეული გაუგებრობა უნდა ყოფილიყო, თან ლიუშენის[134] ნახვაც მინდოდა. ამიტომ გადავწყვიტე, ბერლინში ჩავსულიყავი. უკვე ჩამოთვლილი მიზეზების გარდა, რა თქმა უნდა, ბერლინში ყველაზე ძლიერად - მაგნიტივით მიზიდავდა ჰიტლერი. მინდოდა, უკანასკნელად მენახა და დავმშვიდობებოდი.

12 წლის თანამშრომლობის შემდეგ, ჩემის აზრით, ის ჩემგან პატივისცემის ამ ჟესტს იმსახურებდა. გზას გავუდექი: ჯერ კირიცში ჩავედი, იქიდან თვითმფრინავით პოტსდამის ახლოს მდებარე აეროდრომ გატოვზე დავეშვი, გატოვიდან კი იოდლის თანამშრომელს - გენერალ ქრისტიანს გავყევი პატარა თვითმფრინავით ბერლინში. ბრანდენბურგის ჭიშკართან ფართო ქუჩაზე დავეშვით, ვერმახტის მანქანა გავაჩერეთ და თავი რაიხის კანცელარიასთან მივაყვანინეთ.

რაიხის კანცელარია, რომელიც 7 წლის წინ ავაშენე, საბჭოთა არტილერიის სამიზნე გამხდარიყო, მაგრამ იმ დროს არც ისე ხშირად ისროდნენ. ქვების გროვასა და ხის დამწვარ ბოძებს ჩავუარე და შევედი იმ ოთახში, რომელშიც ოდესღაც ბისმარკი მუშაობდა და სადაც ახლა ჰიტლერის ადიუტანტი შაუბი რამდენიმე ჩემთვის უცნობი მამაკაცის საზოგადოებაში კონიაკს მიირთმევდა. მიუხედავად იმისა, რომ ჩემი ჩამოსვლის შესახებ ტელეფონით შევატყობინე, ჩემი დანახვა გაუკვირდათ, რაც იმას მოწმობდა, რომ აქ ჩემი ჰამბურგის რადიოჩანაწერის შესახებ ჯერ არაფერი იცოდნენ. ადიუტანტი ჰიტლერთან წავიდა მოსახსენებლად. ამასობაში ფონ პოზერს ვთხოვე, რაიხის კანცელარიის ტელეფონით ლიუშენი ეპოვათ და კანცელარიაში დაებარებინათ.

ჰიტლერის ადიუტანტი დაბრუნდა: „ფიურერს თქვენთან საუბარი სურს.“ რამდენჯერ შევსულვარ ფიურერის ოთახში ამ 12 წლის მანძილზე და რამდენჯერ მომისმენია ეს სტერეოტიპული ფრაზა! მაგრამ როდესაც ბუნკერში ჩასასვლელ საფეხურებს ვაბიჯებდი, სხვა რამეზე ვფიქრობდი - ცოცხალი და საღ-სალამათი გამოვიდოდი თუ არა იქიდან. ქვემოთ რომ ჩავედი, პირველი, ვინც დავინახე, ბორმანი იყო. იგი ისე თავაზიანად შემხვდა, რომ მაშინვე მივხვდი: ჰიტლერი კარგ ხასიათზე უნდა ყოფილიყო. ბორმანმა მორიდებულად მომმართა თხოვნით: „საუბრის დროს ის აუცილებლად შეეხება საკითხს - ბერლინში უნდა დავრჩეთ თუ ბერხტენსგადენში უნდა გავფრინდეთ; დროა, მან მთავარსარდლობა სამხრეთ გერმანიაში ჩაიბაროს... ამ შესაძლებლობის გამოსაყენებლად მხოლოდ რამდენიმე საათიღა დარჩა... თქვენც ხომ ურჩევთ, რომ ბერხტენსგადენში გაფრინდეს?!“ თუკი ბუნკერში ვინმე თავისი სიცოცხლის გადარჩენაზე ფიქრობდა, ეს, პირველ რიგში, ბორმანი იყო. ბორმანი, რომელმაც ჯერ კიდევ სამი კვირის წინ პარტიის ყველა

ფუნქციონერს მოუწოდა, დაეძლიათ თავიანთი სისუსტეები და ან გაემარჯვათ, ან ბრძოლის ველზე დაცემულიყვნენ. ბორმანის მუდარით სავსე თვალების შემხედვარეს ცოტა დაგვიანებით დამეუფლა ტრიუმფის გრძნობა.

შემდეგ ჰიტლერის ბუნკერის ოთახში შემიყვანეს. ჰიტლერი სრულიად გულგრილად შემხვდა, საერთოდ არ განძრეულა. მე კვლავ გამიელვა აზრმა, რომ ჰიტლერი დაცლილი და გადამწვარი იყო, სრულიად უსიცოცხლო. ფიურერმა საქმიანი გამომეტყველება მიიღო, რომლის მიღმაც ყველაფრის დაფარვა შეეძლო. მან მკითხა, როგორ მომწონს ფონ დენიცის საქმიანობა. ისეთი შთაბეჭდილება დამრჩა, რომ ჰიტლერს დენიცის საქმიანობა კი არ აინტერესებდა, არამედ მისი კითხვა თვითონ მის შემცვლელს ეხებოდა. დღესაც, ისევე როგორც მაშინ, დარწმუნებული ვარ, რომ დენიცი გაცილებით ბრძნულად და ღირსეულად მოახერხებდა მის თავს მოულოდნელად დამტყდარი იმ უნუგეშო მემკვიდრეობის ლიკვიდაციას, ვიდრე ბორმანი ან ჰიმლერი. და მეც ჰიტლერს ჩემი დადებითი აზრი მოვახსენე დენიცზე.

მოულოდნელად ჰიტლერმა პირდაპირ მკითხა: „რას ფიქრობთ? აქ დავრჩე თუ ბერხტესგადენში გავფრინდე? იოდლმა მითხრა, რომ ხვალ უკვე გვიან იქნება.“ მე დაუფიქრებლად მივეცი რჩევა, ბერლინში დარჩენილიყო. ან კი რა უნდოდა ობერზალცბერგში? როცა ბერლინი დაეცემა, ბრძოლა ისედაც დამთავრებული იქნება. „ჩემი აზრით უკეთესი იქნება, თუ თქვენ თქვენს სიცოცხლეს დედაქალაქში დაასრულებთ, როგორც ფიურერი და არა სააგარაკო სახლში.“ მე ემოციებს ავყევი. მაშინ მეგონა, კარგ რჩევას ვაძლევდი, მაგრამ თურმე ცუდი მიმიცია: ჰიტლერი რომ ობერზალცბერგში გაფრენილიყო, ბერლინისთვის ბრძოლა ერთი კვირით ნაკლებ ხანს გაგრძელდებოდა.

ამ დღეს ჰიტლერს ძველებურად აღარ უთქვამს, რომ გარდატეხა ჯერ კიდევ მოსალოდნელია და კიდევ რაღაცის იმედი აქვს. მან აპათიურად, დაღლილი ხმით დაიწყო თავის სიკვდილზე ლაპარაკი, თითქოს ეს თავისთავად ცხადი რამ იყო: „მეც დარჩენა გადავწყვიტე, უბრალოდ მინდოდა, თქვენი აზრი გამეგო.“ ჰიტლერმა ლაპარაკი ყოველგვარი აღელვების გარეშე განაგრძო: „მე არ ვიბრძოლებ! საფრთხე იმისა, რომ დავიჭრები და ცოცხლად ჩავუვარდები რუსებს ხელში, ძალიან დიდია. არც ის მინდა, რომ ჩემმა მტრებმა ჩემი გვამი შეურაცხყონ. განკარგულება გავეცი, რომ დამწვან. ფროილაინ ბრაუნიც ჩემთან ერთად აპირებს სიკვდილს, ბლონდის კი (ჰიტლერის ძაღლი) მანამდე მოვკლავ - თავში ტყვიას ვესვრი. დამიჯერეთ, შპეერ, არ მიჭირს სიცოცხლესთან გამოთხოვება. ერთი ხანმოკლე მომენტი და ყველაფრისგან გავთავისუფლდები, თავს დავაღწევ ამ მტანჯველ არსებობას.“ ისეთი შთაბეჭდილება შემექმნა, თითქოს უკვე იმ ქვეყნად წასულს ვესაუბრებოდი. ატმოსფერო საკმაოდ დამძიმდა, ტრაგედია დასასრულს უახლოვდებოდა.

უკანასკნელი თვეების განმავლობაში ჰიტლერი ხანდახან მეზიზღებოდა და მძულდა კიდეც, მას ვებრძოდი, ვატყუებდი, მაგრამ ახლა, ამ წუთას დაბნეული და თავზარდაცემული ვიყავი.

კვლავ ემოციებს ავყევი და, ჩემდა გასაკვირად, ფიურერს გამოვუტყდი, რომ მისი ბრძანება საყოველთაო განადგურების შესახებ არ შემისრულებია, უფრო მეტიც, აფეთქებითი სამუშაოები ავკრძალე კიდეც. ჰიტლერს თვალები აუწყლიანდა, მაგრამ ჩემი სიტყვები უპასუხოდ დატოვა... ჰიტლერი დუმდა...

ამ დროს გენერალი კრებსი ეახლა საომარი ვითარების მოსახსენებლად. ჩემთვის გავიფიქრე: „მაშ, არაფერი შეცვლილა“. ვერმახტის უმაღლესი მთავარსარდალი ანგარიშებს ფრონტებიდან კვლავინდებურად იბარებდა. მაგრამ თუ ჯერ კიდევ სამი დღის წინ ბუნკერის სათათბირო ოთახი ვერმახტის სარდლებითა და მაღალი რანგის ოფიცრებით იყო სავსე, ამჯერად თითქმის ყველა გაქცეული იყო. ბერლინი დატოვეს გერინგმა, დენიცმა, ჰიმლერმა, კაიტელმა, იოდლმა, კოლერმა და სხვა მაღალჩინოსანმა ოფიცრებმა. მხოლოდ დაბალჩინიანი ოფიცრები დარჩნენ. შეიცვლა თვითონ მოხსენებების ფორმაც საომარი ვითარების შესახებ: გარედან აბდა-უბდა ამბები აღწევდა, ამიტომ გენერალური შტაბის უფროსი მხოლოდ ვარაუდებს გამოთქვამდა. რუკაზე, რომელიც კრებსმა ჰიტლერის წინ მაგიდაზე გაშალა, მარტო ბერლინისა და პოტსდამის მდგომარეობას ასახავდა.

მოხსენება, რომელიც სხვა დროს რამდენიმე საათს გრძელდებოდა ხოლმე, მოკლე იყო და ზუსტად ესადაგებოდა იმ აგონიას, რომელშიც შტაბ-ბინაში დარჩენილები იმყოფებოდნენ. მოხსენების შემდეგ ჰიტლერი უხმოდ დაგვემშვიდობა. გენერალმა კრებსმა და მე ოთახი დავტოვეთ. ჰიტლერს ისე გამოვეთხოვე, რომ მისთვის ხელიც კი არ ჩამომირთმევია, თითქოს ხვალ ისევ უნდა მენახა. გარეთ რომ გამოვედი, გოებელსი შემხვდა: „გუშინ ფიურერმა დიდი გადაწყვეტილება მიიღო. მსოფლიო ისტორიისთვის უდიდესი მნიშვნელობის მქონე გადაწყვეტილება! მან ბრძანა, დასავლეთში ბრძოლები შეეწყვიტათ, რათა დასავლეთის ჯარები ბერლინში დაბრკოლების გარეშე შემოვიდნენ.“ ისევ ფანტომები... ფანტომები, რომლებიც ელვისებურად, რამდენიმე საათით აფორიაქებდნენ გონებას, ახალ იმედებს ბადებდნენ ადამიანში და მხოლოდ იმისათვის ჩნდებოდნენ, რომ ასევე სწრაფად გამქრალიყვნენ. გოებელსმა მითხრა, რომ მისი ცოლი და 6 შვილი ამჟამად ბუნკერში ცხოვრობდნენ, როგორც ჰიტლერის სტუმრები, რათა ამ ისტორიულ ადგილას, როგორც ეს თავად აღნიშნა, დაასრულონ თავიანთი სიცოცხლე. ჰიტლერისაგან განსხვავებით, გოებელსი თავის ემოციებს კარგად მართავდა; ვერც კი შეატყობდით, რომ საკუთარი სიცოცხლისთვის უკვე წერტილი ჰქონდა დასმული.

დღე საღამოსკენ იხრებოდა. SS-ის ერთმა ექიმმა მითხრა, რომ ქალბატონი გოებელსი იწვა, ძალიან სუსტად იყო და გული აწუხებდა. მე მასთან აუდიენცია ვითხოვე. დიდი სიამოვნებით გავესაუბრებოდი ამ ქალბატონს პირისპირ, მაგრამ მოსაცდელში

გოებელსი მელოდებოდა. მან ბუნკერის პატარა ოთახში შემიყვანა, სადაც მისი ცოლი უბრალო საწოლზე იწვა. ქალბატონი გოებელსი ძალიან ფერმკრთალი იყო და ჩუმი ხმით საუბრობდა სრულიად ბანალურ თემებზე. ქალს ეტყობოდა, რომ მისი შვილების ძალადობრივი სიკვდილის მოახლოვება სტანჯავდა, ამიტომ საუბრისას მხოლოდ მისი ჯანმრთელობის მდგომარეობით შემოვიფარგლეთ. საუბრის დასასრულს მან მაინც მიმანიშნა, რა აწუხებდა ყველაზე მეტად: „რა ბედნიერი ვარ, რომ ჰარალდი მაინც არის ცოცხალი!“ ჰარალდი მისი შვილი იყო პირველი ქორწინებიდან. ამ სიტყვებმა ისე იმოქმედა ჩემზე, რომ დავიბენი, მაგრამ რა შემეძლო, რომ მეთქვა ასეთ მდგომარეობაში ჩავარდნილი საბრალო ქალისათვის? ჩვენ უსიტყვოდ დავემშვიდობეთ ერთმანეთს. მისმა ქმარმა გამოსათხოვებლად რამდენიმე წუთითაც კი არ დაგვტოვა მარტო.

ამასობაში ბუნკერის დერეფანში ფუსფუსი ატყდა: გერინგის დეპეშა მიეღოთ, რომელიც ბორმანმა სასწრაფოდ შეიტანა ჰიტლერთან. მეც, ცნობისმოყვარეობით შეპყრობილი, მას გავყევი. ამ დეპეშით გერინგი ჰიტლერს ეკითხებოდა მისი პოლიტიკური მემკვიდრის შესახებ. დადგენილების თანახმად მას, გერინგს, უნდა ეკისრა მთელი რაიხის ხელმძღვანელობა, თუკი ჰიტლერი ბერლინში დარჩებოდა. ბორმანმა ჩათვალა, რომ გერინგმა სახელმწიფო გადატრიალება მოახდინა და ამიტომ უკანასკნელად შეეცადა, შთაეგონებინა ჰიტლერისთვის, რომ ბერხტესგადენში გამგზავრებულიყო. დეპეშის შინაარსს რომ გაეცნო, ჰიტლერი ისევ აპათიამ შეიპყრო... ამ დროს გერინგისგან კიდევ ერთი დეპაშა მოვიდა, რომელსაც გერინგი რიბენტროპს უგზავნიდა და რომელშიც იგი როგორც ჰიტლერის მოადგილე, მის მემკვიდრედ აცხადებდა თავს. თუკი 23 აპრილის ღამის 12 საათამდე ფიურერი უფლებამოსილებას არ გადააბარებდა, გერინგი ავტომატურად გახდებოდა გერმანიის კანცლერი. ამ დეპეშის ტექსტით აღშფოთებული ბორმანი აბობოქრდა: „გერინგი მოღალატეა, იგი მთავრობის წევრებს დეპეშებს უგზავნის და ეუბნება, რომ თქვენი ხელდასმით ამაღამ 12 საათზე თქვენს თანამდებობრივ მოვალეობას შეუდგება“.

ბორმანმა შეადგინა საპასუხო დეპეშის ტექსტი, რომლის თანახმადაც გერინგს ჩამოერთმეოდა მემკვიდრეობის უფლება და ჰიტლერისადმი და ნაციონალ-სოციალიზმისადმი ღალატი ედებოდა ბრალად. გარდა ამისა, ჰიტლერმა ბორმანს უთხრა, რომ იმ შემთხევაში თუ გერინგი ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო იტყოდა უარს თავის თანამდებობაზე, მას სასჯელისაგან გაათავისუფლებდა. ბორმანმა, ბოლოს და ბოლოს, შეძლო ჰიტლერის გამოყვანა ლეთარგიიდან. ჰიტლერის ამ ბოლო სიტყვებს მოჰყვა დაუფარავი, უსაზღვრო რისხვისა და ბოღმის ამოფრქვევა, რომელშიც ერთმანეთში იყო არეული სიმწრის, გაწბილების, უსუსურობის, საკუთარი თავის შეცოდებისა და სასოწარკვეთილების გრძნობები. ჭარხალივით გაწითლებული, თვალებგადმოკარკლული ჰიტლერი, რომელსაც თავისი გარემოცვა სრულიად დავიწყებოდა, ღრიალებდა: „მე ეს დიდი ხანია, ვიცი! ვიცი, რომ გერინგი დამპალია! მან გახრწნა და დაღუპა ლუფტვაფე! ის კორუმპირებულია. მისმა მაგალითმა ჩვენს სახელმწიფოში კორუფციას გაუხსნა გზა!

ის მორფინისტია! მე ეს დიდი ხანია, ვიცი...“ უეცრად იგი კვლავ აპათიურ მდგომარეობას დაუბრუნდა: „მაგრამ დაე, ასე იყოს. გერინგს შეუძლია, წარმართოს მოლაპარაკებები კაპიტულაციის შესახებ. როცა ომი წაგებულია, რა მნიშვნელობა აქვს, ამას ვინ გააკეთებს.“ ამ სიტყვებით გამოხატა ჰიტლერმა ზიზღი გერმანელი ერის მიმართ: ამ საქმისათვის გერინგიც კი გამოდგებოდა. ბოლოს ჰიტლერს ძალა გამოელია; მან ისევ დაღლილი ხმით განაგრძო ლაპარაკი.

ნახევარი საათის შემდეგ ბორმანმა გერინგის საპასუხო დეპეშა მოიტანა: გერინგი თავის გადადგომის შესახებ იუწყებოდა - გულის მძიმე დაავადების მიზეზით. თავისი მოღვაწეობის პერიოდში ჰიტლერი ხშირად ათავისუფლებდა თავისთვის არასასურველ თანამშრომლებს სამსახურიდან მათი პირადი განაცხადებების საფუძველზე. მიზეზად, ტრადიციულად, ჯანმრთელობის მდგომარეობა სახელდებოდა. ყოველივე ეს იმისთვის კეთდებოდა, რომ გერმანელ ხალხს შერჩენოდა ქვეყნის უმაღლესი ხელისუფლების ერთიანობის რწმენა. ეს პრინციპი ჰიტლერმა ახლაც დაიცვა.

ბორმანის მიერ ინსცენირებულმა ჭექა-ქუხილმა გადაიარა, „ღმერთების დაღუპვის“ რამდენიმე ტაქტი გაისმა და შეწყდა, მისტიური ჰაგენი გაქრა. ჩემდა გასაკვირად, ჰიტლერს უარი არ უთქვამს ჩემს თხოვნაზე, რომელიც დიდი ყოყმანის შემდეგ გავუმხილე: შკოდას ქარხნის ჩეხი დირექტორები, ალბათ სამართლიანად, მოელოდნენ მძიმე სასჯელს რუსებისაგან ჩვენთან თანამშრომლობის გამო. მაგრამ თუ ისინი აშშ-ს შეიარაღებული ძალების შტაბ-ბინაში გაფრინდებოდნენ, შესაძლოა, გადარჩენილიყვნენ. სწორედ ამას სთხოვდნენ ჰიტლერს, აშშ-ს შტაბ-ბინაში გამგზავრების ნება დაერთო. რამდენიმე დღის წინ ჰიტლერი მსგავს თხოვნას უარით ისტუმრებდა; ახლა კი მზად იყო, ხელი მოეწერა ბრძანებაზე, რომლითაც ფორმალური მხარე მოგვარებული იქნებოდა.

როდესაც ჰიტლერს შკოდას დირექტორების საკითხზე ვესაუბრებოდი, ბორმანმა ფიურერს შეახსენა, რომ რიბენტროპი იყო მოსული მასთან მოსალაპარაკებლად. ჰიტლერმა ნერვიულად აიქნია ხელი: „რამდენჯერ გითხარით, მასთან საუბარი არ მსურს.“ ჰიტლერს რიბენტროპთან შეხვედრა რატომღაც უმძიმდა. ბორმანი კი დაჟინებით მოითხოვდა: „რიბენტროპი ამბობს, რომ ფეხსაც არ მოიცვლის აქედან, სანამ არ მიიღებთ და ერთგული ძაღლივით დაგელოდებათ მოსაცდელში.“ ამ შედარებამ ჰიტლერი მოალბო და რიბენტროპს უხმო. ისინი პირისპირ საუბრობდნენ. როგორც ჩანს, ჰიტლერმა მას ჩემი დირექტორების აშშ-ს შტაბში გაფრენის შესახებაც უამბო. საგარეო საქმეთა მინისტრი ამ უიმედო მდგომარეობაშიც კი თავისი კომპეტენციის სფეროს შენარჩუნებას ითხოვდა. ჰიტლერისგან გამოსულ რიბენტროპს გასასვლელში რომ შევხვდი, ის უკმაყოფილოდ ბურდღუნებდა: „ეს საგარეო საქმეთა უწყების პრეროგატივაა! მე არაფერი მაქვს განკარგულების საწინააღმდეგო, თუკი მას მიაწერთ, რომ წინადადება რაიხის საგარეო საქმეთა მინისტრმა შემოიტანა. მე დადგენილებას ეს წინადადება დავამატე. რიბენტროპი

კმაყოფილი დარჩა და განკარგულებას ჰიტლერმაც მოაწერა ხელი. რამდენადაც ვიცი, ეს იყო ბოლო საქმიანი და უწყებრივი დოკუმენტი, რომელსაც ჰიტლერმა თავისი ხელმოწერა დაუსვა.

ამასობაში ჩემი მეგობარი და ამ ბოლო თვეების მრჩეველი ლიუშენი მოვიდა რაიხის კანცელარიაში. მე ამაოდ ვცდილობდი ის დამერწმუნებინა, რომ ბერლინიდან წასულიყო. მოგვიანებით ნიურნბერგში შევიტყვე, რომ ლიუშენმა ბერლინის აღების შემდეგ თავი მოიკლა.

შუაღამე ხდებოდა, როცა ევა ბრაუნმა SS-ის მსახურის პირით შემომითვალა, მასთან მივსულიყავი ბუნკერის პატარა ოთახში. მეც ვეახლე. ოთახი საძინებელიც იყო და მისაღებიც, მყუდროდ მოწყობილი. ევა ბრაუნს რამდენიმე წლის წინ ჩემი ესკიზების მიხედვით დამზადებული ავეჯი ჰქონდა გადმოტანილი კანცელარიის ზედა სართულიდან. მაგრამ ავეჯის პროპორციები და დანიშნულება არ უხდებოდა ბუნკერის დამთრგუნველ გარემოს.

ჰიტლერი თავის ოთახში იყო, ამიტომ ჩვენ მშვიდად შეგვეძლო საუბარი. ევა ბრაუნი ამ ბუნკერში ერთადერთი პიროვნება იყო, რომელიც გასაოცარ სიმშვიდეს ინარჩუნებდა სიკვდილთან ზიარების წინ. პოლიტიკური ელიტის დანარჩენი წარმომადგენლები სტრესულ მდგომარეობაში იყვნენ - გოებელსი ჰეროიკულად ეგზალტირებული იყო, ბორმანი გადარჩენის გზებს ეძებდა, ჰიტლერი ჩამქრალი იყო, ქალბატონი გოებელსი - გატეხილი. მათგან განსხვავებით, ევა ბრაუნი თითქმის მხიარულ უდარდელობას ასხივებდა. „რას იტყვით ერთ ბოთლ შამპანურსა და ტკბილეულზე დამშვიდობების წინ? თქვენ ალბათ დიდი ხანია, არაფერი გიჭამიათ.“ მე განსაკუთრებით მესიამოვნა მის მიერ გამოჩენილი ყურადღება: ევა ბრაუნი პირველი ადამიანი იყო, რომელმაც იფიქრა იმაზე, რომ ბუნკერში გატარებული მრავალი საათის შემდეგ შეიძლებოდა, მშიერი ვყოფილიყავი. მსახურმა „მოეტ ე შანდონის“ ერთი ბოთლი, ნამცხვარი და კამფეტები მოიტანა. ჩვენ მარტო დავრჩით: „კარგია, კიდევ ერთხელ რომ შევხვდით ერთმანეთს. ფიურერს ეგონა, რომ თქვენ მის წინააღმდეგ მოქმედებდით. მაგრამ თქვენმა სტუმრობამ საპირისპირო დაამტკიცა. ხომ ასეა?“ მე ვერაფერი ვუპასუხე. „სხვათა შორის, ფიურერს ძალიან მოეწონა ის, რაც დღეს ვუთხარი. მან აქ დარჩენა გადაწყვიტა და მეც მასთან ერთად ვრჩები. მერე რა მოხდება, თქვენც კარგად იცით. ფიურერს უნდოდა, რომ მიუნხენში დავბრუნებულიყავი, მაგრამ მე არ დავთანხმდი. მე აქ იმისათვის მოვედი, რომ ყველაფერს წერტილი დავუსვა. რატომ უნდა დაიღუპოს კიდევ ამდენი ადამიანი? ამას ხომ აზრი აღარა აქვს. სხვათა შორის, შეიძლება ისე მომხდარიყო, რომ დღეს აქ არც დაგხვედროდით. გუშინ მდგომარეობა სრულიად უნუგეშო იყო. ჩვენ ვფიქრობდით, რომ რუსები ბერლინს მალე აიღებდნენ. ფიურერს უკვე უნდოდა ბერლინის დატოვება, მაგრამ გოებელსმა გადააფიქრებინა და ამიტომ ვართ დღეს აქ.“ ევა ბრაუნი ძალიან უშუალო იყო. ამ საუბრის დროს მან რამდენჯერმე აღნიშა, თუ როგორი ბედნიერია იმით, რომ აქ, ბუნკერში, იმყოფება.

ღამის 3 საათი იყო. ჰიტლერმა გაიღვიძა. მე შევუთვალე, რომ მასთან დამშვიდობება მსურდა. ეს დღე მძიმე გამოდგა ჩემთვის და ვშიშობდი, რომ გამოთხოვების დროს თავს ვერ შევიკავებდი. ჩემ წინ უკანასკნელად იდგა ჰიტლერი - კანკალს ატანილი მოხუცი: ის, ვისაც ჩემი სიცოცხლის 12 წელი მივუძღვენი. მე გულაჩუყებული და დაბნეული ვიყავი. მან კი არანაირი ემოცია არ გამოხატა. მისი ხმა ისეთივე ცივი იყო, როგორც მისი ხელი: „მაშ, მიემგზავრებით? კეთილი. ნახვამდის.“ არანაირი მოკითხვა ჩემს ოჯახს, არანაირი სურვილი, არანაირი მადლობა, არანაიარი „მშვიდობით“. ერთი წამით თავი ვერ შევიკავე და წამომცდა, კიდევ მოვალ-მეთქი. მან კი იმწამსვე ამოიცნო უხერხულობის გრძნობით ნაკარნახევი ტყუილი და მაშინვე სხვა საქმეს მიუბრუნდა. აუდიენცია დასრულდა.

სწორად შემიფასებია, როცა ვიფიქრე, რომ ჰიტლერი ცივად დამემშვიდობა: აღმოჩნდა, რომ 6 დღის შემდეგ მას თავისი პოლიტიკური ანდერძიდან ჩემი სახელი ამოუშლია და ჩემს თანამდებობაზე თავისი დიდი ხნის ფავორიტი ზაური[135] დაუნიშნავს.

ერთი დღის შემდეგ ჰამბურგში ჩავედი. გაულაიტერმა შემომთავაზა, დაუყოვნებლივ, ანუ ჰიტლერის სიკვდილამდე, მიმემართა მოსახლეობისათვის ჰამბურგის რადიოსადგურიდან. მე კი თვალწინ ის დრამა მედგა, რომელიც ამ დღეებში და ამ საათებში ბერლინის ბუნკერში თამაშდებოდა. არალეგალური მოქმედების ყველანაირი სურვილი დამეკარგა. ჰიტლერმა კიდევ ერთხელ მოახერხა ჩემს ფსიქიკაზე ზემოქმედება. ჩემი უარი კი ასე დავასაბუთე: არასწორი და ყოველგვარ აზრს მოკლებული იქნებოდა ტრაგედიის მიმდინარეობაში ჩარევა.

კაუფმანს დავემშვიდობე და შლეზვიგ-ჰოლშტაინისკენ გავემგზავრე. ოიტინის ტბის პირას ვაგონებში დავსახლდით. ხანდახან დენიცთან ან გენერალური შტაბის სხვა წევრებთან მივდიოდი სტუმრად, რომლებიც ჩემსავით უმოქმედოდ იყვნენ. დენიცთან ვიყავი, როდესაც 1945 წლის 1 მაისს მას რადიო-დეპეშა მოუტანეს, რომლის თანახმადაც მისი, როგორც ჰიტლერის მემკვიდრის, უფლებები საგრძნობლად იზღუდებოდა. ჰიტლერმა რაიხის ახალ პრეზიდენტს მთავრობის შემადგენლობა წინასწარ დაუდგინა: გოებელსი - რაიხის კანცლერი, საის-ინკარტი - საგარეო საქმეთა მინისტრი და ბორმანი - პარტიის მინისტრი. ამავე დეპეშით ბორმანი დენიცს თავისი ჩამოსვლის შესახებ ატყობინებდა. დენიცი მისი უფლებების შეზღუდვის გამო გაოცებას ვერ მალავდა: „ეს ხომ შეუძლებელია, ეს ხომ წარმოუდგენელია! ჩემ გარდა დეპეშა კიდევ ვინმემ წაიკითხა?“ მისმა ადიუტანტმა მოახსენა, რომ რადისტი დეპეშით პირდაპირ მთავარ ადმირალთან მოვიდა. დენიცმა ბრძანა, რომ რადისტს ინფორმაცია საიდუმლოდ შეენახა, დეპეშის ტექსტი დაელუქა და არავისთვის ეჩვენებინა. „როგორ მოვიქცეთ, ბორმანი და გოებელსი მართლა რომ ჩამოვიდნენ? - აღმოხდა დენიცს, - მათთან არავითარ შემთხვევაში არ ვითანამშრომლებ.“ საღამოს დენიციც და მეც იმაზე ვფიქრობდით, როგორ მოგვეცილებინა თავიდან ბორმანი და გოებელსი.

ამგვარად, ჰიტლერმა დენიცი აიძულა, მისი პირველი თანამდებობრივი ნაბიჯი არალეგალური აქტი ყოფილიყო; ოფიციალური დოკუმენტის საიდუმლოდ შენახვა წარმოადგენდა ამ უკანასკნელი დღეებისა და კვირების მანძილზე ნათქვამი და ჩადენილი ტყუილის, ღალატის, მლიქვნელობისა და ინტრიგების ჯაჭვის უკანასკნელ რგოლს: ჰიმლერმა უღალატა თავის ფიურერს მოლაპარაკებების გამართვით, ბორმანმა - მისი უკანასკნელი დიდი ინტრიგით გერინგის წინააღმდეგ; გერინგმა - თავისი მცდელობით, მოკავშირეებს დაკავშირებოდა; კაუფმანმა - ინგლისელებთან მოლაპარაკებით; კაიტელმა იმით, რომ ჰიტლერის სიცოცხლეშივე დაიწყო ახალი პატრონის ძებნა; და ბოლოს მე - უკანასკნელი თვეების განმავლობაში იმ ადამიანის ზურგს უკან ვმოქმედებდი, რომელმაც აღმომაჩინა და ჩემი მფარველი იყო. ღალატისკენ იმ სისტემამ გვიბიძგა, რომელსაც ჩვენ თავად წარმოვადგენდით. ღალატის ჩადენა ჰიტლერმა გვაიძულა, რომელმაც თავის მხრივ, ყველა ჩვენგანს, თავის თავსაც და, პირველ რიგში, გერმანელ ერს უღალატა.

ასე დასრულდა მესამე რაიხი.

სქოლიო

[1] NSDAP - გერმანული ნაციონალ-სოციალისტური მუშათა პარტია - 1933-1945 წლებში ერთადერთი მმართველი პარტია გერმანიაში.

[2] ჰიტლერი, ადოლფი - Adolf Hitler (1889 წლის 20 აპრილი - 1945 წლის 30 აპრილი) - გერმანელი პოლიტიკოსი და დიქტატორი (ავსტრიული წარმომავლობის), 1921 წლიდან nsdap-ის თავმჯდომარე, 1933 წლიდან რაიხსკანცლერი, 1934-1945 წლებში გერმანიის რაიხის სახელწიფო მეთაური - ფიურერი.

[3] ჰოფმანი, ჰაინრიხი - Heinrich Hoffmann (1885-1957) გერმანელი ფოტოხელოვანი, ცნობილი როგორც ჰიტლერის პირადი ფოტოგრაფი.

[4] ნოიმანი, კარლ ფრიდრიხი - Karl Friedrich Neumann (1793-1870) - ებრაული წარმომავლობის გერმანელი აღმოსავლეთმცოდნე.

[5] გეორგე, შტეფანი - Stefan George (1868-1933) - გერმანელი პოეტი, სიმბოლიზმის და გვიანდელი რომანტიზმის წარმომადგენელი.

[6] ფურტვენგლერი, ვილჰელმი - Wilhelm Furtwängler (1886-1954) გერმანელი დირიჟორი და კომპოზიტორი.

[7] კლაიბერი, ერიხი - Erich Kleiber (1890-1956) - ავსტრიელი დირიჟორი.

[8] ვერდი, ჯუზეპე - Giuseppe Verdi (!813-1901) - იტალიელი კომპოზიტორი.

[9] პუჩინი, ჯაკომო - Giacomo Puccini (1858-1924) - იტალიელი კომპოზიტორი.

[10] მალერი, გუსტავი - Gustav Mahler (1860-1911) - ავსტრიელი კომპოზიტორი, დირიჟორი, მუსიკალური თეატრის რეფორმატორი.

[11] კაიზერი, გეორგი - Geirg Kaiser (1878-1945) - გერმანელი ექსპრესიონისტი მწერალი, დრამატურგი.

[12] იბსენი, ჰენრიკი - Henrik Ibsen (1828-1906) - ნორვეგიელი მწერალი, დრამატურგი.

[13] ტესენოვი, ჰაინრიხი - Heinrich Tessenow (1876-1950) - გერმანელი არქიტექტორი, პროფესორი, რეფორმაციული არქიტექტურის უმნიშვნელოვანესი წარმომადგენელი.

[14] ამან ულა ხანი - Amanullah Khan (1892-1960) 1919-1926 წლებში ემირი, შემდეგ კი 1926-1929 წლებში ავღანეთის მეფე.

[15] ჰანკე, კარლი - Karl Hanke (1903-1945) - nsdap-ის ფუნქციონერი, ss-ის უკანასკნელი რაიხსფიურერი.

[16] Gau - ძველი გერმანების ბუნებრივი საზღვრების მქონე დასახლება; ნაციონალ-სოციალისტებმა 1925-1945 წლებში გამოიყენეს იგი მესამე რაიხში ოლქების დასახელებისათვის, რომლებსაც გაულაიტერები ხელმძღვანელობდნენ.

[17] ჰესი, რუდოლფი - Rudolf Hess (1894-1987) - გერმანელი პოლიტიკოსი, 1933-1941 წლებში ჰიტლერის მოადგილე

[18] ტროოსტი, პაულ ლუდვიგი - Paul Ludwig Troost (1878-1934) - გერმანელი არქიტექტორი (მიუნხენის ე. წ. „ყავისფერი სახლის“ ავტორი).

[19] SS - Schutzstaffel - „დამცავი რაზმი“ - ნაცისტური პარტიის დამოუკიდებელი პარამილიტარისტული ორგანიზაცია 1934-1945 წლებში.

[20] ზიდლერი, ედუარდ იობსტი - Eduard Jobst Siedler (1880-1949) - გერმანელი არქიტექტორი.

[21] ლამერსი, ჰანს ჰაინრიხი - Hans Heinrich Lammers (1879-1962) - გერმანელი იურისტი, მესამე რაიხის დროს რაიხის კანცელარიის უფროსი.

[22] შრეკი, იულიუსი - Julius Schreck (1898-1936) - ნაციონალ-სოციალისტური მოძრაობის გულშემატკივარი, მსახიობი, შემდგომ კი ჰიტლერის მძღოლი და პირადი მცველი. უწოდებდნენ „SS-ის მამა“ -ს.

[23] დიტრიხი, იოზეფი (ზეპი) - Josef (Sepp) Dietrich (1892- 1966) - SS-ის გრუპენფიურერი, გენერალ-პოლკოვნიკი, ჰიტლერის პირადი დაცვის უფროსი.

[24] დიტრიხი, ოტო - Otto Dietrich (1897-1952) - nsdap-ის პრესის უფროსი, sS-ის გრუპენფიურერი, ხალხთა თვითგამორკვევისა და პროპაგანდის სამინისტროს სახელმწიფო მდივანი.

[25] შაუბი, იულიუსი - Julius Schaub (1898-1967) - ხანგრძლივი ფროის მანძილზე ჰიტლერის პირადი უფროსი ადიუტანტი.

[26] ჰიმლერი, ჰაინრიხი - Heinrich Himmler (1900-1945) - გერმანელი პოლიტიკური მოღვაწე, 1936-1945 წლებში SS-ის რაიხსფიურერი, 1943-1945 წლებში მესამე რაიხის შინაგან საქმეთა მინისტრი.

[27] რემი, ერნსტი - Ernst Röhm (1887-1934) - გერმანელი პოლიტიკური და პარტიული მოღვაწე, nsdeap-ის ერთ-ერთი ლიდერი და SA-ის უფროსი.

[28] შტრაიხერი, იულიუსი - Julius Streicher (1885-1946) - ნაციონალ-სოციალისტი გერმანელი პოლიტიკოსი, ანტისემიტური გაზეთის „დერ შტიურმერ“ -ის (Der Stürmer) დამაარსებელი და გამომცემელი.

[29] გერინგი, ჰერმანი - Hermann Göring (1893-1946) - ნაციონალ-სოციალიზმის დროს გერმანული სახელმწიფოს ერთ-ერთი წამყვანი პოლიტიკოსი, მეორე მსოფლიო ომის დროს გერმანული ლუფტვაფეს მთავარსარდალი.

[30] „ვოხენშაუ“ - მე-3 რაიხის დროს კვირის მოვლენების ამსახველი დოკუმენტური კინოქრონიკა.

[31] რიუმანი, ჰაინცი - Heinz Rühmann (1902-1994) - გერმანელი მსახიობი.

[32] პორტენი, ჰენი - Henny Porten (1890-1960) - გერმანელი მსახიობი ქალი, გერმანული მუნჯური კინოს ვარსკვლავი.

[33] დაგოვერი, ლილი - Lil Dagover (1881-1990) - თეატრის და კინოს გერმანელი მსახიობი.

[34] ჩეხოვა, ოლგა - Olga Tschechowa (1897-1980) - რუსულ-გერმანული წარმომავლობის გერმანელი მსახიობი ქალი.

[35] ლეანდერი, ზარა - Sarah Leander (1907-1881) - შვედი მსახიობი და მომღერალი ქალი.

[36] იუგო, იენი - Jenny Jugo (1904-2001) - ავსტრიელი მსახიობი ქალი.

[37] კიტონი, ბასტერი - Buster Keaton (1895-1967) - ამერიკელი მსახიობი, კომიკოსი და რეჟისორი.

[38] ჩაპლინი, ჩარლი - Charlie Chaplin (1889-1977) - ბრიტანელი კომიკოსი, მსახიობი, რეჟისორი, კომპოზიტორი და პროდიუსერი.

[39] „ოსტერია ბავარია“ - მიუნხენში შელინგშტრასეს № 62-ში მდებარე ცნობილი იტალიური რესტორანი.

[40] მითფორდი, იუნითი - Unity Mittford (1914-1948) - ჰიტლერის მეგობარი და ფაშიზმის მიმდევარი ინგლისელი ქალი, ექსცენტრიული მითფორდების ექვსი დიდან შუათანა.

[41] ბორმანი, მარტინი - Martin Bormann (1900-1945) - nsdap-ს პარტიული კანცელარიის ხელმძღვანელი რაიხის მინისტრის სტატუსით.

[42] ბრუკმანი, ჰუგო - Hugo Bruckmann (1863-1941) - გერმანელი გამომცემელი.

[43] ჰელმერი, ჰერმანი - Hermann Hellmer (1849-1919) - ავსტრიაში მოღვაწე გერმანელი არქიტექტორი.

[44] ფელნერი, ფერდინანდი - Ferdinand Fellner (1847-1916) - ავსტრიელი არქიტექტორი.

[45] ზემპერი, გოთფრიდი - Gottfried Semper (1803-1879) - გერმანელი არქიტექტორი. მისი ყველაზე ცნობილი ნამუშევრებია ბაიროითის ვაგნერის ფესტივალის თეატრი და დრეზდენის ოპერა.

[46] ჰანზენი, თეოფილე - Theophile Hansen (1813-1891) - წარმოშობით დანიელი ავსტრიელი კლასიცისტი ხუროთმოძღვარი და არქიტექტორი.

[47] კაფე „კარლტონი“ - „კარლტონის ჩაის სახლი“ - ცნობილი ჩაის სახლი მიუნხენში, რომელიც მდებარეობდა ბირნერშტრასეს №52-ში. დღეს ეს შენობა აღარ არსებობს.

[48] კაფე „ჰეკი“ - მდებარეობს მიუნხენში ლუდვიგშტრასესა და გალერიშტრასეს გადაკვეთაზე.

[49] შრედერი, ქრისტა - Christa Schröder (1908-1984) - ჰიტლერის პირადი მდივანი.

[50] ბრაუნი, ევა ანა პაულა ბრაუნი - Eva Anna Paula Braun (1912-1945 წლის 30 აპრილი) - ადოლფ ჰიტლერის საიდუმლო საყვარელი, რომელმაც თვითმკვლელობამდე ერთი დღით ადრე ჰიტლერთან ჯვარი დაიწერა.

[51] ჰინდენბურგი, პაულ ლუდვიგ ჰანს ანტონ ფონ ბენეკენდორფი და ფონ ჰინდენბურგი - Paul Ludwig Hans Anton von Beneckendorff und von Hindenburg (1847-1934) - გერმანელი სამხედრო და პოლიტიკოსი, ვაიმარის რესპუბლიკის მეორე პრეზიდენტი.

[52] ფუნკი, ვალტერი - Walter Funk (1890-1960) - გერმანელი ჟურნალისტი, ეკონომიკის მინისტრი და რაიხსბანკის პრეზიდენტი.

[53] რემის პუტჩი - 1934 წელს ჰიტლერმა გაანადგურა SA-ს მოიერიშეები. ანგარიშსწორების მიზეზი გახდა მოიერიშეების არალოიალობა ერნსტ რემის მეთაურობით პუტჩის მომზადება.

[54] SA - Sturmabteilung - „შემტევი რაზმი“ - პარამილიტარისტული ორგანიზაცია ვაიმარის რსპუბლიკის პერიოდში.

[55] პაპენი, ფრანცი ფონ - Franz von Papen (1879-1969) - გერმანელი პოლიტიკოსი, 1932-1933 წლებში რაიხსკანცლერი, 1933-1934 ვიცეკანცლერი.

[56] ბოზე, ჰერბერტი ფონ - Herbert von Bose (1893-1934) - გერმანელი სახელმწიფო მოღვაწე, ფრანც ფონ პაპების რეფერენტი პოლიტიკის საკითხებში.

[57] თანენბერგის მემორიალი - (Tannenberg - Denkmal) - გერმანიის სამხედრო და სახელმწიფო მოღვაწეთა საძვალე და პანთეონი, რომელიც 1924 წელს აშენდა აღმოსავლეთ პრუსიაში ჰოჰენშტაინთან (დღევანდელი პოლონეთის ტერიტორიაზე). 1945 წლის იანვარში მემორიალი ვერმახტის წარმომადგენლებმა ააფეთქეს წითელი არმიის შეტევის დროს.

[58] სევერინგი, კარლი - Carl Severing (1875-1952) - გერმანელი პოლიტიკოსი, სოციალ-დემოკრატი.

[59] ბისმარკი, ოტო ფონ - Otto von Bismark (1815-1898) - გერმანელი პოლიტიკოსი, სახელმწიფო მოღვაწე და დიპლომატი, 1871 წლიდან თავადი ფონ ბისმარკი, 1890 წლიდან ლაუენბურგის ჰერცოგი, 1862-1890 წლებში პრუსიის პრემიერ-მინისტრი, 1867-1871 წლებში ჩრდილო გერმანიის კავშირის ფედერალური კანცლერი, 1871-1890 წლებში გერმანიის რაიხის დამაარსებელი და პირველი რაიხსკანცლერი, „რკინის კანცლერად“ წოდებული.

[60] ფრიკი, ვილჰელმი - Wilhelm Frick (1877-1946) - გერმანელი პოლიტიკოსი, ნაცისტი, 1933-1943 წლებში რაიხის შინაგან საქმეთა მინისტრი.

[61] მაისნერი, ოტო - Otto Meisner (1880-1953) - გერმანელი სახელმწიფო მოხელე, ებერტის და ჰინდენბურგის უახლოესი თანამშრომელი, შემდეგ კი ჰიტლერის კაბინეტის ხელმძღვანელი.

[62] შულტცე-ნაუმბურგი, პაული - Paul Schultze-Naumburg (1869-1949) - გერმანელი არქიტექტორი, ხელოვნებათმცოდნე, მხატვარი, პუბლიცისტი და nsdap-ის პოლიტიკოსი.

[63] ფერსტერ-ნიცშე, ელისაბედი - Elisabeth Förster-Nietzsche (1846-1935) - გერმანელი ფილოსოფოსის ფრიდრიხ ნიცშეს და; ვაიმარში „ნიცშეს არქივის“ დამაარსებელი და ხელმძღვანელი.

[64] ბრანდტი, კარლი -KKarl Brandt (1904-1998) - გერმანელი ექიმი, ჰიტლერის პირადი ქირურგი.

[65] ვაგნერი, ვინიფრედი - Winifred Wagner (1897-1980) - გერმანელი კომპოზიტორის რიხარდ ვაგნერის რძალი; მისი მეუღლის ზიგფრიდის გარდაცვალების შემდეგ ბაიროითის ფესტივალის ხელმძღვანელი 1930-1944 წლებში.

[66] ვილა „ვანფრიდი“ - (Haus Wahnfried) - რიხარდ ვაგნერის საცხოვრებელი სახლი ბაირიოთში.

[67] ბლომბერგი, ვერნერი ფონ - Werner von Blomberg (1878-1946) - გერმანელი სამხედრო, 1937-1938 წლებში რაიხსვერის მინისტრი, 1938-1945 წლებში ვერმახტის გენერალ-ფელდმარშალი.

[68] მუსოლინი, ბენიტო ამილკარე ანდრეა - Benito Amilcare Andrea Mussolini (1883-1945) - 1922-1943 წლებში იტალიის დიქტატორი, მთავრობის მეთაური, სახელმწიფო მინისტრი, შინაგან და საგარეო საქმეთა მინისტრი, ატარებდა „Duce del Fascismo“ - „დუჩე დელ ფაშისმო“-ს, შემოკლებით „დუჩე“ -ს ტიტულს.

[69] ნეგუსი - ეთიოპიის იმპერიის უძველესი ფეოდალური ტიტული, რომელიც ამჰარულ ენაზე „მეფეს“ ნიშნავს.

[70] ედუარდ VIII - Edward VIII Windsor (1894-1972) - სრული სახელი - ედუარდ ალბერტ ქრისტიან ჯორჯ ენდრიუ პეტრიკ დეივიდ უინდზორი - ინგლისის მეფე 1936 წლის 20 იანვრიდან 1936 წლის 11 დეკემბრამდე, უარი თქვა მეფობაზე თავისი ძმის გეორგ VI-ის სასარგებლოდ, შემდეგ ვინძორის ჰერცოგი.

[71] ბონაპარტი, ნაპოლეონი - Napoleon Bonaprte (1769-1821) - ფრანგი გენერალი, სახელმწიფო მოღვაწე და იმპერატორი.

[72] ჰაუსმანი, რაული - Rauol Haussmann (1886-1971) - ავსტრიელი დადაისტი ხელოვანი - მხატვარი, მოქანდაკე, ფოტოგრაფი, კოლაჟისტი.

[73] ფრანსუა-პონსე, ანდრე - Andre Francois-Poncet (1887-1978) - ფრანგი პოლიტიკოსი და დიპლომატი, საფრანგეთის ელჩი გერმანიაში 1931-1940 წლებში, საფრანგეთის აკადემიის წევრი 1952-1978 წლებში.

[74] ტოდტი, ფრიცი - Fritz Todt (1891-1942) - სამშენებლო ინჟინერი, ნაციონალ-სოციალიზის დროს ქუჩების და გზების გენერალური ინსპექტორი, SA-ს ობერგრუპენფიურერი, 1940-1942 წლებში შეიარაღებისა და ამუნიციის მინისტრი.

[75] უნტერსბერგი - ჩრდილო ალპების მაღალმთიანი მასივი, განლაგებულია ბერხტესგადენში (ბავარიაში) და ზალცბურგში (ავსტრიაში); მოხსენიებულია მრავალრიცხოვან გერმანულ მითებსა და თქმულებებში. ერთ-ერთი თქმულების თანახმად, კაიზერი კარლოს დიდი უნტერსბერგში ელოდება თავის მეორე

სიცოცხლეს (გაცოცხლებას), იმისათვის რომ გერმანია გადაარჩინოს: კარლოს დიდი 100 წელიწადში ერთხელ იღვიძებს და როცა ხედავს, რომ მთის თავზე კვლავ ყვავები დაფრინავენ, 100 წლით ისევ იძინებს.

[76] კარლოს დიდი - Karl der Große (747-814) - კაროლინგების დინასტიის წარმომადგენელი, 768 წლიდან ფრანკონიის მეფე, 800-814 წლებში რომის იმპერატორი.

[77] როზენბერგი, ალფრედი - Alfred Rosenberg (1893-1946) - nsdap-ის პოლიტიკოსი და წამყვანი იდეოლოგი.

[78] რიბენტროპი, იოახიმი ფონ - Joachim von Ribbebtrop (1893-1946) - გერმანელი პოლიტიკოსი, 1938-1945 წლებში რაიხის საგარეო საქმეთა მინისტრი.

[79] ლუფტვაფე (Luftwafe) - ნაციონალ-სოციალიზმის დროს გერმანიის ვერმახტის სამხედრო-საჰაერო ძალების ოფიციალური სახელწოდება

[80] ვიდუკინდი - საქსონიის ჰერცოგი, რომელიც 777-785 წლებში შეიარაღებულ წინააღმდეგობას უწევდა კარლოს დიდს საქსონურ ომებში.

[81] მიულერი, იოჰან ჰაინრიხ ლუდვიგი - Johann Heinrich Ludwig Müller (1883-1945) - ნაციონალ-სოციალიზმის დროს გერმანიის ევანგელიური ეკლესიის რაიხის ეპისკოპოსი, ქრისტიანობის და ნაციონალ-სოციალიზმის პრინციპების იდეოლოგი.

[82] აიკენი, კარლი ოტო ფონ - Carl Otto von Eicken (1873-1960) - გერმანელი ექიმი, ოტოლარინგოლოგი.

[83] მორელი, თეო - Theo Morrel (1886-1948) - გერმანელი ექიმი, 1936-1945 წლებში ჰიტლერის პირადი ექიმი.

[84] შლახტენზეე - ბერლინის სამხრეთ-დასავლეთით მდებარე ტბა.

[85] ნოირათი, კონსტანტინი ფონ - Konstantin Freiherr von Neurath (1873-1956) - გერმანელი პოლიტიკოსი, nsdap-ის და SS-ის წევრი, 1932-1938 წლებში საგარეო საქმეთა მინისტრი, 1939-1941 წლებში პროტექტორი ბოჰემიასა და მორავიაში.

[86] ბრაუხიდში, ვალტერი ფონ - Walter von Brauchidsch (1881-1948) - გერმანელი გენერალ-ფელდმარშალი, ჯარის მთავარსარდალი.

[87] ვერმახტი - (Wehrmacht) - ნაციონალ-სოციალისტური გერმანიის გაერთიანებული სამხედრო ძალების ოფიციალური სახელწოდება.

[88] კაიტელი, ვილჰელმ ბოდევინ იოჰან გუსტავი - Wilhelm Bodewin Johann Gustav Keitel - (1882-1946) გერმანელი სამხედრო და სახელმწიფო მოღვაწე, გენერალ-ფელდმარშალი, ვერმახტის მთავარსარდალი.

[89] შუშნიგი, კურტი - Kurt Schuschnigg (1897-1977) ავსტრიის ბუნდესკანცლერი ავსტრო ფაშიზმის დროს 1934-1938 წლებში.

[90] „Mander, s'ischt Zeit!" (ავსტრიული დიალექტი) - „ხალხნო, დროა!" - ავსტრიის 1809-1810 წლების ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის გმირის ანდრეას ჰოფერის ცნობილი მიმართვა ავსტრიელი ხალხის, კერძოდ კი ტიროლის მოსახლეობისადმი.

[91] სასტუმრო „იმპერიალი" - ვენის ერთ-ერთი უძველესი და უმშვენიერესი ხუთვარსკვლავიანი სასტუმრო, რომელიც მდებარეობს კერნტენრინგის №16-ში.

[92] ჰელდორფი, ვოლფ-ჰაინრიხი ფონ - Wolf-Heinrich von Helldorf (1896-1944) - რაიხსტაგის დეპუტატი და პოლიციის პრეზიდენტი, ჰიტლერზე თავდასხმის გამო სიკვდილით დასაჯეს.

[93] ანშლუსი (Anschluss) - მიერთებას ნიშნავს; ტექსტში იგულისხმება ავსტრიის მიერთება გერმანიის რაიხთან.

[94] ბეგასი, რაინჰოლდი - Rainhold Begas (1931-1911) - გერმანელი მოქანდაკე და მხატვარი.

[95] ჰახა, ემილი - Emil Hacha (1872-1945) - ჩეხი იურისტი, ჩეხოსლოვაკიის პრეზიდენტი, ბოჰემიის და მორავიის პრეზიდენტი გერმანიის პროტექტორატის ქვეშ.

[96] ჩერჩილი, სერ უინსტონი - Sir Winston Churchill (1874-1965) - XX საუკუნის გამოჩენილი ბრიტანელი სახელმწიფო მოღვაწე, ორგზის პრემიერ-მინისტრი - 1940-1945 და 1951-1955 წლებში, 1953 წ. ნობელის პრემიის ლაურეატი.

[97] სტალინი (იოსებ ჯუღაშვილი) (1878-1953) - საბჭოთა პოლიტიკოსი და დიქტატორი, 1922 წლიდან სსრკ-ს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი, 1941 წლიდან სახალხო კომისრების საბჭოს თავმჯდომარე, 1946 წლიდან სსრკ-ს მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე, 1941-1945 წლებში - საბჭოთა არმიის მთავარსარდალი (გენერალისიმუსი).

[98] შმუნდტი, რუდოლფი - Rudolf Schmundt (1896-1944) - ვერმახტის უფროსი ადიუტანტი.

[99] ენგელი, გერჰარდ მიხაელი - Gerhard Michael Engel (1906-1976) - ვერმახტის გენერალ-ლეიტენანტი.

[100] პუტკამერი, კარლ-იესკო - Karl-Jesko Puttkammer (1900-1981) - ჰიტლერის ადიუტანტი სამხედრო ფლოტის საკითხებში.

[101] ატოლიკო, ბერნარდო - Bernardo Attolico (1880-1942) - იტალიის ელჩი გერმანიაში 1935-1940 წლებში

[102] ფრომი, ფრიდრიხი - Friedrich Fromm (1888-1945) - გერმანელი სამხედრო, გენერალ-პოლკოვნიკი.

[103] შულენბურგი, ფრიც-დიტლოფი ფონ დერ - Fritz-Dietlof Graf von der Schulenburg (1902-1944) - ადმინისტრაციის მოხელე და წინააღმდეგობის მოძრაობის აქტიური მონაწილე 1944 წლის 20 ივლისს ჰიტლერზე განხორციელებული თავდასხმის დროს.

[104] დე გოლი, შარლ ანდრე ჟოზეფ მარი - Charles Andre Joseph Marie de Gaulle (1890-1970) - გამოჩენილი ფრანგი გენერალი და პოლიტიკოსი, 1944-1946 წლებში საფრანგეთის დროებითი მთავრობის ხელმძღვანელი, V რესპუბლიკის დამაარსებელი და პრეზიდენტი 1959-1969 წლებში.

[105] ბრეკერი, არნო - Arno Brecker (1900-1991) - გერმანელი მოქანდაკე და არქიტექტორი.

[106] გისლერი, ჰერმანი - Hermann Giesler (1898-1987) - ნაცისტური გერმანიის ერთ-ერთი წამყვანი არქიტექტორი.

[107] გარნიე, შარლი - Charles Garnier (1825-1898) - ფრანგი არქიტექტორი. მისი ყველაზე ცნობილი ნამუშევარი არის პარიზის დიდი ოპერა, რომელსაც გარნიეს ოპერასაც უწოდებენ.

[108] შპაიდელი, ჰანსი - Hans Speidel (1897-1984) - გერმანელი გენერალი, ერვინ რომელის შტაბის უფროსი.

[109] იოდლი, ალფრედი - Alfred Jodl (1890-1946) - გერმანელი სამხედრო მოღვაწე, ვერმახტის გენერალ-პოლკოვნიკი, ვერმახტის უმაღლესი მთავარსარდლობის შტაბის უფროსი.

[110] გოებელსი, იოზეფი - Joseph Goebels (1887-1945) - ნაციონალ-სოციალიზმის დროს გერმანიის ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი და გავლენიანი პოლიტიკოსი.

[111] მოლოტოვი, ვიაჩესლავი (ნამდვილი გვარი სკრიაბინი) - (1890-1986) - სსრკ-ს მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე 1930-1941 წლებში და სსრკ-ს საგარეო საქმეთა მინისტრი 1939-1949 და 1953-1956 წლებში.

[112] დენიცი, კარლი - Karl Dönitz (1891-1980) - გერმანელი სახელმწიფო და სამხედრო მოღვაწე, გროსადმირალი, ჰიტლერის სიკვდილის შემდეგ მისი მემკვიდრე რაიხის პრეზიდენტის პოსტზე.

[113] დერენი, ანდრე - Andre Derain (1880-1954) - ფრანგი მხატვარი, მოქანდაკე, გრაფიკოსი და სცენოგრაფი.

[114] დესპიო, შარლი - Charles Despiau (1874-1946) - ფრანგი მოქანდაკე.

[115] „ჰორხერი“ - 1904-44 წლებში ბერლინის ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი რესტორანი. 1944 წელს რესტორნის მფლობელებმა იგი მადრიდში გადაიტანეს, სადაც ის დღესაც ფუნქციონირებს.

[116] ვილჰელმ II - Wilhelm der Zweite (1859-1941) - ფრიდრიხ ვილჰელმ ვიქტორ ალბერტ პრუსიელი - ჰოჰენცოლერნების დინასტიიდან, 1888-1918 წლებში უკანასკნელი გერმანელი კაიზერი და პრუსიის მეფე.

[117] მილხი, ერჰარდი - Erhard Milch (1892-1972) - გერმანელი ჯარის და ლუფტვაფეს ოფიცერი, 1940 წლიდან გენერალ-ფელდმარშალი.

[118] ჰაიზენბერგი, ვერნერ კარლი - Werner Karl Heisenberg (1901-1976) ცნობილი გერმანელი ფიზიკოსი, ნობელის პრემიის ლაურეატი.

[119] ლე კორბუზიე - Le Corbousier (1887-1965) - შვეიცარიელი-ფრანგი არქიტექტორი, არქიტექტურის თეორეტიკოსი, მხატვარი, გრაფიკოსი, მოქანდაკე, ავეჯის დიზაინერი, ქუჩების დამგეგმარებელი.

[120] ელ ლისიცკი (ლაზარე ლისიცკი) - El Lissietzky (1890-1941) - რუსი მხატვარი, გრაფიკოსი, დიზაინერი, არქიტექტორი, ფოტოგრაფი, ტიპოგრაფი.

[121] კოხი, ერიხი - Ernst Koch (1896-1986) - nsdap-ის გაულაიტერი აღმოსავლეთ პრუსიაში, 1941-45 წლებში ბიალისტოკის ოლქის სამოქალაქო ადმინისტრაციის უფროსი.

[122] ვერმახტის უმაღლესი მთავარსარდლობა.

[123] ცაიტცლერი, კურტი - Kurt Zeitzler (1895-1963) - გერმანელი სამხედრო, გენერალ-პოლკოვნიკი, ჯარის გენერალური შტაბის უფროსი II მსოფლიო ომის დროს.

[124] კესელრინგი, ალბერტი - Albert Kesselring (1885-1960) - გერმანელი სამხედრო, გენერალ-ფელდმარშალი.

[125] ბაროვა, ლიდა - Lida Baarova (1914-2000) - ჩეხი მსახიობი ქალი, გოებელსის საყვარელი.

[126] ლაი, რობერტი - Robert Ley (1890-1945) - nsdap-ის რაიხსლაიტერი და გერმანული სამუშაო ფრონტის წამყვანი პოლიტიკოსი.

[127] ვაგნერი, რიხარდი - Richard Wagner (1813-1883) - გერმანელი კომპოზიტორი, დრამატურგი, მწერალი, თეატრის რეჟისორი და დირიჟორი.

[128] ფილიპი, პრინცი ფონ ჰესენ-კასელი - Prinz Philipp von Hessen-Kassel (1896-1980) - ჰესენ-კასელის დინასტიის პრინცი და ნაციონალ-სოციალისტი პოლიტიკოსი.

[129] მაფალდა, პრინცესა ფონ ჰესენ-კასელი - Prinzessin Mafalda von Hessen-Kassel (1902-1944) - იტალიის მეფე ვიქტორ ემანუელ III-ის ქალიშვილი და ფილიპ ფონ ჰესენ-კასელის მეუღლე, დაიღუპა ბუხენვალდის საკონცენტრაციო ბანაკში.

[130] ჰაინრიკი, გოთჰარდი - Gotthard Heinrici (1886-1971) - გერმანელი სამხედრო, გენერალ-პოლკოვნიკი.

[131] მოდელი, ვალტერი - Walter Model (1891-1945) - გერმანელი სამხედრო, გენერალ-ფელდმარშალი.

[132] „ვერვოლფი“ - ძველზემოგერმანულზე „მგელკაცას“ ნიშნავს; მითოლოგიაში, თქმულებებსა და პოეზიაში ვერვოლფი არის ადამიანი, რომელიც სავსე მთვარის დროს ღამით სისხლისმსმელ მგლად გადაიქცევა (ლიკანტროპი). მესამე რაიხის დროს 1939-45 წლებში „ვერვოლფი“ წარმოადგენდა „SS“ის პროპაგანდისტულ რადიოგადაცემას, რომელიც ხოტბას ასხამდა გერმანული ჯარების ძლიერებას.

[133] ვოლფი, იოჰანა - Johanna Wolf (1900-1985) - ჰიტლერის უფროსი მდივანი ქალი.

[134] ლიუშენი, ფრიდრიხი - Friedrich Lüschen (1877-1945) - გერმანელი ფიზიკოსი.

[135] ზაური, კარლი - Karl - Otto Saur (1902-1966) - მესამე რაიხის შეიარაღების, ამუნიციის და საომარი მრეწველობის სამინისტროს სახელმწიფო მდივანი, ჰიტლერის პოლიტიკურ ანდერძში მოხსენიებული როგორც შეიარაღების მინისტრი.

www.facebook.com/groups/ellib